

ავთანდილ სოლუსიუმი

ისტორია

და

თანამედროვეობა



გამომცემლობა „ანივერსალი“  
თბილისი 2016

UDC(უაკ) 93|94+94(479.22),19“+930.85  
ს-677

წიგნში შესული თემატიკის ნაწილი, ბოლო წლებში სხვადასხვა სამეცნიერო კრებულებში ქვეყნდებოდა. წინამდებარე გამოცემაში ახალი საარქივო დოკუმენტური და მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურის საფუძვლით შესწავლილია ეროვნული უმცირესობების, რელიგიის, პოლიტიკისა და საქართველოს ისტორიის პრობლემები. ნაშრომი განკუთვნილია სპეციალისტების და მკითხველთა ფართო საზოგადოებისათვის.

**რედაქტორი: სამართლის დოქტორი, პროფესორი  
ირაკლი გაბისონია**

**რევიზიუნტები:** ისტორიის დოქტორი, პროფესორი  
**ედიშერ გვენეტაძე**  
ისტორიის დოქტორი, პროფესორი  
**ზურაბ ქვეტენაძე**

© ა. სონღულაშვილი, 2016

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2016

თბილისი, 0179, გ. ვაკევაძის გამზ. 19, თე: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge; universal505@ymail.com

ISBN 978-9941-22-793-6

## შინაარსი

ეთნიკური ტერმინოლოგიის ზოგიერთი საკითხი ...5	
ირან-ოსმალეთის აგრესია და ქართველთა გამაპმადიანების მცდელობაზი გვიანი ფეოდალიზმის პერიოდში.....17	
ექვთიმე თაყაიშვილისა და იროდიონ სონდულაშვი- ლის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან.....33	
ივანე ჯავახიშვილი და თბილისის სახელმწიფო უნი- ვერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენ- ლობა 1918-1921 წლებში.....41	
აფხაზეთის სამართლებრივი უფლებები საქართვე- ლოს პირველი რესპუბლიკის პერიოდში 1918-1921 წლებში .....55	
აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1921-1931წწ.).....68	
ეროვნულ უმცირესობათა რელიგიური სექტები სა- ქართველოში XX საუკუნის 50-იან წლებში.....87	
ეროვნულ უმცირესობათა განსახლების რაიონები საქართველოში XX საუკუნის 20-30-იან წლებში...101	
პონკონგის ისტორიიდან .....121	
ადამიანის უფლებები – „ისტორიული შტრიხები“ .....134	

პოლიტიკური ლიდერის იმიჯი .....	155
„ცივი ომის“ ანატომია.....	180
პოლიტიკა და სპორტი .....	195
ნიკიტა ხრუშჩოვის პოლიტიკური პორტრეტი .....	217
ისლამი და გარე სამყარო.....	247
წყაროები გვამცნობენ .....	268
ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენი .....	274
ფრიად საჭირო წიგნი .....	283
„ჯაყოს სიზმრები“ .....	289

## ეთნიკური ტერმინლოგიის ზოგიერთი საპითხი

როგორც ცნობილია, ეთნიკური პრობლემა მეტად მრავალმხრივია. იგი მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიც არის ენისა და კულტურის მნიშვნელობა კაცობრიობის დიფერენციაციისათვის, ჯგუფური (ეთნიკური) თვითშეგნების ფორმირება და ფუნქციონირება, ცალკეულ კოლექტივებს შორის ურთიერთობის ხასიათი და ა.შ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალური გამოკვლევები ეთნოსის არსის, ეთნიკური ურთიერთობისა და პროცესებისადმი და საერთოდ ცნებებისადმი – „ეთნიკური ჯგუფი“, „ეთნიკური ერთობა“ „ეთნოსისადმი კუთვნილება“ დასავლეთის მეცნიერულ გამოკვლევებში XX საუკუნის 50-იანი წლებიდან დაიწყო. ამასთანავე, ასეთი სახის გამოკვლევები ცარიელ ადგილზე არ აღმოცენებულა [1, 207].

ეთნოსის ცნება თავისი მიღებული და გავრცელებული მნიშვნელობით ბერძნული სიტყვის სემანტიკას ეყრდნობა. „ეთნოს“ ბერძნულად ნიშნავს: მოდგმას, ტომს, ჯოგს, რემას, ხალხს, ერს, ეროვნებას. ინდივიდის ეთნიკური ნიშნები მოიცავს: ტემპერამენტს, მიხრამოხრას, კანის და თმის შეფერილობას, ხასიათს, ჩვეულ გუნებათა იმ თავისებურებებს, რომლებიც მას სისხლისმიერ კავშირთაგან შემტკიცებული „ჩვენ-ჯგუფის“ ჩამომავლობით რგებია. ვიტყვით: ეთნიკური ჩინელი, მათრი ან ზუღუსიო და ვგულისხმობთ, რომ მავანი ტომობრივ, სისხლისმიერ ხევებულ ჯგუფთაგან ერთ-ერთს ეკუთვნის [2, 7-8].

შეა საუკუნეებიდან დღემდე ეთნიკურ ერთობათა აღსანიშნავად უცხოელ ავტორებთან გამოიყენებოდა ძირითადად ოთხი ტერმინი: ნაცია (ერი), ტომი,

რასა და ეთნიკური ჯგუფი. ამ ტერმინების გამოვლენა და გამოყენება სხვადასხვა ეპოქაში დაკავშირებული იყო განსხვავებულ ისტორიულ-კულტურულ კონცეფციებთან. ერთი კონცეფციის მეორით შეცვლა იწვევდა აღნიშნული ტერმინების არსებითად აზრობრივ ცვლილებებს.

ყველაზე ადრე ლიტერატურაში შემოვიდა ტერმინი „ერი“, რომელიც ადრეული შეა საუკუნეებიდან გამოიყენებოდა ევროპაში ეთნიკური (ლინგვისტური და კულტურული) ერთეულის აღსანიშნავად. VII საუკუნის პირველ ნახევარში აღნიშნული შინაარსით განმარტავდა ერს ისიდორე სევილიელი, XIII საუკუნის ფრანცისკანელი ბერი ბართოლომეო ანგლიკუსი. ნაციის შედარებით სრული აღწერილობა დამახასიათებელია აღორძინების ეპოქისათვის, რამაც ასახვა ჰპოვა ი. ბემუსისა და ს. მიუნტერის შრომებში. 1527 წელს აგრიპა მიუთითებდა, რომ სხვადასხვა „ნაციის“ (ერის?) წარმომადგენლები განსხვავდებიან ხმის, ენის, ლაპარაკის მანერის, კვების, ტრადიციის, სიყვარულისა და სიძულვილის, შიშისა და ბრაზის განსაკუთრებული გამოხატვით.

ტერმინ „ნაციის“ ასეთივე აზრით ფართოდ იყენებდნენ განმანათლებლობის ეპოქის ფილოსოფოსები და ისტორიკოსები (ა. რ. ტიურგო, შ. მონტესკიე, ა. ფერგაუსონი, ჭ. კონდორსე და სხვ.) [1, 208].

დღეს ერის ცნება უფრო ფართოა, ვიდრე მოაზრება ბიბლიაში. წმინდა წერილში პირველად სიტყვა „ერი“ გვხვდება დაბადების წიგნში ფარაონის მორჩილებაში და მსახურებაში მყოფთა მიმართ, როდესაც იოსები აღმოჩნდება ფარაონის წინაშე. კერძოდ, „სათნო – უჩნდეს სიტყუანი ესე წინაშე ყოვლისა ერისა მისისა“ (დაბ. 41, 37) და შემდეგ: „პირსა შენსა ერჩდეს ერი ჩემი“ (დაბ. 41, 40). ცხადია, რომ

აქ იგულისხმება არა ეთნოსი, არამედ იმ ხალხთა სიმრავლე, რომელიც ფარაონის მორჩილებაში იყო, მის კანონს ემორჩილებოდა, რომელსაც ესმოდა მისი ენა.

სხვა შემთხვევაში, როდესაც უფალი მიმართავს მოსე წინასწარმეტყველს და ამბობს, რომ „ხილვით ვიხილე მე ძვირი ე რ ი ს ა ჩ ე მ ი ს ა“ და „გამოვიყვანო ე რ ი ჩემი, ძენი ისრაელისანი ქუყანით ეგვიპტით“. იგულისხმება დვთის მორჩილებაში მყოფი ხალხი, რომელიც ისმენს დვთის სიტყვას და იცავს სჯულს [3, 36].

XIX საუკუნის პირველი ნახევრის გამოჩენილი მოღვაწე თეიმურაზ ბაგრატიონი (1782-1846) ერს შემდეგნაირად განმარტავს: „ე რ ი წერილის სიტყვით ჩვენებურად სამხედროსა ჰქვიან. მგონია, ესე ებრაული უნდა იყოს, სწორედ კი ვერ დაგიმტკიცებ და ირწმუნე, ერი არც (აჰლ) აქედამ არს წარმოებული, არც ე რ ი დ ა მ ა. ი ე რ ე ბერძულიც არის. საკუთრად ჩვენებური – ნ ა თ ე ს ა ვ ი, თ ე ს ლ ი, მ ო ქ ა ლ ა ქ ე, მ ც ხ ო ვ რ ე ბ ი, ს ა მ ხ ე დ რ ო, ს ა მ კ ვ ი რ ც ხ ლ ო, მ კ ვ ი რ ც ხ ლ ნ ი ესენი, რომელსაც ხაზი აქვს გასმული, სალაშტრონი ანუ ლაშტართაგანნი არიან და სხვანი“ [4, 52].

ჩვენი ლექსიკოგრაფი ტერმინ – ოქმის ახსნისას ერის განმარტებაზეც საუბრობს. კერძოდ, „თ ე მ ი სრულიად კაცნი რომლისამე ქუეყანისა მცხოვრები მოქალაქენი მდაბიონი და სხვანი. თ ე მ ი არს სამეფოთა, გინა ე რ თ ა ერთი რომელიმე ნაწილი, სხვადასხვა თემი ნიშნავს სხვასა და სხვასა ნათესაობასა, გინა ადგილსა“ [4, 61].

ბაგრატიონი ნ ა ც ი ა ს შემდეგნაირად განმარტავს: „გვარნი ანუ სირანი“ [4, 98]. მისივე ახ-

სნიო „ს ი რ ა – შთამომავლობასაც ნიშნავს და ს ი რ ა – ნაწილი ანუ კერძო“ [4, 119].

დავით ჩუბინაშვილის შეხედულებით „ე რ ი – მდაბიო ხალხი, ნათესაობა კაცთა, განსაკუთრებული ენითა, შთამომავლობითა და სარწმუნოებითა, სიმრავლე კაცთა ერთად შექრებილთა, ჯარი [5, 495]. „ნ ა ც ი ა (ფრანგ.), ტომი, თესლი ხალხისა [5, 970]. ტ მ ი (ბერძნ.), ნათესაობა, ჩამომავლობა [5, 125].

ი. ჭავჭავაძე, ი. გოგებაშვილი, ვაჟა ფშაველა, ა. წერეთელი, ს. მესხი, ა. ჯორჯაძე და სხვები, ერის ნიშანთვისებების უაღრესად ფართო სპექტრს წარმოგვიდგენებ და თითოეული ფაქტორის მინიშნებასაც ძირითადად, სწორი – სუბიექტივიზმისაგან დაზღვეული არგუმენტების მოშველიებით განმარტავენ [6, 148]. საერთო ჯამში ერისთვის დამახასიათებელ ნიშნებად ისინი თვლიან: ენის, ტერიტორიის და კულტურის ერთობას, საერთო ისტორიულ ბედს, ერთიან შთამომავლობას, სისხლით ნათესაობას, სახელმწიფოებრივ ერთობას და ა. შ.

ერის ჩამოყალიბების ეტაპების პრობლემის კვლევისათვის დღესაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართველ სწავლულთა თვალსაზრისი, რომ ერი როგორც ისტორიული კატეგორია, წარსულის წიაღში აღმოცენდა და მისი არსებობის განმაპირობებელი საფუძვლების ცვლილებით ერის ცნების შინაარსობრივი და პრაქტიკული მხარეებიც იცვლება – მდიდრდება და უფრო მრავალფეროვანი ხდება [6, 149].

ილია ერის (ეთნოსის) ცნებასათან დაკავშირებით, მეცნიერულ დონეზე აყალიბებს მისთვის დამასხასიათებელ კომპონენტებს. ასეთებია „მამული“, ტერიტორია, სადაც მოხდა ამა თუ იმ ერის, ამ შემთხვევაში ქართველი ერის ფორმირება. ენა – საღ-

ვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, საზოგადოებასათან ერთად იქმნება და ვითარდება იმ ტერიტორიულ ერთეულზე, სადაც ხდება ამა თუ იმ ერის ფორმირება თავისი რწმენითა და კულტურით. ენის ერთობა ნიშნავს კულტურის ერთობას. ერთობა გაარტომობისა, საერთო ისტორიული წარსული, კულტურა და მასთან განუყოფელი ინტენსიური ცხოვრება. ქვეყნის ეკონომიკური მთლიანობა კი მასთან კაცობრიობის ღონისა და სიმკვიდრის დედაბოძია. ამგვარად, ილია ჭავჭავაძე, შეეხო რა ერის ცნებას, ხაზი გაუსვა ყველა თავისებურებას და ჩამოაყალიბა ყველა მისი კომპონენტი [7, 39].

XX საუკუნის დასაწყისში ერის განმსაზღვრელ ძირითად კომპონენტად მიაჩნდათ „სამშობლო მიწა-წყალი, ენა, ისტორია, ერთნაირი თავგადასავალი და არა სარწმუნოება“. ეთნოსის ამ განსაზღვრაში აკაკი წერეთელი რელიგიის იგნორირების წინააღმდეგ გამოდიოდა, თუმცა არც იმას ამართლებდა, ვინც ეროვნებასა და სარწმუნოებას ერთმანეთში აიგივებდა. პოეტი გვთავაზობს თავის კოცეფციას, კერძოდ, „ერს“, იმ დროისათვის არსებულ საზოგადოებრივ წყობას იგი ადარებს ხეს. მისი აზრით, ეს არის იგივე ეროვნების ხე, რომელშიც ფერდალური იერარქიული კიბე ხელუხლებელი დარჩა [7, 44].

ტერმინი „ტომი“ მეცნიერებაში დამკვიდრდა ახალ დროში. თავდაპირველად ტომს უწოდებდნენ მცირე სოციალურ ჯგუფებს, რომლებიც ა. რ. ტიურგოს აზრით მონადირეებში მოითვლიდა 15-20 ადამიანს. აღნიშნული ტერმინის ასეთი განმარტება მემკვიდრეობით ერგოთ XIX საუკუნის მკვლევარებს. ტერმინის სრულყოფილი განმარტება დაიხვეწა XIX

საუკუნის მეორე ნახევარსა და შემდგომ პერიოდში ჯ. მაკლენანთან, გ. სპენსერთან და ა. შ. [1, 209].

აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნეში ტერმინები „ტომი“ და „ნაცია“ (ერი) ხშირად სინონიმებად გამოიყენებოდა. ზოგიერთი ავტორი განიხილავდა, როგორც რამდენიმე სოციალური ერთეულის – ტომის ეთნიკურ ერთობას.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ერნსტ რენმა გამოჯნა ამ ორი ცნების – ტერმინის მნიშვნელობა. „ნაციის“ წარმოშობა მან დაუკავშირა ევროპაში შუა საუკუნეების საწყის ეტაპს [1, 211].

შემდეგი ტერმინი, რომელიც ერთი პერიოდი ფართოდ გამოიყენებოდა ეთნიკურობის მნიშვნელობით არის „რასა“. მისი შემოტანა სამეცნიერო ბრუნვაში განეკუთვნება XIX საუკუნის დასაწყისს [1, 212].

ზემოთ აღნიშნულ და სხვა ტერმინებთან დაკავშირებით, რასაც ადგილი ჰქონდა ქართულ სინამდვილეში, განვიხილოთ რამდენიმე საკითხი ჩვენი ერის წარსულიდან.

უძველეს დროში ქართველები სხვადასხვა ტომებად თუ ჯგუფებად იყოფოდნენ (რომელთა დეტალური ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს), რომ მათ ხანგრძლივი ცხოვრების პროცესში სულ სხვადასხვა უცხო ჯგუფებიც შეერივნენ (შემოხიზვნისა თუ შემოჭრის გზით) და შეერწყნენ. ბავშვური გულუბრევილობა და ისტორიული უცოდინარობაა იმისი წარმოდგენა და მტკიცება, რომ ქართველი ხალხი – ანუ ერი („ნაცია“) ერთი დედმამიდან, გვარიდან ან ნათეულაური თემიდან გაჩნდა და წმინდა წარმოშობისაა. ასეთი რამ ბუნებაში არ არსებობს. პირდაპირ უნდა ითქვას, დედამიწის ზურგზე არსებული უველა ხალხი ანუ ერი, ურთიერთმონათესავესთან ერთად, სულ სხვადასხვა რასის, ენის, ზეგჩვეულების, ჯიშის,

კულტურის, რწმენა-წარმოდგენის, ხასიათისა და სხვა ადამიანთა მასის დაჯგუფების, შეზრდისა და შერწყმის შედეგადაა წარმოშობილი ხანგრძლივი თანაცხოვრების შედეგად. და რა თქმა უნდა, ასე წარმოშვა და ჩამოყალიბდა ქართველი ერიც (ის გამონაკლისი არაა) [8, 94-95].

საგულისხმოა, რომ ქართველი ხალხის ჩამოყალიბება VIII-IX საუკუნეებში დამთავრადა, რასაც მაღე ქართველი ერის (მყარი ერთობის) საბოლოო ფორმორება მოჰყვა. ამ თვალსაზრისით რაოდენ ბევრის მეტყველია თუნდაც საქართველოს უშორეულესი კუთხის სვანეთის ერთ-ერთი თემის ლატალის პატარა სოფლის ლაილის ეკლესიის ხატის XI საუკუნის წარწერა: „წმიდაო მთავარანგელოზო მუხერისაო... ადიდენ მეფენი ბაგრატუნიანი და დადიანი, და დიდებული და ერთობილი საქართველო და ერთობილი სუანნი...“ როგორც ჩანს, ქართველთა ერთობა და ერთიანობა (ბუნებრივია, აგრეთვე მათ გარშემო მყოფი სხვა ეთნიკური ჯგუფების) . . . საბოლოოდ სრულიად საქართველოს ფარგლებში გამოიწრო და შედუღაბდა. ეს ჩანს თუნდაც სვანეთის პატარა სოფლის მოსახლეთა თვითშეგნების (შინაგანი რწმენის) გამოხატულებიდან ერთიანი და ერთობლივი მმართველი ბაგრატიონების, ქართველებისა და სრულიად საქართველოს შესახებ [8, 94].

1926 წლის აღწერით, როგორც სხვა საკავშირო აღწერებით აჭარელი, სვანი, მეგრელი და ა.შ. არაქართველებად არიან დაფიქსირებული. 1927 წელს ამ ანტიქართულ პოზიციას გამოეხმაურა უცნობი აგრორი, მაგრამ გასაგები მიზეზების გამო კრიტიკული წერილი არ გამოქვეყნებულა. დედანი აღმოჩნდა შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში. მოგვაქვს წერილის ტექსტი: „ცნება აჭარელი, მეგრელი, სვანი

და სხვა ბუნებრივია არ ეწინააღმდეგება ცნებას ქართველი; პირიქით, ცნება „ქართველი“ შეიცავს ყველა დანარჩენს როგორც მთელი – ცალკე ნაწილებს. როცა სვანი ან მეგრელი თავისთავს სვანს ან მეგრელს უწოდებს, ამით იგი მხოლოდ თავის პროვინციალურ შთამომავლობას აღნიშნავს და არა იმას, რომ იგი ქართველი არ არის; პირიქით, სვანის ან მეგრელის წარმოდგენაში სახელწოდება „სვანი“ ან „მეგრელი“ ეს არის ნაწილი ცნებისა „ქართველი“, როგორც ერთი მთელისა. ეს ტომები არა მარტო რასობრივი შთამომავლობით, არამედ ეროვნული შეგნებით ე ო ი ქართველი ერის განუყოფელ ნაწილს შეადგენს“ [9, 29-30].

გზაჯვარედინზე მდებარე საქართველოს ტერიტორიის პოლიეთნიკურობა აქაურ მოსახლეობას ცხოვრების გარკვეულ წესს კარნახობდა – ტოლერანტობას (იმ ხარისხით, რომ შესაძლებელი ყოფილიყო გაერთიანება).

უხსოვარი დროიდან საქართველოშიც ხალხი ჯგუფებად ცხოვრობდა. ერთად ცხოვრების შედეგად ადამიანებს თავისი ჯგუფისადმი ლოიალობა უყალიბდებოდათ. გაერთიანებათაგან ზოგიერთი სისხლით იყო შეკავშირებული („თესლი“ და აქედან გამომდინარე „ნათესავი“, „თვისი“, „თესლტომი“, „ტომი“, „გუარი“, „სახლი“, „გუარნათესაობა“, „მახლობელი“, „მოდგმა“, „ბუნება“, „თემი“), ხოლო გაერთიანებათა ნაწილი მრავალეთნიკური იყო – „მკვიდრნი საქართველოსანი“, „ქართველთა შვილნი“, „ერი“.

გაერთიანება იყო, როგორც პორიზონტალური, ასევე ვერტიკალური, რაც შესაბამის გამოთქმებში აისახება, უკანასკნელი, მაგალითად, საკმაოდ ხშირ შესიტყვებაში „სჯული მამათა ჩუენთა“, ან აქვე შეიძლება გავიხსენოთ ტერმინი „თვისი“, რომელიც სამ

თაობას მოიცავს. ნათესავნი სხვადასხვა იყვნენ – „ნათესავი სპარსთა“, „ნათესავი სომები“, „ყოველნი ნათესავნი ბერძენთანი“, „ნათესავი ისმაელისი“, „აგარის ნათესავნი“, „ბუნებით სარკინოზ“. მსგავსი გამოთქმების სიხშირე უძველეს წყაროებში ნათლად წარმოაჩენს აგტორთა მკაფიო ეთნიკურ ცნობიერებას.

უცხო ეთნიკური წარმომავლობისანი ქართულ წყაროებში აღინიშნებოდნენ როგორც „უცხონი“, „უცხონი ნათესავნი“, „უცხოთესლნი“, „მოსულნი“ და სხვ.

„ჩვენ“ და „ისინი“ საქართველოს ტერიტორიაზე ძველი დროიდან თანაარსებობდნენ და მათ შორის ურთიერთობები სხვადასხვა ხასიათისა იყო [10,44].

თავისი არსებობის მანძილზე, ქართული სახელმწიფო, დასახლებული მრავალი ეროვნების წარმომადგენლებით, ფაქტია, რომ არასოდეს გამხდარა მრავალეროვანი ქვეყანა (დღეს კი, პირველად საქართველოს ისტორიაში, ასეთი არასასურველი პერსპექტივა რეალურად ისახება). ეს იმიტომ, რომ საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, ისტორიულ-ტრადიციულად, შემუშავებული პქონდა დამცველი მექანიზმი, რომლის მოქმედებითაც, ჩვენმა წინაპრებმა დღემდე შემოგვინახეს ქართული მიწა-წყალი, შეინარჩუნეს ეროვნული კულტურა და თვითმყოფადობა. ეს დამცველი მექანიზმი იყო „უცხოს“ მიღება-დასახლების წესი, რომელიც უზრუნველყოფდა მოსული „უცხოს“ იმ კულტურულ სამყაროსთან შეზრდას, რომლის გარემოცვაშიც იგი ექცეოდა [11, 91].

ტერმინ „უცხოს“ გაგებას ზოგიერთი თავისებუნება გააჩნია. მაგალითად, ისტორიულად „უცხო“ თავისი შინაარსით არა მარტო უცხოეთნიკური, სხვა ეროვნების წარმომადგენლის მომცველი იყო, არამედ

„უცხო“ იყო ქვეყნის შიგნით (მაგ., საქართველოს შიგნით) ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში, ერთი თვე-მიდან მეორე თემში საცხოვრებლად დროებით თუ მუდმივად გადაადგილებული პიროვნებაც. ქვეყნის შიგნით გადაადგილებული შეიძლება ქართველიც ყოფილიყო და არაქართველიც. ოოგორც ქართველი, ისე არაქართველი „უცხოს“ მიღების და დასახლების წესი, პრინციპში თითქმის ერთნაირი იყო და ერთმანეთისაგან ცოტათი თუ განსხვავდებოდა. თუ თანამედროვე ცივილიზებული სამყაროს ქვეყნების შიგნით მოსახლეობის გადაადგილება თავისუფლად ხდება, ხოლო ბევრ ქვეყანაში (მაგ., ფინეთში, ესპანეთში და სხვ.) სპეციალური კანონებითაა მოხსნილი ქვეყნის შიგნით, გადაადგილებასთან დაკავშირებული ყოველგვარი შეზღუდვა (ამ ქვეყნების მოქალაქეებს უფლება აქვთ ეროვნული ტერიტორიის ფარგლებში თავისუფლად აირჩიონ საცხოვრებელი ადგილი), ასე როდი იყო ისტორიულადაც. ერთი თემიდან მეორეში გადაადგილებული პირი თუ ოჯახი, ამ თემისათვის „უცხო“ იყო და „უცხოს“ მიღება დასახლების ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ წესს ემორჩილებოდა [11, 92-93].

და ბოლოს კვლავ ილიას დაგესქსხოთ ერის განმარტებასთან დაკავშირებით: „ერი ეს არის . . . ისტორიით შედუღაბებულ ერთსულ და ერთხორც მკვიდრთა კრებული“. ამ უაღრესად ლაკონიურ, მაგრამ ტევად განსაზღვრებაში მოცემულია ერის არსის მახასიათებლების ისეთი გადმოცემა (თანმიმდევრობა – მნიშვნელობის თვალსაზრისით), რომლის დარი არც მის თანამედროვე და არც დღევანდელ პოლიტიკურ მეცნიერებაში არ მოიპოვება [12, 102-103]. ეს რომ ინგლისელს ან გერმანელს დაეწერა, პოლიტიკური ეკონომიკის, სამართალმცოდნებისა და პოლი-

ტოლოგიის ვერცერთი ავტორი ამ დებულებას გვერდს ვერ აუკლიდა.

### გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. В. А. Шнирельман, Проблема доклассового и раннеклассового этноса в зарубежной этнографии, сб. Этнос в доклассовом и раннеклассовом обществе, М., 1982.
2. ლ. დალაქიშვილი, კულტურის კრიზისი, ეთნიზმი და ერობა, „ეთნოპოლიტიკა“, 2002, №1.
3. პროგრამესვიტერი გიორგი (გამრეკელი), ერი და ტრადიცია, კრ. „ქართული საეკლესიო გალობა, ერი და ტრადიცია“, თბ., 2001.
4. თემურა ბაგრატიონი, წიგნი ლექსიკონი, მასალები შეკრიბა, ანბანზე გააწყო, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო გურამ შარაძე, თბ., 1979.
5. დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984.
6. დ. მალაზონია, ქართული ისტორიოგრაფიული აზროვნება XIX საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1979.
7. მიმოხველები, ეთნოლოგიის განვითარებისა და ჩამოყალიბების ძირითადი ეტაპები საქართველოში (სადოქტორო დისერტაციის ავტორებერატი), თბ., 2003.
8. გ.გასვიანი, უძველესი ქართველური ენის ძეგლი (სვანური ლექსიკონი), „ანალები“, 2001, №1.
9. საქართველოს მინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფ.14, ანაწ. 3, საქ. 438.

10. გ. ა ლ ა ს ა ნ ი ა, აღმსარებლობის როლი ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებაში, ქრ. „ქართული საეკლესიო გალობა, ერი და ტრადიცია“, თბ., 2001.
11. ქ. ე რ ი ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს მიწა-წყალზე „უცხოს“ მიღება-დასახლების მექანიზმის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ასპექტები, „კლიო“, 2006, №30.
12. პოლიტოლოგია, თბ., 2001.

## ირან-ოსმალეთის აბრძანია და ქართველთა გამაჰადიანების მცდელობანი გვიანი ფეოდალიზმის პრიოდში

ქართველი ხალხის ერთი ნაწილი მაკმადიანობის აღმსარებელია – აჭარლების ნაწილი, ინგილოები, ფერეიდნელები, ისტორიული ტაო-კლარჯეთის მოსახლეობა. მაგრამ მაკმადიანობა ქართველის ბუნება-თვისებას ვერ მოერგო. მაკმადიანობამ არაბეთში უზარმაზარი კულტურა შექმნა. ასევე სპარსეთში, თუმცა იქ იგი მიტანილი და ძალით გაგრცელებული რელიგია იყო. ფაქტია: მაკმადიანური ირანული კულტურა მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენაა. სამხრეთ ესპანეთშიც ისლამმა უმაღლესი კულტურული მემკვიდრეობა დატოვა. მხოლოდ საქართველოში არ მომხდარა ასე. ქართული ისლამური კულტურა არ არსებობს. ამის ასენა მხოლოდ იმით შეიძლება, რომ მაკმადიანობა და ქართული ეროვნული ბუნება-თვისება ერთმანეთს ვერ მოერგო, ვერ შეეთვისა [1, 19-20].

არაბთა ბატონობის დროს ბუნებრივია ადგილი ჰქონდა ცალკეული პირების გამაკმადიანების ფაქტებს [2, 165]. სწორედ ამის გამოა, რომ VIII საუკუნის გამორჩეულ მოღვაწეს იოანე საბანისძეს ადაშფოთებს ის გარემოება, რომ „ქართველობას“ საშიშროება მოელის, „რამეთუ აღვერიენით ერსა უცხოსა“, რომ ქართველობაში შემოიჭრა „უცხო“ ხალხის სარწმუნოება, „უცხო“ ხალხის ზნე-ჩვეულება, რაც, საბოლოო ჯამში, ქართველ ხალხს გადაგვარების საფრთხეს უქმნის. ავტორი ჩამოთვლის იმ მიზეზებს, რის შედეგადაც ხდება ეს აღრევა, მთავარი მიზეზი სარწმუნოების შეცვლაა. ქართველობა ქრისტიანობას ცვლის მუსლიმანობით „მძლავრობის“, „უმეცრუ-

ბის“ და „მზაკვრობის შედეგად“ [3, 43].

„ბუნებრივია არაბების გულის ნადები და ნატ-  
ვრა, – აღნიშნავდა აკად. ივ. ჯავახიშვილი – რო-  
გორც ყოველთვის და თვით მუჭამედის მიერაც იყო  
დაკანონებული, მაინც რასაკვირველია ისლამის  
გავრცელება იყო. მუსლიმანად ქცეულებს ყოველგვა-  
რი უპირატესობა და შედაგათი ენიჭებოდათ; მაგრამ  
ამასთანავე ვინც ერთხელ გამაჰმადიანდებოდა, იმას  
ისლამის დატოვება აღარ შეეძლო, თორემ ისლამის  
მოღალატე სიკვდილით დაისჯებოდა“ [4, 86].

არაბების შემდეგ ისლამის გავრცელებას სა-  
ქართველოში ხელს უწყობდა მაჰმადიან დამპყრობობა  
კომპაქტური და შერეული დასახლებები ჩვენს ქვეყა-  
ნაში. კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე არაერ-  
თხელ შემოჭრილან აქ „ჩამოსხდომის“ მიზნით:  
თურქ-სელჩუკები (XI-XII სს.), მონღოლ-თურქები  
(XIII-XIV სს.), ჩობანიანები, ჯალაირები, მცირე აზი-  
ის თურქები, თურქმანები (XIV-XV სს.), ოსმალები,  
ყიზილბაშები (XV-XVI სს.).

XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის  
პირველ ნახევარში სამხრეთ საქართველოში მკვიდ-  
რდებიან ოსმალო მომთაბარეები (იურიუქები), აღმო-  
სავლეთ კახეთსა და ქვემო ქართლში ყიზილბაშური  
ტომები. შაჰ-აბასმა დიდი რაოდენობით შემოიყვანა  
მომთაბარული ტომები საქართველოში (და, აგრეთვე,  
აღმ. ამიერკავკასიაში) ცენტრალური და სამხრეთ  
ირანიდან, სამაგიეროდ დიდი რაოდენობით გაიყვანა  
ირანის დასახლებულ რაიონებში სამხრეთ კავკასიის  
კულტურული მეურნეები, ვაჭრები და ხელოსნები.  
XVII საუკუნის პირველ მეოთხედში კახეთში და,  
განსაკუთრებით, ქვემო ქართლში გაჩნდა მომთაბა-  
რეთა კომპაქტური მასა. დასტურდამალში მოთავსე-  
ბულ „ელის დებულებაში“ ჩამოთვლილია (ქართლის

და კახეთის) ყიზილბაშური ტომების განტოტებანი, რომლებიც ამ ტომების დაშლისა და დანაწევრების შედეგად წარმოიქმნენ: ჯავანშირი, ქეშალუ, ნაჯბა დილუ, არუხლუ, დემურჩი, ჰასანლუ, აჭადლუ, ხიალუ, სარაჯლუ და სხვ. [5, 308].

XVII საუკუნის 30-იანი წლებიდან ჯერ ქართლის და შემდეგ კახეთის მეფეები აღიარებენ შაპის ხელისუფლების უზენაესობას, იდგბენ ისლამს და ირანის ადგილობრივი მმართველობის უმაღლეს სამოხელეო „გალის“ ტიტულს. სამაგიეროდ, შაპი უარს ამბობს აღმოსავლეთ საქართველოს ინკორპორაციაზე, აცხადებს რა მას ბაგრატიონების „მემკვიდრეობით საკუთრებად“ („მულქემოურის“), ნაკლებად ერევა საშინაო საქმეებში და თითქმის უცვლელად ტოვებს ადგილობრივი მმართველობის სისტემას. პოლიტიკური დამოკიდებულების ეს ფორმა XVIII საუკუნის შუა ხანებამდე არსებობს [6, 222].

ბუნებრივია სამეფოს პირველ პირთა მიერ ისლამის მიღება (თუნდაც პოლიტიკური მოტივით) ნებსით თუ უნებლივდ ხელს უწყობდა მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში მაპმადიანობისადმი ლოიალურ დამოკიდებულებას, ხოლო ზოგიერთების მხრიდან ისლამის ოჯულზე მოქცევას.

ასევე, აღმოსავლეთ საქართველოში და ძირითადად ქართლში ოსმალობის დამყარებას მოჰყვა დამპყრობთა მხრიდან ქართველთა გამაპმადიანება-გათურქების ღონისძიებები. ამკვიდრებენ ოსმალური მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის სისტემას, ოსმალურ ფეოდალურ ინსტიტუტებს. ქვეყანაში ქრება ქართული ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი ტერმინოლოგია და არსებობას იწყებს ქართული სინამდვილისათვის სრულიად მიუღებელი და უცხო ტერმინოლოგია, როგორიცაა თიმარი,

ზ ი ა მ ე თ ი, ხ ა ს ი და სხვა, იწყება ქვეყნის თურქიზაციის პროცესი.

სწორედ ამ პერიოდში შემოდის ქართულ სი-ნამდვილეში ვაკუფ-ნამე, როგორც ერთ-ერთი საშუალება ქვეყნის საბოლოო გათურქებისათვის. უბრალოდ ოსმალო ხელისუფალთ აღარ დასცალდათ აღ-მოსავლეთ საქართველოსა და მთელი სამხრეთ კაფ-კასიის გაოსმალება, დრო აღარ უკოტ ქვეყნის საბო-ლოო გათურქებისათვის. ვაკუფ-ნამეში ზუსტადაა წარმოდგენილი ყველა ის მუსლიმური ინსტიტუტები, რომლებიც დამახასიათებელია ისლამის რელიგიი-სათვის, იგი ინტენსიურად იბრძოდა ქვეყნის სრული ინკორპორაციისა და თურქიზაციისათვის. ვაკუფ-ნა-მეში მოგანილი ცალკეული სახელოები და თბილი-სის ვილაიეთის დიდ დავთარში მოცემული უამრავი მასალა ნათლად მეტყველებენ ოსმალთა მიერ დაპ-ყრობილი ტერიტორიების გამუსლიმებისა და გა-თურქებისათვის სწრაფვას. თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში უამრავი მასალა მოცემული, რომ-ლებიც ოსმალური სოციალურ-პოლიტიკური სისტე-მის დასამკვიდრებლად გამოიყენებოდა. მარტო ის რად დირს, რომ დავთარში დამოწმებულია ოცამდე ოსმალური გადასახადები და ვალდებულებები, რომ-ლითაც დაბეგრილია მთელი აღმოსავლეთ საქართვე-ლო, მთელი საციციანო, საამილახვრო, მუხრანი, ქსნისა და არაგვის ხეობა, საბარათიანო, სომხითი, ყაიფული, მთელი ბორჯომის ხეობა. მწარმოებელ სა-ზოგადოებას არ ევალება ქართული გადასახადების გადახდა, იგი მხოლოდ ოსმალურ გადასახადებსა და ვალდებულებებს იხდის. ხდება ადგილობრივი მოსახლეობის ოსმალურ ყაიდაზე რეორგანიზაცია. მოსახლეობა იხდის ისეთ ოსმალურ გადასახადებს, როგორიცაა ისფენჯი, ბენაქი, მურახხასიე, გადასახა-

დები ცხვარზე, ღორზე, დეშთიბანზე და სხვა. მრავალ ოსმალურ გადასახადებსა და ვალდებულებებს, ვაკუფ-ნამე კი ერთგვარად აკანონებს და განსაზღვრავს მათ ოდენობას. სრულიად შეცვლილია საქალაქო ცხოვრება XVIII საუკუნის 30-იანი წლებისათვის [7, 133-134].

ქართლში ოსმალობის საბოლოო მიზნის განსახორციელებლად აუცილებელი იყო აღგილზე სამეფოს ერთ-ერთი უძლიერესი ღერძის ქრისტიანული რელიგიის ლიკვიდაცია და აქედან გამომდინარე მათი დაპირისპირება ეკლესიასთან გარდაუვალს წარმოადგენდა. თავდაპირველად ოსმალები შეეცადნენ უმთავრესი სალოცავის – სიონის გადაკეთებას მეჩეთად. ხონთქრის ფირმანის თანახმად, კონსტანტინე კახთა მეფის მეომრების მიერ სასტიკად დარბეული სიონი მეჩეთად უნდა გადაექციათ. ქართველებმა დიდი ქროამის საფასურად მოახერხეს რომ ოსმალებს ამ განზრახვაზე ხელი აეღოთ. ამის შემდეგ მათ თბილისში ეკლესიის მეჩეთად გადაკეთება აღარ უცდიათ [8, 36]. თუმცა ჯერ კიდევ 1578 წელს, როდესაც ოსმალებმა თბილისი აიღეს ორი ეკლესია მეჩეთად გადააკეთეს [9, 223]. XVIII საუკუნის 20-იან წლებში კი თბილისში სამი სუნიტური მეჩეთი აიგო, რომლებიც დაექვემდებარა ოსმალების შეიხულისლამს. მეჩეთების არსებობა კი მიუთითებს თბილისში ოსმალობის დროს საგაგუფო მფლობელობაზე.

1723 წელს თბილისში იწყება სუნიტური ისლამის ჰანიფიტური მაზაპის დამკვიდრება. ოსმალთა მიერ თბილისის გამგებლად დანიშნული თოფალ-ფაშა ერთ-ერთი პირველია, რომელიც ქართველთა შორის ისლამის პოპულარიზაციას ეწევა. იგი ქართველებს პატივისცემით ეპურობოდა და თან ისლამის

სჯულზე მოქცევისაკენ მოუწოდებდა.

ოსმალები თბილისსა და თბილისის ვილაიეთში სხვადასხვა ღონისძიებებს მიმართავდნენ ქართველთა გამაპმადიანებისათვის. ერთ-ერთი იყო საქველმოქმედო საქმიანობა. 1725 წელს თბილისში ჩამოვიდა დიარბექირის შეიხი ისმაილი, რომლის მიზანს წარმოადგენდა თბილისის ვილაიეთში მყოფი თემებისა და მომთაბარე ტომებისათვის გაეცნო ისლამური რელიგია. ძირითადი მისია ქრისტიანების გადაბირება იყო. ამ თვალსაზრისით აქცენტი ეკონომიკურად გაჭირვებულ მოსახლეობაზე იყო გათვლილი. შეიხმა თბილისში დააარსა სავანე დარიბი მოსახლეობის საკვებით უფასო მომსახურებისათვის. მოგვიანებით, როდესაც მოაგვარა ფონდის დაუინანების საქმეები თავის ნაცვლად თბილისის მუფტი საიდ კასიმი დანიშნა „სამსახურისა და ლოცვის გაგრძელებისათვის“ [10, 71].

ვახტანგ VI-ის გამაპმადიანებული ძმის – იქსეს ქართლის ხელისუფლებაში ყოფნის დროს თბილისსა და მის შემოგარენში ირანის მიერ გატარებული დონისძიებების შედეგად, შიიტური ისლამის დიდი ზეგავლენა იგრძნობოდა. ეხლა კი ოსმალები ცდილობდნენ სხვადასხვა დიპლომატიური მანევრებით და „პიარ აქციებით“ სუნიტური ისლამის გაფრცელებას ქართველ მოსახლეობაში. როგორც ცნობილია, ისლამი თავისი რელიგიური დოგმატიკით არღვევს ეროვნულობის ჩარჩოებს, რაც ყველაზე ეფექტური საშუალებაა მცირერიცხოვანი ერის მრავალრიცხოვან ერთან ასიმილირებისა. მოცემულ შემთხვევაში კი ისლამს ჯერ სარწმუნოებრივად, შემდეგ კი ეთნიკურად უნდა მოეხდინა ქართველთა ასიმილაცია ოსმალებთან.

ოსმალობის დროს მოხდა სასამართლო სის-

ტემის ცვლილება. კერძოდ, ქართლი დაიყო სამ სა-სამართლო ერთეულად – თბილისის, გორისა და ორიალეთის საყადიოდ, სადაც სასამართლო განჩინებანი ოსმალურ საყადიო სასამართლოს გამოჰქონდა. იურიდიულად ყადის ყველაფერზე მიუწვდებოდა ხელი. სამართლის წარმოებას საფუძვლად ედო შარიათი. სასამართლო გადაწყვეტილებები ფორმდებოდა თურქულ და ზოგჯერ ქართულ ენაზე. ყადი განიხილავდა როგორც მუსლიმთა სადაცო საკითხებს, ისე ქრისტიანსა და მუსლიმს შორის წამოჭრილ დავასაც. შარიათის სასამართლო ყველა აღმსარებლობის ხალხისთვის ერთი იყო [8, 35].

ოსმალობის დროს 1723-1735 წლებში თბილისში ექვსი ყადი გამოიცვალა. ეკონომიკური იძულების შედეგი იყო, რომ 1728 წელს თბილისში დიმიტრი თავას ძე ბარათაშვილს სუნიტური ისლამი მიუღია, რის შემდეგ განთავისუფლებულა ჯიზიასაგან.

ქართლში გაბატონებულმა ოკუპანტებმა ქრისტიანთა გამუსლიმების თავისებური ოსმალური წესი შეიმუშავეს, რომელიც 1728 წელს შედგენილ თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარშია წარმოდგენილი. ტექსტის ავტორი ყოფილა თბილისში მცხოვრები მაჰმადიანური პირი აჟმედ ქემალი. იგი წერს: „ცნობილია, რომ ქაფირი (ურწმუნო) რომელსაც სურს წმინდა ისლამით გაპატიოსნდეს, წარმოთქვამს თევზიდისა (ერთი ღმერთის არსებობის აღიარება) და შეჰადათის (ისლამის აღიარება) სიტყვებს. შემდეგ აღმსარებელმა პირმა საჭიროა ისლამის, როგორც ჭეშმარიტი სარწმუნოების აღიარების აღნიშნული სიტყვები წარმოთქვას თავის მშობლიურ ენაზე“. ეს კი თავისთავად გულისხმობს ქართველისაგან ისლამის შეგნებულად აღიარებას (ამ წესის მიზანიც სწორედ ესაა).

გამუსლიმების ოსმალური წესი ქართველს თანმიმდევრულად განუმარტავს მუკამედის წინასწარმეტყველურ მისიას, მის ცნობას ალაპის მოციქულად და ისლამის რელიგიის უზენაესობას, პარალელურად მიუთითებს ქრისტიანული აღმსარებლობის არასასურველობაზე. მაგალითად, ქართველი ამბობს: „მუკამედი ჩვენი წმინდა ადამიანი არის, სუფთა არის, წმინდა არის, მოციქული დმერთის რჩეული არის – დავიჯერე. ქართველის რჯული რომ ბოროტი იყო, გონჯი იყო, ბილწი იყო, ეშმაკის რჯული იყო – დავაგდე“. ამ ციტატის პირველი წინადადება ახლად გამუსლიმებულისათვის ყურანის კომენტარის ფუნქციას ასრულებს, ხოლო მეორე წინადადება რელიგიისადმი შემდგომდოროინდელი პოლიტიკური დანამატია.

ისლამის აღიარების ფორმულა შემდეგი სახითაა წარმოდგენილი: „არ არს დვთაება თვინიერ ალაპისა და მოპამადი ალაპის მოციქულია. ალაპის გარდა დვთაება არ არის. ჩვენი წინასწარმეტყველი მოპამადი, იყოს მასზე მშვიდობა, ალაპის მონაა და ამასთანავე მისი მოციქული. დედა მარიამი ალაპის მონაა და თან მხევალი მისი“. შემდეგ ქართველს უნდა წარმოეთქა სიტყვები: „განგმორდი ფუჭ სარწმუნოებას და მივიღე ისლამის სჯული. ვირწმუნე დიდი იმამის (მუკამედის) მოძღვრება“.

როგორც ვხედავთ, ფორმულირება ხდება ყურანის დაცვით, სადაც ქრისტე დიდ წინასწარმეტყველად, ალაპის სიტყვად და სულადაა ნაგულისხმები, ხოლო ქრისტიანობა და ქრისტეს ღმერთად ცნობა უარყოფილია, რადგან ისლამის მიხედვით ალაპი „არა შობილია და არცა შობს და არა ჰყავს მოზიარე თავის ყოფაში“. რაც შეეხება მარიამს, იგი ისლამის ერთ-ერთ უპირველეს ქალადაა ცნობილი და ყუ-

რანში მხოლოდ იგი იხსენიება საკუთარი სახელით  
და ქურანი მას გამორჩეულ ქალად მიიჩნევს.

მაცხოვრისა და ღვთისმშობლის მოხსენიებას ქართველთა გამუსლიმების ოსმალთა წესში თავისი თეოლოგიური და პოლიტიკური – ფსიქოლოგიური დატვირთვა აქვს. ამ წესის ავტორი ჩანს კარგად იცნობს ქართველთა ბუნებას და მათ დამოკიდებულებას ღვთისმშობლისა და მაცხოვრის მიმართ. მისი მიზანი სწორედ ისაა, რომ გამუსლიმების გზაზე დამდგარ ქართველს „გაუადვილოს ალაპის უზენავსობისა და მუპამადის წინასწარმეტყველური მისის აღიარება იმით, რომ მასში იესოსა და მარიამის სახელს პატივით მოიხსენიებს და ეს სწორედ ერთ-ერთი ფსიქოლოგიური ბერკეტი იყო“ [8, 36-37].

ქრისტიანთა გამაპმადიანება უაღრესად რთული და მძიმე ფსიქოლოგიურ-სოციალურ პროცესს წარმოადგენდა. მაპმადის რჯულის აღიარების წესი კი, როგორც დავინახეთ ამ სირთულის ფონზე ძალიან მარტივად გამოიყურება. საკმარისი იყო უცხო სარწმუნოების პირს რამდენიმე მუსლიმის თანდასწრებით ყურანის ენაზე სამჯერ წარმოეთქვა – „არ არის ღმერთი გარდა ალაპისა და მუპამადი მისი მოციქულია“, რომ მაპმადის სჯულის მაღიარებლად ეცნოთ [11, 268]. არქანჯელო ლამბერტის გადმოცემით, თურქები, ქართველი ტყვეების ხელში ჩაგდებისთანავე, ან როდესაც სამეგრელოში იყიდიდნენ ტყვეებს ადგილზე იწყებდნენ მათ გამაპმადიანებას ვიდრე კონსტანტინოპოლიში ჩაიყვანდნენ. კერძოდ, რიტუალი ასე იწყებოდა: „ნაყიდ ტყვეს მაშინვე თურქულად ჩააცმევენ, და ნიშნად მათის ცრუ რჯულის მიღებისა, ააწევინებენ საჩვენებელ თითს, უარს ათქმევინებდნენ ქრისტეს სჯულზე და ასწავლიან თურქთა რჯულის წესს და რიგს“ [12, 146].

შერეული ქორწინებისას, მაშინ, როდესაც ქართველი წინააღმდეგი იყო ქალიშვილი მუსლიმისათვის მიეთხოვებინა, მუსლიმ სასიძოს, მიღებული წესის თანახმად, შეეძლო წასულიყო გორში ან თბილისში ყადისთან და მისი ნებართვით ექორწინა ქრისტიანზე. აქედან გამომდინარე, სარწმუნოებრივ ფონზე სახეზე გვაქვს აშკარა უფლებივი დისკრედიტაცია, რასაც საფუძვლად ისევ და ისევ მუსლიმური კანონმდებლობა უდევს. მუსლიმს უფლება აქვს შეირთოს ქრისტიანი ქალი ქრისტიანობით, მაგრამ შვილები აუცილებლად იდებენ მამის სჯულს. მუსლიმ ქალს კი სასტიკად ეკრძალება არამუსლიმზე გათხოვება, სანამ მამაკაცი არ გამუსლიმდება [8, 36].

ასევე, აჭარელთა საქორწინო ყოფას დიდი კვალი დაამჩნია ოსმალთა ბაგონობამ. სხვაობა აშკარაა წინამუსლიმანურ და აჭარაში ისლამის გავრცელების შემდგომი პერიოდის ზოგიერთ ნორმაში. ქალს გათხოვებას არავინ ეკითხებოდა. მას აკვანშივე დანიშნავდნენ. მას დედის მუცელში დაბევება, ხორისში – აკვანში დაწინდვა ეწოდებოდა (თუმცა ეს წესი საქართველოს მრავალ კუთხეში არის დამოწმებული).

ვაჟსაც არ ეკითხებოდნენ არაფერს ისე შერთავდნენ ქალს. დასაქორწინებელ ვაჟს „დელიქანოს“ ეძახდნენ.

სტუმართან ქალი ჩადრის გარეშე არ გამოდიოდა. ის გამზადებულ ხონჩას გამოიტანდა და ისევ მიიმაღლებოდა. ოჯახის მთელი სიმბიმე ქალის მხრებზე გადადიოდა: ბავშვის გაზრდა, ოჯახის მოვლა, რძის პროდუქტების პატრონობა, ქმართან ერთად სათიბში წასვლა, საქონლის მოვლა... [13, 218-219].

ფაქტია, რომ სუნიტური ისლამი ძლიერ გავლე-

ნას ახდენდა ეროვნულ თვითშეგნებაზე. ამას ადასტურებს ინგლისელი ჟურნალისტის ბენჯამინ ცნობა მაკმადიანი ქართველების შესახებ. ჟურნალისტი 1919-1920 წლებში იმყოფებოდა საქართველოში. მან მოიარა ქვეყნის სხვადასხვა კუთხე. აჭარასთან დაკავშირებით აღნიშნავს შემდეგს: „... ყველაზე მრავალრიცხოვანი ხალხი ბათუმის პროვინციაში, უმთავრესად მთებში, არიან აჭარლები – შერეული სისხლის მაკმადიანები. ახლახან მათ გამოავლინეს ეროვნული თვითშეგნების მცირე მაგალითი; მაგრამ მეტწილად ისინი თავის თავს ჯიუტად უწოდებენ და თვლიან თურქებად“ [14, 401].

სამცხე-საათაბაგოში ოსმალთა დაპყრობამდე იყო ოცზე მეტი მსხვილ ფეოდალთა ოჯახი, დიდი მამულების მფლობელნი. მათ ჰქონდათ საკუთარი მონასტრები, ეკლესიები, სასაფლაოები და სხვ. ამ იერარქიის საფუძველს წარმოადგენდა გლეხობა. ისინი მიმაგრებული იყვნენ მიწაზე და ფეოდალის ყმად ითვლებოდნენ. მებატონეს უფლება ჰქონდა გაეყიდა, გაესაჩუქრებინა არა მარტო მიწა, არამედ ყმა გლეხიც.

სამცხე-საათაბაგოში ოსმალთა ბატონობის დამყარების შემდეგ ვითარება შეიიცვალა. საქმე ისაა, რომ ოსმალური ფეოდალური მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის წესები მკვეთრად განსხვავდებოდა ქართულისაგან. ამიტომ სამცხე-საათაბაგოში ოსმალთა დამკვიდრებისა და მათი სოციალურ-პოლიტიკური სისტემის დამყარებისთვის საჭირო იყო ადგილობრივი (ქართული) წესწყობილების გაუქმება და ოსმალურის შემოდება. სწორედ, ამ მიზნით სულთნის მთავრობამ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობილი ტერიტორია აღწერა და დავთრებში გააგრარა. დაიწყო ოსმალობის თანდათანობით დანერგვა.

ოსმალური წესების მიხედვით, მიწათმფლობელი მაპ-მაღიანი და სამხედრო პირი (მოლაშქრე) უნდა ყოფილიყო [15, 240-241]. დასაწყისში ოსმალეთის მთავრობა, იშვიათ შემთხვევაში, ზოგჯერ კომპრომისზე მიღიოდა და მათ სამსახურში ჩამდგარ ფეოდალებს ქრისტიანობით უნარზუნებდა მიწის ნაკვეთებსა და ზოგიერთ პრივილეგიას. ასეთ პროცესს ადგილი ჰქონდა ბალკანეთის ქვეყნებში.

ანალოგიური ფაქტები იყო საქართველოშიც. მაგრამ ყოველივე ეს დროებით საშუალებას წარმოადგენდა და სულთანი ძალაუფლების განმტკიცების შემდეგ ყველაფერ ამას თანდათანობით აუქმებდა [15, 241].

ქართველი ფეოდალების წინაშე ალტერნატივა დადგა: ან მაპმაღიანობის მიღება, ოსმალეთის სამსახურში ჩადგომა და ამით თავიანთი მიწების შენარჩუნება, ანდა ოსმალთა წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, სამშობლოს დაცვა და ქართველობის შენარჩუნება.

ქართველი ფეოდალების ნაწილი ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპა, ნაწილი კი ოსმალთა ბატონობას ვერ შეურიგდა, მიატოვა სახლ-კარი და მამული და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გადმოსახლდა, დიდი ნაწილი გამაპმაღიანდა, ოსმალთა სამსახურში ჩადგა და დახმარება გაუჟია სულთნის მთავრობას და ამით ნაწილობრივ შეინარჩუნა თავისი პრივილეგიები და სამფლობელოები. მათ უდალატეს სამშობლოს და გაუადგილეს ოსმალებს თავიანთი ქვეყნის დამორჩილება [15, 241].

სულიერ ღირებულებათა რთულ კომპლექსში ეთნიკურ და რელიგიურ გრძნობებს თანაბარი ადგილი ეჭირა. პიროვნების შინაგანი ზნეობრივი კრიზისისა და კონკრეტული მძიმე სოციალურ-პოლიტიკუ-

რი ვითარების შესაბამისად ხდებოდა ხოლმე მათი დაცილება. მაგრამ ეროვნული გრძნობა უფრო მდგრადი იყო და სძლევდა რელიგიურს. XVIII საუკუნის ერთი ოსმალური საბუთი გვამცნობს, რომ თურქთაგან დაპყრობილი ახალციხის რაიონის ხოფელ მამაჭინეთში მცხოვრებ გამაპმადიანებულ ქართველს, ვინმე დავითს, უარი უთქვამს საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობაში მონაწილეობაზე, რაც მას თიმარის – მამულის დაკარგვის ფასად დაუჯდა (ანალოგიური შინაარსის სხვაც ბევრი დოკუმენტია ჩვენს სიძველეთ-საცავებში შემორჩენილი).

და მაინც, XVI-XVIII საუკუნეების საქართველოში ოსმალური კულტურულ-იდეოლოგიური პროპაგანდა არ წარმართულა საგანგებო ოფიციალური აქციებით – აქ კანტიკუნტად ჩანან დერვიში მისიონერები, რომლებიც ასე მასობრივად მოედვნენ ბალკანეთის ქვეყნებს; აჭარაში მხოლოდ თანხიმათის პერიოდში (XIX ს.) ჩნდება სავაკუფო მამულები და ისლამური სკოლები: დიმიტრი ბაქრაძის ცნობით, პარხალსა და მურდულში მცხოვრები 1833 წლამდე ქრისტიანები იყვნენ. სამცხესა და აჭარაში გამაპმადიანების პროცესი ინტენსიურად წარიმართა XIX საუკუნეში, რასაც ხელი შეუწყო ერთი მხრივ რუსეთის დამკვიდრებამ კავკასიაში, მეორე მხრივ კი მომთაბარე თურქმანებისა და გამაპმადიანებული ქურთების დაპორტაციამ ამ მხარეში [11, 272].

აჭარის თურქთაგან დაპყრობის შემდეგ მრავალ ქართულ გვარს ქართული სუფიქსები თურქული სუფიქსით (ოდლი) შეეცვალა. მაგალითად: მოქოროდლი, ასანოდლი, ბაზიაროდლი, მაკაროდლი (მაკარიძე) და სხვ. [13, 215].

თურქები არაბებისა და ხოგადად მუსლიმების მსგავსად გვარებს არ ატარებდნენ. მათ მხოლოდ

დაბადებისას დარქმეული სახელები პქონდათ, რასაც ზოგჯერ მამის სახელი ემატებოდა. ამგვარი ვითარება, ბუნებრივია, უამრავი დამთხვევის მიზეზი ხდებოდა და საკმაო არეულობასაც იწვევდა [11, 289]. კანონი გვარების შესახებ 1927 წელს უკვე რესპუბლიკურ თურქეთში იქნა მიღებული [16, 24]. რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, ქართველ მაკმადიანთა გათურქების პროცესი სამცხე-ჯავახეთში მნიშვნელოვნად დაჩქარდა, სწორედ ამ მხარის თურქთა ბატონობისაგან დახსნის შემდეგ. მეფის რუსეთი განსაკუთრებული გულმოდგინებით ცდილობდა სამცხე-ჯავახეთში რუსების ჩასახლებას. ამ მიზნით იგი ხელს უწყობდა მაკმადიანი ქართველების თავისი მიწა-წყლიდან თურქეთში გადასახლებას. სამცხე-ჯავახეთის ქართველმა მაკმადიანებმა გაქრისტიანების შიშით დატოვეს თავიანთი სამშობლო და ოსმალეთში გადაიხვეწნენ (მათი ნაწილი კი რუსეთის მიერ ახალციხის აღების შემდეგ უკანდახეულ თურქთის ჯარს გაჰყვა). 1828 წელს მარტო არდაგანის რაიონიდან ოსმალეთში გადასახლდა 22 743 ქართველი მაკმადიანი.

მუსულმანთა შევიწროების პოლიტიკამ, რომელსაც რუსეთის ხელისუფლება შეგნებულად ახორციელებდა, დააფრთხო ქართველი მაკმადიანი მოსახლეობა. ძალდატანებით გაქრისტიანების შიშმა გააძლიერა რელიგიური ფანატიზმი, რამაც ქართველ მაკმადიანებში ეროვნული ცნობიერების ჩახშობას შეუწყო ხელი.

1886 წელს მაკმადიან მესხთა ნაწილს უკვე დაკარგული პქონდა ქართველი გვარები. ამ წელს ჩატარებული აღწერის დროს ისინი ეროვნების მიხედვით ან „ქართველებად“ ან „თათრებად“ ეწერებიან. არსად გვხვდება ეროვნება „თურქი“. სრულიად ნათე-

ლია, რომ „თათარი“ აქ მაკმადიანური რელიგიის აღმსარებელს ნიშნავს და არა ეროვნებას [17, 25].

ოსმალეთის იმპერიაში, რომელიც ოფიციალურად სჯულშემწყნარებლობით გამოირჩეოდა, ოჯახს, ქრისტიანობას, ისევე როგორც მშობლიურ ენას, აშკარად თუ მალულად, უნარჩუნებდა ქალი, დედა, რომელიც უპირატესად ქმარ-შვილის ზნეობრივი სიმაღლისა და სულიერი სათხოებისათვის იღვწოდა და არა მათი მატერიალური უზრუნველყოფისათვის [11, 272].

ამრიგად, ჩვენში, ოსმალური ხმალი არ დაპირისპირებია ქრისტიანულ სარწმუნოებას. თურქთაგან „შემოთავაზებული“ გამაკმადიანების ოფიციალური ფორმა ნებაყოფლობითი იყო. სინამდვილეში გამაკმადიანება თითქმის აუცილებელ პირობად ედო ოსმალურ ეკონომიკურ რეჟიმს, სამხედრო-ლენურ სისტემას. მას კი ემორჩილებოდა ოსმალეთის იმპერიაში ხანგრძლივად თუ დროებით მოხვედრილი ყველა ქვეყანა, მათ შორის ბალკანეთის ქვეყნებთან ერთად სამცხე-საათაბაგო, აჭარა და ოსმალეთის დროინდელი ქართლი.

### დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ა. ბაქრაძე, რწმენა, თბილისი, 1990.
2. საქართველოს ისტორია ოთხ ტომად, ტ. I, თბილისი, 2012.
3. ი. სურგულაძე, საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბილისი, 1985.
4. ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. II, თბილისი, 1983.
5. გ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში, თბილისი, 1958.

6. 6. სურგულაძე, სპარსული იურიდიული ტერმინები ორენვანი (ქართულ-სპარსულ) ისტორიულ საბუთებში („აჭლე შარ“, „ჰესაბი“), კრებულში საქართველოს შეა საუკუნეების ისტორიის საკითხები, VIII, 2005.
7. 6. შენგელია, 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის ვაკუფ-ნამე, კრებულში: აღმოსავლეთი და კავკასია, 4, 2006.
8. b. ბაინდურაშვილი, სუნიზმი ოსმალობის დროს თბილისში, კრებულში: აღმოსავლეთი და კავკასია, 4, 2006.
9. თბილისის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1990.
10. ქურნალი „ისტორიანი“, 2012, 6.
11. ც. აბულაძე, ქრისტიანთა გამაპმადიანების ოსმალური წესი, ქართული წყაროთმცოდნეობა, VIII, 1993.
12. დონ არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბილისი, 1990.
13. ლ. მღებრიშვილი, მთიანი აჭარის ეთნოგრაფიული თავისებურებანი (სოფელი მაწყვალთა), კლიო, 11, 2001.
14. გ. გელაშვილი, ინგლისელი ქურნალისტი ბეჩოვერი ბათუმის შესახებ (1919-1920 წლები), კრებულში ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 2011, 2.
15. გ. სვანიძე, ფეოდალური მიწათმფლობელობის ზოგიერთი საკითხი სამცხე-საათაბაგოში ოსმალთა ბატონობის დროს, კრებულში „ახლო აღმოსავლეთი და საქართველო“, თბილისი, 1991.
16. ლორდი კინროსი, ათათურქი, თბილისი, 2011.
17. გ. ქიმაძე, ქართული სახელმწიფოებრიობა და „თურქი მესხების“ პრობლემა, თბილისი, 2004.

## ექვთიმე თაყაიშვილისა და იროდიონ სონდულაშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან

გამოჩენილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს ექვთიმე თაყაიშვილს ახლო ურთიერთობა აკავშირებდა იროდიონ სონდულაშვილთან. ფართო საზოგადოებისათვის შედარებით ნაკლებად არის ცნობილი ი. სონდულაშვილის პიროვნება და ამიტომ მოკლედ აღვნიშნავ მის შესახებ.

იროდიონ თომას ძე სონდულაშვილი (1881-1958) დაიბადა სოფელ დიღომში გლეხის ოჯახში. საშუალო განათლება მიიღო თბილისში, სათავადაზნაურო გიმნაზიაში. ექვთიმე თაყაიშვილის მზრუნველობით 1903 წლის აგვისტოში ქ. ოდესაში გაემგზავრა, სადაც დაამთავრა ოდესის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო დარგი.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იროდიონი თბილისში ბრუნდება და მასწავლებლად იწყებს მუშაობას, მაგრამ სულ მალე, 1909 წლის ოქტომბერში იგი აკეთებს არჩევანს, რომელიც საბოლოოა მის ცხოვრებაში. არჩევანს, რომელსაც ნირშეუცვლელად მიჰყება და ემსახურება უკანასკნელ ამოსუნთქვამდე; იგი მუშაობას იწყებს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში, რომელიც 1907 წელს დაარსდა. 1910 წელს იროდიონი საზოგადოების საბჭოს წევრი ხდება, რაც მის უდავო ავტორიტეტზე მეტყველებს. იმხანად ასევე დაარსდა საზოგადოების სიმკელეთა მუზეუმი: იროდიონის დაევალა კოლექციების დაცვა და დამუშავება. იგი განაგებდა საზოგადოების სამკითხველოსაც. იმ დროიდან დაიწყო მისი მეცნიერობა ამ საზოგადოების თავმჯდომარესთან ექვთიმე თაყაიშვილთან, რაც სიკვდილამდე

გაგრძელდა. ექვთიმებ იროდიონ სონდულაშვილთან ერთად შეადგინა „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების რუსულ-ქართული ფულების კოლექცია“ [1, 13-14].

პირველი მსოფლიო ომის დროს საფრთხე შეაქმნა ქართულ მუზეუმსა და მის საისტორიო საგანძუროს. ექვთიმე თაყაიშვილმა გამოიძახა იროდიონ სონდულაშვილი, რეზო გაბაშვილთან ერთად, და გამოუცხადა: ყველა სამუზეუმო ნივთი სასწრაფოდ ყუთებში უნდა ჩავალაგოთ, ჩავჭედოთ და, თათრებს რომ არ დარჩეთ, კიევში წავიდოთო.

„კიევშიო?! კიევში რა უნდა ჩვენს ნივთებს?!“ – იყვირა იროდიონმა. გაბაშვილმაც მხარი აუბა. ამაღდ იორშენებოდა ექვთიმე თაყაიშვილი – თურქები დაგვლუპავენ და ეს საგანძურიც დაგვეკარგებაო, იროდიონი თავისას ამბობდა: „მხოლოდ ჩემს გვამზე თუ გადაიტანო მუზეუმიდან თუნდაც ერთ ნივთსაცო“. ბოლოს იმაზე შეთანხმდნენ, რომ კუბოები შეეკრაოთ, ნივთები შიგ ჩაეკეტათ და დილომში თვითონ იროდიონ სონდულაშვილის მამულში საიდუმლოდ ჩაეფლათ – „ჩაეკუბოვებინათ“.

ცნობილი საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე სარაჯიშვილის გარდაცვალების შემდეგ, 1914 წელს საზოგადოების ხაზინადარობა მიენდო საბჭოს წევრსა და საქმის მწარმოებელს იროდიონ სონდულაშვილს, რომელიც ამავე დროს მუზეუმ-ბიბლიოთეკის გამგის პირველ თანაშემწედ ითვლებოდა. იროდიონის ხელფასი 600 მანეთს შეადგენდა. ექვთიმე თაყაიშვილი კი იროდიონისათვის 700 მანეთს მოითხოვდა, მაშინ როცა საზოგადოების მდივანს სერგი გორგაძეს მხოლოდ 300 მანეთი ეძლეოდა, დროებით მოწვეულ მუზეუმ-ბიბლიოთეკის გამგეს იუსტინე აბულაძეს კი – მხოლოდ 50 მანეთი [2, 108].

ექვთიმე თაყაიშვილის ზრუნვა იროდიონისადმი მხოლოდ მეგობრული ურთიერთობით არ იყო გამოწეული. იროდიონის საქმიანობა მეტად შრომატევადი და საპასუხისმგებლო იყო.

იროდიონის მოკრძალებული თანამდებობა ვერ იტევდა იმ დიდ შრომას, რომელსაც ეს ადამიანი ეწეოდა. აკადემიკოს როინ მეტრეველის სიტყვით „სწორედ ასეთი ჩუმი და კეთილსინდისიერი ხალხი სჭირდებოდა დიდი საქმეების პრაქტიკულ განხორციელებას, ორგანიზაციულ მოგვარებას“ [2, 189-190].

მოგვიანებით იროდიონი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „ეთნოგრაფიული მუზეუმის არსებობის დროს დირექტორის მოვალეობას ასრულებდა“ [3, 135].

თავისი პოლიტიკური მრწამსით იროდიონი ეროვნულ-დემოკრატი იყო. 1912 წელს ეროვნულ-დემოკრატებმა დააარსეს ყოველკვირეული ჟურნალი „კლდე“. ჟურნალის დამაარსებელი იყო რეზო გაბაშვილი (ვაჟი ეკატერინე გაბაშვილისა). მოგვიანებით რეზო გაბაშვილს სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად მხარში ამოუდგა და თანამშრომლობდა იროდიონი.

1917 წლის 4-20 ივნისს ჩატარდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელი ყრილობა. ყრილობამ აირჩია კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში არჩეულ იქნა ირ. სონდულაშვილი. კომიტეტმა აირჩია პრეზიდიუმი, მოლარედ – იროდიონი.

1921 წლის მაისიდან საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება გაერთიანდა განათლებისა და სოციალისტური კულტურის მუშაკთა პროფესიულ კავშირში. აღნიშნული პროფესიული კავშირის გამგეობის არჩევაში მონაწილეობას იღებდა საზოგადოების წარგზავნილი ათი დელგატი, მათ შორის იყო იროდიონ სონდულაშვილიც.

ემიგრაციაში წასულ ექვთიმე თაყაიშვილს ქართული წიგნითა და გაზეთით ამარაგებდა იროდიონი. ექვთიმე პარიზიდან თბილისში თავის მეგობარს იოსებ მეგრელიძეს წერდა: „სოსო შენი ჭირიმე, ჩემი ლია წერილი იროდიონს წააკითხე, გაიგებს ჩემს ამბავს. შეუდარებელი, საუცხოო და დაუოკებელი ადამიანია, პატიოსანი და უანგარო, ჩემგან შვილსავით მიჩნეული და ჩემთვის თავდადებული...“ [4, 83].

უცხოეთიდანაც ზრუნავდა ექვთიმე თაყაიშვილი საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ბიბლიოთეკის გამდიდრებაზე. იგი დაბეჯითებით ავალებდა იროდიონს, საკუთარი უნიკალური ბიბლიოთეკა, რომელიც ექვთიმემ თბილისში დატოვა, „საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმში გადაეტანა კარადებიანად“. იგიო – წერდა ექვთიმე იროდიონს, – საზოგადოებას ჰქონდეს მთლიანად, ჩემი ანდერძითაც ის საზოგადოების კუთვნილებაა; რომ დავბრუნდები, მე უკან არ გამოვიტან, იქედან ვისარგებლებ“.

1922 წლის 1 იანვარს იროდიონისადმი გაგზავნილი წერილიდან ჩანს, რომ იროდიონს შეუსრულებია ექვთიმეს თხოვნა. „მითხრეს, ჩემი წიგნები გადაგიზიდავს საზოგადოებაში; ძლიერ გამახარა ამ ამბავმა. იმედი მაქვს, კარადებსაც გადაიტანდი და შიო მოათავსებდი წიგნებს... ჩემთვის დიდი ბედნიერება იქნება, თუ ჩემი ბიბლიოთეკიდან ერთი ნაფლეთი ქადალდიც არ დაიკარგება, სხვას ისე არ ვიდარდებ“ [1, 16].

1923 წლის 17 მარტს შალვა ამირანაშვილმა საფრანგეთში მყოფ ექვთიმე თაყაიშვილს წერილი გაუგზავნა, სადაც აღნიშნავდა: „... ამ წერილთან ერთად გიგზავნით იროდიონ სონდულაშვილის წერილსაც, რომელიც მე თქვენთვის პირადად უნდა გადმომეცა. მაგრამ ისევ გამჯობინე ფოსტით გამომეგზავ-

ნა, ვინაიდან ჩემი ჩამოსვლა, სულ თუ არა, საკმაოდ დიდი ხნით გადაიდვა. იროდიონმა და ს. გორგაძემ ორიგემ დიდი მოკითხვა დამაბარეს და ზოგი შინაური ამბავიც“.

მომდევნო წლის გაზაფხულზე ექვთიმე წერს: „მეტად ვერაფრით გამახარებდი ისე, როგორც ცნობით, რომ ჩვენი ივანე (ჯავახიშვილი – ა. ს.) საზოგადოების თავმჯდომარედ აგირჩევიათ და ის დათანხმებულა. ივანე პირადადაც უმწიკვლო ადამიანია, დიდი პიროვნება და დიდი ჩვენი მეცნიერია. ახლა მე სრულიად დამშვიდებული ვარ და დარწმუნებული ვარ, საზოგადოების მეცნიერული მუშაობა და საქმეები კარგად წავა. ძალიან გთხოვთ ყველას, შეუმსუბუქოთ ტვირთი და ყოველგვარი თანამშრომლობა და შემწეობა აღმოუჩინოთ საზოგადოების საქმეებში“ [5, 74].

ეს სიხარული გასაგებიცაა. ე. თაყაიშვილი ჯერ კიდევ პეტერბურგში მოღვაწე ივ. ჯავახიშვილს სთავაზობდა ამავე საზოგადოების ხელფასიან თავმჯდომარეობას, ოფონდ კი თბილისში გადმოსულიყო.

1926-1927 წლებში ექვთიმეს მდგომარეობა უარესდება. 1928 წლის ზაფხულში მეუღლე დაუავადდა, რამდენიმე ოპერაცია გადაიტანა და 1931 წლის 8 მარტს გარდაეცვალა.

ექვთიმეს კიდევ უფრო გაუჭირდა. იგი პარიზიდან თბილისში წერს იროდიონს: „ჩემი სიობლე ჩემი მარტოობაა და უმწეო მდგომარეობა უსიტყვოთაც კარგად უნდა წარმოიდგინოს ყველამ“.

ექვთიმე სულით მაინც არ ეცემოდა, ბუნებით ოპტიმისტი იყო. იმავე წელს წერდა იროდიონს: „დავეცი, ფეხი მოვიტეხე (ერთი ბავშვობაში პქონდა მოტეხილი – ა. ს.) პარიზის საავადმყოფოში ვწევარ, ჩემი მდგომარეობა ერთობ მძიმეა, ჯერჯერობით ვერცა

ვდგები და ვერც ვჯდები,... ეს ადსასრულის დასაწყისია. ნინო აღარა მყავს. ჩემი ამ მდგომარეობაში მოვლა მარტო მას შეეძლო...“ და აქვე დასძენს: „მე, ხომ იცი, მტკიცე ხასიათის არსება ვარ საზოგადოდ“.

მოგვიანებით ექვთიმე ისევ იროდიონს წერდა: „მე აქ წყლიდან ამოვარდნილ თევზესა ვგავარ. ბევრი უბედურება გადავიტანე... მოკლებული ვარ საშუალებას თავის დარგში განვაგრძო მუშაობა და თანაც დონე გამომელია, შეგნება ასეთი მდგომარეობისა მძიმედ მაწევს გულზე და ნაღველს მგვრის. მაგრამ მე მაინც სასოწარკვეთილებას არ ვაცემი, მწამს ჩვენს შემდეგ ჩვენზე უკეთესები მოვლენ და რაც ჩვენ ვერ გავაკეთოთ, ისინი გააკეთებენ“. ექვთიმე კვლავ ავლენს ნებისყოფის უტეხობას და თავის რჩეულ მოწაფესა და მეგობარს მამაშვილურად არიგებს: „პესიმისტობა არ ვარგა, ენერგიას უკარგავს ადამიანს“ [5, 85-86].

მას შემდეგ, რაც 1945 წელს ექვთიმე თაყაიშვილი საფრანგეთიდან დაბრუნდა, იროდიონი იყო მის-თვის ყველაზე ახლობელი ადამიანი, უიმისოდ ერთ დღესაც ვერ ძლებდა. აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე ამასთან დაკავშირებით აღნიშნავდა: „ჩვენ ყველანი ამ საკვირველი მეგობრობის მოწმენი ვიყავით მას შემდეგ, რაც თაყაიშვილი საფრანგეთიდან დაბრუნდა“.

იროდიონი, უკვე სამოც წელს გადაცილებული, ისე ექცეოდა ექვთიმეს, როგორც საკუთარ მამას, დღედაღამ მისთვის ზრუნავდა. აუდელვებლად ვერ უყურებდნენ თანამედროვენი მათს ურთიერთობას (ორივე ჯიუტი იყო და, აღბათ, ზოგჯერ დაეტაკებოდნენ კიდევ ერთმანეთს). ერთხელ ექვთიმეს უთქვამს მის შესახებ – „У него гвоздь в голове“ [6, 284].

ევროპიდან ახლად დაბრუნებული ექვთიმე იროდიონს დილომში, მამა-პაპეულ ოჯახში დაუპატიჟებია. მასთან ერთად ყოფილან კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე, სამსონ ფირცხლავა და იოსებ მეგრელიძე. იროდიონს მამის შესანდობარი დაულევია, იოსებ მეგრელიძესაც აუწევია ჭიქა და უთქვამს – გაანათლოს.

ეს სიტყვა ძალიან მოწონებია სამსონ ფირცხალავას, ცრემლები წამოუვიდა თურმე, ექვთიმეს კი უთქვამს: – „ჭამე სამსონ, ცრემლებით ვერ გაძლებიო!“ [5, 270].

სიყრმითვე ძლიერ მტკივანი ფეხი და ხშირი გაცივება ძალიან უზღუდავდა მოხუც ექვთიმეს შინიდან გამოსვლის საშუალებას, მეტადრე ჩამოსვლიდან 2-3 წლის გასვლის შემდგომ: ერთხანს თუ დაწესებულებებში, სესია-სხდომებზე და სხვაგან დადიოდა (თვითონაც კითხულობდა მოხსენებებს) და საკუთარი ავტომანქანით თბილისსა და მის მიდამოებსაც კი მოივლიდა ხოლმე, მერე და მერე თითქმის სულ ბინაში გამოიკეტა და ზოგჯერ ლოგინში მწოლიარეც კი მუშაობდა. ამასთანავე სმენა და მხედველობაც შესუსტებული პქონდა, ხელი უკანკალებდა და წერა უმძიმდა – ტექნიკურად, რა თქმა უნდა. ამ დროს მხოლოდ მისი ნამოწაფარი და მეგობარი იროდიონ სონდულაშვილი ჩვეულებისამებრ ერთგულად მხარში ედგა და ეხმარებოდა მუშაობაში [7, 177].

1952 წლის მარტიდან, როდესაც ბოლშევიკების სატრაპმა რუხაძემ ყოველმხრივ შეავიწროვა ექვთიმე და ფაქტობრივად შინაპატიმრობა მიუსაჯა, ველარავინ ბედავდა მასთან მისვლას. ამ პერიოდში ძირითადად იოსებ მეგრელიძე და იროდიონი დადიოდნენ ექვთიმესთან. როგორც თავად იოსებ მეგრელიძე იგონებს – „იროდიონ სონდულაშვილი იყო უსაყვარ-

ლეხი მასწავლებლის უერთგულესი მზრუნველი. ბევრი შვილი ვერ გაუკეთებს მამას იმას, რასაც იროდიონი ახერხებდა ექვთიმესათვის“.

1953 წლის 21 ოქტომბერის გარდაიცვალა საქართველოს „მეჭურჭლეოფუ-ხუცესი“, 1958 წლის შემოდგომაზე – იროდიონ სონდულაშვილი. მის დაკრძალვას მშობლიურ სოფელში აპირებდნენ. შალვა ამირანაშვილისა და იოსებ მეგრელიძის ინიციატივით, იგი უსაყვარლესი მასწავლებლის ექვთიმე თაყაიშვილის გვერდით დაიკრძალა ვაკის სასაფლაოზე.

1963 წლის 10 ოქტომბერის ე. თაყაიშვილის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით მისი ნეშტი ვაკის სასაფლაოდან ქართველ მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში გადაასვენეს.

აღნიშნული ეპისტოლები მასწავლებლისა და მოწაფის მეგობრობის ნათელი მაგალითია და ლირსეულ წინაპართა მამულისადმი სიყვარულის ნიმუშს წარმოადგენს.

### **დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. ვ.სონდულაშვილი, სონდულაშვილები, თბილისი, 2007.
2. რ. მეტრეველი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, თბილისი, 1982.
3. ლ. გუდიაშვილი, მოგონებების წიგნი, თბილისი, 1979.
4. ე. უბილავა, განძეულის გუშაგი, თბილისი, 1980.
5. ი. მეგრელიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, თბილისი, 1989.
6. ვ. ბერიძე, მოგონებები, თბილისი, 1987.
7. ე. თაყაიშვილი, რჩეული ნაშრომები, ტომი I, თბილისი, 1968.

0326 ჯავახიშვილი და თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის პროფესორ-მასტაპლეგელთა  
შემაღლებლობა 1918-1921 წლებაში

საქართველოში, როგორც სხვა განაპირა კოლონიურ მხარეებში, ცარიზმი ყოველნაირად ზღუდავდა განათლების კერებს, რათა ხალხი სიბრძლესა და უკიცობაში ჰყოლოდა. ქართველი ინტელიგენციისათვის შეზღუდული იყო არა მარტო ფორმირების ბაზა, არამედ სამოღვაწეო ასპარეზი. უმაღლესი სასწავლებელი არ არსებობდა, საშუალო სკოლების ქსელი მეტად ვიწრო იყო და ხალხის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა. რუსეთში კურსდამთავრებულ ქართველ ახალგაზრდებს მთავრობის სამსახურში ძნელად და საგანგებო შერჩევით დებულობდნენ. ასე რომ ქართველი ინტელიგენცია უპირატესად პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა, თავისუფალი პროფესიით იყო შემოფარგლული [1, 334].

მიუხედავად მცდელობისა, ქართველმა საზოგადოებამ ვერ შეძლო უმაღლესი სასწავლებლის დაფუძნება მეფის რუსეთის დროს. გარკვეული პერსპექტივა შეიქმნა, მხოლოდ 1917 წლის ოქტომბრის მოვლენების შემდეგ. 1917 წლის გაზაფხულზე ქუთაისში ჩამოდის მაშინ პეტერბურგის უნივერსიტეტის დოცენტი ივანე ჯავახიშვილი. მას განზრახული ჰქონდა თბილისში ქართული უნივერსიტეტის დამსება. ქუთაისის საზოგადოება ამ გაბედულ, თითქმის ფანტასტიკურ ინიციატივას აღფრთოვანებით შეხვდა. შეიქმნა სათანადო კომიტეტი, რომლის მდივნად დაინიშნა ა. ჯანელიძე. მოიწვიეს თათბირი მომავალი უნივერსიტეტის გახსნასთან დაკავშირებით. სხდომას ესწრებოდნენ უნივერსიტეტის მომავალი თანამშრომლები: ი. ყიფშიძე, ა. რაზმაძე, ა. ხარაძე, შ. ნუცუბი-

ქე, გ. ახვლედიანი, დ. უზნაძე და სხვ. აქ იმსჯელებ მომავალი უნივერსიტეტის სტრუქტურის შესახებ [2, 115-116].

ეს ის პერიოდია, როდესაც რუსეთში გამოჩნდა წითელი ბაბთები, რომელიც მკერდზე პქონდათ მაღალი, ბურჟუაზიულ-ლიბერალური ინტელიგენციის წარმომადგენლებს. თუმცა ეს ნიშანი ყოველთვის როდი ადასტურებდა მათ რევოლუციონერობას [3, 97]. ზოგიერთ ინტელიგენტს მიაჩნდა, რომ მკერდზე მიმაგრებული წითელი ბაბთის გარეშე ქუჩაში გასვლა საშიში იყო. საშუალო ფენიდან გამოსული ინტელიგენცია მართალია უარყოფითად შეხვდა რევოლუციას, მაგრამ ჩქარობდნენ დაედასტურებინათ რევოლუციისათვის ერთგულება ბაბთით და ყველას გასაგონად ეწოდებინათ ჩამოგდებული მეფისათვის „ნ ი კ ო ლ ა შ კ ა“, ხოლო დედოფლისათვის „ს ა შ კ ა“ [3, 99].

1917 წლის 3 ოქტომბერს გაიხსნა ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების პირველი საერთო კრება. ამ ფაქტმა საერთოდ ფართო გამოძახილი პპოვა უცხოეთში. შემთხვევითი არ არის, რომ კრებას თავისივე სურვილით ესწრებოდა ამერიკელი პროფესორი რ ო ს ი [4, 1].

უნივერსიტეტის ძირითადი დებულებანი ქართველი ინტელიგენციის სახელით ა.კ. ჩხერიმა წარუდგინა რუსეთის სახალხო განათლების სამინისტროს დასამტკიცებლად. მაგრამ რუსეთში საბჭოთა რევიმის დამკვიდრებამ კავშირი გაწყვიტა თბილისსა და პეტერბურგს შორის. „წითელმა“ კომისრებმა ბუნებრივია აღნიშნულ საკითხზე რეაგირება არ მოახდინეს.

ამიერკავკასიის კომისარიატის შექმნის შემდეგ, ხელისუფლების ამ ორგანომ 1917 წლის 2 დე-

კემბერს დაამტკიცა უნივერსიტეტის დებულება. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ეროვნულმა ხელისუფლებამ ჯეროვანი ყურადღება მიაქცია საქართველოს „ალმა-მატერს“ [5, 1].

თუ არა ივანე ჯავახიშვილი, საქართველოში უნივერსიტეტი საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდგომ დაარსდებოდა და ერთს მოდალატე ქართველ ბოლშევიკ-კომუნისტებს მიეცემოდათ წონადი არგუმენტი მათი კეთილმყოფლობისა საქართველოსათვის. თუ მავანთათვის დღეს ეს საცილობელი გახდა, სამაგიეროდ კარგად უწყოდნენ ჩვენმა იმდროინდელმა გამოჩენილმა მოღვაწეებმა [6, 96].

უნივერსიტეტის დაარსება-დაფუძნების საქმეში ივანე ჯავახიშვილის დვაწლი ისეთივე დიდი და გადამწყვეტი ხასიათისაა, როგორც ქართული ისტორიოგრაფიის ახალი ეტაპის შექმნაში [6, 97].

კადრების საკითხის გადაწყვეტაზე ჯერ კიდევ ყურადღება გაამახვილა 1917 წლის 3 ოქტომბერს გახსნილმა ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების პირველმა საერთო კრებამ. ამ საქმის ორგანიზაცია დაევალა ნოვოროსიის უნივერსიტეტის დოცენტს პ. მელიქიშვილს, პეტროგრადის უნივერსიტეტის დოცენტს – ივ. ჯავახიშვილს და მოსკოვის უნივერსიტეტის დოცენტს ანდრია რაზმაძეს [4, 6a].

1918 წლის 25 იანვარს პრესაში გამოქვეყნდა უნივერსიტეტის მასწავლებელთა პირველი შემადგენლობა: რექტორი დამსახურებული პროფესორი პეტრე მელიქიშვილი, სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეპანი პროფესორი ივანე ჯავახიშვილი, მდიგარი: პროფ. იოსებ ყიფშიძე, პროფესორები: ანდრია ბენაშვილი, კორნელი კეკელიძე, დიმიტრი უზნაძე, ფილიაქე გოგიჩაიშვილი. პროფესორთა მოადგილეები: ანდრია რაზმაძე, სვიმონ ავალიანი, შალვა ნუცუბიძე, გიორგი

ახვლედიანი, აკაკი შანიძე. მეცნიერ სელმძღვანელები: ქავთომე თაყაიშვილი, იუსტინე აბულაძე. ლექტორები: ელისაბედ ორბელიანი (ფრანგული ენა), არტურ ლაისტი და ილია ყიფშიძე (გერმანული ენა), ვანდა ლამბაშიძისა (ინგლისური ენა [7].

უნივერსიტეტის პროფესორთა პირველი შემადგენლობის მიხედვით ადვილად დავასკვნით, რომ ჩვენი ახლად დაარსებული უმაღლესი სასწავლებელი თავისი დონით თამამად გაუსწორდებოდა უკვე ჩამოყალიბებულ, დიდი ტრადიციების მქონე უნივერსიტეტებს. პროფესორთა შემადგენლობა, მცირე გამონაკლისით, „ახალგაზრდული“ იყო – ივ. ჯავახიშვილი 42 წლისა, პ. კეკელიძე – 39-ისა, ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, შ. ნუცუბიძე, ი. ყიფშიძე, გ. ჩუბინაშვილი – ოცდაათისა ან ორი-სამი წლით მეტისა, ა. რაზმაძე – ოცდარვისა. თვით ექვთიმეც ამ დროს მხოლოდ 55-ისა იყო [8, 8].

1918 წლის 26 იანვარს უნივერსიტეტის გახსნის დღეს საპროგრამო სიტყვით მიმართა საზოგადოებას პეტრე მელიქიშვილმა: „თქვენო უწმინდესობავ, ბატონებო. საზოგადო სამეცნიერო კვლევა-ძიების გარდა ჩვენი უნივერსიტეტის მთავარს მიზანს ჩვენი ქვეყნის მეცნიერული შესწავლა შეადგენს. ვინ არ იცის, რომ უკვე კარგა ხანია, რაც ევროპიელ მეცნიერთა გულისყური ამ საგნისკენ იყო მიპყრობილი. მხოლოდ ჩვენი ენების თავისებურებით აიხსნება, რომ მათ ენათმეცნიერების ამ დარგის სიძნელე ჯეროვნად ვერ სძლიერს. ვინ არ იცის, რაოდენათ საგულისხმოა ჩვენი ქვეყნის წარსულიცა და ნივთიერი კულტურაც, რომელთა მრავალრიცხოვანი ძეგლები ჩვენს სამშობლოს ამკობენ და მნახველთა თვალს აკვირვებენ. არც გასაკურველია, რომ ჩვენი უნივერ-

სიტეტის არსებობას საფუძველი სწორედ პუმანურ-მეცნიერებათა დარგის მოწყობით ედება.

მაგრამ მარტო ამ მხრივ ხომ არ არის საყურადღებო ჩვენი ტურიზმი საქართველო. მისი ბუნება მიმზიდველია მეცნიერისათვის არა მარტო თავისი გარებანი სილამაზით, არამედ იმ საიდუმლოებით, რომელთაც სამსეა მისი გული. ჩვენში მაგალითად ბევრი ისეთი მცენარე შენახულია, ეხლაც ცოცხლობს და ხარობს, რომელნიც ევროპაში დიდისანია გაქრნენ უკვალოო. მაშასადამე ჩვენი ქვეყნის ბუნებრეცნიერისათვის ცოცხალი წიგნია, რომელშიც მრავალსაუკუნოვანი წარსულის ამოკითხვა შეიძლება. მეტად მდიდარია ჩვენი სამშობლო აგრეთვე სამკურნალო წყლებით, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ განკურნებაში. მაგრამ მომეტებული მათგანი საკმარისათ მეცნიერულათ შესწავლილი არ არის, არც შემადგენლობის მხრივ, არც მოქმედების მხრივ. აი, აქაც რამოდენი სამეცნიერო სამუშავო არის ქიმიკოსებისათვის და მკურნალებისათვის. კიდევ ბევრი რამ ითქმის, მაგრამ ესეც კმარა.

ის მხურვალე სიყვარული მეცნიერებისადმი, რომელსაც ყოველი ჩვენგანი, ამ დიდ საქმის განხორციელების მონაწილეობანი გამსჭვალულია და ის აღტაცება, რომელიც ქართულ საზოგადოებას ეტყობა, იმის თავდებია, რომ ჩვენი უნივერსიტეტი წარმატების გზას დაადგება, რომ იგი დღეგარძელი იქნება და მომავალში აყვავდება. იმედი მაქვს, რომ ამას ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებიც თავიანთ მხენე და ნაყოფიერ მუშაობით ხელს შეუწყობენ და მოქმედებიან მომავალი მუშაობისათვის ჩვენ საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ“ [9, 6-9].

უნივერსიტეტის გახსნამ და დამოუკიდებლობის აღდგენამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა საქართვე-

ლოში. სახელმწიფო აპარატისა და მთელი ცხოვრების „გაქართულებამ“ ბუნებრივად მიიზიდა ხალხი დედაქალაქისაკენ. თბილისში ისევე, როგორც მთელ რესპუბლიკაში, დიდი აღფრთოვანება იგრძნობოდა. ქართველი ხალხის წინაშე ახალი და რთული, ხშირად ჯერ კიდევ გამოუცნობი ამოცანები იდგა, მაგრამ საერთო ენთუზიაზმისათვის სიძნელები თითქოს არც არსებობდნენ. მთავარი ის იყო, რომ ხალხი თავისი ბედის პატრონად გრძნობდა თავს და ყველა ცდილობდა საერთო საქმეში რაიმე წვლილი შეეტანა [10, 127].

საქართველოს ეროვნული საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის 1918 წლის 3 სექტემბრის კანონის თანახმად ქართული უნივერსიტეტი გამოცხადდა სახელმწიფო უნივერსიტეტად და ეწოდა „ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“. უნივერსიტეტის მატერიალური უზრუნველყოფისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო საჭირო თანხა [11, 57].

უნივერსიტეტში პროფესორობა და კერძო დოცენტობა შეეძლოთ მხოლოდ იმ მეცნიერებს, რომელთაც უნივერსიტეტის მოძღვართ-მოძღვრობის სამეცნიერო ხარისხი ჰქონდათ, ან უცხოეთის რომელიმე უნივერსიტეტის მაგისტრის თუ დოქტორის ხარისხი ჰქონდა მინიჭებული. ამავე დროს დიპლომი და დისერტაცია სათანადო ფაკულტეტის მიერ უნდა ყოფილიყო განხილული.

მეცნიერს, რომელსაც რუსეთის უმაღლეს სკოლაში უხარისხოდ პროფესორობა ან დოცენტობა ჰქონდა მოპოვებული, თბილისის უნივერსიტეტის გამგეობას და პროფესორთა საბჭოს განსაკუთრებულ შემთხვევაში შეეძლოთ მისი პროფესორად მოწვევა.

ვისაც რუსეთის ერთ-ერთ უნივერსიტეტში სამეცნიერო ხარისხისათვის მხოლოდ სამაგისტრო გამოცდა ჰქონდა ჩაბარებული, ვიდრე დისერტაციას დაიცავდა პროფესორის მოადგილედ ან მოვალეობის აღმასრულებლად ითვლებოდა.

უნივერსიტეტს უფლება ჰქონდა სამეცნიერო ხარისხისათვის უნივერსიტეტთან დატოვებული სათანადო გამოცდის შემდეგ მოძღვართ-მოძღვრობის სამეცნიერო ხარისხით აღეჭურვა. პროფესორთა საბჭო უფლებამოსილი იყო განსაკუთრებული ღვაწლის მქონე პიროვნებისათვის დისერტაციის დაცვის გარეშე მიენიჭებინა მოძღვართ-მოძღვრობის ან დოქტორის ხარისხი.

უნივერსიტეტის გამგეობა ყოველწლიურად განათლების მინისტრს უგზავნიდა ლექციების ნუსხას. პროფესორთა, კერძო დოცენტების, მეცნიერ ხელმძღვანელთა, ლექტორების, ლაბორატორებისა და ასისტენტების მონაცემებს, მათი განათლებისა და სამეცნიერო ცენტრის ცნობებს [11, 58-60]. უნივერსიტეტის პროფესორთა კორპუსში შედიოდა 33 კაცი, ლაბორატორიულ-ასისტენტად ირიცხებოდა 36 მუშაკი [2, 48].

დემოკრატიული რესაუნდლიკის პერიოდში კვალიფიციური ინტელიგენციის ნაკლებობას შემდეგი გარემოებაც განაპირობებდა: დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე უმაღლესი განათლების დიპლომი პიროვნებას სახელმწიფო სამსახურში შესასვლელად სჭირდებოდა, ხოლო საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის მთავარი ნიჭი და უნარი იყო [12, 47].

საერთოდ, დამოუკიდებლობის წლებში საქართველოს დაუბრუნდა სამშობლოს გარეთ განათლება მიღებული კადრები, რომლებმაც თავისი ცოდნა და გამოცდილება ეროვნული კულტურის აღორძინებისათვის წარმართეს. ქართველი სტუდენტები კი სწავ-

ლობდნენ როგორც რუსეთის იმპერიის საუნივერსიტეტო ქალაქებში (პეტერბურგში, მოსკოვში, კიევში, ტომსკში, ხარკოვში, დორპატში, ოდესაში, ვარშავაში, ყაზანში), ისე დასავლეთ ევროპაში – გერმანიაში (უმეტესად), ავსტრიაში, საფრანგეთში – შვეიცარიაში. იქ მიიღეს განათლება იმათ, ვინც შემდეგ ჩვენს უნივერსიტეტსა და, საერთოდ, მეცნიერებას ჩაუდგა სათავეში – გარდა თვით ივ. ჯავახიშვილისა, ფ. გოგიაშვილმა, პ. კეკელიძემ, აკ. შანიძემ, ი. ყიფშიძემ, გ. ახვლედიანმა, დ. ყიფშიძემ, ვ. ბერიძემ, ს. ყაუხეიშვილმა (რუსეთში), დიმიტრი უზნაძემ, გიორგი ჩუბინაშვილმა, შალვა ნუცუბიძემ, ანდრეა რაზმაძემ (უცხენეთში), ექიმებმა: გრიგოლ მუხაძემ, ალექსანდრე ნათიშვილმა, ალექსანდრე ალადაშვილმა, სპირიდონ ვირსალაძემ, სვიმონ ამირეჯიბმა, ივანე თიკანაძემ, ნიკოლოზ კახიანმა, ალექსანდრე მაჭავარიანმა, გაბრიელ დამბარაშვილმა, მეტყვევე სელექციონერმა სოლომონ ქურდიანმა, ზოოტექნიკოსმა ილია ჯანდიერმა, კონსტანტინე ამირეჯიბმა, აგრონომმა იულონ ლომოურმა, მედვინეობის სპეციალისტმა კონსტანტინე მოდებაძემ და ბევრმა სხვამ [8, 6]. მაგრამ თავდაპირველად ძალიან მძიმე მდგომარეობა იყო.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას სურვილი ჰქონდა გაეხსნა იურიდიული ფაკულტეტი, რაც თავდაპირველად ვერ განხორციელდა, რადგან 1917-1918 წლებში სამეცნიერო ხარისხის მქონე იურისტები საქართველოში ერთ-ორი თუ მოიძებნებოდა [4, 4]. უფრო მეტიც 1919 წელს იუსტინე აბულაძემ სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტის საბჭოს თხოვნით მიმართა, რათა დაენიშნათ გამოცდა სპარსულ ენაში, რაც ესაჭიროებოდა სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. სამწუხაროდ ფაკულტეტზე არ აღმოჩნდა სპარსული ენის მცოდნე. ამიტომ ცდილობდა ი. აბუ-

ლაბე საზღვარგარეთ წასვლას დასახელებული საგნის ჩასაბარებლად [13, 24].

ასევე, სამეცნიერო კადრების მძიმე მდგომარეობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 1919 წელს საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე ზოოლოგიაში გამოცდების ჩაბარება ვერ მოხერხდა, რადგან სახელმწიფო უნივერსიტეტში და საერთოდ თბილისში სპეციალისტი არავინ იყო [14, 6].

მდგომარეობის გამოსასწორებლად უნივერსიტეტის გამგეობამ შეადგინა იმ პირთა სია, რომელთა მოწვევა ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე აუცილებლობას წარმოადგენდა. გამგეობა თხოვნით მიმართავდა განათლების სამინისტროს დახმარება აღმოეჩინა ამ პროდლემის გადაწყვეტაში. რუსეთიდან ჩამოსაყვან პროფესორთა შემადგენლობა 1919 წლის შემოდგომისათვის შემდეგი იყო: 1. გრიგოლ წერეთელი – პეტერბურგის უნივერსიტეტი; 2. ნიკოლოზ კახიანი – ეკატერინოსლავის უნივერსიტეტი; 3. სიმონ ამირეჯიბი, 4. ალექსანდრე ალადაშვილი და 5. პარმენ ჭეიშვილი – სამივე ხარკოვის უნივერსიტეტი; 6. ივანე ბერიტაშვილი – ოდესის უნივერსიტეტი; 7. ლიდებულიძე – ოდესის პოლიტექნიკუმი; 8. კრინიცკი – დარახველიძე – დონის როსტოვის უნივერსიტეტი; 9. მუსხელიშვილი – პეტერბურგის უნივერსიტეტი; 10. დ. ლულაძე – ვარშავის უნივერსიტეტი [15, 16, 50-51]. ამავე წელს პროფესორთა საბჭომ ბოტანიკის კათედრაზე დაამტკიცა აკადემიკოსი სერგი ნავაშინი [14, 29].

1919 წლის 18 ივნისს უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ სხდომაზე, თანახმად სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტის გადაწყვეტილებისა, ერთხმად დაამტკიცა ბერძნული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე პროფესორად გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთელი. უნივერსიტეტის „პროფესურა“ დარ-

წმუნებული იყო, რომ გ. წერეთლის უნივერსიტეტში მუშაობა ხელს შეუწყობდა საქართველოში უმაღლესი საუნივერსიტეტო მეცნიერების დანერგვა-განმტკიცებასა და აყვავებას. ამიტომ თხოვნით მიმართავდნენ უკვე ცნობილ მეცნიერს სამშობლოში დაბრუნებას [15, 52].

საზღვარგარეთ ცოდნა მიღებული ინტელიგენცია გულწრფელი აღტაცებით შეხვდა უნივერსიტეტის გახსნას. მრავალი მათგანი გამოთქვამდა სურვილს თავისი წვლილი შეეტანა მომავალი თაობის აღზრდაში. მაგალითად, მდვდელი ემანუელ ვარდიძე 1918 წლის შემოდგომაზე შემდეგი შინაარსის წერილით მიმართავდა უნივერსიტეტის რექტორს: „დაბრუნებულს ევროპიდამ მაქვს სურვილი ვიმეცადინო და შევსწირო ჩემს სამშობლოს ჩემი წვლილი საზღვარგარეთ ქვეყნებში შეძენილი განათლებისა. ამისთვის გთხოვთ კეთილ ინებოთ და მიბოძოთ თქვენდა ნდობილ უნივერსიტეტში კათედრა ბერძნული ენისა.

ქ. კონსტანტინებოლს არსებული კოლეჯის შემდეგ დამიმთავრებია ქ. რომში საერთაშორისო სასულიერო უნივერსიტეტი. ქართულისა და რუსულის გარდა შესწავლილი მაქვს ფრანგული, ლათინური, ბერძნული (ძველი თუ ახალი), გერმანული და იტალიური, ვკითხულობ ებრაულს და ვსაუბრობ ოსმალურს.

რომის უნივერსიტეტში მიღებული მაქვს ხარისხი ბაქალავრეობისა და ლიცენციატობისა. იმედი მაქვს მიაპყრობთ ყურადღებას ამ ჩემს თხოვნას და ესრეთ მომცემთ საშუალებას ვიშრომო განათლებისათვის ჩვენი ახალგაზრდობისა“ [16, 161].

ამავე დროს უცხოეთში დაბადებულ მრავალ ქართველს სურვილი გაუჩნდა წინაპართა მიწაზე ჩამოსულიყო და მონაწილეობა მიეღო ქვეყნის აღმშე-

ნებლობაში. ერთ-ერთი ასეთი აღმოჩნდა ალექს  
ლიცეუმის დირექტორი ჯელალ მაჰირ ბეი მემარნიშ-  
ვილი. წერილში, რომელიც სიბრძნის მეტყველების  
ფაკულტეტის დეკანს ივ. ჯავახიშვილს კონსტანტი-  
ნეპოლიდან 1919 წლის 10 მარტს გამოუგზავნა აღ-  
ნიშნავდა: „მე გავათავე ოსმალეთის უმაღლესი მწერ-  
ლობისა და მეცნიერების სასწავლებელი 1904 წელს  
და მას შემდგომ 8 წელს მასწავლებლად ვიყავი  
სტამბოლში, მარდენში, ესკიშეპირში, ხოლო უკანას-  
კნელი 6 წლის განმავლობაში ლიცეუმის დირექტო-  
რად ვიყავი მაგნეზიაში და ალეპოში. როგორც სა-  
ქართველოს შვილს სურვილი მაქვს ჩემს ქვეყანას  
ვემსახურო, და ვითარცა ოსმალური ენის მცოდნეს,  
გთხოვთ, თუ ფაკულტეტი შესაძლოდ დაინახავს ოს-  
მალური ენის ლექტორობა მომცეთ თვილისის სა-  
ხელმწიფო უნივერსიტეტში. . .“ [15, 174].

აქვე ავღნიშნავთ, რომ უნივერსიტეტის ხელ-  
მძღვანელობა მკაცრად ითხოვდა მისაღები ლექტო-  
რის მონაცემებს. ამავე დროს შეძლებისდაგვარად  
ყველა პირობას უქმნიდა პროფესორ-მასწავლებლებს  
სალექციო მუშაობაში. მაგალითად, სიბრძნის მეტ-  
ყველების ფაკულტეტის დეკანი 1919 წლის სექტემ-  
ბერში პროფ. სიმონ ავალიანს წერილობით მიმარ-  
თავდა: „ვინაიდან დამდეგ სექტემბრისათვის ლექცია-  
თა ცხრილის შედგენაა საჭირო, გთხოვთ გვაცნო-  
ბოთ – რა კურსს წაიკითხავთ თქვენ და რამდენი სა-  
ათი გექნებათ კვირაში. სასურველია ამასთანავე ვი-  
ცოდეთ ისიც, თუ რომელ დღეებში და რა საათებში  
უფრო მოხერხებული იქნება თქვენთვის ლექციების  
წაკითხვა“ [15, 71].

საინტერესოა, როგორ ხდებოდა აღნიშნულ პე-  
რიოდში კვალიფიკაციის ამაღლება. უნივერსიტეტის  
საბჭოზე დაცვის უფლება ეძლეოდა იმ მაძიებელს,

რომელსაც ჩაბარებული პქონდა სადოქტორო გამოც-  
დები [17, 6].

1920 წელს აკაკი შანიძემ დოქტორის სამეცნიე-  
რო ხარისხის მოსაპოვებლად პროფესორთა საბჭოს  
წარუდგინა დისერტაცია – „სუბიექტური პრეფიქსი  
მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირი-  
სა ქართულ ზმნაში“. ოფიციალურ ოპონენტებად გა-  
მოყოფილი იყვნენ ივ. ჯავახიშვილი და გ. ახვლედი-  
ანი. პაექტობა შედგა 1920 წლის 9 მაისს.

პაექტობაში მონაწილეობა მიიღეს არაოფიცია-  
ლურმა ოპონენტებმაც – კორნელი კველიძემ და  
პეტრე მირიანაშვილმა. ეს იყო პირველი დისერტა-  
ცია, დაცული თბილისის უნივერსიტეტში [18, 13].

დისერტაციის დაცვა მაშინ ძლიერ იშვიათი  
იყო თბილისში და ამიტომ „მთელი ქალაქის“ უ-  
რადღებას იპყრობდა. ისეთსავე სენსაციას წარმოად-  
გენდა, როგორც დღეს, მაგალითად, ფეხბურთის რო-  
მელიმე პასუხსაგები მატჩი მოყვარულთათვის. დაც-  
ვის დღეს უნივერსიტეტი ხალხით ივსებოდა [10, 155].

დამოუკიდებლობის პერიოდში მხოლოდ ორი  
დაცვა მოხდა, ერთი ა. შანიძისა და მეორე მ. წინამ-  
ძღვრიშვილის. პროცედურა ასეც ხდებოდა, მაგალი-  
თად, უკეთ საბჭოთა რეჟიმის საწყის ეტაპზე ა. ჯანგ-  
ლიძე იცავდა სადოქტორო დისერტაციას. მის ოფი-  
ციალურ ოპონენტებად დაინიშნენ ნ. ყიფიანი და ა.  
თვალჭრელიძე. ამ დროს მეცნიერული ხარისხი არ-  
ცერთს არ პქონდა და დისერტანტის სადისერტაციო  
შრომა არცერთს არ პქონდა წაკითხული [10, 156].

ამრიგად, საქართველოს ინტელიგენცია თავი-  
სი როლის სრული შეგნებით და უდიდესი პასუხის-  
მგებლობით მოეკიდა დამოუკიდებელი ეროვნული  
კულტურის საფუძვლების ჩაურას. უმოკლეს ხანში  
მან შეძლო გამოეყდავნებინა ერის დიდი შემოქმედე-

ბითი პოტენციალი, ეჩვენებინა, რომ ქართველი ხალ-  
ხი დირსია საკუთარი აღგილი დაიმკვიდროს თანა-  
მედროვე ცივილიზებულ სამყაროში, და თუმცა და-  
მოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ საქართველოს  
როტელი და მძიმე გზის გავლა მოუხდა. იმას, რასაც  
საფუძველი ჩაეყარა დამოუკიდებლობის დროს, უკვა-  
ლოდ არ ჩაუვლია. სწორედ იმ წლებშია საძიებელი  
ფესვები ბევრი სახისკოთო საქმისა, რომელთა გან-  
ხორციელება მაინც მოხერხდა მომდევნო ხანაში,  
დიდი პატრიოტული შემართების, თავდადებული  
შრომისა და თავგანწირვის ფასად.

### გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. ა. სურგულაძე, ნარკვევები ქართველი ინტელიგენ-  
ციის ისტორიიდან, თბ., 1980
2. გ. საყვარელიძე, მკვდრეობით აღდგომა ქართული  
სკოლისა (1918-1921წწ.), თბ., 1992
3. О.Н. Знаменский, Интелигенция накануне великого  
октября, Ленинград., 1988
4. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური  
სახელმწიფო საისტორიო არქივი (შემდეგში სუ-  
იცსსა), ფ. 471, ანაწ. 1, საქ. 3
5. სუიცსსა, ფ. 471, ანაწ. 1, საქ. 8
6. გ. ყორანაშვილი, ივანე ჯავახიშვილი (ახლებუ-  
რად წაკითხვის ცდა), თბ., 1999
7. გაზ. „საქართველო“, 1918, 25 იანვარი
8. გ. ბერიძე, კულტურა და ხელოვნება დამოუკიდე-  
ბელ საქართველოში, თბ., 1992
9. სუიცსსა, ფ. 471, ანაწ. 1, საქ. 8
10. ა. ჯანელიძე, მოგონებები, თბ., 1988

11. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1918-1921, თბ., 1990
12. რ. ჩხეიძე, ბედი პავლე ინგოროვასი, თბ., 1994
13. ა. სონდულაშვილი, ქართული კულტურა და ინტელიგენცია 1917-1937 წლებში, თბ., 2008
14. სუიცსსა, ფ. 471, ანაწ. 1, საქ. 35
15. სუიცსსა, ფ. 471, ანაწ. 1, საქ. 28
16. სუიცსსა, ფ. 471, ანაწ. 1, საქ. 9
17. სუიცსსა, ფ. 471, ანაწ. 1, საქ. 10
18. შ. ძიძიგური, აკაკი ჭანიძე, თბ., 1987

**აზხაზეთის სამართლებრივი უფლებები  
საქართველოს პირველი რესპუბლიკის პერიოდში  
1918-1921 წლებში**

„მუჭაჯირობის“ პროცესის დასრულების შემდეგ ცარიზმი შეუდგა ზრუნვას აფხაზეთში რუსული ინტელიგენციის ჩამოყალიბებისათვის. აფხაზთა შორის ხელოვნურად ნერგავდნენ ანტიქართულ განწყობას. დაუნდობელი ბრძოლა გამოეცხადა ქართველ-აფხაზთა კულტურულ-ისტორიულ ერთობასა და ამ ერთობის საფუძველს ქართულ ენას. ამ მიზანს ემსახურებოდა აფხაზეთის ეკლესიებში დვოთისმსახურების საეკლესიო-სლავურზე გადაყვანა და რუსული ანბანის საფუძველზე აფხაზური დამწერლობის შემოტანა, რაც პოლიტიკურ მიზნებს ემსახურებოდა [1, 86].

აქვე ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ გეორგიესკის ტრაქტატი უშუალოდ აფხაზეთსაც ეხებოდა, რომელსაც რუსეთში კვლავ სამეგრელოს სამთავროს და ამდენად სრულიად საქართველოს ნაწილად აღიარებდნენ. „რუსეთის იმპერიის ისტორიული რუკის“ (1793წ.) თანახმად, ახლად მოპოვებულ ტერიტორიად მიჩნეული საქართველოს ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი აზოვის ზღვამდე აღწევდა. რუკაზე აღნიშნულია დასავლურ-ქართული პროვინციებიც – იმერეთი და სამეგრელო. აფხაზეთი, რომელიც რუკაზე საერთოდ არ არის აღნიშნული, სამეგრელოს შემადგენლობაში იგულისხმება. გეორგიესკის ტრაქტატის მეოთხე საიდუმლო არტიკული საქართველოს სამეფოს აღდგენას სწორედ „რუსეთის იმპერიის ისტორიულ რუკაზე“ მითითებულ საზღვრებში ითვალისწინებდა [2, 14].

თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია, ისევე როგორც სხვა ქართული პროვინციები, ნაწილ-ნა-

წილ შევიდა რუსეთის მფარველობის ქვეშ. დოკუმენტური წყაროები ნათლად გვიჩვენებენ, რომ რუსეთის „ქვეშევრდომობაში“ აფხაზეთი შევიდა როფორც საქართველოს ისტორიული პროვინცია, როგორც „წევრი სამეგრელოისა“ [2, 18].

1917 წლის თებერვლის ბურუჟაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ დროებითი მთავრობის მიერ შექმნილმა „ამიერკავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა“ ადგილებზე შექმნა საგუბერნიო, სამხარეო და საქალაქო კომიტეტები. აფხაზეთის სამხარეო კომისრად დაინიშნა თავადი ა. შერვაშიძე, ხოლო სამხარეო მილიციის ხელმძღვანელობა დაეკისრა თავად ტ. მარშანიას. აფხაზი თავადების ოეაქციულმა ჯგუფმა და მათთან დაახლოებულმა წრეებმა დაიწყეს აშკარა ბრძოლა თავისი პრივილეგიების შესანარჩუნებლად. მათ ორიენტაცია აიღეს მთიელთა გაერთიანებულ კავშირზე, რომელიც შეიქმნა 1917 წლის მაისში [3, 2].

ამ პერიოდში ყოველი სამაზრო ქალაქი ესწრაფოდა თავი გამოეცხადებინა დამოუკიდებელ რესპუბლიკად. ისტორიულ კურიოზად შეიძლება ჩავთვალოთ 1917 წლის აპრილში გამოცხადებული „შლისელბურგის სახელმწიფო“, რომელშიც ყოველი სასოფლო დასახლება მოიაზრებოდა ამერიკის შტატების მსგავსად [4, 230].

ასევე, ბოლშევიკები, სადაც საბჭოთა ხელი-სუფლებას დაამყარებდნენ, განურჩევლად ტერიტორიისა მაშინვე აძლევდნენ რესპუბლიკის სტატუსს. ცოტა ხანში აღნიშნული კვალიფიკაცია ეცვლებოდა მინიჭებულ ეთნოსს. მაგალითად, როდესაც 1918 წლის იანვარში ყირიმში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, 22 მარტს გამოცხადდა თავრიდის საბჭო-

თა სოციალისტური რესპუბლიკა. მაგრამ, მხოლოდ ერთი თვით [5, 59].

რესეთის ხელისუფალთა ერთსაუკუნოვანი ან-ტიქართული აგიტაციიდან გამომდინარე, „აფხაზთა“ უმეტესობის ცნობიერებიდან ერთიანი ქართული სახელმწიფოსადმი მხარდაჭერის საჭიროება მთლიანად ამოიძირკვა. მათში ძირითადად პროტურქული და პრორუსული ორიენტაცია დამკვიდრდა. ასეთ პირობებში, ქართული ისტორიული ტერიტორიების დაკარგვის რეალური საფრთხე, ანდა უკიდურეს შემთხვევაში მძიმე კონფლიქტების გარდაუვალობა იქმნებოდა. მის საფუძველს იმ ეტაზე ამიერკავკასიის რეგიონში არსებული პოლიტიკური სიტუაცია და ჩრდილოეთიდან „მოხალისეთა არმიის“ შემოჭრის საფრთხეც განაპირობებდა. ყოველივე ეს ერთიანი ქართული სახელმწიფოს იდეის საწინააღმდეგოდ, აფხაზთის რეგიონიდან მოსალოდნელი სირთულეების გარდაუვალობის დამადასტურებელია. აღნიშნულის გათვალისწინებიდან გამომდინარე, ქართველი პოლიტიკოსების ყოველი ნაბიჯი სკრუპულობური სიზუსტით უნდა ყოფილიყო გათვლილი. ამის აუცილებლობას ის პასუხისმგებლობაც მოითხოვდა, რომელიც ნებისმიერ სახელმწიფო მოდგაწეს მომავალი თაობებისა და ისტორიის წინაშე ეკისრება.

აფხაზთა მხარე მოითხოვდა დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის შექმნას და საქართველოსთან როგორც თანასწორი – მეზობლური ურთიერთობის დამყარებას [6, 222].

1917 წლის 8 ნოემბერს სოხუმში მოწვევლ ყრილობაზე შეიქმნა აფხაზეთის სახალხო საბჭო, რომლის შემადგენლობა და მოქმედების ამოცანები 1918-1921 წლებში რამდენჯერმე შეიცვალა. მის მიერ მიღებულ იქნა „აფხაზი ხალხის ყრილობის დეკლა-

რაცია“, რაშიც დაისახა შემდგომი მუშაობის გაგრძელება „აფხაზი ხალხის თვითგამორკვევის შესახებ“, ასევე მიიჩნიეს საჭიროდ „აფხაზეთის სახალხო საბჭოს კონსტიტუციის“ შექმნა.

1918 წლის 9 თებერვალს თბილისში მიღწეულ იქნა შეთანხმება აფხაზეთის სახალხო საბჭოს წარმომადგენლებსა და საქართველოს ეროვნულ საბჭოს შორის საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის ავტონომიური უფლებით შესვლის შესახებ. შეთანხმების საფუძველზე საქართველოს ხელისუფლებას უნდა ეზრუნა „აფხაზეთის ისტორიული საზღვრების აღდგენაზე“.

როგორც ცნობილია, რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციული დაყოფით აფხაზეთის ტერიტორია დანაწილებული იყო. კერძოდ, 1883 წელს შექმნილი სოხუმის ოლქი შედიოდა ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში; გაგრა და მისი შემოგარენი კი ექვემდებარებოდა შავიზდვისპირეთის გუბერნიის სოხის ოლქს [7, 175].

ამ დროისათვის აფხაზეთის ტერიტორიაზე ბოლ შევიკებდა გააქტიურეს საქმიანობა. პირველი ცდა, დაემყარებინათ აქ ბოლ შევიკური დიქტატურა, განხორციელდა 1918 წლის 16-21 თებერვალს. სოხუმში შექმნეს სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი ეფრემ ეშბას თავმჯდომარებით. დამკვიდრდა შავიზდვისპირეთის ფლოტის (კრეისერ „დაკიას“, ნაღმოსანი „შეუპოვარის“) ბოლ შევიკ-მატროსთა განუკითხავი ბატონობა.

მასობრივ გამოსვლებს ბოლ შევიკი უზურპატორების წინააღმდეგ სათავეში ჩაუდგა აფხაზეთის სახალხო საბჭო. 21 თებერვალს დროებითი რევოლუციური კომიტეტი ლიკვიდირებულ იქნა.

აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მეორე ცდა განხორციელდა იმავე წლის 8 აპრილიდან 17 მაისამდე. აღნიშნულ პერიოდში ბოლშევკებმა თავისი ხელისუფლება გაავრცელეს ყოფილი სოხუმის ოლქის მტელ ტერიტორიაზე, კოდორის, (ოჩამჩირის) ნაწილის გარდა.

17 მაისს განთავისუფლებულ იქნა ბოლშევიკებისაგან სოხუმი და სოხუმის ოლქი 22 აპრილს შექმნილი ამიერკავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ჯარების მიერ ვალიკო ჯუდელის სარდლობით. 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა მარტო ქართველი ხალხისთვის არ გამოცხადებულა. ქართველების დიდ ზეიმს მაშინ აფხაზი მოძმებიც გულწრფელად იზიარებდნენ. ამის დასტურია ის ფაქტიც, რომ „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს“ აფხაზი ხალხის სახელით ხელს აწერენ აფხაზთა სახალხო საბჭოს წარმომადგენლები – ვარლამ შერგაშიძე და არზაყან ემუხვარი.

დამოუკიდებლობის აქტის პირველსავე მუხლში ვკითხულობთ: „ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი სახელმწიფოა“. როგორც ვხედავთ, აქ ლაპარაკია არა მხოლოდ ქართველ ხალხზე, არამედ „საქართველოს ხალხზე“, ე.ი. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა ხალხზე. ამავე აქტის მე-6 მუხლში კი მითითებულია: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს“ [8, 4]. ეს დაპირება საქართველოს ხელისუფლებამ ცოტა ხანში რეალობად აქცია. მან აფხაზეთის ავტონომია დაადასტურა თავის დაარსების პირველ დღეებში, სულ რაღაც 10-15 დღეში [9, 5].

1918 წლის 8 ივნისს საქართველოს დემოკრატიულ მთავრობასა და აფხაზეთის სახალხო საბჭოს შორის დაიდო ხელშეკრულება აფხაზეთისათვის ფართო საშინაო ავტონომიის მინიჭებისა და დახმარების შესახებ. ხელშეკრულების საფუძველზე 17-22 ივნისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ აფხაზეთის ტერიტორიაზე მოახდინა ქართული არმიის ნაწილების გადაადგილება გენერალ გიორგი მაზნიაშვილის ხელმძღვანელობით, რომლებიც განლაგდნენ ზღვის სანაპიროზე ტუაპსედან სოჩამდე. როგორც ვხედავთ, ქართული არმიის ნაწილების დისლოკაციის შეცვლა ორივე მხარის თანხმობით მოხდა. მიუხედავად ამისა სახალხო საბჭომ პროვოკაციული განგაში ატეხა და 12-13 სექტემბერს მიმართა ყუბანის კაზაკთა ფორმირების მეთაურს გენერალ მ.ს. ალექსეევს თხოვნით „გაეთავისუფლებინა აფხაზეთი საქართველოს სამხედრო ჩარევისაგან“.

საქართველოს მთავრობამ დაშალა აფხაზეთის სახალხო საბჭო სახელმწიფო გადატრიალების ცდისათვის, რაც მიზნად ისახავდა საქართველოსაგან აფხაზეთის ჩამოშორებას. დააპატიმრა შეთქმულები, რომლებმაც კავშირი დამყარეს გარეშე ძალებთან. სოხუმის ოლქის საგანგებო კომისრად დაინიშნა ჩ. ჩხილვიშვილი. დაიწყო მომზადება აფხაზეთის სახალხო საბჭოს არჩევნებისათვის [7, 176].

1918 წლის 27 დეკემბერს გამოქვეყნდა საქართველოს ეროვნული საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებული, აფხაზეთის სახალხო საბჭოს არჩევნების დებულება. კანონის თანახმად აფხაზეთის სახალხო საბჭოს შემადგენლობა 40 წევრით განისაზღვრა. დებულების მე-2 მუხლის მიხედვით სახალხო საბჭოს არჩევნებში, როგორც ამომრჩეველს უფლება ჰქონდა აფხაზეთის

ყველა მოქალაქეს განურჩევდად სქესისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა, რომელსაც საარჩევნო სიების შედგენამდე 20 წელი შეუსრულდა. ამავე დროს აფხაზეთში ნაცხოვრები უნდა ყოფილიყო 1914 წლის 19 ივნისამდე.

დებულების შენიშვნაში დაშვებული იყო საბჭოში აერჩიათ ისეთი პირი, რომელიც აფხაზეთში ცხოვრობდა 1914 წლის 19 ივნისის შემდეგ და აქმაყოფილებდა მე-2 მუხლის მოთხოვნებს. იგივე დებულება ვრცელდებოდა იმ მოქალაქეებზე, ვინც აფხაზეთში არ ცხოვრობდა, მაგრამ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქედ ითვლებოდა [8, 179-180].

ხაზგასასმელია, რომ „ავტონომიურ აფხაზეთში“ აღნიშნულ არჩევნებითან დაკავშირებით დებულების მე-12 მუხლის თანახმად „ცენტრალური კომისია ინიშნება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ“ [8, 182].

1919 წლის 13 თებერვალს მოეწყო აფხაზეთის ტერიტორიაზე პირველი დემოკრატიული სახალხო საბჭოს არჩევნები. საბჭოს შემადგენლობაში აირჩიეს 40 დეპუტატი. აფხაზეთის სახალხო საბჭო აფხაზეთის ავტონომიის ფარგლებში იყო საკანონმდებლო ორგანო, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი და მაკონტროლებელი.

1919 წლის 18-22 მარტს მიმდინარეობდა ახლად არჩეული აფხაზეთის სახალხო საბჭოს სესია, სადაც პირველსავე სხდომაზე საბჭომ მიიღო „აქტი აფხაზეთის ავტონომიის შესახებ“, რომლის პირველი პუნქტით გაცხადდა: „აფხაზეთი შედის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, როგორც მისი ავტონომიური ერთეული“.

1919 წლის 13 მაისს აფხაზეთის სახალხო საბჭოს დადგენილებით, აფხაზეთის სახალხო საბჭოს

მიენიჭა საკანონმდებლო ფუნქციები. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აღმასრულებელი ორგანოს (მთავრობის) კომისარიატის შექმნის შესახებ [10, 198]. ამ დონისძიებით, ფაქტობროვად, დაიწყო ა ფ ხ ა ზ ე თ ი ს ა ვ ტ ო ხ მ ი უ რ ი მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ი ს გ ა ხ ხ მ რ ც ი ე ლ ე ბ ა აფხაზეთის სინამდვილეში.

1919 წლის 26 მაისი, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, მთელმა საქართველომ დიდი ზეიმოთ აღნიშნა, მათ შორის აფხაზეთმაც. აფხაზეთის სახალხო საბჭომ ამ თარიღთან დაკავშირებით მისასალმებელი წერილი გაუგზავნა საქართველოს მთავრობას. მაგრამ ასეთი დამოუკიდებულება ცოტა ხანს გაგრძელდა. ავტონომიურმა მმართველობამ „აფხაზებში“ ანტიქართული განწყობილება გააღვივა. 1919 წლის აგვისტო – სექტემბერში სოხუმის ოლქის სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებებიდან დაიწყო ქართული ენის „განდევნის“ პროცესი. დაისვა საკითხი აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფის შესახებ. აფხაზთა სახალხო საბჭო, რომელიც თავის თავს სუვერენულ ორგანოდ თვლიდა, მხოლოდ იმ პირობით თანხმდებოდა დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნების გამართვაზე, თუ მის მიერ შემუშავებულ კონსტიტუციას დაუჭერდა მხარს საქართველოს ხელისუფლება. სახალხო საბჭოს კონსტიტუციის პროექტი კი აფხაზეთის სრულ სუვერენიტეტს მოითხოვდა [9, 19]. ამას თან ერთოდა საბჭოს ლონისძიებანი ქართული ენის წინააღმდეგ. ქართული ენა სრულიად ამოიღეს საქმის წარმოებიდან სოხუმის თვითმმართველობაში და ჩაანაცვლეს რუსული ენით. აღნიშნულ ფაქტებს ფარდა ახადეს ეროვნულ-დემოკრატებმა და მათმა ლიდერმა სპირიდონ კედიამ. მისივე შეფასებით „მთავრობამ, რომე-

ლიც ვალდებულია დაიცვას სახელმწიფო ინტერესები საქართველოს კუთხეში, წინასწარი ზომები არ მიიღო ამ ინტერესების დასაცავად აფხაზეთში და ამით საფრთხე შეუქმნა საქართველოს დამოუკიდებლობას“ [9, 19-20].

ეს საკითხი 1920 წლის 22-23 თებერვალს აფხაზი ინტელიგენციის ყრილობის განსჯის ობიექტიც გახდა. მასში მონაწილეობას დებულობდნენ აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრებიც. ყრილობაზე გამოიკვეთა საქართველოს მიმართ აფხაზური მხარის დამოკიდებულების ორი თვალსაზრისი. ერთი ჯგუფი ვ. შარვაშიძის მეთაურობით, საქართველოს ორიენტაციას იზიარებდა, თუმცა აქაც არ იყო ერთსულოვნება. ხოლო მეორე ჯგუფი ი. მარდანიას ხელმძღვანელობით, რუსეთის ორიენტაციას ემხრობოდა. ისინი ამას იმით ასაბუთებდნენ, რომ აფხაზები თურმე უფრო ახლოს იყვნენ რუსულ კულტურასთან, ქართველები კი ცდილობდნენ ქართული კულტურისა და ენის ძალდატანებით დამკვიდრებას, რაც დაკავშირებული იყო მათ ძალადობრივ შემოჭრასთან აფხაზეთში [9, 23].

1920 წლის იანვარში საქართველოს საერთაშორისო აღიარებამ, აგრეთვე იმავე წლის 7 მაისს რუსეთ-საქართველოს შორის ხელშეკრულების გაფორმებამ და საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნობამ, რამდენადმე გააუმჯობესა ქვეყნის მდგომარეობა, შექმნა სამართლებრივი გარანტიები ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის. კერძოდ, ხელშეკრულების III მუხლის I პუნქტი მკაფიოდ განსაზღვრავდა ორ ქვეყანას შორის სახელმწიფო საზღვარს „შავი ზღვიდან მდ. ფსოუს გაყოლებით ახახბას მთამდე...“ რუსეთი ვალდებულებას კისრულობდა,

„ადიაროს როგორც საქართველოს სახელმწიფოს შემაღენლობაში უდავოდ შემავალი, გარდა ამ ხელ-შეკრულების III მუხლის I პუნქტის ძალით საქართველოს მიკუთვნებული შავი ზღვის გუბერნიის ნაწილებისა (გაგრის ზონა – ა.ს.), ყოფილი რუსეთის იმპერიის ქვემოთამოთვლილი გუბერნიები და ოლქები – თბილისის, ქუთაისის და ბათუმის თავიანთი მაზრებითა და ოკრუგებით, რომლებიც ადნიშნულ გუბერნიებს და ოლქებს შეადგენენ, აგრეთვე ზაქათალისა და სოხუმის ოკრუგები“ [11, 55].

როგორც დოკუმენტიდან ჩანს საბჭოთა რუსეთი ცნობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში სოხუმის ოკრუგს, ანუ აფხაზეთის არსებობას. ამრიგად, სამართლებრივად უსუსური არგუმენტია სოხუმელი სეპარატისტებისა და მათი მოსკოველი წამქეზებლების სპეცულაცია იმის თაობაზე, თითქოს 1992 წელს თბილისის იმდროინდელი ხელისუფლების მიერ საბჭოთა კონსტიტუციაზე უარის თქმა და დაბრუნება 1921 წლის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციასთან ნიშნავდა, რომ „საქართველომ ამით უარი თქვა აფხაზეთზე“, რომელიც თითქოს სტალინმა შეიყვანა საბჭოთა საქართველოს შემადგენლობაში, თორემ „მანმადე ის დამოუკიდებელი იყო“ – ო!

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების მესამე მუხლის თანახმად, სახელმწიფო საზღვარი საქართველოსა და რუსეთს შორის მდინარე ფსოუზე გადიოდა, რაც ნიშნავდა, რომ 1904 წლიდან რუსეთის იმპერიის შავი ზღვის გუბერნიაში შემავალი გაგრის რაიონიც საქართველოს უერთდებოდა, მაგრამ სოჭი (სოჩა) რუსეთს რჩებოდა.

1920 წლის 7 მაისი ერთგვარი წყალგამყოფია „მითოლოგიასა“ და „რეალობას“ შორის: ამ დღეს მსოფლიომ ცნო თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური სივრცის საზღვრები. თუ 1920 წელს „მსოფლიოს“ მხოლოდ რუსეთი წარმოადგენდა, უკვე 1921 წლის დამდეგს იმავე საზღვრებში საქართველო de iure ცნო ევროპისა და აზიის ყველა წამყვანმა სახელმწიფომ. საბჭოთა საქართველოც, ფაქტობრივად, ამ საზღვრებში არსებობდა (ოდონდ ლორეს, საინგილოსა და ართვინის ოკრუგის გარეშე).

1992 წელს კი პრაქტიკულად იგივე ტერიტორია, რომელსაც ორი წლით ადრე საქართველოს სსრ ერქვა, გაერომ და, ამდენად, მსოფლიომ აღიარა დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკურ სივრცედ. სწორედ ეს არის ჩვენი ძირითადი არგუმენტი ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად. დამოუკიდებელი საქართველო მოითხოვს ჯერ კიდევ საბჭოთა რუსეთთან 1920 წელს შეთანხმებული ჩრდილოეთის იმ საზღვრის აღდგენას, რომელიც საბჭოთა კავშირის დროსაც არსებობდა და რომელიც ფაქტობრივად დაარღვია რუსეთის ფედერაციამ [12, 157-158].

1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული კონსტიტუციის 107-ე მუხლში აღნიშნულია, რომ „საქართველოს განუყოფელ ნაწილებს – აფხაზეთს სოხუმის ოლქი, სამუსლიმანო საქართველოს (ბათომის მხარე) და ზაქათალას ოლქი, ენიჭებათ ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობა“ [8, 476].

1992 წელს სამხედრო საბჭოს შეცდომა იყო 1921 წლის კონსტიტუციის ნაჩქარევი აღდგენა. ეს იყო ვითომ პატრიოტი ლიდერების ემოციური, პოლიტიკურად გაუმართლებელი მოთხოვნა, რომელსაც „სამხედრო

საბჭო“ აჟყვა. როგორც ვიცით 1921 წლის კონსტიტუციას ფაქტიურად არცერთი დღე არ უმოქმედია, ხოლო 70 წლის შემდეგ მისი მუხლების საქმაო ნაწილი ანაქრონიზმად იყო ქვეული. 1992 წლის თებერვალში ამ კონსტიტუციის აღდგენით საქართველო თავს აცხადებდა პირველი რესპუბლიკის სამართლმემკვიდრედ და ჭრიდა ყველა ძაფს, რომლითაც საბჭოთა მემკვიდრეობასთან იყო დაკავშირებული.

1921 წლის კონსტიტუციის „აღდგენაშ“ აფხაზურ სეპარატიზმს გარკვეული ხელმოსაჭიდი მისცა, რადგან ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი საბჭოთა კონსტიტუციაში მკაფიოდ იყო დაფიქსირებული, ხოლო 1921 წლის დოკუმენტში მისი ავტონომიის სტატუსი ბუნდოვნად იყო ფორმულირებული (იქ ლაპარაკი იყო გარკვეული ავტონომიური უფლებების მინიჭებაზე ხოსუმის ოკრუგისათვის). ეს სამართლებრივი ლაფხუსი აფხაზთა ლიდერებმა იმავე 1992 წელს გამოიყენეს საქართველოსაგან აფხაზეთის გამოყოფის „ლეგიტიმაციისათვის“, იმ დორს – მხოლოდ ქადალდზე [12, 550-551].

### გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ბ. ხორავა, აფხაზთა მუჭაჯირობა, თბ., 2004
2. ჯ. გამახარია, აფხაზეთის / საქართველო პოლიტიკური ისტორია, თბ., 2012
3. М. Габедава, Общественно-политическое движение в Абхазии в 1917-1921 года, ჟურნ. „პოლიტიკა“, 1993, #8
4. Р. Медведев, В. Ермаков, „Серый кардинал“, М., 1992
5. Крым: прошлое и настоящее, М., 1988

6. შ. ვადაჭვორია, ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წლებში, თბ., 2001
7. С. М. Червонная, Абхазия – 1992: Посткоммунистическая вандея, М., 1993
8. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1918-1921, თბ., 1990
9. ი. გელენავა, აფხაზეთის კულტურული ცხოვრების ისტორიიდან (1917-1921წწ.), თბ., 2003
10. დ. ჩიგაია, აფხაზეთის საკითხი საქართველოს პირველ რესპუბლიკაში, თბ., 2003
11. გ. ვაჩნაძე, ვ. გურული, რუსეთთან ერთად და ურუსეთოდ, თბ., 2007
12. რ. გაჩეჩილაძე, საქართველო მსოფლიო / კონტაქტში, თბ., 2013

## აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი საქართველოს შემაღებლობაში (1921-1931წ.).

აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრა დაკავშირებულია საქართველოს იძულებით გასაბჭოებასთან. ბუნებრივია, საბჭოთა ისტორიოგრაფიაში წითელი არმიის საქართველოში ინტერვენცია ინტერპრეტირებულია, როგორც წითელი არმიის მიერ „მშრომელი ხალხისადმი დახმარება“. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ საბჭოთა ლიდერები 1921 წელს საქართველოში წითელი არმიის შემოჭრას თავად ახასიათებდნენ ოკუპაციად და ინტერვენციად. მაგალითად, სტალინი მას ოკუპაციას უწოდებდა, ლევ ტროცკი – ინტერვენციას. ფილიპე მახარაძე დაუფარავად ამბობდა, რომ 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოში წითელი არმიის წინააღმდეგ თოთქმის მთელი საქართველო აჯანყდა [1, 32].

საქართველოს „გასაბჭოების“ პროცესში, კერძოდ 1921 წლის თებერვალში ცალკეული რეგიონების მხარდაჭერა რომ მოეპოვებინათ რუსეთის ზედა ეშელონებში მიიღეს გადაწყვეტილება, აფხაზეთი დამოუკიდებელ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოეცხადებინათ, ხოლო პარტიული ორგანიზაციისათვის აფხაზეთის კა ეწოდებინათ.

1921 წლის 13 თებერვალს კავკასიის ბიუროს რკპ (ბ) ცპ-ის წევრმა ა. საჯაიამ წერილით მიმართა აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრს მ. ცაგურიას, რომელშიც მოუწოდა ცრუ სოციალისტების – მენშევიკების – წინააღმდეგ აღემართათ რევოლუციის წითელი დროშა. ა. საჯაია პირდაპირ მიუთითებდა, რომ აჯანყებაში მონაწილეობის შემთხვევაში აფხაზეთი საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადდებოდა [1, 33].

ოქტომბრის გადატრიალებით მოპოვებული ხელისუფლების შენარჩუნება ბოლშევიკებმა ადრე გაცემული დაპირებების წყალობით მოახერხეს. მათი დაუყოვნებელი რეალიზაცია ახალი ხელისუფლების პრესტიჟისათვის იყო აუცილებელი და იმ მოსალოდნელ წინააღმდეგობათა თავიდან აცილებისათვისაც, რაც დაპირებათა შეუსრულებლობას უქმდებოდა მოპყვებოდა. ამასთან ერთად, ადგილობრივ მართვა-გამგებას ისეთი ფორმა უნდა ჰქონოდა, რომ ხელისუფლებისათვის ხალხის სრული მორჩილებით „სოციალიზმის მშენებლობისათვის“ საჭირო ვითარებაც ყოფილიყო გარანტირებული. გამოყენებულ იქნა იმპერიის ისტორიაში კარგად ცნობილი „სამოურავო სისტემა“; გარკვეული პირი, ამ შემთხვევაში მსხვილი პარტიული ფუნქციონერი, იბარებს ეროვნებასა თუ ერს ტერიტორიითურთ, კისრულობს პოლიტიკურ თუ სამეურნეო ვალდებულებებს, რომელთა შესასრულებლად აჲყავს ხელქვეითთა შტატი და თავისივე ხალხის მორჩილებისათვის ეყრდნობა მპყრობელი ერის სამხედრო ძალას. ამ ერთულებს დაერქვათ ავტონომიური „რესპუბლიკები“, „ოლქები“, „ნაციონალური ოკრუგები“ და სხვ.

ქართველი ერის დამოუკიდებლობა რუს ბოლშევიკებს ბურუაზიულ ნაციონალიზმად ჰქონდათ მონათლული, ასე იყო საჭირო მათი სახელმწიფოსათვის. ორჯონიქიძეს აქტიურად უჭერდა მხარს ქართველი ბოლშევიკების უმრავლესობა და, რა თქმა უნდა, თვით სტალინიც ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით. ქართველთა დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის აღმოსავხვრელად, პანაცეად იქცა ჩვენი ეროვნული ენერგიისა და ტერიტორიის დაქუცმაცება, ერთა შორის წინააღმდეგობათა გამწვავებისათვის ხელის შეწყობა.

კრემლის დიქტატით წარმოებული ეროვნული იდეოლოგია, ხელს უწყობდა „მოკავშირე“ რესპუბლიკებში მცხოვრები ეროვნულ უმცირესობათა კონსოლიდაციას. განსაკუთრებით ვისაც ავტონომიური სტატუსი მიანიჭეს. მათი უურადღების ხარჯზე ხდებოდა ძირითადი, აბორიგენი ერის უფლებების შეზღუდვა, ერთგვარი დაპირისპირების ხელოვნური შექმნა. უკანონოდ, სხვის მიწაზე სახელმწიფო ეროვნული წარმონაქმნებს გარკვეული ნაღმის როლი უნდა შეესრულებინათ იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ასეთი სახის რესპუბლიკა შეეცდებოდა საბჭოთა კავშირიდან გასვლას და დამოუკიდებლობის გამოცხადებას. აღნიშნულის თვალსაჩინო მაგალითია საქართველო, რომელიც კომუნისტური რეჟიმის ერთგვარ სასინჯევასა და „ლაბორატორიას“ წარმოადგენდა.

1921 წლის აპრილში რუსეთის სამხედრო ატაშე საქართველოში გენერალ-მაიორი პ. სიტინი მთავრობისადმი მოსკოვში გაგზავნილ საიდუმლო მოხსენებაში აღნიშნავდა, რომ საქართველოს ტერიტორიული და მატერიალური დასუსტებისათვის აუცილებელი იყო აფხაზეთის ტერიტორიის საქართველოსაგან ჩამოცილება. მისი აზრით „აფხაზეთის ჩამოშორება გამართლებულია ყველა მოსაზრებით და ამის განხორციელების დაგვიანება ჩვენთვის არასასურველი შედეგებით დამთავრდება“ [2, 10]. რუსეთის ხელისუფლებამ „ბრწყინვალედ“ განახორციელა აღნიშნული რეკომენდაცია.

ავტონომიური ერთეულების შექმნისას გარკვეული როლი შეასრულა ლოზუნგმა – კომუნიზმის დროს სულ ერთია მაინც წაიშლება საზღვრები ურთიერთშორისო. ანტიპატრიოტულად განწყობილი ქართველი ბოლშევიკების მიერ განხორციელებულ ამ უაღრესად მტკიცნეულ აქტს სრული გულგრილო-

ბით შეხვდა „კომუნიზმისა“ და „ინტერნაციონალიზმის“ დემაგოგიური ლოზუნგებით მოტყუებული ერის ერთი ნაწილი [3 25].

ცნობილია, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მოსკოვში ეშბამ და ორჯონიკიძემ მოილაპარაკეს, რომ აფხაზეთი შევიდოდა საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიური რესპუბლიკის უფლებით, ხოლო მოგვიანებით, როცა საქართველო კომუნისტების ხელში აღმოჩნდა, ეშბამ და აფხაზმა კომუნისტებმა შეიცვალეს პოზიცია. მათი აზრით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციამ დააფიქსირა აფხაზეთის ავტონომია, მაშინ საბჭოთა ხელისუფლებას „საგანგებოს“ – რევკომის სახით მეტი უნდა მიეცა მათოვის, ე.ი. გამოეცხადებინა აფხაზეთის დამოუკიდებლობა. ამით ენერებინა ეროვნული საკითხისადმი თავისი შედარებით „პროგრესული“ დამოკიდებულება.

მაშინ არავის მოსვლია აზრად, რომ არღვევდა (ფეხქვეშ თელავდა) საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას [4, 53, 54].

ბოლშევიკების მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა აფხაზეთში 1921 წლის 4 მარტს. 6 მარტს შეიქმნა აფხაზეთის რევკომი ე. ეშბას (თავმჯდომარე), 6. ლაკობასა და ი. აკირტავას შემადგენლობით. ფუნქციონირება დაიწყო აგრეთვე რკპ (ბ) აფხაზეთის საორგანიზაციო ბიურომ. ჯერ კიდევ 2 მარტს ეფრემ ეშბა აფხაზეთის არ შექმნილი რევკომის სახელით მოითხოვდა აფხაზეთის დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადებას ან აფხაზეთის შესვლას რსფსრ შემადგენლობაში.

1921 წლის 26 მარტს აფხაზეთის რევკომის წევრებმა ლენინსა და სტალინს მიმართეს წერილით, რომელშიც აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური

რესპუბლიკის გამოცხადებასა და მის რუსეთის ფედერაციასთან გაერთიანების საკითხს აყენებდნენ. ეს წერილი იყო საბჭოთა ეპოქის პირველი დოკუმენტი, რომელშიც აშკარად გამოიკვეთა აფხაზური სეპარატიზმი და მისი ჰეშმარიტი საწყისები.

აფხაზეთის რუსეთის ფედერაციასთან ინტეგრირება მიზნად ისახავდა ქართული ენისა და კულტურის ამოძირებას ძირდველ ქართულ მიწა-წყალზე. აფხაზური რევკომის წინადადებას მხარი დაუჭირა ს. ორჯონიქიძემ, ოუმცა ცენტრში საკითხის გარკვევამდე, აფხაზ ბოლშევიკებს ურჩევდა, თავი შეეკავებინათ რუსეთის ფედერაციასთან აფხაზეთის გაერთიანების განცხადებებისაგან. 27 მარტს ს. ორჯონიქიძემ ე. ეშბასთან პირდაპირი ხაზით საუბრისას მხარი არ დაუჭირა აფხაზეთის რუსეთის საბჭოთა ფედერაციაში გაერთიანების იდეას, ასევე ეშბას „მოსკოველი და ქართველი ამხანაგების მოსაზრება აფხაზეთისათვის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიტიკური სტატუსის მინიჭების თაობაზე“.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული აზრის თანახმად „სტალინს არ შეეძლო მხარი არ დაუჭირა აფხაზი სეპარატისტების მოთხოვნებისათვის, რადგან ისინი საბჭოთა რუსეთის წისქვილზე ასხამდნენ წყალს“. მაგრამ აფხაზეთი დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკად გამოაცხადეს არა მარტო ლენინის თანხმობით, არამედ სტალინის აქტიური თანამონაწილეობით. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების დამხობაში მონაწილეობისათვის აფხაზეთის ბოლშევიკურმა ხელმძღვანელობამ ჯილდოდ აფხაზეთის რესპუბლიკისათვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პოლიტიკური სტატუსის მინიჭება მოითხოვა.

აფხაზეთის საქართველოსაგან მოწყვეტას და ცალკე რესპუბლიკად გამოცხადებას, სადაც აღნიშნული პერიოდისათვის 70%-ზე მეტი ქართველი ცხოვრობდა, უარყოფითად შეხვდა ქართველი მოსახლეობის დიდი ნაწილი. გამოიტქვა მრავალი დასაბუთებული მოსაზრება, მაგრამ... [5].

1921 წლის 28-31 მარტს ს. ორჯონიგიძის ხელმძღვანელობით გაიმართა რკპ (ბ) ცკის კავკასიის ბიუროს, საქართველოს კპ ცკისა და აფხაზეთის რევკომის წევრთა თათბირი ბათუმში, სადაც აფხაზეთი დამოუკიდებელ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადდა. დადგენილებაში ნათელად იყო, რომ საკითხი „რსფსრ-თან საქართველოს სსრ-თან ფედერაციის შესახებ აფხაზეთის საბჭოების ყრილობის მოწვევამდე ლიად რჩებოდა“.

აფხაზ და რუს ბოლშევკებს შორის დადებული გარიგების შედეგად საქართველოში შეიქმნა ორი, სახელწოდების მიხედვით თანაბარუფლებიანი, საქართველოსა და აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები. 31 მარტს აფხაზეთის რევკომმა რუსეთის ფედერაციის, ჩრდილოეთ კავკასიისა და სამხრეთ კავკასიის რევკომის ხელმძღვანელებს ახალი აფხაზეთის სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა აცნობა.

საქართველოს პარტიულმა და დირექტიულმა ორგანოებმა ცნებს აფხაზეთის დამოუკიდებლობა, თუმცა ხაზს უსვამდნენ, რომ აფხაზეთის პოლიტიკური მდგრამარეობის საკითხს საბოლოოდ რეგიონის საბჭოების I ყრილობა გადაწყვეტდა [1, 34-35].

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთი დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან ანუ 1921 წლის 31 მარტიდან არსებითად არცერთ სფეროში დამოუკიდებელი არ იყო. ის მოსკოვსა და თბი-

ლის ექვემდებარებოდა. აფხაზეთი, როგორც დამოუკიდებელი რესპუბლიკა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოკუმენტებში საერთოდ არ ფიგურირებდა (არც რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტში, არც საბჭოთა კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ ორგანოში და არც სახალხო კომისართა საბჭოში) [6, 118]. აფხაზეთს, როგორც დამოუკიდებელ რესპუბლიკას არ ცნობდა ბოლშევიკ-კომუნისტების ბელადი ლენინი, რომლის 1921 წლის 14 აპრილის ცნობილ წერილში კავკასიის, კერძოდ: აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს, დაღესტნის და მთიელთა რესპუბლიკების კომუნისტებისადმი, აფხაზეთი საერთოდ არ მოიხსენია [7, 198]. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, იმით კი არ აიხსნება, რომ აფხაზებს თითებზე ჩამოსათვლელი არც თუ ცნობილი პიროვნებები ჰყავდათ, არამედ იმით, რომ ის არ ცნობდა ასპარეზზე შემთხვევით გამოჩენილ უცნობ, პატარა, ამბიციურ მხარეს, რომელიც მუდამ საქართველოს სახელს იყო ამოფარებული [8, 329]. ფაქტია, რომ ცოტა ხანში აფხაზეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკა არ ცნო სტალინმა. იგი, როგორც ეროვნებათა საქმის სახალხო კომისარი, რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის ა. ენექიძესთან მიმოწერაში აფხაზეთს ავტონომიად მოიხსენიებს, რის გამო მას თავისი წარმომადგენელი არ ჰყავდა ცალკე რსფსრ-ში, ამიტომ აფხაზეთს დამოუკიდებლად კრედიტის მიღებაც არ შეეძლო რსფსრ-გან. ი. სტალინი 1921 წლის 13 სექტემბერს აფხაზეთთან დაკავშირებით ა. ენექიძეს ატყიბინებდა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გარეშე აფხაზეთს არ შეეძლო რსფსრ-დან თანხის მიღება [8, 330]. აფხაზეთის ასეთ „დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკას“ მომავალში რა შედეგებიც მოჰყვებოდა კარგად იგრძნო ზოგიერთმა

ქართველმა და აფხაზმა ბოლშევიკმაც. მათი მეცადინეობის შედეგს წარმოადგენდა 1921 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე რკპ (ბ) ცკ პოლიტიკაში გარკვეული ცვლილებები, რომელმაც აიღო ორიენტაცია აფხაზეთის „აგტონომიზაციაზე“ საქართველოს სსრ შემადგენლობაში. თუმცა იყო განსხვავებული აზრიც. კერძოდ, 1921 წლის 15 ოქტომბერს აფხაზეთის რკპ (ბ) ორგბიუროს პლენუმმა მხარი დაუჭირა საქართველოსა და აფხაზეთს შორის მჯიდრო თანამშრომლობის დამყარებას, ორ მოკავშირე, თანასწორუფლებიან რესპუბლიკებს შორის „ოფიციალური ხელშეკრულების“ გაფორმების საფუძველზე. პლენუმის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, 21 ოქტომბერს, ე. ეშბაძ აფხაზეთის სტატუსის საკითხის გადაწყვეტის დაჩქარება მოითხოვა.

როგორც მასალებიდან ირკვევა, ე. ეშბას გარშემო გაერთიანდნენ ის ძალები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ აფხაზეთის საქართველოსთან სამოკავშირეო ხელშეკრულების დადგებას. 14 ნოემბერს ე. ეშბაძ აფხაზეთის უშუალოდ ამიერკავკასიის ფედერაციაში შესვლის საკითხი დააყენა. საპასუხოდ 16 ნოემბერს კავბიუროს რკპ (ბ) ცკ-ის პრეზიდიუმმა პოლიტიკურად მიზანშეეწონდა მიიჩნია აფხაზეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკის არსებობა და ე. ეშბას დაევალა, წარმოედგინა საბოლოო გადაწყვეტილება ან აფხაზეთის საქართველოს სსრ-თან ხელშეკრულების საფუძველზე ან რსფსრ-ში ავტონომიური ოლქის სტატუსით გაერთიანების შესახებ.

ის ფაქტი, რომ რსფსრ-თან ინტეგრაციის შემთხვევაში აფხაზეთი ავტონომიური ოლქის სტატუსს მიიღებდა, ხოლო საქართველოსთან სახელშეკრულებო ურთიერთობების ფორმატში საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად ცხადდებოდა, აშკარად ავლენს

ბოლშევკი ლიდერების დისკრიმინაციულ ეროვნულ პოლიტიკას საქართველოსთან მიმართებაში [1, 35-36].

ამდენად, 1921 წლის 16 დეკემბერს საქართველოსა და აფხაზეთს შორის გაფორმდა სამოკავშირეო ხელშეკრულება. გაერთიანდა რვა კომისარიატი, ხოლო საგარეო საქმეთა კომისარიატი საქართველოს გამგებლობაში დარჩა. რომელიმე სხვა სამხარეო გაერთიანებაში გაწევრიანება აფხაზეთს მხოლოდ საქართველოს მეშვეობით შეეძლო. საქართველოს წარმომადგენლობით ორგანოებში აფხაზეთს ადგილების 1/3 გადაეცა. „განსაკუთრებული სამოკავშირეო ხელშეკრულების“ საფუძველზე ფაქტიურად გაერთიანდა საქართველოსა და აფხაზეთის ტერიტორია. 1922 წლის თებერვალში აფხაზეთის საბჭოების პირველმა ყრილობამ დაამტკიცა აფხაზეთისა და საქართველოს სსრ სახელმწიფოებრივი გაერთიანება. ამავე დროს მიღებული საქართველოს სსრ კონსტიტუციაშიც აღინიშნა, რომ აფხაზეთი „უკავშირდება საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას – ამ რესპუბლიკათა შორის დადებულ, განსაკუთრებულ საკავშირო ხელშეკრულების საფუძველზე“ [9, 73]. 1922 წლის მარტში შექმნილ ამიერკავკასიის ფედერაციაში აფხაზეთი შევიდა, როგორც საქართველოს შემადგენელი ნაწილი.

ვ. ლენინმა აფხაზეთი არ ცნო აგრეთვე 1922 წელს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შექმნის დროს, როდესაც არც კი მოიკითხა და მოიხსენია მისი ე.წ. „დამოუკიდებელი“ რესპუბლიკა.

აფხაზი ისტორიკოსების მტკიცება, თითქოს „სტალინის ხრიკებით“ აფხაზეთს სოციალისტური რესპუბლიკიდან სტატუსი ავტონომიურ რესპუბლიკამდე ჩამოუქვეითდა, სინამდვილეს არ შეესაბამება. უდავოა, რომ აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური

რესპუბლიკა თავისი შინაარსით ავტონომიური წარმონაქმნი იყო. ჯერ კიდევ 1923 წლის 21 დეკემბერს აფხაზეთის საბჭოების II ყრილობის გახსნაზე ს. ორჯონივიძემ პირდაპირ განაცხადა: „აფხაზებმა უნდა იცოდნენ, რომ აფხაზეთი ავტონომიური რესპუბლიკა და თანასწორუფლებიანი ჩვენი კავშირის ფარგლებში“ [10, 153].

საბჭოთა რუსეთს თავისი წარმომადგენლები პყავდა ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში, ამიერკავკასიის რესპუბლიკიდან – საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. ამავე რესპუბლიკებს თავიანთი წარმომადგენლები პყავდათ რუსეთში. რუსეთსა და აფხაზებს შორის წარმომადგენლების გაცვლა არ მომხდარა. რუსეთს არც ხელშეკრულება გაუფორმებია აფხაზეთთან. მან მხოლოდ აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს სუვერენიტეტი ცნო. აფხაზეთი, როგორც დამოუკიდებელი რესპუბლიკა, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანისაგან განსხვავებით, არასოდეს არ ყოფილა საერთაშორისო სამართლის სუბიექტი. და ეს იმიტომ, რომ აფხაზეთი არ წარმოადგენდა რეალურად არსებულ დამოუკიდებელ (თუნდა საბჭოური გაგებით) რესპუბლიკას [11, 79].

აფხაზეთის სახელშეკრულებო რესპუბლიკას, როგორც ვხედავთ საკავშირო, ცენტრალური ხელისუფლება ფაქტობრივად ავტონომიური რესპუბლიკების რიგში განიხილავდა, რაც აისახა კიდეც სსრკავშირის 1924 წლის კონსტიტუციაში. კერძოდ, ძირიტადი კანონის IV თავის შენიშვნაში ნათქვამია, რომ

„Автономные республики Аджария и Абхазия и автономные области Юго-осетия, нагорный Карабах и Нахичеванская посылают в совет национальностей по 1 представителю“ [12, 227-229].

მიუხედავად ამისა 1925 წელს აფხაზეთის საბჭოების III ყრილობამ მიიღო კონსტიტუცია, რომელშიც აფხაზეთი სეპარატისტებმა სუვერენულ სახელმწიფოდ წარმოადგინეს (მუხლი მე-5), რაც კოლიზიაში მოვიდა ამავე კონსტიტუციის მე-4 მუხლთან. მასში ნათქვამია, რომ აფხაზეთი საქართველოსთან გაერთიანდა განსაკუთრებული სამოკავშირეო ხელშეკრულების საფუძველზე, საქართველოს მეშვეობით ის შედის ამიერკავკასიის სფსრ-ში და ამ უკანასკნელის მეშვეობით – სსრკ-ში. 1925 წლის კონსტიტუცია არ გამოვყენებულა და ამდენად ძალაში არ შესულა.

აფხაზეთის ზემოაღნიშნული ე.წ. „კონსტიტუცია“ იმდენად შეუსაბამო და წინააღმდეგობრივი იყო, რომ ის 1925 წლის 26 ნოემბერს (კომუნისტური პარტიის აფხაზეთის საოლქო კონფერენციაზე) დაგმო ნებართვით დაკობამაც. ამ უკანასკნელმა ასეთივე განცხადება გააკეთა საქართველოს კომპარტიის IV ყრილობაზეც 1925 წლის 2 დეკემბერს. მისი თქმით: ის აზრი ტრიალებდა აფხაზეთის პასუხისმგებელ მუშაკებში (მათ შორის მასშიც), რომ აფხაზეთი უშუალოდ უნდა შესულიყო ამიერკავკასიის ფედერაციაში, მაგრამ დასძენს 6. ლაკობა, ეს აზრი ჩვენ უკვე უარვყავით ერთხელ და სამუდამოდ – არა იმიტომ, რომ ამხანაგი მ. კახიანი (საქართველოს ცეკას მდივანი) დაგვემუქრა, არამედ იმიტომ, რომ ეს შეცდომაა, რადგან აფხაზეთი საქართველოდან საღმე წასვლას არ აპირებს, რადგან ასეთი აფხაზეთი როგორც ცელქი ბიჭის ხელით აშენებული მუყაოს სახლივით დაიშლება. ეს დაადასტურა შემდგომმა სინამდვილემ და საქმის ვითარებამ. 6. ლაკობას თქმითვე საქართველოსთან ურთიერთობაში მისი თანამოაზრების პირველი შეცდომა მდგომარეობდა იმაში, რომ მათ მიერ დაწერილ კონსტიტუციაში სა-

ქართველო და ამიერკავკასიის ფედერაცია წარმოდგენილი იყვნენ, როგორც გასასვლელი დერუფანი საბჭოთა კავშირისაკენ [13, 177-178].

შექმნილ ვითარებაში ამიერკავკასიის ხელმძღვანელობამ აფხაზეთის კონსტიტუციის გადასინჯვა და საქართველოსა და აფხაზეთს შორის ურთიერთობების კონსტიტუციურად გაფორმება დაიწყო.

1926 წლის 5 ივნისს საქართველოს ცკის მესამე მოწვევის სესიამ საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტი მიიღო, რომელშიც დაფიქსირდა აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი. კონსტიტუციის 83-ე მუხლში ნათქვამი იყო, რომ „აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა განსაკუთრებული ხელშეკრულების ძალით შედის საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში ხოლო მისი მეშვეობით – ამიერკავკასიის სოციალისტურ-ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკაში“ [9, 117]. კონსტიტუცია დამტკიცდა 1927 წლის 23 აპრილს სრულიად საქართველოს საბჭოების IV ყრილობაზე. რამდენად „დამოუკიდებელი რესპუბლიკა“ იყო აფხაზეთი ჩანს აღნიშნული კონსტიტუციის შინაარსიდან. კერძოდ, 88-მუხლში აღნიშნულია: „სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზე გასავრცელებლად გამოცემულ კოდექსებს, დეკრეტებს და დადგენილებებს სავალდებულო ძალა აქვთ აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე“. ხოლო 90-ე მუხლის მიხედვით „სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობას და სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს უფლება აქვთ გააუქმონ აფხაზეთის საციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საბჭოთა ყრილობის, ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს ყველა ის დადგენილება, რაც კი გწინააღმდეგება ამ კონსტიტუციას“ 91-ე მუხლში აღნიშნულია: „აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ბიუჯეტი მის შემდეგ, როდესაც მას დაამტკიცებს ამ რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, შემადგენელ ნაწილად შედის საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საერთო-სახელმწიფო ბიუჯეტში, რომელიც მტკიცდება ამა კონსტიტუციის 104-ე მუხლის წესისამებრ“ [9, 119].

საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე სათანადო შესწორებები და დამატებები შეიტანეს 1925 წლის აფხაზეთის კონსტიტუციაში, რომელიც საბოლოოდ 1927 წლის 7 მარტს, აფხაზეთის საბჭოების IV ყრილობაზე დამტკიცდა. საინტერესოა, რომ 1926 წლის აღწერის შედეგად აფხაზეთში 201016 სული აღირიცხა. აქედან, 71954 სული ქართველი, 51458 აფხაზი, 25677 სომები, 12533 რუსი და 14045 ბერძენი. დანარჩენი სხვა ეროვნებები [14, 89].

აქვე ავღნიშნავთ, რომ თვით აფხაზ მოღვაწეთა აღიარებით, აფხაზეთის დამოუკიდებლობა გამოცხადებულ იქნა „დროებით“, „ერთი წუთით“, „აბრისათვის“ და ა.შ., მაგრამ აფხაზეთი რეალურად არც „ერთი წუთით“, არც „დროებით“ არ ყოფილა დამოუკიდებელი. აფხაზეთი იმ 10 წლის მანძილზეც (1921-1931წწ.) სავსებით დამოკიდებელი იყო საქართველოზე, რომელიც თავისთავად ოკუპირებული იყო საბჭოთა რუსეთის მიერ და, ცხადია, დამოკიდებული იყო მასზე, შემდეგ – სსრ კავშირზე. როგორც დავინახეთ აფხაზეთის ბიუჯეტი საქართველოს ბიუჯეტის ნაწილს წარმოადგენდა. აფხაზეთის მთავრობა, პარტიული ორგანოები ანგარიშგალდებული იყვნენ

საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წინაშე. აფხაზეთი არა ცალკე, არა-მედ მხოლოდ საქართველოს მეშვეობით შედიოდა ამიერკავკასიის ფედერაციასა და სსრ კავშირის შემადგენლობაში. როგორც საქართველოს, ისე საკავშირო ორგანოები აფხაზეთს მუდამ განიხილავდნენ როგორც ავტონომიურ რესპუბლიკას [11, 81].

აფხაზეთის ზემოაღნიშვნული სტატუსი რომ არ შეეფერებოდა არც ისტორიულ და არც რეალურ ვითარებას კარგად გრძნობდნენ საბჭოთა სახელმიწოდოს მესვეურებიც. ადრე დაშვებული შეცდომის ნაწილობრივ გამოსწორებას ისახავდა მიზნად ცაკის 1930 წლის III სენა, სადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება გარდაექმნათ „ხელშეკრულებით“ აფხაზეთის სსრ აფხაზეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად საქართველოს შემადგენლობაში.

აქედან გამომდინარე 1931 წლის 11 თებერვალს საქართველოს სსრ და აფხაზეთის სსრ საბჭოების VI ყრილობების გადაწყვეტილებით აფხაზეთი შევიდა საქართველოს სსრ შემადგენლობაში ავტონომიური რესპუბლიკის უფლებით.

პროფ. ლ. თოიძის აზრით: „თუ ამ გარდაქმნებს ფორმალურ-სამართლებრივი კუთხით შევხედავთ, აფხაზეთის სოციალისტური რესპუბლიკის შეცვლა აფხაზეთის ავტონომიურ სოციალისტურ რესპუბლიკად, უქმდება და მისი სტატუსის შეზღუდვად მოგვეჩვენება. საკითხს თუ რეალურად მივუდგებით, ეს ტრანსფორმაცია, თვისი არსით, არაფერს ცვლიდა აფხაზეთის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში“. პრაქტიკულად, არ აქვეითებდა მის რეალურ პოლიტიკურ სტატუსს. ეს დონისძიება, მკვლევრის აზრით, ფაქ-

ტობრივად არსებული რეალობის ადეკვატური გამოხატულება იყო, აუქმებდა ფორმასა და შინაარსს, დეფაქტო და დე-იურე მდგომარეობას შორის არსებულ შეუსაბამობას. მკვლევარს მიაჩნდა, რომ ეს აქტი წარმოადგენდა „დაგვიანებულ შესწორებას იმ მყვირალა შეუსაბამობისა, რომელიც თავის დროზე დაუშვეს ლენინმა, სტალინმა და სხვა ბოლშევიკმა ლიდერებმა აფხაზეთის ეროვნული სახელმწიფოებრიობის დროს“ [1, 37-38].

ამრიგად, საქართველოს სასაზღვრო-ტერიტორიული ცვლილებების საკითხი მოსკოვმა თავიდანვე საკუთარ პრეოგატივად აქცია. საქართველოში შექმნეს სამი ავტონომიური წარმონაქმნი. ერთ ფიორა ტერიტორიაზე სამი ავტონომიის არსებობა ინტერნაციონალიზმის ორჯონიქიძის ეული გეგმის ნაყოფად უნდა ჩაითვალოს. ან უნდა მივიღოთ, რომ იგი ოქტომბრის გადატრიალების ჭეშმარიტ მიზნებში ჩინებულად ერკვეოდა – „დაყავი და იბატონე!“

ავტონომიასა და მის დაწესებულებებს ორასი, სამასი ისეთი თანამდებობა ახლავს, რომლებიც ამდენივე პირის კეთილდღეობას უზრუნველყოფს და ისე, რომ რაიმე გამორჩეული ნიჭი, ჭკუა და შრომის-მოყვარეობა საჭირო არ არი... მოურავი ამ თანამდებობებს ახლობლებსა და სანდო პირებში ანაწილებდა. იქმნებოდა სიბარიტების კასტა, რომელიც მომდევნო, მხევჭელთა ფეხის აყალიბებდა და მის კანონსაწინააღმდეგო საქმიანობას მფარველობდა ყოველთვიური ფულადი თუ სხვა რამ დირებულებრივი მოსართმების საკომპენსაციოდ. მხევჭელები, ხაზინისა და ხალხის ძარცვით, სარფიანი ადგილების გაყიდვით, სპეცულაციით, ხელქვეითთა დაბეგვრით, ქრთამითა და სხვა საშუალებებით მდიდრდებოდნენ, ამდიდრებდნენ მფარველებს და, რა თქმა უნდა, მორ-

ჩილებაში პყავდათ თავისი კლანები. ასე ხორციელდებოდა რეგიონში სიმშვიდე, სტაბილურობა და ადგილობრივი „პირველი კაცის“ გალდებულებების შესრულება [15, 19-20].

სრულიად შეუძლებელია ხორმალური ლოგიკით ასენა, თუ რატომ მიენიჭათ ერთგან ეროვნულ უმცირესობებს ავტონომიის სტატუსი და სხვაგან საერთოდ არაფერი, რომ ადარაფერი ვთქვათ ასეთი წარმონაქმნების ისტორიულ უნიადაგობაზე.

ვერც საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში და ვერც საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში ვერ იპოვით განმარტებას – როდის, როგორ, რა პირობით, რა უფლებებით შეიძლება მიიღოს ამა თუ იმ ხალხმა ავტონომიურობა. ყველა საბჭოური ავტონომია შექმნილია სსრკ-ის იმდროინდელ მმართველთა გუნება-განწყობილების შესაბამისად.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს ქვეყნების გამოცდილებაში და სამართლებრივ კონცეფციებში პოლიტიკური ავტონომია სრულებით არ გაევლინება ეროვნულ უმცირესობათა პრობლემების გადაჭრის გზად. არც ერთი საერთაშორისო დოკუმენტი არ შეიცავს ასეთი ავტონომიის შექმნის სახელწიფო გალდებულებებს [16].

საზგასასმელია ის გარემოებაც, რომ რუსეთში არსებულ ავტონომიებსა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში შექმნილ ავტონომიურ წარმონაქმნებს შორის პრინციპული განსხვავებაა და არ შეიძლება მათი საერთო, საბჭოთა სახელმწიფოს თვალთახედვით განხილვა. გარკვევით უნდა ითქვას, რომ რუსეთში არსებული თითქმის ყველა (თუ აბსოლუტურად ყველა არა) ავტონომიური წარმონაქმნი არის რუსეთის მიერ სხვადასხვა დროს დაპყრობილი თუ „ნებით შეერთებული“ (რა-

ტომ გასაგებია), მანმადე დამოუკიდებლად არსებული ქვეყნები. მაგალითად, ჩრდილო კავკასიის ტერიტორია, სადაც შემდეგ რუსეთის ფედერაციაში შემავალი ავტონომიური ერთეულები შეიქმნა, ჩრდილო ოსეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ხეჩენ-ინგუშეთის, დაღესტნის... სხვადასხვა დროს რუსეთის მიერ დაპყრიბილი, თუ სხვადასხვა პირობით შეერთებული მიწა-წყალია.

სულ სხვა ვითარებაა საქართველოში. ყველამ კარგად ვიცით, რომ აჭარა საქართველოა და აჭარლები ქართველები არიან. რა აბსურდული პრინციპით შეიქმნა აჭარის ავტონომია ესეც ყველას მოეხსენება. ის ტერიტორია კი, სადაც საბჭოთა ხელი-სუფლების დამყარების შემდეგ შეიქმნა აფხაზეთის და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ერთეულები, უძველესი დროიდან ქართული მიწა-წყლია, ქართულ სახელმწიფოთა ფარგლებში მყოფი რეგიონებია [17].

1992 წლის 3 მარტს ვაშინგტონში, რადიოსადგურ „ამერიკის ხმის“ სააქტო დარბაზში ჩატარდა კონფერენცია, რომელიც ბჭობდა ყოფილ საბჭოთა კავშირში არსებულ მდგომარეობაზე. განხილულ საკითხოებან ერთ-ერთი ცენტრალური იყო სიტუაცია კავკასიაში, მათ შორის საქართველოში. ამ თემაზე ისაუბრა ცნობილმა ამერიკელმა სოვეტოლოგმა, პროფესორმა ვიქსმანმა. პროფესორმა აღნიშნა, რომ „ჩემს მრავალ პუბლიკაციაში ვსვამ კითხვას: რატომ არსებობს აფხაზეთის ავტონომია? განა საგულისხმო არ არის ის ფაქტი, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა თავიდან მხოლოდ 34 ათასი აფხაზი-სათვის შეიქმნა? – ვიქსმანის მართებული დასკვნით – თავიანთი ტერიტორიის საკითხებს ქართველები

საქართველოში კი არ წყვეტდნენ, არამედ მოსკოვში ხდებოდა“ [18].

და ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ უგელა ეროვნულ უმცირესობას არ შეიძლება პქონდეს საკუთარი სახელმწიფოს შექმნის უფლება, რადგან, ეს, პირველ უოვლისა, არსებული სახელმწიფოების ტერიტორიულ მთლიანობას აყენებს საფრთხის ქვეშ და ეთნოკონფლიქტების გამოწვევის ერთ-ერთი მიზეზი ხდება. როგორც ცნობილია, საერთაშორისო სამართალი თვითგამორკვევის უფლებას აძლევს მხოლოდ კოლონიურ და დამოკიდებულ, ე.ი. ძალით მიერთებულ და მორჩილებაში მყოფ ხალხებს. ეროვნულ უმცირესობას კი, რომელიც სხვადასხვა ისტორიული კატაკლიზმების შედეგად უცხო ქვეყნების ბინადარი გახდა, მიუხდავად ცხოვრების დროის ხანგრძლივობისა, თვითგამორკვევის უფლება არა აქვს.

### გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ო. ქორდანია, პროფესორი ლევან თოიძე – აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მკვლევარი, კრ. „ლევან თოიძე 80“, თბ., 2009
2. გ. დანელია, ტოტლებენიდან გენერალ ლებედამდე, ქურნ. „პოლიტიკა“, 1996, №9-10
3. ვ. მჭედლიშვილი, იმპერიის მარწუხებში, თბ., 1990
4. А. Ментешашвили, Из истории взаимоотношении грузинского, абхазского и осетинского народа, Тб., 1990
5. გაზ. „ტრიბუნა“, 1922, 25 იანვარი
6. Дж. Гамахария, Б. Гогия, Абхазия историческая область Грузии, Тб., 1997
7. В. И. Ленин, Полн. Собр., соч. Т. 43

8. გ. გასვიანი, აფხაზეთი XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნეში, თბ., 2004
9. საქართველოს კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978), თბ., 1983
10. Съезды советов Абхазии, сб. Док. И Материалов (1922-1923 гг.), Сост. А. А. Тулумджян, Сухуми., 1959
11. ლ. თოიძე, საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923 წლები), თბ., 1999
12. История Советской конституции, сборник документов 1917-1957, АН СССР, М., 1957
13. Н. А. Лакоба, Статьи и речи, Сухуми., 1987
14. ა. თოთაძე, აფხაზეთის მოსახლეობა, ისტორია და თანამედროვეობა, თბ., 1995
15. აფხაზეთის სისხლიანი ქრონიკები, თბ., 1993
16. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1992, 31 იანვარი
17. გ. ლორთქიფანიძე, ომი მშვიდობამ უნდა შევვალოს, „საქართველოს რესპუბლიკა“, 1992, 12 იანვარი
18. გაზ. „დრონი“, 1992 25 აპრილი

**ეროვნულ უმცირესობათა რელიგიური  
სექტები საქართველოში XX საუკუნის  
50-იან წლებაში**

ყოველი რელიგია განსაზღვრავს ადამიანის ადგილსა და დანიშნულებას სამყაროში, თუ როგორ და რისთვის იცხოვროს. ეს კი მოითხოვს გარკვეული ზნეობრივი ნორმების დაწესებას, რომელთა დაცვა და შესრულება ადამიანს მიიყვანს სასურველ მიზნამდე.

დემოკრატიულ საზოგადოებაში რელიგია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან. მისი აღიარება არ არის საგალდებულო. ეს პიროვნების კერძო საქმეა.

ყოველ ადამიანს აქვს რწმენის თავისუფლება, რომლის მიხედვით, მას შეუძლია აირჩიოს ის რელიგია, რომელიც ყველაზე მისაღებად მიაჩნია ან საერთოდ უარი თქვას რელიგიაზე [1, 55].

მაგრამ რა არის რელიგიური სექტა? – ზოგიერთი პოლიტიკოსის მოსაზრებით, რელიგიური დაჯგუფება სექტა არ არის. ლექსიკონების დიდი ნაწილის მიხედვით „სექტა ქვეყანაში მოქმედი ძირითადი კონფესიის შედარებით მცირერიცხოვანი რელიგიური დაჯგუფებაა“. ეს განმარტებაც მთლად სრულყოფილად ვერ გადმოგვცემს ტერმინის შინაარსს.

თუ რელიგია ხასიათდება ღმერთობან კავშირისაკენ სწრაფვით, სექტანტურ მენტალიტეტში ყველაფერი იწყება და მთავრდება ლიდერით. სექტათა უმრავლესობა ამკვიდრებს ბრმა მორჩილებას, თაყვანისცემას ლიდერისადმი, რომლებიც იყენებენ პიროვნებაზე ძალადობის, პიპლოზის, შთაგონების სპეციალურად შემუშავებულ მეთოდს, რათა შეინარჩუნონ ლიდერისა და თემის ღოქტრინისადმი მათი მორჩილება [2, 111-112].

სექტა (ლათ. „Secta“ მოძღვრება, სკოლა) გაგებულია ისეთ რელიგიურ მიმდინარეობად, რომელიც არ სცნობს საკუთარი რელიგიის სჯულის კანონს და აღიარებს მხოლოდ წმინდა წერილს, ისიც მხოლოდ საკუთარი ინტერპრეტაციით. უფრო სწორად, მორწმუნე ადამიანთა გაერთიანებებს, რომლებიც გამოეყნენ და დაუპირისპირდნენ გაბატონებულ კათოლიკურ და მართლმადიებელ ეკლესიებს, აქვთ წარმოშობისა და განვითარების თავიანთი ისტორია, ორგანიზაციული სტრუქტურა და შემუშავებული რელიგიური დოგმატიკა, რელიგიური სექტები ეწოდება [3, 79].

რელიგიური სექტანტობა რელიგიური იდეოლოგიისა და ორგანიზაციის ერთ-ერთი ფორმაა. იგი დამახასიათებელია ყველა, მსოფლიო და ეროვნული რელიგიისათვის. იუდაიზმში, ქრისტიანობაში, ბუდიზმში, ისლამში, სხვადასხვა ისტორიულ პირობებში, გარკვეული სოციალური და პოლიტიკური ვითარების გამო, განსხვავებული რელიგიური მიმდინარეობა, სექტა ჩამოყალიბდა. ამავე დროს, მორწმუნე სექტანტები ხშირად დიდ შეურაცხყოფად იღებენ მათოვის სექტანტის წოდებით მოხსენიებას. არის შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე რელიგიური მიმართულება ერთ სახელმწიფოში სექტის სახელწოდებით არის წარმოდგენილი (მაგ. ბაპტიზმი ყოფილ სსრ კავშირში), მეორე სახელმწიფოში კი იგივე რელიგიური ორგანიზაცია გაბატონებულ რელიგიად არის აღიარებული (იგივე ბაპტიზმი აშშ-ში).

საქართველოში ქრისტიანული სექტების მრავალსახეობის არსებობა ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორთა ერთობლიობით არის განსაზღვრული, რომელთა შორის მნიშვნელოვანია ქართველი ერისათვის დამახასიათებელი რჯულთშემწყნარებლობა.

ჩვენთან ქრისტიანული სექტების გავრცელება, სხვა სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, განპირობებული არ ყოფილა სოციალურ-ეკონომიკური პირობებით.

ეს მოვლენა, ძირითად, განსაზღვრულია საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლების სარწმუნოებრივი ოავისებურებებით, მორწმუნეთა სამისიონერო საქმიანობით [3, 80-81].

ქრისტიანული რელიგიის სექტანტური ჯგუფების მრავალსახეობა დღის წესრიგში აყენებს მათი კლასიფიკაციის დაზუსტების აუცილებლობას. სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს რელიგიური სექტანტობის კლასიფიკაციის რამდენიმე მოდელი, მაგრამ საქართველოსათვის ყველაზე მისაღებია ქრისტიანული სექტების ორ ძირითად ჯგუფად დაყოფა. პირველ ჯგუფში უნდა გაერთიანდნენ ის „რუსული წარმოშობის“ სექტები, რომლებიც გამოხატავდნენ ბატონების, ცარიზმის, რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის კანონით შეუზღუდველი ბატონობისადმი წინააღმდეგობას, მათი გავლენისაგან თავდახსნის ძიებას. ასეთებია: დუხობორები, მალაკნები, სტაროაბრიაცები და სხვები.

მეორე ჯგუფის ქრისტიანული სექტები საზღვარგარეთული, პროტესტანტული წარმოშობის სექტებია. ისინი კაპიტალიზმის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე წარმოიშვნენ საზღვარგარეთის ქვეყნებში და „იმპორტის ფორმით“ გავრცელდნენ, როგორც რუსეთში, ასევე საქართველოში. ასეთებია: ბაპტისტები, ორმოცდაათიანელები, მეშვიდე დღის ადვენტისტები, იელოველები და სხვები. ბოლშევკისტები, როგორც ათეისტური იდეოლოგიის მატარებელნი, ყველა ღონეს იყენებდნენ რელიგიის წინააღმდეგ. უკავშირდებოდნენ ნებისმიერ მალას, თვით რელიგიურ მიმდინარეობებსაც კი, ოფიციალური ღვთისმსახურების შესასუსტებ-

ლად. შემთხვევით არ იყო, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის პროგრამაში ისინი სექტანტების მოკავშირედ გამოვიდნენ. ყრილობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში არის სპეციალური რეზოლუცია „სექტანტებს შორის მუშაობის შესახებ“, სადაც ნათქვამია: „.... სექტანტების მოძრაობა რუსეთში მისი მრავალი გამოხატულებით წარმოადგენს ერთ-ერთ დემოკრატიულ მიმდინარეობას, რომელიც მიმართულია არსებული წესების წინააღმდეგ“. მეორე ყრილობა მოუწოდებდა პარტიის ყველა წევრს ემუშავათ სექტანტების სოციალ-დემოკრატიასთან მიმხრობის მიზნით“ [4, 64].

ბოლშევკებმა ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, როდესაც პოზიციები მყარად განიმტკიცეს, ბუნებრივია, სექტანტებისადმი მათი დამოკიდებულება და პოლიტიკური შეფასებებიც შეიცვალა. ოუმცა, მაინც განსხვავებული პოზიცია ეკავათ სამღვდელოებასთან და ეკლესიასთან შედარებით.

საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკას რელიგიასთან და კერძოდ, მართლმადიდებლობასთან მიმართებაში რელიეფურად აჩვენებს ბიბლიურ პერსონაჟთან – ი უ დ ა ს თ ა ნ დამოკიდებულება.

ჭეშმარიტი ქრისტიანის პოზიცია იუდასადმი ცალსახაა – ის მოდალატის, გამცემის, ანგარებიანი კაცის სინონიმია [20, 29]. სახარების ამ ოდიოზურ ფიგურას საბჭოთა ხელისუფლებამ რუსეთის სხვადასხვა ქალაქში 91918 წ. ქ. სამარასთან ახლოს სვიაჟესქში, აგრეთვე ქ. კოზლოვში (დღევანდელ მიჩურინსქში) და ქ. ტამბოვში (1921 წ.), ძეგლი დაუდგა, როგორც „პ ა ც თ ბ რ ი თ ბ ი ს პ ი რ ვ ე ლ რ ე ვ თ ლ უ ც ი თ ნ ე რ ს“. ეს ლევ ტროცკის სიტყვებია, რომელმაც გახსნა აღნიშნული ძეგლები (რა თქმა უნდა ლენინის თანხმობით). სავსებით კა-

ნონზომიერია ის, რომ ერთ-ერთი ძეგლის კვარცხლბეჭზე მოგვიანებით ლენინის ბიუსტი დაიდგა. ეს ალბათ გასაკვირი არ უნდა იყოს, სწორედ ამ ხელისუფლებამ დახვრიტა ათეულ ათასობით სასულიერო პირი, ათასობით ეკლესია დახურა და დაანგრია [20, 30].

1922 წელს გამოიცა „დირექტივები ... სექტებთან და საერთოდ რელიგიურ ჯგუფებთან ურთიერთობის შესახებ“. დირექტივების მიხედვით ყურადღებით უნდა შეესწავლათ არსებული სექტანტური დაჯგუფები და ყოველგვარი რელიგიური ორგანიზაციები. იქ, სადაც არ ატარებდნენ მტრულ ხასიათს საბჭოთა ხელისუფლებისადმი, რეკომენდაცია მიეცათ სათანადო ორგანოებს თავი შეეკავებინათ მათი დეპნისაგან. ნება ეძლეოდათ დასახული მიზანი განეხორციელებინათ არსებული კანონის ფარგლებში [4, 69].

საქართველოს გასაბჭოოებისთანავე რელიგიაზე მკაცრი კონტროლი საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის ერთ-ერთი ატრიბუტი გახდა. ამიტომ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობას 20-30-იან წლებში საკმაოდ დრამატული ხასიათი ჰქონდა. ბოლშევიკურმა რეჟიმმა რელიგიისაკენ მოსახელობის ლტოლვას მისდაუნებურად უფრო მეტი სტიმული მისცა. ხელისუფლების ანტირელიგიური პოზიცია და საკუთრების სფეროში განხორციელებული რეფორმები მოსახლეობის დიდ ნაწილს აიძულებდა ეკლესიასა და სექტანტურ ჯგუფებში ეძებნა შვება და თავშესაფარი. მათ შორის იყო მრავალი ისეთი ადამიანი, რომლებიც ადრე რელიგიურობით არ გამოირჩეოდნენ. ჩვენი აზრით, მოსახლეობის ასეთი ნაბიჯები წარმოადგენდა, მართალია პასიურ, მაგრამ მაინც ბრძოლას ახალი რეჟიმის წინააღმდეგ.

მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა მთავ-

რობას იდეოლოგიურ ფრონტზე სიტუაციის გამწვავება ხელს აღარ აძლევდა და მისი პოლიტიკაც მოქალაქეთა სინდისის მიმართ ერთი შეხედვით უფრო ლოიალური გახდა [5, 349-350].

1944 წელს ევანგელისტი ქრისტიანები, ხოლო 1945 წელს ორმოცდაათიანელთა ნაწილი ბაპტისტებთან გაერთიანდა (თბილისელმა ორმოცდაათიანებ-ლებმა უარი განაცხადეს გაერთიანებაზე) [6, 196].

50-იან წლებში, მიუხედავად ხრუმშოვის მოჩვენებითი პრაგმატიული პოლიტიკისა, ხელისუფლება რელიგიური კონფესიებისა და სექტების მიმართ მკვეთრი ცვალებადობით გამოირჩეოდა. მაგალითად, 1954 წელს საქართველოში ფუნქციონირებდა 43 რელიგიური შენობა. აქედან 4 ეკლესია, 2 მეჩეთი, 2 პოლონელ კათოლიკეთა ეკლესია და 35 სამლოცველო სახლი. ამავე წელს რეგისტრირებული იქნა სომხურ-გრიგორიანული ეკლესიის 8 მღვდელი, 2 მქადაგებელი, 1 მამადიანი მოლა, 1 მუეძინი, 1 კათოლიკეთა მქადაგებელი, 1 ებრაელი რაბინი, 25 ხახამი, 1 „ექტ“ – უფროსი პრესკიტერი. ასევე, „ექტ“ და მოლოკანთა 11 პრესკიტერი [7, 9-10].

1956 წლის მონაცემებით ფუნქციონირებდა 200 ეკლესია და სამლოცველო სახლი. აქედან ყოველ-დღიურად მოქმედებდა 8, ყოველ კვირას და რელიგიურ სადღესასწაულო ღებული – 30, წელიწადში 2-3-ჯერ – 8. ხოლოდ ერთი – მცხეთაში, სამთავროს წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიაში არ მიმდინარეობდა რელიგიური მსახურება [8, 9-10].

1957 წლიდან ხელისუფლებამ რადიკალურად გაამკაცრა რელიგიასთან დამოკიდებულება და საქართველოში მხოლოდ 43 ეკლესიას და 5 სამლოცველო სახლს შეუნარჩუნა ფუნქციონირების უფლება [9, 23-24]. ხელისუფლების აღნიშნულმა პოლიტიკამ

საპირისპირო შედეგი გამოიღო და ქრისტიანული სექტების უფრო მეტად გააქტიურება და მრევლის ოაოდენობის ზრდა გამოიწვია. ეს პროცესები შესამჩნევი გახდა ქალაქებში მოქმედ რელიგიურ გაერთიანებებში. სოფლებში ანდა ნაკლებად ხალხმრავალ რეგიონებში სექტანტები თითქმის არ ცხოვრობდნენ. ადნიშნული გარემოება, სხვა მიზეზებთან ერთად, იმით იყო გამოწვეული, რომ ქალაქში ადამიანის ბედისადმი დაინტერესებას ნაკლები ყურადღება ექცეოდა. კარჩაკეტილობამ, ადამიანთა შორის კომუნიკაციების შეზღუდვამ, „ერთ სადარბაზოში ცალკე ცხოვრებამ“, ხელი შეუწყო იმას, რომ ადამიანთა იმ ნაწილმა, რომელმაც ვერ იგრძნო სასურველი მხარდაჭერა, ადამიანური სითბო, ამ დანაკლისის კომპენსირებას სექტანტ „და-ძმების“ ურთიერთობაში დაუწყო ძებნა. როგორც გამოკვლევებმა აჩვენა, ეს ადამიანები სექტაში მაშინ გაერთიანდნენ, როდესაც ცხოვრებაში დროებითი ხასიათის სიმნივეები შეექმნათ, ვერ გადალახეს ისინი და დაენდნენ სექტანტ „პროპაგანდისტების“ ნათქვამს.

ამ პერიოდში ბაპტისტური ეკლესია ითვლებოდა პროტესტანტული ტიპის უმსხვილეს ეკლესიად მკეთრად გამოხატული დოგმატიკით, კულტით, მისიონერული მოღვაწეობისა და ცენტრალიზებული ორგანიზაციის მეთოდებით [10, 3, 6].

წითელწეროს რაიონში ბაპტისტების უმრავლესობა რუსეთიდან იყო ჩამოსული. მხოლოდ 8 სული იყო აგილობრივი. ბაპტისტები ყოველ კვირას იკრიბებოდნენ ერთ-ერთი მორწმუნის ბინაში [11, 90].

1955 წელს ბათუმში მცხოვრებმა ბაპტისტებმა განცხადებით მიმართეს ქალაქის საბჭოს ნება მიეცა ოფიციალურად, რომ წყლით მონათვლა ჩაეტარები-

ნათ. განცხადებას ხელს აწერდა ბაპტისტთა ოემის 18 წევრი. აქედან 12 წევრი უკრაინელი იყო და 6 რუსი. მათგან არცერთს არ ჰქონა უმაღლესი განათლება. ისინი საქართველოში 30-50-იან წლებში ჩამოვიდნენ საცხოვრებლად [12, 1, 3, 4]. საერთოდ, მორწმუნეთა საზოგადოება თუ რეგისტრაციაში გატარდებოდა, ხელისუფლებასთან უნდა გაეფორმებინა ხელშეკრულება, სადაც გათვალისწინებული იყო ორმხრივი ვალდებულებანი.

მორწმუნეთა საზოგადოება ვალდებულებას კისრულობდა გაფრთხილებოდა მათთვის გადაცემულ სამლოცველო შენობასა და სხვა ქონებას და გამოეყენებინა მხოლოდ დანიშნულების შესაბამისად. მორწმუნებებს უფლება ეძლეოდათ, როგორც შენობა, ასევე იქ არსებული კულტის საგნები გადაეცათ სარგებლობის უფლებით „თანამორწმუნებისათვის“ მხოლოდ და მხოლოდ რელიგიურ მოთხოვნილებათა დასაქმაყოფილებლად. არ დაეშვათ რელიგიური წესის შესრულება კულტის მსახურის მიერ, რომელიც არ იყო გატარებული რეგისტრაციაში საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს რწმუნებულთან [13, 19].

1959 წელს თბილისში იყო გვანგელისტ-ბაპტისტთა ერთი სამლოცველო სახლი დიდუბეში, რომელიც 954 წევრს აერთიანებდა. მათგან 254 მუშაობდა წარმოებაში და დაწესებულებებში, დანარჩენები იყვნენ დიასახლისები და პენსიონერები. საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიური კულტების საბჭოში რეგისტრირებული იყო მხოლოდ ერთი სამლოცველო სახლი თბილისში ერთი რელიგიური თემით. მაგრამ, ფაქტობრივად, სამლოცველო სახლში მოქმედებდა სამი დამოუკიდებელი თემი – რუსული, სომხური და ქართული, რომლებიც ცალ-

ცალკე ატარებდნენ რელიგიურ რიტუალებს და პყავ-დათ თავისი ხელმძღვანელები.

სამლოცველო სახლს მართავდა თემის საბჭო, რომელშიც შედიოდნენ ჩამოთვლილი ეროვნებების რელიგიურ თემთა პრესვიტერები [14, 33-34].

თემთან ფუნქციონირებდა სარევიზიო კომისია ხუთი წევრით. ამასთან ერთად, თემის საქმიანობაში მონაწილეობას იღებდა ე.წ. „ოცეული“ 40 კაცის შემადგენლობით.

რუსულ, ქართულ და სომხურ პრესვიტერთა დასახმარებლად თემებში აირჩიეს 26 მქადაგებელი, რომლებიც რელიგიურ შეკრებებზე გამოდიოდნენ ქადაგებით წმინდა წერილიდან.

ბაპტისტების თემი აწყობდა საღამოებს, სადაც კითხულობდნენ რელიგიურ ლექსებს. სამლოცველო სახლში შეიქმნა გუნდი, რომელიც მღეროდა მუსიკალური ინსტრუმენტის თანხლებით.

თბილისის სამლოცველო სახლის რიცხობრივი შემადგენლობა მკეთრად იზრდებოდა. მაგალითად, თუ 1958 წელს წყლით მონათვლის დროს გვანგელისტ-ქრისტიან ბაპტისტთა თემში მიიღეს 46 ახალი წევრი, 1959 წელს უკვე – 176 [14, 35].

50-იანი წლების დასაწყისში თბილისის მეშვიდე დღის ადვენტისტთა თემი 26 კაცს ითვლიდა. ორ წლიწადში მათი მიმდევრების რიცხვი 60-მდე გაიზარდა. შაბათ-კვირას ისინი ასრულებდნენ რელიგიურ რიტუალებს. ადვენტისტთა „ეკლესია“ 1908 წელს გაიხსნა. საბჭოთა რეჟიმის პერიოდში თემი ექვემდებარებოდა საბჭოთა კავშირში არსებულ მათ სასულიერო ცენტრს, რომელიც მოსკოვში ფუნქციონირებდა. ცენტრი წარმოადგენდა ლეგალურ სტრუქტურას [15, 27]. რადგან მათი ეკლესიად წოდებული სამლოცველო სახლი აღარ მოქმედებდა, ამიტომ რიტუალებს

ატარებდნენ შეთანხმებით, დიდუბის შესახვევში №8, ბაპტისტთა სამლოცველო შენობაში [14, 52].

1958 წლის 22 მარტს რელიგიური რიტუალების შესრულების დროს სამლოცველო სახლში შეიქრნენ სუკის თანამშრომლები, რომლებმაც შეაწყვეტინეს დვოისმსახურება, წართვეს ლიტერატურა, როგორიც იყო 1927 წელს მოსკოვში ოფიციალურად დაბეჭდილი კრებული – სასულიერო სიმღერები „სიონის ფსალმუნები“ [16, 27].

რაც შეეხება დუხობორებს რელიგიურობა ძველი ინტენსიურობით 50-იან წლებში აღარ ხასიათდებოდა. რელიგიისადმი ლტოლვა უფრო მეტად იყო შემორჩენილი ასაკოვან ადამიანებში. მათვის „წმინდა“ ადამიანის გარდაცვალების შემთხვევაში, მორწმუნე ქალები და ბავშვები რელიგიურ რიტუალებს აწყობდნენ გარდაცვლილის საფლავთან. უკლიდნენ გარშემო და რელიგიურ სიმღერებს მღეროდნენ.

დუხობორთა ყოველ სოფელში იყო მათი რელიგიური ხელმძღვანელი, რომელთანაც იკრიბებოდნენ მორწმუნები და ასრულებდნენ რელიგიურ რიტუალებს [7, 18].

50-იან წლებში საქართველოს ტერიტორიაზე ითვლებოდა დაახლოებით 3 ათასი მოლოქნის ოჯახი. თბილისში ოფიციალურად მოქმედებდა მოლოქნების 4 სამლოცველო სახლი, სადაც სისტემატიურად დადიოდა 1800-ზე მეტი მორწმუნე. მოლოქნების დიდი ნაწილი მოსული იყო ყარსისა და არდაგანის მხრიდან (თურქეთი), ამ მხარეში მცხოვრებლებთან მათ შემდგომშიც პქონდათ ნაოგაური ურთიერთობები.

ბავშვის დაბადების დროს მოლოქნები არავითარ რიტუალს არ აწყობდნენ. ქორწინების დროს კი საზოგადოების პრესვიტერი მორწმუნის ოჯახში, როდესაც საქორწინო ცერემონიალი ტარდებოდა კით-

ხულობდა სპეციალურ ლოცვას, რათა ახალდაქორწინებულებს ეცხოვრათ მშვიდობიანად და სიყვარულით. სიკვდილამდე ერთად ყოფილიყვნებ და არ დაევიწყებინათ ღმერთი. რიტუალი გრძელდებოდა 10-15 წუთი. შემდეგ იმართებოდა საქორწინო ტრაპეზი. ალკოგოლიურ სასმელებს მოლოკნები ქორწილის დროსაც არ იდებდნენ.

სექტანტის სიკვდილის შემთხვევაში საზოგადოების პრესვიტერი მორწმუნის სახლში გარდაცვლილის სასაფლაოზე დაკრძალვამდე კითხულობდა სპეციალურ ლოცვას. დაკრძალვის შემდეგ საზოგადოების მორწმუნეთა ნაწილი ბრუნდებოდა გარდაცვლილის სახლში გამოსათხოვარ სადილზე. სადილის ხარჯებს მოლოკანთა საზოგადოება იხდიდა [16, 19].

მოლოკნებში განქორწინება დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდა. მამაკაცი მეუღლესთან გაცილების შემთხვევაში თუ მეორე ცოლს შეირთავდა, ადარ პქოდნა უფლება ყოფილიყო რელიგიური საზოგადოების დამფუძნებელი საბჭოს წევრი [7, 11].

1957 წლიდან თბილისში ტურისტის რანგში ხშირად ჩამოდიოდნენ მოლოკნები აშშ-დან, რომლებიც ხვდებოდნენ თავის ნათესავებსა და ნაცნობებს და გადასცემდნენ საჩუქრებს. ასეთი კონტაქტები მოლოკნების აქტივიზაციას იწვევდა [14, 50].

ამავე პერიოდში თბილისში მოქმედებდა სექტანტური ჯგუფი „პრივუნები“, რომელიც ითვლიდა 100-ზე მეტ მორწმუნებს. ისინი ძირითადად ცხოვრობდნენ თბილისის განაპირა რაიონებში: ღრმადელები, ნავთლურში და ავჭალაში. მრავალი მათგანი მოლოკნების მსგავსად ყარსიდან და არდაგანიდან იყვნენ ჩამოსული. მათაც მჭიდრო კავშირი პქონდათ თურქეთში, აშშ და კანადაში მცხოვრებ ნათესავებთან.

სექტის წევრები იკრიბებოდნენ ყოველ კვირას

რიტუალების ჩასატარებლად ცალკეულ მორწმუნეთა ოჯახებში. ლოცვის დროს რელიგიური სიმღერით ყველა სექტანტი ხტუნავდა. პრიგუნების სექტა აკრძალული იყო და რეგისტრაციას არ ექვემდებარებოდა, რამდენადაც მათთან დაშვებული იყო რელიგიური რიტუალების დროს „მიუღებელი ფორმები...“ [14, 52].

ჩვენთვის საინტერესო პერიოდში თბილისში და საქართველოს ზოგიერთ რაიონში სხვა სექტანტურ მიმდინარეობათა მსგავსად შედარებით აქტიურად მოქმედებდნენ „ორმოცდაათიანელები“, რომელთა რიგები ითვლიდა 550-მდე წევრს.

განსაკუთრებული მისტიკური რელიგიური მოქმედების გამო ეს სექტა საბჭოთა კავშირში აკრძალული იყო და რეგისტრაციას არ ექვემდებარებოდა. სექტანტები რიტუალების შესრულების დროს დასაშვებად თვლიდნენ ფიზიკურ თვითგვემას, რაც იწვევდა ნევროზულ დაავადებებს [14, 36].

XX საუკუნის 40-იანი წლებიდან თბილისში მოქმედებდა მცირერიცხოვანი, მაგრამ კარგად ორგანიზებული იეღოველების ჯგუფი, რომლის ხელმძღვანელი იყო „ამიერკავკასიის ძმობის“ ლიდერი მიხეილ ხაჩატურიანი. ის ადრე გასამართლებული იყო იეღოვას მოძღვრების პროპაგანდისათვის. 1959 წლისათვის თბილისში იეღოველების რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდა. ხელისუფლებისაგან დევნას განიცდიდნენ. ამიტომ სხვადასხვა დონისძიებით ცდილობდნენ ყოფილიყვნენ ახლო ურთიერთობაში. თბილისელი, თელაველი და ტყიბულელი იეღოველები ფარულ შეხვერებს აწყობდნენ [14, 49].

50-იან წლებში აჭარის ტერიტორიაზე მნიშვნელოვნად აქტიურობდა „სუბოტინკების“ სექტა. როგორც ცნობილია მათი მოძღვრება ძირითადად ძველ აღთქმას ეყრდნობა. უარყოფენ სამებას. ქრისტეს აც-

ხადებენ უბრალო წინასწარმეტყველად. იცავენ წინააცვეთის ძველ ებრაულ წესს, შაბათის ღღესასწაულს (აქედან სახელწოდება). უარყოფენ ქრისტეს მოძღვრებას, ხატთა თაყვანისცემას, კვირადღის წესებს, ბავშვებს არქმევდნენ ებრაულ სახელებს და საერთოდ იმდენად „ებრაელობდნენ“, რომ მრავალი მათგანი ითხოვდა ისრაელში წასვლას[17, 177].

აჭარაში „სუბოტნიკები“ ძირითადად ცხოვრობდნენ ბათუმში, ბათუმისა და ქობულეთის რაიონებში. რიტუალების შესრულება თვითგვემით, ზნეობრივი და ფიზიკური დამცირებით მთავრდებოდა. ამიტომ აღნიშნული სექტის საქმიანობა აკრძალული იყო. მიუხედავად ამისა 1958 წელს სექტანტი სუბოტნიკების რიცხვი 300-მდე გაიზარდა [18, 15].

როგორც ვხედავთ, აღნიშნულ პერიოდში საგრძნობლად გამოცოცხლდა სექტანტური მოძრაობა.

ასევე, იყო მცდელობა არატრადიციული რელიგიების შემოტანისა. კერძოდ, 1959 წელს საბჭოთა კავშირის ბუდისტების საზოგადოებამ მოიწვია ბუდისტთა მსოფლიო ძმობის ვიცე-პრეზიდენტი, რომელიც იყო ამავე დროს ნეპალის ბუდისტთა საზოგადოების „დ ხ ა რ მ ო დ ა ი ა ს ს ა ბ ხ ა ს“ პრეზიდენტი – ა მ ი რ ტ ა ნ ა ნ დ ა ბ ხ ი ა ბ ხ უ, თავის ქალიშვილთან ვიმლა დევისთან ერთად. ვიზიტის პროგრამაში შედიოდა მისი ჩამოსვლა სოჭში, სოსუმში და ბათუმში, რაც განხორციელდა კიდევ [19, 1]. საქართველო შემთხვევით არ ყოფილა შერჩეული.

აღნიშნულ პერიოდში, რელიგიური სექტების აქტიურობა მიმდინარეობდა საქართველოს ეკლესიის შედარებით პასიური მოღვაწეობის ფონზე; რაც გამოწვეული იყო კომუნისტური მმართველობის საეკლესიო პოლიტიკით. მთავარი კონტროლი მართლმადიდებლობისაგან იყო მიმართული.

## **გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. ვ. ერქომაიშვილი, ფილოსოფია, თბ., 2005
2. ლ. მდებრიშვილი, თანამეროვე ეთნო-რელიგიური პროცესები მცხეთის რაიონის სოფლებში, „მარი ბროსეს დაბადებიდან 200 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია“, თბ., 2000
3. დ. გეგეშიძე, საუბარი ათეიზმსა და რელიგიაზე, თბ., 1988
4. М. Г. Кирichenko, Свобода совести в СССР, М., 1985
5. 6. პაპუაშვილი, რელიგიის ისტორია, თბ., 1996
6. ქსე, ტ. 2, თბ., 1977
7. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (შემდეგში სუიცსა), ფ. 600, ანაწ. 16, საქ. 262
8. სუიცსა, ფ. 1880, ანაწ. 3, საქ. 262
9. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (შემდეგში (სშსსა), ფ. 14, ანაწ. 32, საქ. 281<sup>2</sup>
10. Г. С. Лялина, Баптизм, М., 1977
11. სუიცსა, ფ. 1880, ანაწ. 4, საქ. 4
12. სუიცსა, ფ. 1880, ანაწ. 1, საქ. 32
13. სუიცსა, ფ. 1880, ანაწ. 4, საქ. 10
14. სშსსა, ფ. 14, ანაწ. 34, საქ. 438
15. სუიცსა, ფ. 1880, ანაწ. 1, საქ. 23
16. სუიცსა, ფ. 1880, ანაწ. 1, საქ. 4
17. ა. გელოვანი, რწმენა, დმერთები, ადამიანები, თბ., 1990
18. სუიცსა, ფ. 600, ანაწ. 18, საქ. 231
19. სუიცსა, ფ. 1880, ანაწ. 1, საქ. 36
20. გ. შელეგია, საბჭოური პარადოქსები და... მომავლის იმედი, „საისტორიო გერტიკალები“, 2012, №24

**ეროვნულ უმცირესობათა ბანსახლების  
რაიონები საქართველოში XX საუკუნის  
20-30-იან წლებში**

XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ჩვენ სამშობლოში განსაკუთრებით ინტენსიურად ჩამოდიან და სახლდებიან უცხო ეროვნების წარმომადგენლები; ეს პასუხობდა რუსეთის პოლიტიკას – რაც შეიძლება მეტი უცხო ელემენტი დაემკვიდრებინათ საქართველოში, რომ ქართველ ხალხს თავისი ეროვნული პოტენციალი დამოუკიდებლობის მისაღწევად კი არ გამოყენებინა, არამედ ამ ეთნიკური ჯგუფების პრობლემების მოსაგვარებლად [1, 28].

ბუნებრივი მატების მხრივ ყველაზე კარგ პორობებში აღმოჩნდნენ რუსები, გერმანელები, ბერძენები და ოსები. რუსეთმა საქართველოს საზღვრისპირა რაიონებში მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა მექანიკური და ძალადობრივი გზით ქართველთა საზიანოდ შეცვალა. ამ გზას ადგა, როგორც თეთრი, ისე წითელი რუსეთი [2, 107].

უმცირესობის სტატუსს საბჭოთა პერიოდში თავისი დადებითი მხარე ჰქონდა. ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებს გარკვეული შედავათი ეძლეოდათ, რაც ერთის მხრივ, დომინირებულ ერში თავისთავად იწვევდა ფარულ გულისწყრომას, მეორეს მხრივ კი ეროვნულ უმცირესობებს აძლევდა უსამართლო პრეტეზზიების წამოყენების საშუალებას.

უმცირესობის წარმომადგენლები ნებისმიერ „საბჭოურ დისკრიმინაციას“, იგივეს რასაც განიცდიდა დომინირებული ერის წევრი ეროვნულ ჩაგვრად აღიქვამდა. ისიც უნდა ითქვას, რომ ამა თუ იმ საქმის მოგვარებას „პუთვნილი სტატუსის“ გამოყენებით ახერხებდა, მაგრამ შედავათების არსებობის აფიში-

რებას გაურბოდა, რადგანაც არ სურდა, ეროვნული უმცირესობის სტატუსის აღიარება. უფრო სწორად, საბჭოთა პერიოდში „ეროვნული უმცირესობის“ წარმომადგენლად ყოფნა არ ითვლებოდა პრესტიჟულად [3, 36].

დროთა განმავლობაში ლიმიტროპულ ზონაში მაცხოვრებელმა ეროვნულმა უმცირესობებმა გაბატონებულ მდგომარეობას მიაღწიეს (იქ, სადაც ქართველები უმცირესობას შეადგენდნენ, ასეთი კი 20 რაიონია) და დაიწყეს თავის მიკროტერიტორიაზე მოსახლე ქართველების (ამ შემთხვევაში უმცირესობის შევიწროება, გასაქანი მიეცა ასიმილაციის პროცესს. დაირღვა ადამიანის უფლებები [3, 44].

საბჭოთა რეჯიმის დამყარებასთან ერთად მრავალი უცხო ეროვნების წარმომადგენელი მოაწყდა საქართველოს საზღვრებს, რამაც ტერიტორიის აჭრელება გამოიწვია. 1921 წლის გაზაფხულზე რკინიგზაზე შეიმჩნეოდა დიდი რაოდენობის სომები და თურქი ლტოლვილების შემოსვლა. ისინი მოძრაობდნენ სტიქიურად, ყოველგვარი გეგმის გარეშე [4, 94]. ოსმალეთიდან ლტოლვილი სომები გაიფანტნენ ბორჩალოში, ახალ ქალაქში, გორში, თბილისში და ა. შ. სომხობა იმდენად დაიქსაქსა, რომ დიდმა ნაწილმა ენაც კი დაივიწყა [5].

მეტად მტკიცნეულ საკითხს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ თითქმის ყველა სასაზღვრო ზოლში კომპაქტურად ცხოვრობდნენ არაქართველები. ისინი ხშირ შემთხვევაში მტრულად იყვნენ განწყობილი ქართველებისადმი. მეხადირიდან დაწყებული რესპუბლიკა რკალივით იყო გარშემორტყმული ან უცხო ტომის ხალხით, ან კიდევ ისეთებით, რომელთაც არ გააჩნდათ ქართული თვითშეგნება [6, 312].

საბჭოთან რეჟიმის დამყარების პირველ წლებში ბოლშევკები ადამიანის ეროვნულ კუთვნილებას უურადღებას არ აქცევდნენ, თითქოს არც აინტერესებდათ. გრაფა ეროვნების აღსანიშნავად, როგორც ცნობილია, მხოლოდ 1924 წლიდან ჩნდება. თუმცა არც ამის შემდეგ გაუმახვილებიათ უურადღება ამ საკითხზე. აი, ერთ-ერთი დამახასიათებელი შემთხვევა: ქ. გორის 1924 წ. საქორწინო აქტში 24 წლის თოროზ გრიგოლის ძე თოროზოვს, ეროვნების გრაფაში ეწერა, რომ ის არის „ინტერნაციონალისტი“ [7, 68].

მნიშვნელოვანია, რომ თუ 1800 წელს არაქართული მოსახლეობა საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 11% შეადგენდა, 1897 წელს არაქართველთა ხვედრითი წილი 32%-მდე გაიზარდა. XIX საუკუნის დამლევისათვის საქართველო კიდევ უფრო მრავალეროვანი ქვეყანა იყო, ვიდრე წინა საუკუნეებში. ამ პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილი იყო მრავალი სოფელი, რომელთა მოსახლეობა მთლიანად არაქართველთაგან (სომხები, ბერძნები, რუსები) შედგებოდა და ყოფა-ცხოვრებით დიდად არ განსხვავდებოდა აბორიგენი მოსახლეობისაგან. კიდევ ურფო მრავალეროვანი გახდა ქალაქები, სადაც აღებ-მიცემობას უმთავრესად არაქართველები მისდევდნენ [8, 766-767].

XX საუკუნის 20-იან წლებში არაქართველები 851 557 სულს, ანუ მოსახლეობის 32, 3% – შეადგენდნენ. ამ დროისათვის საქართველოში ცხოვრობდა 19 კომპაქტურად და 33 გაფანტულად დასახლებული ეროვნება [9, 33]. მოსახლეობის დინამიკა გვიჩვენებს, რომ 20-30-იან წლებში შეიმჩნეოდა ქართველი მოსახლეობის ზრდის შემცირება. მაგალითად, 1922 წელს ქართველები საქართველოს მოსახლეობის 74, 7%-ს

შეადგენდნენ, 1926 წელს 70, 9%-ს, ხოლო 1939 წლის მონაცემებით 64, 6%-ს [10, 51].

არაქართველი მოსახლეობის ხვედრითი წილი განსაკუთრებით გაიზარდა თბილისის გარშემო სოფ-ლებში. მაგალითად, მანგლისის მოსახლეობა ძირითა-დად რუსებისაგან შედგებოდა [11, 293]. საბურთალო-ში ნახევარზე მეტს თურქები შეადგენდნენ [12]. 1923 წელს მუხრანთან, ჭალისთავში, დასახლდა რამდენი-მე კომლი მოახალშენე თურქი [13, 5]. თურქების ხვედრითი წილი ასევე დიდი იყო თელოვანში, თხინ-ვალის აგარაკში, მსხალდიდში, შლამიანთ ხევში, ძაღლანთ ხევში, წოდორეთში [14, 58], ბაგებში [15], წყნეთში [16], დიდ თონქეთში [17], კუმისში [18], დი-ღომში, მუხათგვერდში [14, 58], თბილისთან ახლოს მდებარე მამუკიანთ სოფელში [19] მოსახლეობის გარ-კვეული ნაწილი სომხები და ქართველი გრიგორიანე-ლები იყვნენ.

სომხებმა ორგანიზებულად დაიწყეს საქართვე-ლოს ტერიტორიაზე კომპაქტურად დასახლება. სწო-რედ ასეთი შორსგამიზნული პოლიტიკის შედეგი იყო, რომ 1925 წლისათვის ახალქალაქის მაზრაში ცხოვრობდა 71, 8% სომები [20, 22]. საერთოდ, 1926 წლის აღწერით საქართველოში მცხოვრებ სომებთა რაოდენობა მთელი მოსახლეობის 11, 6 პროცენტს შეადგენდა (307 ათასი) [21, 43]. ფაქტია, რომ 1929-1934 წლებში საქართველოს ეროვნულ უმცირესობა-თა შორის სომხებს ეკავათ პირველი ადგილი. მეორე ადგილზე იყვნენ თურქები – 5, 9%, სულადობრივად 137 921 [22, 1].

1923 წლის გაზაფხულზე აზერბაიჯანიდან კა-ხეთში გადმოსახლდა უდინების 207 ოჯახი, რომელ-თაც საცხოვრებელი ადგილი მიეცათ თელავის მაზ-რაში, მდინარე ალაზნის გაღმა, ახალ სოფლის თებ-

ში. უდინებმა (უდიები) აზერბაიჯანში დატოვეს სა-  
უცხოოდ გაშენებული სოფელი: ბაღებით, ვენახებით,  
ბოსტნებითა და ქვიტკირის შენობებით [23].

უდიები – ძველი ალბანელების შთამომავალი  
ერთ-ერთი ტომი გადარჩა ასიმილაციას თურქ-მაკმა-  
დიანებისაგან. მათ ქრისტიანობაც შეინარჩუნეს და  
ენაც. ისინი აზერბაიჯანის სამ სოფელში ცხოვრო-  
ბენ: ვართაშენში (ახლანდელი ოფუზი), ნიჯში და  
მირზაბულუში. საქართველოში ვართაშენიდან გადმო-  
სახლდნენ და ყვარლის რაიონში დაარსეს სოფელი  
ზინობიანი. მათი გადმოსახლების მიზეზი აზერბაიჯა-  
ნელებისა და სომხების ურთიერთდაპირისპირება გამ-  
ხდარა. ამ კონფლიქტის დროს სომხები ქრისტიან  
მოსახლეობას – უდიებს, აზერბაიჯანელებისაგან ვერ  
არჩევდნენ და უდანაშაულო ხალხი ხდებოდა სის-  
ხლიანი შეტაკების მსხვერპლი.

ზინობი სილიკაშვილი უდების სოფლის თავკა-  
ცი იყო. იგი განათლებული და შორსმჭვრეტელი კა-  
ცი ყოფილა. სწორედ მან ითავა უდების გადმოყვანა  
საქართველოში. მათ თავდაპირველად აჭარაში უნდო-  
დათ ჩასახლება, შემდეგ მუკუზანში, მაგრამ არც ერ-  
თი ადგილი არ მოსწონებიათ და არჩევანი ყვარლის  
რაიონზე შეუჩერებიათ, იქ სადაც დღესაც ცხოვრო-  
ბენ. აქაური ბუნებრივი პირობები ხელსაყრელი აღ-  
მოჩნდა მათვის. უდიების ჩამოსახლებისას ეს ადგი-  
ლი დაუსახლებელი და ტყით დაფარული ყოფილა,  
განსაკუთრებით მუხნარით.თავდაპირველად სოფლის-  
თვის მუხიანის დარქმევაც კი უფიქრიათ, მაგრამ სა-  
ბოლოოდ ზინობიანი დაურქმევიათ ზინობის პატივსა-  
ცემად [24, 183].

1937 წელს ზინობი ხალხის მტრად გამოაცხა-  
დეს და სიკვდილით დასაჯეს. შემდეგ კომუნისტებს  
სოფლისთვის სახელი შეუცვლიათ და ოქტომბერი

დაურქმევიათ. დღეს კი მას ძველი სახელი დაუბრუნდა [24, 184].

20-იან წლებში თეორი წყაროს რაიონი წარმოადგენდა „მიკროკოსმოსს“, სადაც თავმოყრილი იყო მრავალი ეროვნების წარმომადგენელი. ქართველებთან ერთად აქ ცხოვრობდნენ სომხები, რუსები, ბერძნები, ოსები და აზერბაიჯანელები. ანალოგიური თანაცხოვრების სურათი იყო დმანისის, მარნეულისა და ბოლნისის რაიონებში, საერთოდ მთლიანად ქვემო ქართლში [25, 3].

ქვემო ქართლის ბარის სოფლებში თუ ნაწილობრივ მაინც შემორჩა ძირძველი მოსახლეობა, მთის სოფლებში უფრო მეტად ახალმოსულები დამკვიდრებულან [25, 8].

აზერბაიჯანელები საქართველოში ძირითადად ცხოვრობენ მარნეულის, ახალციხის, გარდაბნის, თეორიწყაროს, ადიგენის, აგრეთვე ქვეყნის ზოგიერთ სხვა რაიონსა და ქალაქ თბილისში.

სარგანისის რაიონი 1923 წელს დიდ ტერიტორიას ფლობდა. აქ იყო 6 თემი 30 სოფლით. რაიონში ცხოვრობდნენ მხოლოდ აზერბაიჯანელები [26]. ამავე პერიოდში ახალციხის მაზრაში ითვლებოდა 67 165 კაცი. აქედან 80% იყო ქართველი მაჭმადიანი [27, 19], რომელთაც სამწუხაროდ აზერბაიჯანელებად ან თურქებად სთვლიდნენ.

წალკის განაპირა მხარეს მდებარეობდა თურქებით დასახლებული 5 სოფელი. მოსახლეობა 3 500 კაცს შეადგენდა [28, 36]. ახალციხის, ახალქალაქის, აღიგენის, ასპინძისა და ბოგდანოვების რაიონების მოსახლეობის რიცხვი 1939 წლის 1 იანვრისათვის შეადგენდა 208 156 – სულ ს. მათგან ქართველი იყო 19 734 სული, თურქი 87 168, სომები 88 097 [29, 23].

ლაზები ანუ ჭანები 20-იან წლებში ყოფილ საბჭოთა კავშირში შეადგენდნენ 4 000 კაცს. აქედან ნახევარი ცხოვრობდა აფხაზეთის ტერიტორიაზე 1000-მდე ლაზის საცხოვრებელ ადგილს კი აჭარა წარმოადგენდა [30, 24].

დუშეთის მაზრის მოსახლეობა 1927 წელს 61 526 სულისაგან შედგებოდა. 80% ქართველები ცხოვრობდნენ, 20% სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები. კერძოდ, 7 586 ოსი, 2700 სომები, 88 რუსი, 165 გერმანელი, 95 ებრაელი, 122 თათარი, 459 აისორი, 330 სხვა ეროვნების წარმომადგენლები [31, 132].

ამავე პერიოდში საქართველოში ცხოვრობდა 6000-ზე მეტი ქურთი. მხოლოდ თბილისში 3 200 [32, 36]. 1930 წლის მონაცემებით, უკვე ისესენიებიან ცალკე ქურთები და ცალკე იუზიდები [33, 139]. 1926 წლის აღწერით თბილისში იყო 2044 სული იუზიდი, აქედან 1157 მამაკაცი და 887 ქალი [34, 91].

20-იანი წლების ბოლოსა და 30-იანი წლების დასაწყისში, როდესაც შესამჩნევი გახდა ურბანიზაციის პროცესი, ქალაქად ჩასული სოფლის მოსახლეობა განიცდიდა თავისებურ იზოლაციას; რამდენადაც სოფლიდან ჩამოსულებს ნაკლებად, ან საერთოდ არ ქონდათ ნათესაური, მეგობრული, რელიგიური, პროფესიული და სხვა კავშირები. იმისათვის, რომ სოფლიდან ქალაქში ახლად ჩასული ადამიანები მალე და ადვილად ჩართულიყვნენ ქალაქის ნორმალურ ცხოვრებაში, აუცილებელი იყო მათი სწრაფი ინტელექტუალური ეგოლუცია [35, 43].

ასეთ მდგომარეობაში მეტწილად ქართველი მოახლეობა ვარდებოდა. ეროვნულ უმცირესობებს: რუსებს, სომხებს, ქურთებს, აზერბაიჯანელებს, გერმანელებს და სხვა, თბილისში თუ საქართველოს

სხვა ქალაქებში მცხოვრები თვისტომნი გარკვეულ დახმარებას უწევდნენ ცხოვრების პირობების შეგუძნასა და გაუმჯობესებაში. საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქებში მოხვედრილი გლეხი არ „ითქიფებოდა“ ქალაქის მოსახლეობაში. ის კვლავ დაკავშირებული რჩებოდა თავის არტელთან და თანამემამულებთან [26, 81].

სამხრეთ თუ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ნაწილი ისტორიული ძნელებების დროს გამაჟმადიანდა, რის გამოც თვისტომთაგან „თათრებად“ იწოდებოდნენ. მეფის რუსეთის ხელისუფლება მათ თურქებად მოიხსენიებდა. ამიტომ XX საუკუნის 20-იან წლებში და მოგვიანებითაც ბევრს სწორად არ ესმოდა რას ნიშნავს საისტორიო წყაროებში მოხსენიებული „ქუთაისელი თათარი“, „ახალციხელი თათრები“, „ქობულეთელი თათარი“ და სხვა. ეს მით უფრო აღსანიშნავია, რომ ამ გარემოებას წარსულში მრავალი სამწუხარო გაუგებრობა მოჰყვა, რამაც ქართველობას მძიმე დანაკლისი მიაყენა [37, 11].

საბჭოური სტატისტიკა ნაკლებად აჩსხვავებდა ქართველ მაჟმადიანს და ნამდვილ თურქს, რის გამოც საქართველოს ზოგიერთ რაიონში არაქართველი მოსახლეობა აღწერის მასალებით საკმაოდ სოლიდურად გამოიყურებოდა.

1916 წელს საქართველოში სახლდებიან ვანის ვილაიეთიდან (თურქეთი) ლტოლვილი ასურელები [38, 155]. სოფელ ქანდაში ასირიელების (აისორები) დასახლება დაიწყო ჯერ კიდევ 1867 წლიდან, როდესაც ეს სოფელი მუხრანბატონის კუთვნილებას წარმოადგენდა. 1922 წლის ზაფხულში ბათუმსა და ახალქალაქის მაზრაში შემოვიდნენ ასირიელი და სომეხი ლტოლვილები. სომხების რაოდენობა 7 ათასს აღწევდა. სირიელები 360 სულს ითვლიდნენ. ამიერ-

კავკასიის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება ლტოლვილები დასახლებინათ ახალქალაქის მაზრის სომხურ სოფლებში [39, 93].

1927-1928 წლებში სოფელ ვასილიევკაში ცხოვრობდა 203 სულისაგან შემდგარი 55 კომლი ასირიელის ოჯახი. ყარათაფა ნახევარი ვერსით იყო დაცილებული ვასილიევკას და ამიტომ ისინი ყოველდღიური ცხოვრებით იყვნენ დაკავშირებულნი ერთმანეთთან [40, 71]. ამ დროისათვის ასირიელთა რაოდენობა საქართველოს მოსახლეობის 1% უდრიდა. სულ მათი რიცხვი 2904 სულს აღწევდა [40, 68]. სხვა საარქივო დოკუმენტების მიხედვით 1926 წელს ასირიელები საქართველოში 6 ათასი სული იყო [40, 20].

1897 წლის აღწერით თბილისში ცხორვობდა 1017 სული აისორი [34, 42]. 20-იანი წლების პირველ ნახევარში აისორების რაოდენობა 1861-ით განისაზღვრა [34, 91]. 1930 წელს 2303 სულს მიაღწია [34, 105]. 1939 წლის მონაცემებით კი 2986 აისორი ცხოვრობდა თბილისში [34, 109].

საქართველოში ბერძნების რაოდენობა 100 ათასამდე აღწევს და მათ აქ მოსახლე ეროვნებათა შორის რაოდენობრივად მეხუთე ადგილი უჭირავთ. საქართველოს დღევანდელი ბერძნული მოსახლეობის აბსოლუტურ უმეტესობას ვერ მივიჩნევთ ვერც საქართველოში მოსულ უძველეს ბერძენ კოლონისტთა უშუალო შთამომავლებად, ვერც ბიზანტიელი მისიონერების და ოსტატთა მემკვიდრეებად. ისინი ჩვენში ძირითადად XIX-XX საუკუნეების განმავლობაში გადმოსახლდნენ [41, 5].

1925 წლისათვის საქართველოში ბერძნულმა მოსახლეობამ 80 ათასს მიაღწია. ხოლოდ წალკის რაიონში 45 სოფლიდან 24 ბერძნული იყო, სადაც 25

ათასზე მეტი კაცი ცხოვრობდა. აღბულადის მაზრაში 8 ათასამდე, ბორჩალოს მაზრაში 5 ათასამდე და 10 ათასამდე ბერძენი სხვა მაზრებში იყო გაფანტული [28, 35, 77].

აფხაზეთის ბერძნულ მოსახლეობაში აღმოცენდა მოძრაობა საბერძნეთში გადასახლებასთან დაკავშირებით. 1926 წელს დაახლოებით 23 ათასი ბერძენი მოითხოვდა საბერძნეთში გადასახლებას [42, 26]. მიუხედავად ხელისუფლების უარყოფითი დამოკიდებულებისა იმავე წელს გაემგზავრა 30 ოჯახი, 1927 წელს – 58, 1928 წელს – 205, 1929 წელს – 444 ოჯახი. იყო შემთხვევები, როცა მთელ სოფელს მოუთხოვია გადასახლების უფლება (მაგალითად, სოფელ ანდრევკის 295 კომლმა, 1200-1400 კაცმა გამოიტქვა სამშობლოში დაბრუნების სურვილი [43, 143].

ჯერ კიდევ 1921 წელს ცხინვალის გარშემო 26 სოფელში მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ [44, 73]. საბჭოთა რეჟიმის დამყარებიდან ოსები ინტენსიურად სახლდებიან ქართლისა და კახეთის ტერიტორიაზე. 1922 წელს თბილისში ცხოვრობდა 1446 ოსი [45]. 1925 წლისათვის ყოფილ ოლქში აღრიცხულია 82 ათასი კაცი. მათგან ოსები იყვნენ 54 ათასი, დანარჩენ 28 ათასს შეადგენდნენ ქართველები, სომხები და ებრაელები [20, 28]. 1926 წელს საქართველოში ოსების რაოდენობა 113 ათასს უდრიდა და აქედან 60 ათასი ყოფილი ოლქის ტერიტორიაზე ცხოვრობდა, ხოლო 53 ათასი მის ფარგლებს გარეთ. გამოდის, რომ ერთ წელიწადში „ოლქში“ მცხოვრები ოსები 6 ათასი სულით გაზრდილან? ბუნებრივია ეს იყო „ჯაყოების“ ჩრდილოეთიდან ახალი ტალღის გადმოსროლა, რაც ბოლშევიკების დემოგრაფიული პოლიტიკით იყო განპირობებული.

აღნიშნულ პერიოდში ოსთა კომპაქტური და-

სახლებები ყველაზე მეტად შესამჩნევი იყო გორის, დუშეთის, რაჭისა და შორაპნის მაზრებში. გორის მაზრაში ოსური დასახლებით გამოირჩეოდა მდინარე ფრონეს სათავეები, ყორნისისა და წუნარის რაიონები, სადაც შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მონაცემებით, ოსი მოსახლეობა 88%-ს უდრიდა. დიდი ლიახვის ხეობაში ოსები ცხოვრობდნენ სოფელ კეხვამდე. ამ სოფლის სამხრეთით მხოლოდ ქართველებით დასახლებული სოფლები იყო, სადაც ოსთა რიცხვი მცხოვრებთა 15 პროცენტს არ აღემატებოდა. ასევე იყო პატარა ლიახვის ხეობაშიც, სადაც ოსები სოფელ ვანთამდე ცხოვრობდნენ. ვანთის ჩრდილოეთით განლაგებული იყო ქართული სოფლები: ბელოთი, ორი ხორუა, საცხენე, აწრისხევი და სხვ. დუშეთის მაზრაში ოსები ცხოვრობდნენ არაგისა და ქსნის სათავეებთან, რაჭის მაზრაში – ჯეჯორას სათავესთან, ჩასავალის რაიონში [46, 70].

1933 წელს შეიმჩნეოდა ჩრდილო ოსეთიდან ოსი მოსახლეობის მასობრივი გადმოსვლა კ. წ. „სამხრეთ-ოსეთში“. ოსების ეს ნაწილი აქვდან წასულები იყვნენ ჯერ კიდევ 1920 წელს ცნობილი მოვლენების დროს. ჩამოსულები მოითხოვდნენ საკოლმეურნეო მიწებს, რომლებიც ოავისად მიაჩნდათ [47, 43].

1934 წელს სოფელი ყორნისი 16-18 კილომეტრით იყო დაცილებული ცხინვალიდან. ამ დროისათვის სოფელში ძირითადად ოსები ცხოვრობდნენ. ისინი აქ დამკიდრებიდან მესამე თაობას წარმოადგენდნენ [48, 228].

სოფელ წუნარის მოსახლეობა კვლავ ხელოფნურად იზრდებოდა. როგორ „გადაღმიდან“ 35 ოსური ოჯახი ჩამოასახლეს. 1937 წელს ჩრდილოეთ ოსეთის სოფელ გნულოდან აქ დამკიდრდნენ ხუბავები, თარაევები, ხაჩიროვები, მალძიგოვები და სხვ. იქ თუ

უსახლკაროდ იყვნენ, მადლიან ქართულ მიწაზე ორორ ოთახიანი ქვითკირის სახლები აიშენეს და მშვენიერად მოაწყვეს ოჯახები [49].

XX საუკუნის დასაწყისში შიდა ქართლიდან პანკისის ხეობაში დაიწყო ოსების ჩამოსახლება. მათი სოფლები გაჩნდა ალაზნის მარცხენა ნაპირზე.

ეს სოფლებია დუმასტური, ქვემო ხალაწანი, წინუბანი, ქორეთი. კუწახტაში ცხოვრობდნენ ქართველები და ოსები. ქისტებით დასახლებულ სოფელ ომალოს ესაზღვრება ოსების სოფელი დუმასტური, რომლის მოსახლეობა ჯავის რაიონის სოფლებიდან გადმოსახლდა 1905 წელს (თავდაპირველად 26 კომლი). ძირითადი გვარებია ბითოვევი, ჯიოვევი, მაკოვევი, თედევევი, კოჩიევი, ცხოვრებოვი, ქოზაევი, ძუგაევი, გერგაული, შავლოხოვი, კაბისოვი [50, 158-159].

შეიძლება თამამად ითქვას, რომ საბჭოთა ხელისუფლება ისეთივე მეთოდებით ანადგურებდა ებრაელებს, როგორც ფაშიზმის ბატონობის დროს ანადგურებდნენ მათ გერმანიაში. მხოლოდ 1918-1920 წლებში საბჭოთა რუსეთში 100 ათასი ებრაელი ამოხოცეს.დოკუმენტებში ნაჩვენებია ებრაელთა გენოციდის ამსახველი საშინელი ფაქტები. მაგალითად, 1919 წელს კიევთან ახლო დასახლებაში, ბოლშევკების მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე, ჯარისკაცთა ჯგუფები „არბევდნენ ებრაელთა სახლებს და რაც უნდოდათ იმას უკეთებდნენ“. ებრაელებს ქუჩაში აჩერებდნენ, ზოგჯერ უბრალოდ ეკითხებოდნენ: „შენ უიდი ხარ? და ესროდნენ შუბლები ტყვიას, უფრო ხშირად დამამცირებლად ჩხრეკდნენ, მთლიანად აშიშვლებდნენ და ასეთ მდგომარეობაში პირდაპირ ქუჩაში ხვრებდნენ“ [51, 93].

ამიტომ მოისწრაფოდნენ ებრაელები საქართველოში, სადაც ანტისემიტიზმი არ არსებობდა. მათ აქ

მეორე სამშობლო პპოვეს. ეს პროცესი, როგორც ფანდალიზმის დროს, ასევე შემდგომ პერიოდშიც გრძელდებოდა.

ჯერ კიდევ XIX საუკუნის 20-იან წლებში ქუთაისში მცხოვრები 800 ებრაელი აქაური მოსახლეობის თითქმის ნახევარს შეადგენდა. ისინი ცალკე უბანში ცხოვრობდნენ და ძირითადად სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ვაჭრობდნენ [52]. საერთოდ, ქუთაისს განსახლების მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ტრადიცია ჰქონდა. სხვადასხვა ეროვნების მოსახლეობას ქალაქში თავისი კომპაქტური დასახლების უბნები გააჩნდა, რომელთაც თავისი გარეგანი არე და სიმჭიდროვე ახასიათებდათ. XX საუკუნის 20-იან წლებშიც ერთ-ერთ ასეთ უბანს წარმოადგენდა ებრაელთა უბანი, რომლის ნაწილი შთანთქა 1928 წლის 10-11 მაისს გაჩენილმა დიდმა ხანძარმა, მაგრამ აქ დასახლება არ მოშლილა, ხოს ნაგებობების ნაცვლად კაპიტალური შენობები აშენდა და მოსახლეობით შეიგსო [53, 15].

XX საუკუნის პირველ მეოთხედში, თბილისში 294 044 ადამიანი ცხოვრობდა. აქედან ებრაელი იყო 8962 [34, 91]. 1926 მხოლოდ ქართველი ებრაელი 3160 სულით განისაზღვრა, 1930 წელს – 1268, ხოლო 1939 წელს დასახლოებით 1300-მდე.

1926 წლის აღწერით ებრაელთა რაოდენობა საქართველოში 20 987 აღწევდა. აქედან 72, 9% ქალაქებში ცხოვრობდა. 1931 წელს 22 562 ქართველი ებრაელია დაფიქსირებული, ხოლო 1936 წელს ებრაელთა რიცხვმა 30 000 მიაღწია [54, 8].

როგორც ცნობილია 1921 წელს შიმშილობამ მთელი რუსეთი მოიცვა. უბედურება განსაკუთრებით მძვინვარებდა გერმანელებით დასახლებულ კოლგისპირეთში. მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი გერმა-

ნელები დახმარებას საქართველოში მცხოვრებ გერმანელებს სთხოვდნენ. ხშირი იყო მათი ჩამოსვლაც. მაგალითად, 1921 წლის ბოლოს თბილისში ცხოვრობდა 2 457 გერმანელი [34, 69]. 1926 წელს მათმა რიცხვმა 3 156 სული შეადგინა [34, 91].

საქართველოს ტერიტორიაზე, გარდა საკუთრივ გერმანელებით დასახლებული სოფლებისა, მათი ნაწილი ადგილობრივ მოსახლეობასთან შერეულად ცხოვრობდა თბილისთან ახლოს სოფელ სართიჭალაში [55, 48].

1927 წელს საქართველოში არსებობდა 13 გერმანული კოლონია 9253 მოსახლით: 1. ელიზავეტალი, 2. ლუქსემბურგი, 3. როზენფელდი, 4. ლიბენესდორფი, 5. როზენბერგი, 6. ვალდჰეიმი, 7. გეორგესტალი, 8. მარკსგეიმი, 9. ანგონელდი,, 10. ვიზენდორფი, 11. შტეინფელდი, 12. გოფნუგსტალი, 13. გრიუნგალი. თბილისში ცხოვრობდა 4200 გერმანელი [56, 162].

30-იანი წლების დასაწყისში მხოლოდ აღბულად-მანგლისის, ლუქსემბურგის, ბაშკირისა და ბორჩალოს რაიონებში 5 924 გერმანელი ცხოვრობდა [57, 37].

მეორე მსოფლიო ომის დროს კერძოდ, ომის დაწყებისთანავე, განხორციელდა გერმანელი მოსახლეობის პირწმინდად გასახლება საბჭოთა კავშირის ცენტრალური და სამხრეთ რაიონებიდან, მათ შორის საქართველოდან, აღმოსავლეთ რაიონებში [29, 15-16]. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეორე მსოფლიო ომის საწყის ეტაპზე გერმანული წარმოშობის ბრიტანელი მოქალაქეები ინგლისის მთავრობაში სანაპირო ზოლიდან ქვეყნის სიღრმეში გადაასახლა.

იგივე მოიმოქმედა შეერთებული შტატების მთავრობამაც იაპონური წარმოშობის ამერიკელი მოქალაქეების მიმართ. დაახლოებით 12 ათასი იაპონუ-

რი წარმოშობის საკუთარი მოქალაქე კი საკონცენტრაციო ბანაკებში გამოკეტა [58, 43].

საქართველოში დემოგრაფიულ სიტუაციაზე შემდეგი გარემოებაც ახდენდა გავლენას: იმ დროს, როდესაც ქართველ სპეციალისტებს რუსეთსა და სხვა რესპუბლიკებში გზავნიდნენ სამუშაოდ და იქვე სტოკებდნენ, საქართველოში შემოჰყავდათ დიდი რაოდენობით მუშახელი და კვალიფიციური სპეციალისტები აქ დასამკვიდრებლად. ბუნებრივია ეს შორს გამიზნული პოლიტიკა იყო.

მრავალი ქართველი სპეციალისტი შეიძლება დაგასახელოთ, რომლებმაც თავისი ცხოვრება სხვა რესპუბლიკებში განვლეს. მაგალითად, „მძიმე მრეწველობის სახალხო კომისართა საბჭოს დავალებით ფოთის ინდუსტრიულ ტექნიკუმს უნდა გაეგზავნა 32 კურსდამთავრებული, რომლებიც საწარმოო პრაქტიკის გავლის შემდეგ იქვე უნდა დარჩენილიყვნენ სამუშაოდ“ [59, 25].

უკვე 1921 წლიდან რკინიგზის გაერთიანების შემდეგ დაიწყო ქართველი მოწინავე მუშების, კვალიფიციური სპეციალისტების მასიური დევნა, რადგან რკინიგზის მთელი ხელმძღვანელობა რუსეთის ცენტრს დაუმორჩილეს. მოსკოვს კი თავისი პროგრამა ჰქონდა საქართველოსადმი. მთელი რიგი მუშაობა ჯგუფები თანდათანობით გადაასახლეს აზერბაიჯანის, სომხეთისა და როსტოვის რკინიგზებზე. მხოლოდ 1921 წლის 10 ოქტომბრამდე მივლინების სახით საქართველოს გზას მოაშორეს 1400-ზე მეტი მუშასპეციალისტი. მრავალი ოჯახი უპატრონოდ დარჩა. შტატების შემცირების საბაბით ითხოვდნენ ასობით ძველ და გამოცდილ მუშებს. სამაგიეროდ ქართველების ადგილს იკავებდნენ რუსეთიდან ჩამოსული პირები. ქართველების დევნამ ყოველგვარ ზღვარს გადაა-

ჭარბა. ცენტრის ბრძანებით რკინიგზაზე სამუშაოდ რუსეთიდან მოჰყავდათ ათასობით მუშა და მოხელე. შემოღებული იქნა მთელი რიგი წესები ქართველების საზღვარგარეთ განსაღევნად [60].

20-იანი წლების ბოლოსა და 30-იანი წლების დასაწყისში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა საქართველოს ქალაქების მოსახლეობის ეროვნულმა შემადგენლობამ. ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით ქართველების ხვედრითი წილი საქართველოს ქალაქების მოსახლეობაში 1939 წელს შეადგენდა 46, 5%-ს, 1922 წელთან შედარებით იგი გაიზარდა 2, 7%-ით, რუსი მოსახლეობისა – 6, 6%-ით, ხოლო სომები მოსახლეობის ხვედრითი წილი იმავე წლებში შემცირდა 27, 2%-დან 18, 4%-მდე [61, 76]. ადგილი პქონდა სხვა ეროვნების მოსახლეობის შედარებით შემცირებას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართველების ხვედრითი წილის ზრდა უფრო მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდებოდა თბილისში, ვიდრე რესპუბლიკის ქალაქებში მთლიანად.

### გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ა. შონია, ერის დიდი სატკივარი, ჟურნ. „პოლიტიკა“, 1995, №28
2. გ. მაისურაძე, ისტორიული სიმართლის დამახინჯების ახალი ცდები, „ანალები“, №1, 2000
3. კონფლიქტური სიტუაციები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, თბ., 1998
4. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (შემდეგში სუიცსა), ფ. 600, ანაწ. 2, საქ. 3
5. გაზ. „ტრიბუნა“, 1922, 21 იანვარი

6. შ. ვადაჭვორია, ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წლებში, თბ., 2001
7. 6. აბესაძე, ეთნიკური პროცესები ქალაქ გორში, კრ. „ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი“, II, თბ., 2001
8. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ., 1970
9. ვ. პიტოევი, საბჭოთა არჩევნები და ეროვნული უმცირესობანი, ჟურნ. „საბჭოთა აღმშენებლობა“, 1929, №3
10. საქართველოს ოკუპაცია და გასაბჭოება კომუნისტების მიერ, თბ., 1991
11. Тифлис и его окрестности, Тифлис., 1925
12. გაზ. „ახალი სოფელი“, 1925, 3 დეკემბერი
13. სუიცსა, ფ. 288, ანაწ. 1, საქ. 2109
14. საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, თბ., 1930
15. გაზ. „კომუნისტი“, 1922, 8 ოქტომბერი
16. გაზ. „მუშა“, 1923, 12 ოქტომბერი
17. გაზ. „კომუნისტი“, 1925, 24 ივნისი
18. გაზ. „მიწის მუშა“, 1924, 2 ნოემბერი
19. სუიცსა, ფ. 284, ანაწ. 1, საქ. 1147
20. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (შემდეგში სშსსა), ფ. 14, ანაწ. 2, საქ. 485
21. შ. ნოზაძე, საქართველოს კამოდვაწეობა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების დამკიდრებისათვის, თბ., 1987
22. სუიცსა, ფ. 607, ანაწ. 1, საქ. 2040
23. გაზ. „კომუნისტი“, 1923, 31 მაისი
24. ლ. მღებრიშვილი, რა ელის უდების სოფელს ზონიბიანს? კრ. „პავპასიის ეთნოლოგიური კრებული“, თბ., 2005

25. გ. ჯალაბაძე, ქვემო ქართლის მოსახლეობის ეთნიკური სურათი, კრ. „ქვემო ქართლი“, თბ., 1990
26. გაზ. „კომუნისტი“, 1923, 3 ივნისი
27. სშსსა, ფ. 14, ანაწ. 1, საქ. 534
28. სშსსა, ფ. 14, ანაწ. 2, საქ. 313
29. გ. ნაომელაძე, დემოგრაფიული პროცესები საქართველოში XX საუკუნის 40-იან წლებში, თბ., 1993
30. სუიცსა, ფ. 284, ანაწ. 1, საქ. 640
31. სშსსა, ფ. 14, ანაწ. 3, საქ. 520
32. სუიცსა, ფ. 284, ანაწ. 1, საქ. 538
33. გ. შენგელია, თბილისის მოსახლეობის ეთნოკონფესიონალური სტრუქტურა XIX საუკუნეში, ქურნ. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1997, № 1-4
34. გ. კაკურია, ქ. თბილისის მოსახლეობა 1803-1970 წლებში, თბ., 1979
35. გ. გუგუშვილი, სოციოლოგიური ეტიუდები, II, თბ., 1977
36. Б. Н. Миронов, Историк и Социология, М., 1988
37. ქ. ჩხატარაიშვილი, გურიის სამთავროს შეერთება რუსეთთან, თბ., 1985
38. ქ. წერეთელი, არამეული ენა საქართველოში, ქურნ. „მნათობი“, 1976, №6
39. სუიცსა, ფ. 600, ანაწ. 4, საქ. 8
40. სშსსა, ფ. 14, ანაწ. 3, საქ. 263
41. ბერძნები საქართველოში, თბ., 1990
42. ა. სონდულაშვილი, ბერძნები საქართველოში, თბ., 2004
43. გ. სურგულაძე, ეროვნული საკითხი საქართველოში XX საუკუნის 20-იან წლებში (რეგიონალური ასპექტები), საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 2001
44. ა. სონდულაშვილი, „სამხრეთ ოსეთი“ საქართველოში?!, თბ., 2009

45. ა. თოთაძე, ოსები ქართულ მიწაზე, გაზ. „ცხოვ-რება“, 1991, 9 თებერვალი
46. ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1991
47. სუიცსა, ფ. 600, ანაქ. 2, საქ. 344
48. გ. ჩიტაია, შრომები ხუთ ტომად, ტ. I, თბ., 1997
49. გაზ. „კომუნისტი“, 1939, 11 მარტი
50. ლ. ხუციშვილი, ხულიერი დირებულების რეორიგიზაციის პროცესი პანკისელი ოსების მაგალითზე, „კლიო“, 2002, №14
51. Норман Кон, Благословение на геноцид, Миф о всемирном заговоре евреев в „Протоколах сионских Мудрецов“, Пер. С английского, М., 1990
52. ჟაპ ფრანსუა გამბა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, ფრანგულიდან თარგმნა, კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1987
53. მ. ბადრიძე, ქუთაისის ისტორია, საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 1997
54. ქ. აბულაძე, ქართველ ებრაელთა სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობა 1921-1940 წწ., საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2000
55. ა. სონდულაშვილი, ქალაქისა და სოფლის ურთიერთობა XX საუკუნის 20-30-იან წლებში, თბ., 1992
56. ა. სონდულაშვილი, ისტორიული ნარკვევები, თბ., 2010
57. ა. სონდულაშვილი, გერმანელები საქართველოში, თბ., 1995
58. უ. ბლუაშვილი, ისტორიას არ ირჩევენ (პოლიტიკური რეპრესიების ანატომია), თბ., 2011
59. კრ. „მეგობრობა“, თბ., 1979

60. გაზ. „თავისუფალი საქართველო“, პარიზი, 1921,  
№13
61. გ. ნათმელაძე, საბჭოთა საქართველოს მუშათა  
კლასის ისტორია (1933-1945), II, ობ., 1975

## პონერნის ისტორიიდან

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა – ზოგადად ჩინეთი – მსოფლიოს ყველაზე ხალხმრავალი ქვეყანაა. ბოლო მონაცემებით ჩინეთში ცხოვრობს 1, 3 მილიარდზე მეტი ადამიანი.

ჩინეთი მდებარეობს აღმოსავლეთ აზიაში. ქვეყანაში არის ერთპარტიული სისტემა და მმართველობას ახორციელებს ჩინეთის კომუნისტური პარტია. ჩინეთის იურისდიქცია ვრცელდება 22 პროვინციაზე, ხუთ ავტონომიურ რეგიონზე, ოთხ პირდაპირ კონტროლირებად მუნიციპალიტეტზე (პეკინი, ტიან-შანი, შანხაი და ჩუნცინი). ასევე, ორ მაღალი ავტონომიის მქონე სპეციალურ აღმინისტრაციულ რეგიონზე (ჭონკონგი და მაკაო). ქვეყნის დედაქალაქია პეკინი. ჩინეთს აღმოსავლეთიდან აკრავს ყვითელი, აღმოსავლეთი ჩინეთისა და სამხრეთ ჩინეთის ზღვები (წყნარი ოკეანე). სანაპიროსთან ბევრი კუნძულია, რომელთაგან უდიდესია ტაივანი და ჰაინანი. ჩრდილოეთიდან ესაზღვრება მონღოლეთი და რუსეთი, დასავლეთიდან ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, ავდანეთი. სამხრეთით ნეპალი, ინდოეთი, ბჟუზანი, მიანმარი, ლაოსი, ვიეტნამი. ჩრდილოეთით ჩრდილოეთ კორეა. ოფიციალური ენაა ჩინური. ეროვნული დღესასწულია 1 ოქტომბერი – რესპუბლიკის გამოცხადების დღე (1949 წ.).

ჩინეთის ისტორია უძველესი ხელნაწერების მიხედვით 3 500 წლის წინ დაიწყო. კუს ბაკანზე ნაპოვნი ძეელი წარწერები ძეელ ჩინურ დამწერლობას წააგავს, რომლის მიხედვით კი ჩინური ცივილიზაცია სათავეს იღებს 5000 წლის წინ, როდესაც ამ ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა პირველი ქალაქ-სახელმწიფოები. თანამედროვე საზოგადოებრივი აზრის

უურადღების ცენტრშია ჩინეთის შემადგენელი ნაწილის – პონკონგის ფენომენი: „ერთი ქვეყანა, ორი სისტემა“. სახელწოდება „პონკონგი“ ნიშნავს „სურნელოვან ნავსადგურს“. 1842 წლამდე ამ სახელით მოიხსენიებოდა პატარა უბე კუნძულ აბერდინსა და კუნძულ პონკონგის სამხრეთ ნაწილს შორის. ეს ადგილი ბრიტანელი მეზღვაურებისა და ადგილობრივი მეთევზების თავდაპირველი შეხვედრის ადგილს წარმოადგენდა.

პონკონგი ანუ ს ი ა ნ გ ა ნ ი – ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სპეციალური ადმინისტრაციული რაიონი, აზიისა და მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი საფინანსო ცენტრია. კუნძული მდებრავობს სამხრეთ-აღმოსავლეთ ჩინეთში, სამხრეთ ჩინეთის ზღვის სანაპიროზე. უჭირავს კუნძულ სიანგანის და ძიულუნის ნახევარკუნძული. მისი ფართობი 1060 კმ<sup>2</sup>. მოსახლეობა 7 მილიონამდე. აქედან 98%-ზე მეტი ჩინელია. ადმინისტრაციული ცენტრი ქალაქი სიანგანი (ვიქტორია). კუნძულის მოსახლეობის ოფიციალური ენებია ინგლისური და ჩინური. ოფიციალური კალენდარი გრიგორიანული. ფულის ერთეულია პონკონგის დოლარი.

გაზიარებული შეხედულების თანახმად პონკონგი სამ ნაწილად იყოფა: თავად პონკონგის ნახევარკუნძული, კოულუნი და ახალი ტერიტორიები. მთლიანობაში პონკონგს მიეკუთვნება სამხრეთ ჩინეთის ზღვის 262 კუნძული. სიდიდით მეორე და მოსახლეობით პირველი არის კუნძული პონკონგი.

არქოლოგიური გათხრების თანახმად თანამედროვე პონკონგის ტერიტორიაზე მოსახლეობა 30 ათასზე მეტი წლის წინ გაჩნდა. ჩვენ წელთაღრიცხვამდე მესამე საუკუნეში ცინის დინასტიის მმართველობის პერიოდში რეგიონი ჩინეთის შემადგენ-

ლობაში შევიდა. აქ იმდენად მძიმე საარსებო პირობები იყო, რომ გამრავლებული ჩინელი მიწათმოქმედი მოსახლეობა მხოლოდ XI საუკუნეში გაჩნდა. ტოან-ის დინასტიის დროს პონკონგი ოთხიდან ერთ-ერთი რაიონი ტ ი უ ნ მ უ ნ ი, რომელიც თანამედროვე ეტაპზე ახალ ტერიტორიებად ითვლება წარმოადგენდა სამხედრო-საზღვაო ბაზას, ნავსადგურს, მარილის წარმოების ცენტრს. ასევე, ბრილიანტის დამუშავების ადგილს.

პირველი ევროპელი, რომლის ვიზიტი პონკონგში დოკუმენტურად არის დადასტურებული 1513 წლით თარიღდება. ეს იყო პორტუგალიელი ჟ ო რ ჟ ა ლ ვ ა რ ე შ ი. ბრიტანეთის „ოსტ-ინდოეთის“ სავაჭრო წარმომადგენლობის კომპანიის გახსნის შემდეგ 1711 წელს პონკონგის ტერიტორიაზე გაიზარდა ბრიტანელთა რაოდენობა. ამ პერიოდში აბორიგენი მოსახლეობა, მხოლოდ 5000 სულს ითვლიდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არსებითად ინგლისელთა გამოჩენით იწყება პონკონგის ცალკე ისტორია. სწორედ ბრიტანელები გახდნენ ის მამოძრავებელი ძალა, რომელთა მეშვეობითაც რეგიონის განვითარებამ უჩვეულო ტემპებს მიაღწია. მრავალი წლის განმავლობაში ეს ადგილები გაველურებულ და ჩამორჩენილ მხარედ ითვლებოდა. XIX საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში პონკონგის ნახევარკუნძული წარმოადგენდა ზღვაში განცალკევებულ ტყით დაფარულ მთას, სადაც მეწვრილმანეები ცხოვრობდნენ; ნახევარკუნძულზე იყო, მხოლოდ მეოვეზეთა ერთი პატარა სოფელი, ხოლო ზღვისპირა მთები მკობრეთა თავშესაფარს წარმოადგენდა.

ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები (პორტუგალია, პოლანდია, საფრანგეთი) ამაოდ ცდილობდნენ დაემყარებინათ ჩი-

ნეთთან ოფიციალური ურთიერთობა და შეეღწიათ  
მის საზღვრებში. მათ მხოლოდ სამხრეთში, გუანჯო-  
უში (კანტონი) მიეცათ ვაჭრობის უფლება. ეს ფაქ-  
ტი კარგად გამოიყენა ინგლისმა.

ჩინეთსა და დიდ ბრიტანეთს შორის სავაჭრო  
ურთიერთობის საწყის ეტაპზე ჩინეთის ექსპორტი  
მნიშვნელოვნად ჭარბობდა სავაჭრო ბალანსში. თა-  
ვიდან ბრიტანელებმა ვერ შეძლეს მოეძებნათ ისეთი  
საქონელი, რომელიც დააინტერესებდა პარტნიორებს.

და მაინც ცოტა ხანში ასეთი საქონელი „აღმოჩ-  
ნდა“. ბრიტანელმა და პოლანდიულმა კომერსანტებ-  
მა დაიწყეს ინდოეთში მოყვანილი ოპიუმის გაყიდვა  
გუანდუნში (მაშინ იგი ცნობილი იყო კანტონის სა-  
ხელით), რომელიც ამ დროისათვის გახდდათ ერთა-  
დერთი დიდ სავაჭრო პორტი ჩინეთში. ოც წელი-  
წადში, 1839 წლისთვის, „ფუფუნების“ ამ საგნის იმ-  
პორტი ისე გაიზარდა, რომ იმპერატორმა ქ ი ნ გ მ  
ა მისი შემოტანა საერთოდ აკრძალა.

ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ლორდ პ ა ლ  
მ ე რ ს ტ ო ნ ი ს პასუხი ისეთი იყო, როგორიც  
ნებისმიერ დირსეულ უფროსს შეეფერება – ძალის  
გამოყენება საკუთარი ბიზნესის დასაცავად და გასა-  
ფართოებლად [1, 128].

1840 წლის ივნისში გუანჯოუს რაიონში ჩი-  
ნეთზე ინგლისელთა თავდასხმის საბაბი გახდა 1839  
წელს ჩინეთის მთავრობის კომისრის ლ ი ნ გ ს ი  
უ ს მიერ ოპიუმის დიდი მარაგის განადგურება, რი-  
თაც კონტრაბანდულად ვაჭრობდნენ ინგლისელები.  
ამავე წლის ბოლოს დაიწყო შეიარაღებული შეტაკე-  
ბები ინგლისურ და ჩინურ სამხედრო გემებს შორის.  
აღნიშნულ დაპირისპირებას (1840-1842 წწ.) ეწოდა  
„ოპიუმის პირველი ომი“. 1842 წლის შუა სანებში ინ-  
გლისელებმა მიიტაცეს კუნძული სიანგანი (პონკონ-

გი). ქვემეხიანი ნავების საშუალებით სამეფო ფლოტმა ჩაკეტა მდინარე პერლი და ჩაძირა ათობით ჩინური გემი. ინგლისელებმა დაიკავეს ქალაქები: დინხაი, ნინბო, სიამინი, შანხაი, ჯენდიანი და 1842 წლის აგვისტოში მიუახლოვდნენ ნანკინს. ჩინელი ხალხი წინ აღუდგა აგრესორებს, მაგრამ ცინის დინასტიის მთავრობამ კაპიტულაცია გამოაცხადა [2, 132]. იმპერატორი იძულებული გახდა გაეხსნა შანხაი და სხვა რამდენიმე პორტი უცხოელი ვაჭრებისათვის. 29 აგვისტოს ხელი მოაწერეს ჩინეთისათვის პირველ არათანასტორულელებიან ნანკინის ხელშეკრულებას, რომლის მიხედვით ჩინეთი ვალდებულებას კისრულობდა გაეხსნა ინგლისთან ვაჭრობისათვის ხუთი ნავსადგური, გადაეცა მისთვის კუნძული სიანგანი (ჰონკონგი), გადაეხადა კონტრიბუცია, დაუწესებინა შედავათიანი საბაჟო ტარიფები და სხვა.

1843 წელს დამატებითი ოქმით ინგლისმა მოპოვა ექსტერიტორიულობისა და იურიდიული შეუვალობის უფლება ჩინეთის ტერიტორიაზე. ამავე წელს ჰონ-კონგის ნახევარკუნძულზე დაარსდა ქალაქი ვიქტორია, ტერიტორიამ კი მონარქიის კოლონიის სტატუსი მიიღო. ჩინეთისათვის „ოპიუმის პირველი ომის“ წაგება ნიშნავდა კარბონის – კაპიტალის ძალაუფლების უხეშ შემოსვლას. უძველესი ცივილიზაცია ამ შოკიდან სრულად აღარასოდეს გამოსულა.

1844 წელს ჩინეთმა ხელშეკრულებები დადო აშშ-სა და საფრანგეთთან, რომლითაც ამ ქვეყნებმა მიიღეს ინგლისის ანალოგიური პრივილეგიები. აღნიშნულმა ხელშეკრულებებმა სათავე დაუდეს ჩინეთის ნახევრად კოლონიურ ქვეყნად გადაქცევას. ომის შედეგები მეტად მძიმე აღმოჩნდა ჩინეთის მოსახლეობისათვის. გაიზარდა გადასახადები, შრომითი ვალდებულებები. უცხოური საქონლის მოზიდვამ ძირი

გამოუთხარა ხელოსნობასა და შინამრეწველობას. ამის საპასუხოდ გაძლიერდა სახალხო წინააღმდეგობა. მხოლოდ 1841-1849 წლებში ადგილი ჰქონდა 110 აჯანყებასა და მდელვარებას.

1850 წელს ტაიპინელთა რელიგიურმა სექტამ ხუნ სიუციუანის მეთაურობით გუანდის პროვინციაში მოაწყო აჯანყება მანჯურიელთა წინააღმდეგ. ტაიპინელთა რაზმებმა 1853 წელს აიდეს ნანკინი და თავის დედაქალაქად გამოაცხადეს. 1856 წელს ტაიპინელთა თავკაცებს შორის მოხდა განხეთქილება, რამაც სერიოზულად დაასუსტა აჯანყებულები.

ინგლისმა ისარგებლა ჩინეთში გაჩაღებული სამქალაქო ომით და 1856 წლის ოქტომბერში ქალაქ გუანჯოუს რაიონში საომარი მოქმედება დაიწყო ჩინეთის წინააღმდეგ. 1857 წლის დასაწყისში მას შეუერთდა საფრანგეთი. ასე დაიწყო მეორე „ოპიუმის ომი“. ამავე წლის ბოლოს ინგლის-საფრანგეთის ჯარებმა დაიკავეს გუანჯოუ. 1858 წლის გაზაფხულზე ბრძოლის ველმა გადაინაცვლა დედაქალაქის პროვინცია ჯილის ტერიტორიაზე. მაისის თვეში ინგლის-საფრანგეთის არმიამ მიიტაცა ნავსადგური და გუდამინზე და პეკინზე შეტევის მუქარით აიძულა ჩინეთის მთავრობა ხელი მოეწერა თიანძინის კაბალურ ხელშეკრულებაზე. ერთი წლის შემდეგ ორივე აგრესორმა განახლა საომარი მოქმედება. 1860 წლის აგვისტოში მათ მიიტაცეს თიანძინი, ოქტომბერში პეკინი და ჩინეთის მთავრობას თავს მოახვიეს ახალი კაბალური ხელშეკრულება, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი გახდა ჩინეთის ნახევრად კოლონიად გადაქცევის გზაზე [2, 131]. ამავე დროს ინგლისმა, საფრანგეთმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გააძლიერეს დახმარება პეკინის მთავრო-

ბისადმი ტაიპინელთა წინააღმდეგ საბრძოლველად. პეკინმა ამის შემდეგ შეძლო ტაიპინელთა აჯანყების ჩაქრობა.

მეორე „ოპიუმის ომში“ ჩინეთის დამარცხების შემდეგ პეკინის შეთანხმებიდან გამომდინარე ბრიტანეთს გადაეცა ასევე კოულუნის ნახევარკუნძულის ტერიტორია და „ქვისმოლელთა“ კუნძული.

1865 წელს სიანგანში გაიხსნა ბრიტანეთის ჰონკონგ-შანხაის ბანკი. 1898 წლის ივნისში ჩინეთი-სათვის თავს მოხვეული კონვენციით დიდმა ბრიტანეთმა 99 წლის ვადით იჯარით მიიღო ძიუ უ ნი ს ნახევარკუნძულის კიდევ ერთი ნაწილი მომიჯნავე კუნძულებით (ე. წ. „ახალი ტერიტორიები“). ჰონკონგი პორტ ტაფ რანგი და გამოცხადდა. კოლონიაში დაფუძნდა ბრიტანული განათლების სისტემა.

XX საუკუნის დამდეგისათვის ჰონკონგი გახდა შორეული აღმოსავლეთის ერთ-ერთი კომერციული ცენტრი და ნაგსაღვური, ინგლისის მნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი ჩინეთში. 1922 წლის 12 იანვარს აქ დაიწყო ჩინელ მეზღვაურთა გაფიცვა, რომელიც ორგანიზებული იყო 1921 წელს შექმნილი პროფკაფ-შირების მიერ. გაფიცვას ხელმძღვანელობდა ს უჯა ათ ჯე ნი. მეზღვაურები მოითხოვდნენ ხელფასის მომატებას, სამუშაო ძალის დაქირავებასა და განაწილებაში პროფკაფშირების მონაწილეობას. მას შემდეგ, რაც სიანგანის ინგლისურმა ხელისუფლებამ აკრძალა მეზღვაურთა პროფკაფშირი, ამბოხება საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვაში გადაიზარდა. 100 ათასზე მეტმა მუშამ დატოვა სიანგანი და გადავიდა გუანჯოუში, სადაც სუნ იატსენის მთავრობა იმუოფებოდა. გაფიცვა დამთავრდა 1922 წლის 8 მარტს მეზღვაურთა გამარჯვებით [3, 319].

1924 წლიდან გუანჯოუში ფინანსურ დახმარებას იღებდნენ ჩინელი ვაჭრები, კომპრადორები, რომლებმაც ამბოხება მოაწყეს სუნ იატსენის მთავრობის წინააღმდეგ. ამავე წლის ივნისის დასაწყისში გუანჯოუში აჯანყებამ იფეთქა, რომლის ცენტრში ვაჭართა რაზმები ან, როგორც ხალხში უწოდებდნენ „ქადალდის ვეფხვები“ აღმოჩნდნენ. აჯანყების დასაწყისში ქალაქში იმყოფებოდა 12 ათასი „ქადალდის ვეფხვი“. მათ მფარველობას უწევდა ჰონკონგის ინგლისური აღმინისტრაცია. „ქადალდის ვეფხვების“ ლიდერი იყო ჰონკონგის კომპრადორების წარმომადგენელი ჩ ე ნ ლ ი ა ნ ბ ო, რომელმაც ჰონკონგში დიდი რაოდენობის იარაღი შეიძინა გერმანელი ფირმებისაგან [4, 44].

1925 წლის 1-2 ივნისს შანხაიში გამოსვლები დაიწყო, რომელსაც ჰონკონგ-გუანჯოუს 16 თვიანი გაფიცვა მოყვა. მთავრობამ კონფლიქტში უცხოელთა ჩარევის საწინააღმდეგო ზომები გაატარა. შეიზღუდა ეკონომიკური კავშირები ინგლისთან. გაფიცვა მიზნად ისახავდა ინგლისის კოლონია ჰონკონგში სასიცოცხლო მნიშვნელობის წარმოებათა პარალიზებას. ამ პერიოდში ჰონკონგი ათასობით მუშამ მიატოვა და მატერიკზე დაიწყეს გადასვლა. კოლონიის მოსახლეობა 40%-ით შემცირდა [4, 49].

ოპიუმის რეალიზაცია ჰონკონგიდან ჩინეთის სხვა პროვინციებშიც გაერცელდა; განსაკუთრებით XX საუკუნის 20-იან წლებში. აღნიშნულ ბიზნესში ჩინური მაფიაც ჩაერთო. უფრო მეტიც, მრავალი ჩინოგნიერი აიტულებდა გლეხებს ოპიუმის წარმოებას, ამჟარებდნენ მონოპოლიას მის რეალიზაციაზე.

1928 წელს ჩან კაიში, როგორც სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე ნარკომანიის საწინააღმდეგო ზომებს ღებულობს. გომინდანის ოფიციალური პირები

და მთავრობა თუ შემჩნეული იქნებოდნენ ნარკოტიკების მოხმარებაში (ასეთები კი ბევრი იყო), ეძლეოდათ სამი წლის ვადა სამკურნალოდ. მიღებული იქნა სპეციალური კანონები ოპიუმის მოწევის საწინააღმდეგოდ. ვინც უარს იტყოდა ნებაყოფლობით მკურნალობაზე, მას სიკვდილით დასჯა ემუქრებოდა. ამ საწამლავის ტრანსპორტირებაში და რეალიზაციაში შემჩნეულ პირებს ხვრებდნენ, მათი ქონება კონფისკაციას ექვემდებარებოდა [4, 119].

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ჰონკონგი იაპონელებმა დაიპყრეს. იაპონელთა ოკუპაციის პერიოდი ხანმოკლე, მაგრამ მძიმე გამოდგა რეგიონის ისტორიაში. ჰიპერინფლაციისა და საკვები პროდუქტების პრობლემის გამო ჰონკონგი შემცირდა 1, 6 მილიონი ადამიანიდან 600 ათასამდე. 1945 წლის 15 აგვისტოს იაპონიამ დამარცხება აღიარა. დიდმა ბრიტანეთმა ადადგინა სუვერენიტეტი ჰონკონგზე.

ომის დამთავრების შემდეგ რეგიონის მოსახლეობა სწრაფად დაუბრუნდა ომამდელ დონეს და გადაჭარბდა კიდეც.

ემიგრანტების პირველი ტალღა ჰონკონგში შემოვიდა სამოქალაქო ომის შემდეგ; მეორე – ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადებას მოჰყვა. ჩინეთის იზოლაციონისტური პოლიტიკის შედეგად, ჰონკონგი გახდა ჩინეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობის ერთადერთი არხი. იმიტომ, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით, ჰონკონგი უპირატესად ჩინეთის ნაწილი იყო და შუამავლის როლს ასრულებდა ჩინეთის გაჭრობაში კაპიტალისტურ სამყაროსთან [6, 13].

მოსახლეობის გაზრდილი რაოდენობისა და მაღალანაზღაურებადი სამუშაო ძალის გამო, რეგიონის ეკონომიკა რომელიც ორიენტირებული იყო საგარეო ბაზრის ექსპორტზე სწრაფად განვითარდა.

ამავე დროს ეკონომიკურად გაძლიერდა გუანდუნის პროვინცია. ეს განსაკუთრებით მაშინ გამოვლინდა, როდესაც კონტინენტის ძველმოდურ კომუნიზმსა და მეზობელი პონკონგის კაპიტალიზმს შორის არსებული იდეოლოგიური საზღვარი გადალახა [1, 133].

შემოსავლებში შეუსაბამობანი აქ უფრო მეტად თვალსაჩინოა, ვიდრე ჩინეთის რომელიმე მხარე-ში. ერთი მხრივ, მას ესაზღვრება პონკონგი, პლანეტაზე მეთე ადგილი ყველაზე მდიდარი მოსახლეობით და, მეორე მხრივ გ უ ა ნ ქ ს ი, ჩინეთის ყველაზე დარიბი პროვინცია, სადაც საშუალო შემოსავალი ოცჯერ უფრო დაბალია. ამ ორ უკიდურესობას შორის მდებარე გუანდუნი დაძაბულობის, კრიმინალისა და კორუფციის ბუდეა. „შავი საზოგადოების“ ბრიგადები, მაგალითად, „ტრიადები“ ყოველთვის ძლიერი იყო ამ რეგიონში. ალბათ ნაწილობრივ კანტონის ტომების დაბალი კულტურის გამო. გარდა ამისა, მაკაოს აზარტული თამაშების ბუნაგებთან და პონკონგში იატაკებების ბიზნესის შესაძლებლობები ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობს ამ რეგიონში კრიმინალური სამუშაოს ასაყვავებლად. [1, 134].

1967 წელს მძლავრმა აჯანყებამ იფეთქა კოლონიური მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც დაიწყო, როგორც მუშათა გაფიცვა.

ჩინეთში გატარებული რეფორმების შემდეგ პონკონგი გახდა ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მთავარი წყარო. მოკლე ხანში პონკონგის ჩრდილოეთის საზღვართან შეიქმნა სპეციალური ეკონომიკური ზონა – შ ე ნ ჩ ჟ ე ნ ი. პონკონგის საფინანსო და საბანკო სექტორი გახდა ეკონომიკის მთავარი ღერძი. შემთხვევითი არ იყო, რომ ჯერ კიდევ 1950 წლის მაისში ჩან კაიშის თანამებრძოლებმა პონკონ-

გში, როგორც საიმედო ადგილზე 50 მილიონი პონ-კონგური დოლარი გადარიცხეს [1, 310].

„ახალი ტერიტორიების“ საარენდო ვადის გას-ვლის მიწურულს 1984 წელს დიდმა ბრიტანეთმა და ჩინეთმა ხელი მოაწერეს ერთობლივ დეკლარაციას, რომლის თანახმად 1997 წელს მოხდებოდა პონკონ-გის მთელი ტერიტორიის ჩინეთისათვის გადაცემა.

პონკონგს უნდა მიეღო განსაკუთრებული ადმინის-ტრაციული ტერიტორიის სტატუსი ჩსრ-ს შემადგენ-ლობაში. ჩინეთი უფლებას მისცემდა მას პქონოდა საკუთარი კანონები და ავტონომიის მაღალი დონე, როგორც მინიმუმ 50 წლის განმავლობაში.

მართლაც, 1997 წლის 1 ივლისს პონკონგის მრავალი ემიგრირებული მცხოვრების საწინააღმდე-გო მოლოდინის მიუხედავად, დაპირება შესრულებუ-ლი იქნა და შუა ღამისას საზეიმო ვითარებაში ჩი-ნეთს გადაეცა სუვერენიტეტი პონკონგზე [5].

დღეს რეგიონს გააჩნია უნიკალური სუვერენუ-ლი სტატუსი და წარმოადგენს ბრიტანული წესრიგი-სა და ჩინეთის ისტორიის სიმბიოზს. დეკლარაციი-დან გამომდინარე ჩინეთის მთავრობა თავის თავზე იღებს საგარეო პოლიტიკისა და თავდაცვის პასუ-ხისმგებლობას. ამავე დროს პონკონგი იტოვებს კონ-ტროლს კანონმდებლობაზე, პოლიციურ ძალებზე, ფულად სისტემაზე, საბაჟო და იმიგრაციულ პოლი-ტიკაზე. ასევე ინარჩუნებს წარმომადგენლობას საერ-თაშორისო ორგანიზაციებსა და ღონისძიებებში.

პონკონგის ჩინეთში დაბრუნება მშვიდობიანად მოხდა, ასეთი პრეცედენტები კი მსოფლიოში ნაკლე-ბად მოიძებნება. თუმცა შეუთავსებლობისა და დაპი-რისპირების წინაპირობები საკმაოდ ბევრი იყო. საკ-მარისია აღინიშნოს აპსოლუტურად განსხვავებული, უფრო სწორად, დაპირისპირებული ორი სისტემის –

ერთი მხრივ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სოციალიზმისა და მეორე მხრივ – პონკონგში კაპიტალიზმის არსებობა. ეს წინააღმდეგობა გადაიღახა ძირითადად ჩინეთის ხელისუფლების მხრიდან გამოჩენილი პრაგმატული და რეალპოლიტიკაზე დამყარებული პოლიტიკური ნებით [7, 19-20].

1997 წლის 30 ივლისს პონკონგში მთავრობის სახლზე აღმართული დიდი ბრიტანეთის დროშა დაუშვეს, რაც იმას მიანიშნებდა, რომ 155 წლის წინ დათმობილ პონკონგზე აღდგა ჩინეთის სახელმწიფო ებრივი სუვერენიტეტი. ამ ხნის განმავლობაში პონკონგმა მოახდინა სასწაული. სოფლები, რომელთა მოსახლეობა ძირითადად მეთევზეობას მისდევდა, გადაიქცა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის უმნიშვნელოვანების მსოფლიო საფინანსო ცენტრად, ერთ-ერთ ულამაზეს მეგაპოლისად თავისი 7 მილიონიანი მოსახლეობით [7, 23].

ეს ნიშნავდა იმას, რომ დიდმა ბრიტანეთმა, როგორც იმპერიამ, „შეწყვიტა თავისი არსებობა და პონკონგში „იუნიონ ჯეკის“ დროშის ჩამოშვებამ სამუდამოდ დახურა ჩინეთის ისტორიაში განსაკუთრებით მტკიცნეული თავი [8, 238].

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯონათან უოტსი, ჩინეთი დღევანდელ მსოფლიოში, ობ; 2012
2. ქსე, ტ. 5, ობ; 1980
3. ქსე, ტ. 9, ობ; 1985
4. В. Воронцов, Судьба китайского бонапарта, М ; 1989
5. <http://www.art-offshore.ru>

6. ლი კუან იუ, მესამე სამყაროდან პირველში, თბ; 2012
7. ჯ. გახოკიძე, ს. მიღელაშვილი, პონქონგი, ჩინეთი 1997 განსჯისათვის, თბ; 2014
8. ზბიგნევ ბერზინსკი, დიდი საჭადრაკო დაფა, თბ., 2014

## ადამიანის უფლებები – ისტორიული „შტრიხები“

ცნება ადამიანის უფლებები განუყრელად და-  
კავშირებულია ესპანელი ოქუიტი ბერების მოღვაწე-  
ობასთან სამხრეთ ამერიკაში. ეს ტერმინი გახდა  
საფრანგეთის რევოლუციისა და გაეროს დეკლარა-  
ციის შემადგენელი ნაწილი [1, 69].

საერთოდ, ადამიანის უფლებები და დემოკრა-  
ტია ერთად მოიაზრება, რადგან დემოკრატია მხო-  
ლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა ქვეყანაში მა-  
ღალ დონეზეა დაცული ადამიანის უფლებები. იმი-  
სათვის, რომ თავისუფლება, რომელიც ადამიანის  
დირსეული არსებობისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი  
პირობას წარმოადგენს, იყოს ჭეშმარიტად, რეალუ-  
რად არსებული, აუცილებელია მთელი რიგი უფლე-  
ბების დაცვა და განხორციელება. მიუხედავად იმისა,  
რომ ადამიანები მისდევენ ცხოვრების სხვადასხვა  
წესს და განსხვავებულად აზროვნებენ, მათ მაინც  
ერთნაირი ინტერესები აქვთ:

- სიცოცხლის უსაფრთხოება;
- საკუთრების ხელშეუხებლობა;
- პიროვნული დამოუკიდებლობა;
- შრომის უფლება და სხვა.

ყველა ამათ ადამიანის ბუნები ის უნიკალუ-  
რული პიროვნულობის განვითარების სამართლებრივი უფლებების გა-  
ნვითარების სამართლებრივი უფლებების ცნებას, რომლებიც განსაზღვრულია კანონმდებლო-  
ბითა და კონკრეტული წესებით და რომლებიც დამ-  
კვიდრებულია და მიღებულია სახელმწიფოში. ბუ-  
ნებრივი უფლებები განსხვავდება მორალური უფლე-  
ბებისაგანაც, რომლებიც ეფუძნებიან გარკვეულ მო-  
რალურ კოდექსს.

ბუნებრივი უფლებები თანამედროვე გაგებით ჩამოაყალიბა ჯ თ ნ ლ თ კ მ ა და სწორედ მისმა თეორიამ განსაზღვრა ძირითადად ამერიკის ადამიანთა უფლებების დეკლარაცია, რომელიც მიიღო ფილადელფიის კონგრესმა, სადაც მოთხოვნის სახით დაფიქსირდა „სიცოცხლის, თავისუფლების და საკუთრების“ უფლება, ადამიანის ბუნებრივი უფლებები აღიარებულ იქნა ევროპაშიც. ამავე საუკუნეში საფრანგეთის ადამიანისა და მოქადაქის უფლებების დეკლარაციაში ვკითხულობთ: ვველა პოლიტიკური გაერთიანების მიზანია დაიცვას ადამიანის უფლებები და აუცილებელი უფლებები; ეს უფლებებია: თავისუფლება, საკუთრება, უსაფრთხოება, ჩაგვრისადმი წინააღმდეგობა“.

მიუხედავად ამისა, მთელ მსოფლიოში მეორე მსოფლიო ომამდე არ დამკვიდრებულა ადამიანთა ბუნებრივი ხელშეუხებლობის რწმენა [2, 106]. ადამიანის უფლებების იდეამ საყოველთაო აღიარება და გავრცელება მოიპოვა მხოლოდ 1945 წლიდან. კერძოდ, ნაცისტური გერმანიის ლიდერების გასამართლება მოხდა იმ დანაშაულისათვის, რომელსაც ეწოდა „კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაული“ და რომელიც არ ფიგურირებდა არც ერთი ქვეყნის სასამართლო კოდექსში.

1948 წელს გაეროს სპეციალურმა კომიტეტმა შეადგინა, ხოლო გენერალურმა ასამბლეამ ამავე წლის 10 დეკემბერს გამოაქვეყნა „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“. დეკლარაცია წარმოადგენს პირველ საერთაშორისო დოკუმენტს, რომელიც აცხადებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა საყოველთაო პატივისცემას და მოიცავს ამ უფლებათა ჩამონათავლს: პიროვნების ელემენტარული უფლებები – თანასწორობა ყო-

ველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება (1-12 მუხლები), სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები: მოქალაქეობის, საცხოვრებელი ადგილის არჩევის, თავშესაფრის უფლება, აზრის, სინდისის, რელიგიის, მრწამსის თავისუფლება, მშვიდობიანი შერებებისა და ასოციაციების შექმნის უფლება (14-21 მუხლები); სოციალურ-ეკონომიკური უფლებები: შრომის, თანაბარი შრომისათვის თანაბარი ანაზღაურების, დასკვნების, განათლების, საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღების უფლება (22-27 მუხლები).

დეკლარაციის თანახმად, ამ უფლებებით და თავისუფლებებით უნდა სარგებლობდეს ყოველი ადამიანი განურჩევლად რასისა, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური მრწამსის, ეროვნული და რელიგიური წარმომავლობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დეკლარაციას აქვს რეკომენდაციის ხასიათი. მის საფუძველზე გაერომდი მიიღო იურიდიულად სავალდებულო ძალის მქონე პაქტები ადამიანის უფლებათა შესახებ. მისი მიღების დღე – 10 დეკემბერი გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ გამოცხადებულია ადამიანის უფლებათა დღედ და აღინიშნება ყოველწლიურად. საქართველო დეკლარაციას შეუერთდა 1991 წელს [3, 10-11].

XX საუკუნის 60-იან წლებში უფლებების სფეროში დამკვიდრდა ახალი ტერმინი – დირსები და დაცვის უფლება, რომლის გავრცელება ამერიკელი ფილოსოფოსის დვორკინის დამსახურებაა, რომელმაც თავის პოლიტიკის თეორიაში უპირატესობა მიანიჭა მორალურ უფლებებს და კერძოდ ორ მორალურ უფლებას – თანასწორი

მოპყრობის უფლებას ყველა მოქალაქის მიმართ და ადამიანური ღირსების დაცვის უფლებას.

ზემოთ ჩამოთვლილი ეს უფლებები ბუნებრივად გულისხმობს იმას, რომ ადამიანმა უნდა დაიცვას და აღიაროს მისთვის დაკანონებული უფლებები სხვისთვისაც, ანუ შეიგნოს, გააცნობიეროს, რომ როგორც ის მოითხოვს თავისთვის თანასწორობასა და თავისუფლებას, ასეთივე უფლებების დირსია და უნდა ფლობდეს მათ სხვა ნებისმიერი პიროვნება, რომელიც მასავით თავისუფალია, ღირსეულია და უფლებამოსილი.

ეს ნიშნავს იმას, რომ ადამიანი უნდა იყოს შემწყნარებელი სხვა ადამიანების მიმართ და არ უნდა შეღასხოს სხვისი უფლებები იმის გამო, რომ ის ხასიათდება სხვა თვისებებით, არ პგავს მას. ე.ი. დემოკრატიული უფლებები ლოგიკურად მოითხოვენ ისეთი ღირებულებების აღიარებას, როგორიცაა ტოლერანტობა (შემწყნარებლობა).

1966 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო კონვენციები:

ა) „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“, რომელიც ეხება ადამიანის დღეს უკვე ტრადიციულ ისეთ უფლებებს, როგორიცაა ადამიანის წამების, დაუსაბუთებლად დასჯისა და დაპატიმრების აკრძალვა, აზრის, რწმენისა და ასოციაციებში გაერთიანების თავისუფლება.

ბ) „ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურული უფლებების შესახებ“, სადაც საუბარია კვების, საცხოვრებლის, განათლების, სამედიცინო მომსახურების უფლებებზე [2, 107].

დასვენების უფლება საზოგადოების ნაწილმა მოიპოვა მეორე მსოფლიო ომის წინ და ომის შემდგომ პერიოდში. თუმცა არის სახელმწიფოები, სა-

დაც ჯერ კიდევ არ არსებობს კანონმდებლობა შვებულების შესახებ. დასავლეთის ზოგიერთ სახელმწიფოში შვებულების დრო ძალიან მცირეა. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში შვებულების ძირითად დროდ დადგენილია 5 სამუშაო დღე, იაპონიაში – 6, იტალიაში – 12, გერმანიაში – 15 დღე. მოსამსახურეთა ცალკეული კატეგორიები საერთოდ არ სარგებლობენ შვებულების უფლებით.

ამავე დროს მკაცრი მეთვალყურეობაა შრომის პროცესზე, რათა მუშამ სამუშაო საათებში დრო არ დაკარგოს. მაგალითად, იაპონიის ქალაქ ნაგოიში (სადაც არის საავტომობილო მშენებლობის გიგანტი ფირმა „ტოიოტა“) მოქმედებს წესი: მუშებს ევალებათ ატარონ მოგვირისტებულ ჯიბეებიანი და მოკლე შესაკრავიანი შარვლები, რომ ზედმეტი დრო არ დასრულონ ტუალეტში [4, 80-81].

ევროპის ყველაზე განვითარებულ სახლმწიფოებშიც კი ხელისუფლება არცოუ დიდი ხალისით ანიჭებდა საარჩევნო უფლებას ქალებს. მაგალითად, ქალებს საარჩევნო უფლება შვეციაში მიენიჭათ 1921 წელს; ესპანეთში – 1931 წ; იტალიაში – 1945 წ; ხოლო შვეიცარიაში მხოლოდ 1971 წელს.

ირლანდიაში 300 ათასზე მეტი მოსამსახურე ქალიდან გასული საუკუნის 70-იან წლებში 80 პროცენტზე მეტი გაუთხოვარი იყო ირლანდიაში არსებული კანონის გამო; რომლის ძალითაც სახელმწიფო დაწესებულებებსა და მრეწველობაში დასაქმებულ ქალებს, როგორც წესი გათხოვებისას ათავისუფლებენ. ასეთი კანონის გარდა არის სხვა ობიექტური მიზეზებიც: ირლანდიაში არ არის ბავშვთა ბაგა-ბაღები, კერძო პანსიონების გამოკლებით, სადაც ბავშვის მოვლისთვის მაღალ გადასახადებს ითხოვენ.

მართალია, 1957 წელს მიღებულ იქნა კანონი, რომელიც რამდენადმე ცვლილა გაუთხოვარი ქალების მდგომარეობას. მათ მიენიჭათ უფლება პქონოდათ საკუთრება და აღეძრათ საქმე სასამართლოში, მაგრამ ასევა თუ ისე ირლანდიული ქალი დღემდე რჩება ქმრის საკუთრებად.

ირლანდიის კონსტიტუციით აკრძალულია განკურწინება. უმუშევრობის დროს ათობით ათასი ირლანდიული მამაკაცი სამუშაოს საძებნელად მიეგბზავრება საზღვარგარეთ, სადაც მრავალი მათგანი ახალ ოჯახს ქმნის, მაგრამ მიტოვებულ მეუდღეებს, რომლებიც ირლანდიაში დარჩნენ, უფლება არა აქვთ სელმეორედ დაქორწინდნენ [5, 51, 55].

ამერიკული ცივილიზაციის ერთ-ერთი პოზიტიური შედეგი იყო პიროვნების უფლებების დამკვიდრება და გაფართოება-როგორც მოქალაქეობრივი, ასევე პოლიტიკური. ამერიკის ისტორიის დიდ მანძილზე 1890-იანი წლების ჩათვლით მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებების გაფართოება ეხებოდა მხოლოდ თეთრკანიანი მამრობითი სქესის მოსახლეობას.

1860-იანი წლებიდან, მონობის გაუქმების შემდეგ, ეს უფლებები გავრცელდა მამრობითი სქესის შავკანიან რასაზეც. ეს პროცესი ვითარდებოდა მტკიცნეულად და დასრულდა მხოლოდ 1970-იან წლებში [6, 184-185].

ქალთა უფლებებისათვის ბრძოლა ამერიკაში საერთო ევროპულ დონეს მიჰყვებოდა და საარჩევნო სტატუსის უფლება ამერიკელმა ქალებმა მხოლოდ 1920 წელს კონსტიტუციის მე-19 შესწორებით მიიღეს. ქლთა ჭეშმარიტი თანასწორობა კი 1970-იანი წლებიდან თუ გამოიკვეთა. ეს პირველ რიგში სამუშაოზე

მიღებისა და მამაკაცების თანაბარ ანაზღაურებას ეხება. თუმცა, დღეს უდიდესი პროგრესი სახეზეა [7, 12].

ძირითადი საერთო-სახელმწიფოებრივი აქტები, რომლებიც განსაზღვრავენ აშშ-ში ადამიანთა უფლებებსა და თავისუფლებებს, არის ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაცია და კონსტიტუცია-დამატებებით. ხაზგასასმელია, რომ ორი საუკუნის მანძილზე მიღებული 27 კონსტიტუციური შესწორებიდან 15 პირდაპირ შეეხება ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს.

ჯერ კიდევ 1776 წლის 4 ივლისს მიღებულმა დამოუკიდებლობის დეკლარაციამ დააფიქსირა, რომ ადამიანები თანასწორები არიან და ისეთი ხელშეუვალი უფლებები, როგორიცაა სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისაკენ ლტოლვა, მათ დვთის მიერ აქვთ ნაბოძები [8, 15].

მიუხედავად ადამიანის უფლება-თავისუფლებების საკანონმდებლო სრულყოფის ხანგრძლივი პროცესისა, რეალობა ისეთი ჩამოყალიბდა, რომ აშშ-ის უმთავრესი იურიდიული აქტები – დამოუკიდებლობის დეკლარაცია, შეერთებული შტატების კონსტიტუცია და „უფლებათა ბილი“ ტექსტობრივად არ ემთხვევა საერთაშორისო შეთანხმებებით ცნობილ უფლებებსა და თავისუფლებებს. ერთგვარი შეუთანხმებლობის პრობლემა აშშ-ში წესრიგდება სხვა ნორმატიული აქტებით, კონსტიტუციური ჩვეულებებით, სხვადასხვა შტატების კონსტიტუციებით და სხვა აქტებით [8, 18].

70-იან წლებში კარტერის თეორ სახლში მოსვლისთანავე, ადამიანის უფლებების დაცვა (დირექტივა №28, 1977 წ.) გახდა ერთ-ერთი მძლავრი სტიმული, რომელმაც ფართო გასაქანი მისცა დისიდენტურ

მოძრაობას სოციალისტურ ქვეყნებში და კერძოდ, ყოფილ საბჭოთა კავშირში.

კარტერი არც საკუთარი ქვეყნის პრობლემებზე ხუჭავდა თვალს ამ სფეროში. 1979 წლის 23 იანვარს კონგრესში წაკითხულ იქნა პრეზიდენტის გზავნილი ქვეყნის მდგომარეობის შესახებ. გზავნილში ნათქვამი იყო, რომ სიტყვები, რომლებიც დამუკიდებლობის დეკლარაციის ავტორთა გამონათქმამებში ისმოდა „ახლა ძნელად შეიძლება გაერკვე“. ეს სიტყვებია: „პატიოსნება, თანასწორობა, ერთიანობა, შეგეძლოს მსხვერპლის გადება, თავისუფლება, რწმენა, სიყვარული“ [9, 173].

ადამიანის უფლებები და თავისუფლებები დიდ ბრიტანეთში მრავალფეროვნად არის წარმოდგენილი, რომელთა ფესვებს ქვეყნის ისტორიის წარსულში მიკვავართ. რევოლუციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი იყო 1689 წელს მიღებული „ბილი უფლებათა შესახებ“. ამ აქტთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ იგი წარმოადგენდა 1215 წელს მიღებული „თავისუფლების დიდი ქარტიის“, „უფლებათა შესახებ“ 1682 წლის პეტიციის და მთელი რიგი სხვა ისტორიული დოკუმენტების შედარებით სრულყოფილ ინტერპრეტაციას. პიტერ ბრიტენის სიტყვებით ბილის ავტორები ხელმძღვანელობდნენ იმ სამართლიანი მოსაზრებით, რომ „არ არის საჭირო რაიმე დამატებითი ხასიათის გარანტიების გათვალისწინება, თუკი დაფიქსირდება პარლამენტი თავისუფალი არჩევნების პრინციპი, უზრუნველყოფილი იქნება სიტყვის თავისუფლება და პარლამენტის კომპეტენციას დაექვემდებარება გადასახადების შემოღებასთან და აკრებასთან, კანონშემოქმედებასა და ჯარის შენახვასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა.

დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობა აღიარებს სიცოცხლის უფლებას. სიკვდილით დასჯვა 1965 წელს დროებით, ხოლო 1969 წლიდან სამუდამოდ გაუქმდა [8, 92].

საერთოდ, ადამიანის უფლებების დარღვევა იმდენად მრავალ სახელმწიფოში შეიძლება იყოს, რომ მსოფლიო საზოგადოებრიობასა და უძლიერეს ქვეყნებს ფიზიკურად არ შეეძლოთ ჩარევა ყველა კონკრეტულ შემთხვევაში [10, 126]. მაგალითად, სინგაპური XX საუკუნის ბოლოს ცნობილი გახდა მცდელობებით ჩაეხშო კრიტიკა პრესის მხრიდან და რეჟიმის პოლიტიკური ოპონენტების ადამიანური უფლებებიც შეეღახა. ამასთანავე, სინგაპურის ხელისუფლება სისტემაზე ერევა მოქალაქეების პირად ცხოვრებაში, თან ისეთი ინტენსივობით, რაც დასავლეთში სრულიად მიუღებელი იქნებოდა; ასე მაგალითად, სახელმწიფო ადგენს, რამდენზე შეიძლება მოუშვან ბიჭებმა თმა, კანონგარეშე აცხადებს ვიდეო სალონებს და მაღალ ჯარიმებს აწესებს ისეთი უმნიშვნელო დანაშაულისათვის, როგორიცაა ქუჩის დანაგვიანება თუ საზოგადოებრივ ტუალეტში წყლის არჩამოშვება [11, 151].

ადამიანის უფლების ერთ-ერთი კომპონენტია მის გარშემო და უპირველესად მის შესახებ არსებული ინფორმაციის თავისუფლად მიღების შესაძლებლობა. ეს არ ეხება სახელმწიფო და სხვა ადამიანების პირად საიდუმლოებას. არსებობს სამხედრო-პოლიტიკური, უსაფრთხოების და სხვა სახის ცნობები, რომელთა დაცვა სახელმწიფოს უსაფრთხოებისათვის აუცილებელია. ასევე არსებობს ეკონომიკური და საფინანსო ინფორმაციები, რომლებიც მათი მფლობელების საიდუმლოს წარმოადგენენ და იგი ასეთად

რჩება მანამ, სანამ უფლებამოსილი პირი ან დაწესებულება მათ საჯაროდ არ გამოაცხადებს.

ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში დაწესებულია მკაცრი კონტროლი ინფორმაციის გავრცელებაზე, ცენზურა კრძალავს ყველაფერს, რაც არსებული რეჟიმის საწინააღმდეგოდაა მიჩნეული. დემოკრატიულ საზოგადოებაში ცენზურა არ არსებობს და ყველას თანაბრად მიუწვდება ხელი ნებისმიერ ინფორმაციაზე სახელმწიფო საიდუმლოების გარდა [2, 79].

იტალიაში გამოიგონეს ახალი მოწყობილობა (მოყურადღებამცემი), რომელსაც ადამიანის კანქვეშ ამაგრებენ. იგი პიროვნების გაუჩინარების შემთხვევაში პოლიციას მის ადგილსამყოფელს ოპერატიულად მიაგნებინებს. მოწყობილობას ადამიანის სხეულში გამომუშავებული ელექტროობა ჰყოფნის. ორგანიზმში მისი აღმოჩენა რენტბენის საშუალებითაც შეუძლებელია [12, 252].

ბუნებრივია, ადამიანის უფლებები ყველაზე მეტად ირღვეოდა სოციალისტურ ქავენებში. ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის (გდრ) საიდუმლო პოლიცია (შემოკლებით „შტაზი“) ყოველი ფეხის ნაბიჯზე არღვევდა ადამიანის უფლებებს აშკარად თუ საიდუმლოდ. ეს იყო უდიდესი ბიუროკრატიული აპარატი, რომელმაც საზოგადოების ყველა სფეროში შეაღწია: მას ჰყავდა 85 ათასი მუშაკი სრულ შტაზზე. აქედან, 6 ათასის ერთადერთი ამოცანა იყო სატელეფონო საუბრების მოსმენა, 2 ათასი – ორთქლზე ხსნიდა წერილებს, კითხულობდა მათ, კვლავ ლუქაგდა და ისე უგზავნიდა ადრესატს. შტაზის დაქორავებული ჰყავდა, 150 ათასი აქტიური ინფორმატორი და ჰყავდა ასეულ ათასობით დამსმენი. საქმეები შედგენილი იყო 4-5 მილიონ ადამიანზე (ქვეყნის მოსახლეობა 16 მოლიონი იყო). მიუხედავად იმისა, რომ გდრ-ს

დიდი არმია გააჩნდა, შტაზის არსენალში 250 ათასი იარაღის ერთეული იყო [2, 68].

თანამედროვე რუსული საზოგადოებრივი აზრი საბჭოთა სახელმწიფოს სამოცდაათწლიან ისტორიას სამ მთავარ პერიოდად ყოფს: რეპრესიების წლები (სტალინი), ვოლუნტარიზმისა და სუბიექტივიზმის პერიოდი (ხრუშჩოვი) და უძრაობის პერიოდი (ბრეჟნევი, ანდროპოვი). ეს დაყოფა აშკარად ხელოვნური და მიუღებელია. განა 30-40-იანი წლების რეპრესიები შეიძლებოდა სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის გარეშე? ანდა ბრეჟნევის დროს არ იყო რეპრესიები? ეს ხომ არსებითად ნეოსტალინიზმის ბატონობის ეპოქაა. მართალია სტალინის ეპოქისაგან განსხვავებით, შენელდა დახვრეტები, ციმბირში გადასახლება, სამაგიეროდ, პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა მიმართ შემოიდეს ახალი მეთოდები (ფსიქიატრიულ საავად-მყოფოებში მოთავსება, საზღვარგარეთ გაძევება და სხვ., [13, 11-12].

ბოლშევიკებმა საკუთრებისა და ეკლესიების დანგრევის შემდეგ დაიწყეს ოჯახების რღვევა. პავლიკ მოროზოვის მიმდევრები, ბავშვები—დამსმენები, მეზობლებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ყიდდნენ მამებს, დედებს, ძმებს, დებს. მშობლები მიჰყავდათ საპყრობილები, ხოლო „გმირი ბავშვები“ – „არტეკში“. საგულისხმოა ომამდელი პერიოდის „პიონერსკაია პრავდაში“ გამოქვეყნებული სტატია: დამსმენი ბავშვები ქვეყნის სხვადასხვა მხრიდან ერთმანეთს იწვევდნენ სოციალისტურ შეჯიბრში ვინ უფრო მეტს დაასმენდა. „არტეკში ყოფნის დროს ისინი ერთმანეთს უზიარებდნენ გამოცდილებას, თუ როგორ ეთვალთვალათ და სადაც საჭირო იყო იქ ეცნობებინათ“ [14, 53].

უმაღლესი სასწავლებლებიდან რიცხავდნენ ვაჭრის, შეძლებული (კულაკი) გლეხის შვილებს. მოსახლეობის დიდი ნაწილი იძულებული გახდა ვაჭრობისთვის თავი დაენებებინა. ოუმცა ასეთებასაც არჩევნებში მონაწილეობის უფლებას მაინც ართმევდნენ. ოჯახის სოციალური და მატერიალური მდგომარეობა უშუალოდ მოქმედებდა თითოეულ წევრზე. კერძოდ, სასწავლებლიდან გარიცხვა, სამსახურიდან დათხოვნა... [15, 24].

1935 წელს გამოვიდა კანონი მცირეწლოვანთა სასჯელის გაძლიერებაზე. იგი იმავე წლის 7 აპრილის დადგენილებით შევიდა ძალაში და სისხლიანი ასოებით დარჩა კომუნისტური კანონების ისტორიაში. კანონი მცირეწლოვანთა, 12 წლის ზევით დახვრეტასაც ითვალისწინებდა. 13 წლის დახვრიტეს რუსეთის ტახტის მემკვიდრე უფლისწული ალექსი, თუმცა მაშინ, კანონები არ უძებნიათ. 7 აპრილის კანონს უფარდებდნენ პოლიტატიმართა შვილებს, ამ კანონით აშინებდნენ ძიებაში მყოფთ. შვილის სიცოცხლით თამაში კი ადემატებოდა წამებას, ტანჯვას, ყველა სისასტიკეს, ყველა სისაძაგლეს ერთდროულად [16, 218].

ადამიანის რომელ უფლებებზე, შემოქმედებასა და ნიჭზე შიძლებოდა ლაპარაკი ასეთ სისტემაში?

აქ, ადამიანი, როგორც პიროვნება იგნორირებული იყო, ის მხოლოდ სამუშაო ძალას წარმოადგენდა. ამ ანტიკუმანური და ანტიადამიანური ცხოვრების წესიდან მოვიყვანთ ზოგიერთ მაგალითს: დისციპლინის ორჯერ დარღვევისათვის მოქალაქეს სასამართლოს გადასცემდნენ, ხოლო მესამე დარღვევისათვის ეკისრებოდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. 21 წუთამდე დაგვიანებისათვის „დამნაშავეს“ უსჯიდნენ შრომა-გასწორების კოლონიაში 6 თვის პატიმრობას.

21 წელზე მეტი დაგვიანებისათვის კი სასჯელი ითვალისწინებდა 2 წლით თავისუფლების აღკვეთას. ასე გრძელდებოდა 1954 წლამდე [17, 64].

გლეხობის მიწაზე მიმაგრებას ისახავდა მიზნად საბჭოური საპასპორტო სისტემა. საბჭოთა კავშირში 1932 წლის დეკემბერში ძალაში შევიდა განსაკუთრებული საპასპორტო რეჟიმი. პასპორტებს აძლევდნენ მხოლოდ ქალაქების, რაიონული ცენტრების, ახალი მშენებლობების, საბჭოთა მეურნეობების, მტს – ბისა და ასევე რამდენიმე საგარეუბნო ზონის მოსახლეობას. კველა სასოფლო დასახლებანი (კოლმეურნები) პასპორტებს არ იღებდნენ. ისინი სასოფლო საბჭოში სიით იყვნენ აღრიცხულნი. ეს ფაქტი ზღუდავდა გადაადგილების თავისუფლებას. ასე გაგრძელდა 60-იანი წლების დასაწყისამდე.

ადსანიშნავია, რომ 1932 წლამდე საბჭოთა კავშირში პასპორტები, საზღვარგარეთულის გარდა, საერთოდ არ იყო. პასპორტი ანულირებული იქნა 1923 წელს, რაც თურმე დაკავშირებული ყოფილა საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციასთან. პიროვნების დამადასტურებელ დოკუმენტად შეიძლებოდა გამოგეყენებინა ნებისმიერი მოწმობა (პროფკავშირის ბილეთი, წითელარმიელის, მატროსის წიგნაკი და სხვ.).

1923 წელს პასპორტების ნაცვლად რსფსრ და ზოგიერთ სხვა მოქავშირე რესპუბლიკაში შემოვიდა პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, თუმცა მისი მიღება აუცილებლობას არ წარმოადგენდა (კანონში ნათქვამი იყო, რომ მოქალაქეებს უფლება პქონდათ მისი ქონებისა). მოქალაქეთა თხოვნის საფუძველზე, ასეთ მოწმობებს ავსებდნენ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები. მოწმობაში არ იყო სურათი (მაშინ ფოტოგადაღება იშვიათად ხდებოდა და დიდ

თანხასთან იყო დაკავშირებული), არ იყო არც მფლობელის სიტყვიერი აღწერილობა, როგორც 1917 წლამდე პერიოდში [18, 276-277].

მხოლოდ 1974 წელს იქნა შემოღებული ახალი საპასპორტო რეჟიმი, ანულირებულ იქნა გრაფა „სოციალური წარმოშობა“, რითაც გამოირიცხა ქალაქისა და სოფლის დისკრიმინაცია [18,278].

საბჭოთა რეჟიმის დროს სახელმწიფოს მიღებული პქონდა მონოპოლია ყოველი ადამიანის სიკვდილსა და სიცოცხლეზე, მაგრამ არცერთ ლიდერს არც ხრუშჩოვამდე და არც ხრუშჩოვის შემდეგ მშვიდობიანი დემონსტრაციები არ დაუხვრებია. ხრუშჩოვმა კი ორჯერ – 1956 წელს თბილისში და 1962 წელს ნოვოჩერკასკში მოაწყო მშვიდობიანი მოქალაქეების ხოცვა-ულება [19, 31].

მეოთხედ საუკუნეზე მეტი გასაიდუმლოებული იყო საზოგადოებისაგან 1962 წლის 2 ივნისს ნოვოჩერკასკში მომხდარი მოვლენები. ამ დღეს დემონსტრაცითა მძლავრი კოლონა, რომელიც შედგებოდა ქარხნისა და სხვა საწარმოთა მუშებისაგან, გაემართა ქალაქის ცენტრალური მოედნისაკენ. ქუჩაში გამოვიდნენ მუშები ანგისხუშჩოვული ლოზუნგებით. ხელისუფლება მოემზადა დემონსტრაციის დასახვრებად. მობილიზებულ იქნა ჯარის ნაწილები არმიის გენერლის პლიევის ხელმძღვანელობით. მოსახლეობისათვის სროლის ხმა რომ ძალიან მაღალი არ ყოფილიყო, დილიდან რადიოქსელით ტრანსლირებული იყო მუსიკა. პარალელურად სამხედრო ნაწილები სატანკო შემადგენლობასთან ერთად მიემართებოდნენ ქალაქის ცენტრისაკენ დემონსტრაციებთან შესახვედრად. ავტომატური იარაღიდან მასირებული ცეცხლის გახსნის შემდეგ დაიღუპა 22 ან 24 ადამიანი. მათ შორის სკოლამდელი ასაკის ბავშვი, დაიჭრა

30 კაცი. მოკლულები მაღლად დაკრძალეს, მაგრამ ხელისუფლებისათვის ეს მსხვერპლი საქმარისი არ აღმოჩნდა. იმავე წლის აგვისტოში ნოვოჩერკასკში ჩატარდა რსფსრ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის დია სასამართლო პროცესი, სადაც განიხილეს „14 წესრიგის დამრღვევი თრგანიზატორის საქმე“. მათგან შვიდს დახვრეტა მიუსაჯეს. სინამდვილეში ამ მოვლენების ორგანიზატორი და მთავარი დამნაშავე იყო ხრუშჩოვი. მუშათა დემონსტრაცია დაიწყო საკეებ პროდუქტებზე ფასების აწევის გამო, რასაც ერთდროულად მოჰყვა შრომის ანაზღაურების შემცირება 1962 წლის ზაფხულში. 1961 წელს გატარებულმა ფულის რეფორმამ ასევე უარყოფითი გავლენა მოახდინა მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობაზე [20, 26-27]. თუმცა ეს არ იყო ხრუშჩოვის მიერ სიტყვის თავისუფლების ჩახშობის პირველი მცდელობა. მაგალითად, 1957 წლის 10-11 ივნისს მოსკოვის თლქის ქალაქ პოდოლსკში 3 ათასი ადამიანი გამოვიდა, რომელსაც „მთვრალ მოქალაქეთა ჯგუფის“ გამოსვლა უწოდეს. 9 პიროვნება მისცეს პასუხისმგებაში.

მეორე მასობრივი „უწესრიგობა“ დაფიქსირდა 1961 წლის 15 იანვარს ქალაქ კრასნოდარში. მონაწილენი 1300 შეადგენდნენ. გამოყენებულ იქნა ცეცხლსასროლი იარაღი, რის შედეგადაც დაიღუპა ერთი ადამიანი. სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მისცეს 24 მოქალაქე.

ნახევარი წლის შემდეგ, 21 ივნისს ალტაის მხარის ქალაქ ბასკუში მასობრივ გამოსვლებში 500 კაცი მონაწილეობდა. მიღიციასთან შეტაკებაში დაიღუპა ერთი, ერთი დაიჭრა, 15 აქტივისტი დააპატიმრეს.

ცხრა დღის შემდეგ ვლადიმირის ოლქის ქალაქ მურომში ორჯონიკიძის სახ. ქარხნის 1500-ზე მეტი მუშა გამოვიდა პროტესტით. მილიციასთან შეტაკებაში ორი დაიჭრა, 12 სასამართლოს გადასცეს...

საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ ომის შემდეგ მხოლოდ 30 წლის განმავლობაში სსრკ-ში დაფიქ-სირდა მასობრივი გამოსვლების 24 შემთხვევა, რომელიც მიმართული იყო ხელისუფლების წინააღმდეგ. 11 შემთხვევაში ხელისუფლების მხრიდან გამოყენებული იქნა ცეცხლსასროლი იარაღი, რის შედეგადაც დაიღუპა 43 ადამიანი და დაიჭრა 166. 590 პირის წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით 1956-1987 წლებში ანტისაბჭოთა გამოსვლებისათვის სხვადასხვა ფორმით რსფსრ სსკ 70-ე მუხლით გაასამართლეს 6543 ადამიანი, ხოლო 190-ე პრიმა მუხლით – 1609 კაცი [14, 299].

ადამიანის უფლებები ირღვეოდა სქესობრივასაკობრივი თვალსაზრისითაც – იჩაგრებოდნენ ქალები და ბავშვები. 1967 წლის 7 ნოემბერს გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო ქალთა მიმართ ყოველგვარი დისკრიმინაციის აკრძალვის დეკლარაცია, ხოლო 1979 წელს – კონვენცია. 1989 წელს მიღებულ იქნა ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენცია, რომლის თანახმად ბავშვები და მოზარდები ისეთივე ადამიანებია, როგორც დიდები და მათაც გააჩნიათ დირსებები, პიროვნული დირებულებები და აქვთ თავიანთი უფლებები. ყველა ბავშვს აქვს უფლება, იზრდებოდეს უსაფრთხო პირობებში, მათი აზრები და გრძნობები პატივისცემით უნდა იქნენ მიღებული.

როგორც აღვნიშნეთ, გაერო-მ 10 დეკემბერი დააწესა, როგორც ადამიანის უფლებათა დღე. ადა-

მიანის უფლებებში ორი ძირითადი ჯგუფი გამოიყოფა:

1. მატერიალური მოიცავს ადამიანის კონკრეტულ უფლებებსა და თავისუფლებებს).
2. საპროცესო (ადამიანისათვის კუთვნილი მოქმედების მეთოდი და მასთან დაკავშირებული ინსტიტუტების, რომლის დახმარებითაც ადამიანი აიძულებს ხელისუფლებას დაიცვას თავისი უფლებები).

განარჩევენ აგრეთვე პ თ ზ ი ტ ი უ რ და ნ ე გ ა ტ ი უ რ უფლებებს. პოზიტიურია ის უფლებანი, რომელიც გულისხმობს ხელისუფლების აქტიურ მოვალეობებს თითოეული მოქალაქის მიმართ. ხოლო ნეგატიურია ის უფლებები, რომლებიც უკრძალავს სახელმწიფოს ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში ჩარევას.

ამრიგად, ადამიანის უფლება – ეს არის ადამიანისათვის მიუცილებელი კონკრეტულ მოქმედებათა განხორციელების შესაძლებლობა, რომლის წართმევა ან რამენაირი დაბრკოლება დაუშვებელია სახელმწიფოს, მისი ორგანოებისა და ცალკეული პირების მხრიდან [2, 107-108].

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ერთ-ერთ მექანიზმს მიეკუთვნება ომბუდსმენის ინსტიტუტი. „ომბუდსმენი“ შეედური სიტყვაა და სხვა პირის ინტერესების წარმომადგენელს ნიშნავს. სხვადასხვა ქვეყნებში მას სხვადასხვა სახელწოდებით მოიხსენიებენ. ომბუდსმენი – სკანდინავიის ქვეყნებში, სახალხო დამცველი – საქართველოში, შუამავალი – საფრანგეთში, სამოქალაქო უფლებათა საპარლამენტო რწმუნებული – უნგრეთში, ხალხის დამცველი – ესპანეთში, ბუნდესტაგის სამხედრო რწმუნებული – გერმანიაში, ადამიანის უფლებების

რწმუნებული – რუსეთის ფედერაციაში, ხალხის ადგომი – რუმინეთში და სხვ.

ომბუდსმენი, სახალხო დამცველი თანამდებობის პირია, რომელსაც ირჩევენ (მაგალითად, საფრანგეთში შუამავალი ინიშნება მინისტრთა საბჭოს დეკრეტით. დიდ ბრიტანეთში ადამიანის უფლებათა საპარლამენტო რწმუნებულს პრემიერ-მინისტრის რეკომენდაციით ნიშნავს მონარქი) და ხელისუფლებას შორის, რათა გამოიძიოს მოქალაქეთა საჩივრები ხელისუფლების ორგანოებისა და ოფიციალური თანამდებობის პირების წინააღმდეგ იმ შემთხვევაში, როდესაც, მოქალაქეთა აზრით, ხელისუფლებამ დაარღვია მათი უფლებები და თავისუფლებები. ომბუდსმენი ახორციელებს სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევების გამოვლინებასა და უფლებების დაცვაზე კონტროლს. პროკურატურისაგან განსხვავებით, იგი ახორციელებს კონტროლს და „გამოიძიებს“ არა მხოლოდ კანონიერების, არამედ კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის თვალსაზრისით. ომბუდსმენს აქვს უფლება განიხილოს საქმეები და აწარმოოს „გამოძიება“ საკუთარი ინიციატივით, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ის მოქმედებს მოქალაქეების საჩივრების საფუძველზე. ზოგიერთ ქვეყნებში კი მოქმედებს „საპარლამენტო ფილტრის“ პრინციპი; ომბუდსმენი მოქალაქეთა საჩივრებს იღებს პარლამენტისაგან. ომბუდსმენის მიერ მიღებულ აქტებსა და გადაწყვეტილებებს, როგორც წესი, არ გააჩნიათ სავალდებულო ძალა სახელმწიფო ორგანოებისათვის.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა დაცვას ზედამხედველობს საქართველოს სახალხო დამცველი. საქართველოს სახალხო დამ-

ცველის რეგულირება ხდება 1996 წლის 16 მაისის ორგანული კანონით „ საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ” [21, 141-142].

შვედური ომბუდსმენის ბუმბა შეერთებულ შტატებშიც შეადწია. აქ პირველი ომბუდსმენი 1969 წელს შეიქმნა ჰავაის შტატში, შემდეგ კიდევ 18 შტატში, 15 ტერიტორიასა და ქალაქში სხვადასხვა სპეციალიზაციის ომბუდსმენები დაფუძნდა. ამას გარდა მრავალ შტატში შეიქმნა ადმინისტრაციული აპარატისაგან დამოუკიდებელ ორგანიზაციების პირთა ინსტიტუტი, რომელიც მოქალაქეთა საჩივრებს იხილავს და რომელსაც „აღმასრულებელ ომბუდსმენსაც” უწოდებენ. ბუფალოს უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის ინიციატივით დამკვიდრდა საქალაქო ომბუდსმენი, რომლის გამოცდილება შემდგომ ქვეყნის მრავალ ქალაქში გავრცელდა და ახლა ქვეყნის 100-ზე მეტ ქალაქში მოქმედებს ეწ. „საუნივერსიტეტო ომბუდსმენი”. ამერიკის რამენიმე შტატში არის რეგიონული ომბუდსმენი, ზოგან მათი სპეციალიზაცია კონცენტრირებულია ადმინისტრაციის საქმიანობის ცალკეულ სფეროებზე, იქნება ეს განათლება, ბიზნესი თუ სხვ.

ამერიკის შეერთებულ შტატებში უკანასკნელ სანებში ომბუდსმენმა ერთგვარად დაკარგა პოპულარობა და მიზეზად იმას ასახელებენ, რომ ეს უცხოური მოდელი ვერ შეერწყა ამერიკულ რეალობას. შესაძლებელია, მაგრამ იქნებ მთავარი მიზეზი მაინც ის არის, რომ ამერიკელმა ომბუდსმენმა მუშაობის კაბინეტური სტილი ირჩია და საჩივრების 90%-ს ტალეფონის მეშვეობით აგვარებს [8, 18-19].

ამდენად, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები იდენტურია თავისი იურიდიული ბუნებითა და გარანტიათა სისტემით. ერთიცა და მეორეც არის

პირის შესაძლო ქმედებების, უფრო სწორად, ყოფაც-ხოვრების კანონდებული ფარგლები. თუმცა, მათი დაცულობის თვალსაზრისით, გასათვალისწინებელია ორი მნიშვნელოვანი პირობა: როდესაც საუბარია სუბიექტურ უფლებებზე, სავალდებულოა იმ სუბიექტის დამაბალანსებელი მოვალეობის არსებობა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მოცემული უფლების რეალიზაცია; მაგრამ, როდესაც საკითხი ეხება თავისუფლებებს, სავალდებულოა ნებისმიერი უფლებამოსილი სუბიექტის მიმართ გარკვეული აკრძალვების შემოდება, რათა მან თვითნებურად უარყოს, თუ არადა, შესაბამისი აქტით შეზღუდოს სხვათა უფლებებში ჩარევის თავისუფლება. აღნიშნულის გათვალისწინებით, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური და კონსტიტუციური სამართლის სხვა წყაროები არა მხოლოდ აღიარებენ სხვადასხვა ხასიათისა და ბუნების უფლებებს და თავისუფლებებს, არამედ ქმნიან ნორმათა სისტემას, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო აპარატმა უნდა უზრუნველყოს მათი შესრულება [22, 176-177].

### **გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. А. Бушков, Россия, которой не было, М., 1997.
2. ვ. შუბითიძე, თ. დავითა შვილი, პოლიტოლოგია პოლიტიკური ტექნოლოგიები, თბ., 2002.
3. ქართული დიპლომატიური ლექსიკონი, ტომი 1, თბ., 1997.
4. Р. Цивилев, Право на социальную необеспеченность, М., 1984.
5. Ю. Устименко, Познакомитесь Ирландия, М., 1978.
6. ციხისთავი, მოსაზრებანი ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიის უმაღლესი სკოლის ქარ-

- თულენოვანი სახელმძღვანელოს შექმნის თაობაზე, „კლიო“, 2005, №25.
7. ვ. კაჭარავა, ამერიკა 1920-იან წლებში, თბ., 2008.
  8. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი, თბ., 2008.
  9. Б. Большаков, Бизнес на правах человека, М., 1983.
  10. ქ. ჯიჯეიშვილი, მსოფლიო პოლიტიკა, თბ., 2010.
  11. ფრენსის ფუკუიამა, ისტორიის დასასრული დაუკანასკნელი ადამიანი, თბ., 1999.
  12. გ. ჯოლია, დიპლომატიური და საქმიანი ეტიკეტი, თბ., 1999.
  13. ო. გამყრელიძე, ბრძოლა სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, თბ., 1998.
  14. Н. Зенкович, Тайны уходящего века Т.2, М., 1998.
  15. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 471, ანაწ. 1, საქ. 295.
  16. რ. ჭეიშვილი, რვინის სახეობი, თბ., 1992.
  17. Социализм Между прошлым и будущим, М., 1989.
  18. Историки спорят, М., 1989.
  19. უ. ბლუაშვილი, უცნობი ლავრენტი ბერია, თბ., 2003.
  20. Н. Барнабишвили, Кризис, Тб., 1997.
  21. კონსტიტუციური სამართალი, თბ., 2005.
  22. ო. მელქაძე, კონსტიტუციონალიზმი, თბ., 2006.

## პოლიტიკური ლიდერის იმიჯი

ხალხს კერპი სჭირდება. ამიტომაც არის, რომ მრავალმა ისტორიულმა პიროვნებამ ერთს ლიდერის იმიჯი შეინარჩუნა. ამიტომ ის ისევ ლოცულობს ფარნავაზის, მირიანის, დავითის, თამარის, გიორგის და ა.შ. სახელებზე. ასევე, დალატი, ძმათამკვლელობა, შინაქაოსი, სხვისოვის ოქები ქართული ყოფის მუდმივი პარადიგმაა. „წაგებული დიდი ოქები”, დანგრეული ქალაქები და ციხეები, იავარქმნილი სახელმწიფო სწორედ სევდის საზრდოს იძლევა, რომელიც შეცნობის შემდეგ თავად იქცევა ენერგიად [1, 245].

უსასრულო მოლოდინის შემდეგ, შეიძლება მრავალი შეცდომა დაემართოს არა მხოლოდ პიროვნებებს, არამედ ხალხსაც. ხალხს შეიძლება ისე აერიოს თავგზა და ის მოეჩვენოს, რაც არ არსებობს. გმირად და წინამდოლად ის იწამოს, ვინც საამისოდ არ გამოდგება, იმას ენდოს, ვინც მოატყუებს და უფსერულში გადაჩეხავს. როცა არსებობს სურვილი, ნატვრა, მოლოდინი გმირისა და წმინდანისა, ნამდვილი კი არ ჩანს, მის ადგილს ცრუგმირი და ცრუწმინდანი იკავებს. თან სრულიად დასაშვებია, რომ ეს ცრუგმირი და ცრუწმინდანი სულაც არ იყოს თაღლითი, ცრუპენტელა, ყალთაბანდი, შეგნებულად ავისმოქმედი, არამედ იყოს უბრალო, გონებასუსტი, მალემრწმენი კაცი. ის პიროვნება იყოს, ვინც გონების სიდუხჭირის გამო იოლად იჯერებს, რომ მასაც შეუძლია დიდი მისის შესრულება. ასეთ ადამიანებს, ნებით თუ უნებლიერ, დიდი უბედურება მოაქვთ [2, 221].

ლიდერის ინსტიტუტი უძველეს დროში წარმოიქმნა და იგი მრავალსახოვანი მოვლენაა. „ლიდერის” ცნებას სხვადასხვა კონტექსტში იყენებენ: ცხო-

ველთა სამყაროში გაბატონებული არსებიდან დაწყებული საზოგადოებრივი ცხოვრების მმართველით დამთავრებული. ჯოგის წინამდღოლი წარმოადგენს ფიზიკურად უფრო ძლიერ ინდივიდს, რომლის ქცევაც მაგალითია სხვა ინდივიდებისათვის ფიზიკური გადარჩენისათვის ბრძოლის პროცესში. საზოგადოებრივი ლიდერობა კი სოციალური ფუნქციაა, რომელსაც განაპირობებს ადამიანის უნარი – დასახოს ზოგადმნიშვნელოვანი მიზნები და მათი მიღწევის გზები. ამასთან, ლიდერობის განხორციელების ფორმები და საშუალებები დამოკიდებულია საზოგადოების პოლიტიკური კულტურის დონეზე. პლატონის აზრით პოლიტიკის უშუალო შემოქმედი არის პოლიტიკური ელიტა და პოლიტიკური ელიტა და ის ური და ერი, რომელთა გარეშე შეუძლებელია პოლიტიკის არსებობა. პოლიტიკის შემოქმედებად პლატონს ისინი იმიტომ მიაჩნია, რომ მმართველები ფლობენ სპეციალურ ცოდნას (რაც აუცილებელია საზოგადოების სამართავად) და გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. როდესაც პოლიტიკური ლიდერი არაკომპეტენტურია (არ იცის, როგორ მართოს სახელმწიფო) ან პირადი ეგოისტური ინტერესებით მოქმედებს, მაშინ პოლიტიკა კარგავს თავის გამაერთიანებელ როლს და შეთანხმების შესაძლებლობებს (იგულისხმება, რომ პოლიტიკა არის საზოგადოებაში არსებული საწინააღმდეგო ინტერესების შეთანხმების საშუალება) [3, 10].

როგორც პრაქტიკული ცხოვრება გვიჩვენებს, თვით ყველაზე პატიოსანი და კეთილშობილი ადამიანები პოლიტიკაში მოხვედრის შემდეგ რატომდაც კარგავენ თავის საუკეთესო თვისებებს. აღნიშნული ფერიცვალების აქსნა ორი მიზეზით შეიძლება: პირველ რიგში, ადამიანის უსაზღვრო მოთხოვნილებები

ლიდერის როლს ისტორიაში განსაკუთრებით ხაზს უსვამდა ფრიდრიხ ნიცშე, რომელიც აღნიშნავდა: „კაცობრიობის მიზანი მის უმაღლეს წარმომადგენლობაშია. — კაცობრიობამ შეუსვენებლად უნდა იმუშაოს, რათა დაბადოს დიდებული ადამიანები — მხოლოდ ამაში მდგომარეობს მისი ამოკანა“.

ტერმინს „პოლიტიკური ლიდერი“ ერთი განსაზღვრული მნიშვნელობა არ გააჩნია. მას აიგივებენ ცნებებთან „მმართველი“, „ბეჭდადი“, „ხელმძღვანელი“, „მეთაური“ და ა.შ. მაგრამ ცხადია, რომ ყოველი მმართველი ლიდერი არ არის. პოლიტკური ლიდერი ის გახდება, ვისაც შეუძლია გაუძღვეს და გაიყოლიოს მასები, მოახდინოს მათი მობილიზაცია, მუდმივად მართოს იგი.

რა თქმა უნდა, ოპოზიციური პარტიის ლიდერის როლი და შესაძლებლობები, რომელიც ჯგუფურ ინტერესებს გამოხატავს, განსხვავდება საერთო ეროვნული ლიდერის დანიშნულებისაგან, რომელიც მოწოდებულია ერის საერთო ინტერესების გამოხატვისა და გაერთიანებისკენ [3, 61].

ფასეულობები, რომლითაც პოლიტიკური ლი-  
დერის იმიჯი იქმნება „აგსებს და აკეთელშობილებს“

ობიექტს. თუმცა შეიძლება მას სინამდვილეში გამოთქმული თვისებები არც გააჩნდეს, მაგრამ ამ ფასეულობებს საკმაო მნიშვნელობა აქვთ იმ ადამიანებისათვის, რომლებიც იმიჯს აღიქვამენ. ამიტომაც ამბობენ, რომ შექმნილი იმიჯი, როგორც წესი, სიმბოლოა და რეალობისგან მაინც განსხვავდება.

სიტყვა „იმიჯი“, ლინგვისტების აზრით, დაკავშირებულია „ხატთან“ (სურათი, რომელიც გადმოგვცემს იდეას), ასევე „ინდექსთან“ (ის, რაც გონიერას გარკვეული მიმართულებით წარმართავს) და „სიმბოლოებთან“ (განყენებული ცნებები, რომლებიც გონიერას შექმნილ სიტუაციაში პოტენციური მხარის შესაძლებლობების განჭვრებაში ეხმარებიან).

ჰომეროსის, სოფოკლეს და ევრიპიდეს ნაწარმოებები საუკუნეთა განმავლობაში ხალხს უნერგავდა იმ აზრს, რომ მათი გმირების წარუმატებლობანი მათი ხასიათის ნაკლიდან მომდინარეობდა და ყველასათვის აშკარა ხდებოდა, როცა სხვადასხვა გარემოებების შედეგად მათზე ხდებოდა აქცენტირება. ასე მაგალითად, ო ი დ ი პ თ ს ი ბრწყინვალე რეპუტაციით სარგებლობდა მანამ, სანამ ყველამ არ შეიტყო მისი საშინელი წარსული, რომელიც მამის მკვლელობასა და დედაზე დაქორწინებსათან იყო დაკავშირებული. საბოლოოდ ამას დადებითი იმიჯის მსხვევა მოჰყვა [4, 6-7]. იმიჯის ფასი კარგად იცოდნენ ძველი დროიდან. სწორედ უზადო იმიჯის წყალობით შექმნეს მსოფლიო რელიგიები ბუდამ, მუჰამედმა და ა.შ. ცნობილია ცეზარის და ნაპოლეონის იმიჯები, რომლის შექმნაში ისინი თავად მონაწილეობდნენ. ამ იარაღს კარგად იყენებდნენ ჩინგის ხანი და თემურ ლევგი, შაჰ-აბას პირველი. ჩინგიზ ხანს და მონღოლებს ჰქონდათ უძლეველი და სისხლის მოყვარული, დაუნდობელი მეომრების იმიჯი. ეს ხში-

რად ეხმარებოდა მათ ქვეყნებისა და ქალაქების უბრძოლველად აღებაში.

საერთოდ, შეა საუკუნეებში ხალხის უმრავლესობა ვერ ხედავდა თავის მეფეებს და მათზე მსჯელობდა მათ მიერ ჩამოყალიბებული იმიჯის მიხედვით. მაგალითად, პეტრე პირველს რუსეთში მკაცრი, მაგრამ სამართლიანი მმართველის იმიჯი პქონდა. თუმცა ადამიანთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ არ იცოდა, რომ იგი თავად ჭრიდა თავებს აჯანყებულ „სტრელცებს“ (მეთოვეებს) და ბოიარებსაც აიძულებდა იგივე გაეკეთებინათ. მანვე სასტიკი წამებით მოაკვლევინა ციხეში საკუთარი შვილი, შეთქმულებაში მონაწილე ალექსი. ხალხმა არ იცოდა, რომ დალატობდა როგორც საყვარელი ა ნ ა ზონა ს ი, ასევე საკუთარი ცოლი, მომავალი იმპერატრიცა – ეკატერინე პირველი (ანა მონსის ძმასთან, რომელიც პეტრემ ჩამოახრხო და სხვა [4, 10].

პრაქტიკაში ასევე გვხვდება პოლიტიკური ლიდერის ქარიზმატული იმიჯი. („ქარიზმა“ ბერძნულია და „ღვთის წყალობას“ ნიშნავს). ქარიზმა – ესაა ღმერთის, ბუნების თუ ბედის მიერ ინდივიდისათვის ბოძებული არაჩვეულებრივი თვისება, რომლითაც ის გამოირჩევა დანარჩენებისაგან. მოსახლეობა აბსოლუტური ნდობით ექცევა ლიდერს, რომელიც ასრულებს არაორდინაციურ, მისთვის განკუთვნილ ისტორიულ მისიას და ისიც ითხოვს ქვეშევრდომთა მორჩილებას. ხელისუფლების ეს ტიპი წარმოიშობა ისტორიული კატაკლიზმების შედეგად დამკვიდრებულ არასტაბილურ საზოგადოებაში, როცა უიმედო მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს უჩნდებათ რწმენა, რომ ქვეყნისა და ხალხის გადარჩენა მხოლოდ ერთს, დათვის მიერ რჩეულ პირს შეუძლია [5, 13].

1799 წელს ნაპოლეონის ლაშქრობების დროს სირიიდან გვიპტეში დაბრუნებისას შავი ჭირი უფრო და უფრო მატულობდა. ჭირიანებს იქვე ტოვებდნენ, მაგრამ დაჭრილები და სხვა სენიორ დაავადებულები თან მიჰყავდათ. ბონაპარტმა ბრძანა კველა ჩამოქვეითებულიყო, ხოლო ცხენები, ყველა ოთხთვალა და ეკიპაჟი ავადმყოფებისა და დაჭრილებისათვის დაეთმოთ. როდესაც ამ განკარგულების შემდეგ საჯინიბოს მთავარმა გამგემ, რომელიც დარწმუნებული იყო იმაში, რომ მთავარსარდლისათვის გამონაკლისი უნდა დაეშვა, პკითხა, რომელი ცხენი დაეტოვებინა მისთვის, ბონაპარტი საშინლად გააფორდა, წაეპლა გადაუჭირა სახეზე და შეჰყვირა: „ყველანი ფეხით უნდა წავიდეს! მე პირველი წავალ! განა ბრძანება არ იცით? გაეთრიეთ აქედან!“

ამგვარი საქციელისათვის ჯარისკაცებს ნაპოლეონი უფრო მეტად უყვარდათ და სიბერის დროს უფრო ხშირად იგონებდნენ, ვიდრე ყველა მისი გამარჯვებისა და დაპყრობისათვის. ეს მან ძლიერ კარგად იცოდა და ასეთ შემთხვევაში არასოდეს არ მერყეობდა. მის მეთვალყურეთაგან არავის არ შეეძლო შემდგომ გადაეწყვიტა, რა წარმოადგენდა აქ უშეუალო მოძრაობას და რა იყო წინასწარ მოფიქრებული და გათამაშებული. შესაძლებელი იყო ერთსა იმავე დროს ყოფილიყო ერთიცა და მეორეც, როგორც ეს სჩვევიათ დიდ აქტიორებს.

ნაპოლეონი აქტიორობაშიც დიდი აღმოჩნდა, თუმცა მისი მოღვაწეობის განთიადისას, ტულონსა, იტალიასა და ეგვიპტეში მისი ეს თვისება თვალსაჩინო გახდა ჯერ მხოლოდ მეტად ახლობელთაგან. მის ახლობელთა შორის კი მაშინ შორსმჭვრეტელები ძლიერ ნაკლებად მოიპოვებოდნენ [6, 62].

ათეისტურ, დმერთსმოკლებულ საზოგადოებაში უფლის შენაცვლება ზეკაციო ანუ ბელადიო ყველაზე მახლობელი ლენინისა და სტალინისათვის აღმოჩნდა. იქსო ქრისტეს ცხოვრების გარეგნული მოდელის განმეორებას შეეცადა საბჭოთა იმპერატორი და კომუნისტური პარტიის ისტორია სახარებათა თარგზე მოჭრა. მთავარი გმირი ზეკაცის თვისებებით აღჭურვა, ისევე, რაც ადოლფ ჰიტლერისათვის იყო ყველაზე მახლობელი გარსი პოლიტიკური მოღვაწეობის გზაზე.

მეორე მსოფლიო ომი გერმანიის ტრიუმფით რომ დასრულებულიყო, ისევე გავრცელდებოდა ნიც-შეანელობა, როგორც საბჭოეთის გამარჯვებამ მარქსიზმი განამტკიცა ახალ რელიგიურ მიმდინარეობად [7, 87-88]. ჰიტლერი თავიდან პარტიის სახელწოდებად თვლიდა „სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიას“. საკუთარ თავს მიიჩნევდა „მარქსიზმის იდეების გამტარებლად“. ამავე დროს აცხადებდა, რომ თავისი ორგანიზაცია მოაწყო კომუნისტური წესის მიხედვით [8, 413].

მეტად მნიშვნელოვანია ჰიტლერის სიტყვები გერმან რაუშნინგისადმი: „მე დავალებული ვარ ჩემი განათლებისა და იდეებისადმი მასონებისაგან, რაც არ შეიძლებოდა ოდესმე მიმედო სხვა წყაროებით“. ფაშიზმი და კომუნიზმი, რომ მედლის ორი მხარეა ნათლად ჩანს ადამ ვეისხაუპტის გამონათქვამიდან: „მე ძალიან ბევრი ვისწავლე მარქსიზმისაგან... ნაციონალ-სოციალიზმის მთელი საფუძველი მასზეა დაყრდნობილი“ [8, 424].

გარეგნულად ადოლფი შეუხედავი იყო. საშუალო ტანის. თავი, თითქოსდა მთელ ტანს ფარავდა. მაღალ შუბლს ჩამოშვებული თმები უფარავდა. ყველაზე დასამახსოვრებელი მის სახეზე იყო შეკრეჭი-

ლი ულვაშები. ის არასდროს არ უნახავთ მოდაზე ჩაცმული. პქონდა არაჯანმრთელი კბილები. ცხოვრების ბოლო პერიოდში ახლომხედველობის გამო, იძულებული იყო საოვალე ეხმარა (ოუმცა საზოგადოების წინაშე არასდროს გამოუყენებია). მისი მსუბუქად გადმოკარკლული თავლები და ხამხამის გარეშე მზერა ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა [9, 28].

პიტლერის იმიჯს დიდხანს და გამიზნულად ქმნიდა მისი მთავარი იდეოლოგი პეტელსი. ეს იყო იმიჯის ნაკრები. პეტელსი პიტლერს სტუდენტებსა და ინტელექტუალებს წარმოუდგენდა მხატვრისა და არქიტექტორის მანტიოთ, რომელმაც 1914 წელს, პირველი მსოფლიო ომის დროს სწავლა მიატოვა სამშობლოს სამსახურის გულისთვის. სენტიმენტალურ ადამიანებს იგი პიტლერს წარუდგენდა როგორც ბავშვების მოყვარულ „ძიას“, მუშებთან ის მუშად გამოჰყავდა, ვეტერანებთან კი-როგორც პირველი მსოფლიო ომის დროინდელი უცნობი ჯარისკაცი. იგი ამასთან ამზეურებდა პიტლერის პირადი ცხოვრების ცალკეულ დეტალებს—მაგალითად, ურთიერთობას ევა ბრაუნთან, რომელსაც პიტლერი ყვავილების თაიგულს და ტკბილეულს უგზავნიდა [4, 12].

პიტლერისადმი ფანატიკური დამოკიდებულების მრავალი მაგალითი შეიძლება მოვიტანოთ. აი, ზოგიერთი მათაგნი: ერთი ახალგაზრდა კაცი მეგობარს საჩუქარს უძღვნის, მეგობარს კი თავის მხრივ სამაგიერო საჩუქარი აქვს მომზადებული. ორივე ერთდროულად ხსნის პაკეტს და გაოცებულნი ხედავენ: ერთმანეთისათვის ფიურერის პორტრეტები მიუძღვნიათ. კიდევ ერთი სიურპრიზი ისაა, რომ სურათებზე ორივეს წაუწერია: „ფიურერისადმი ერთგულების ნიშნად“. სხვა ამბავსაც ჰყვებიან: ერთ მოხუც მანდილოსანს საგანგებოდ გამოუკითხავს, რა ჯიშის გარ-

დი პყვავის აპრილში. იმ ჯიშის ვარდი თავის ბადში დაურგავს და ყოველი წლის 20 აპრილს, ფიურერის დაბადების დღეს, მოწიწებით თავდახრილი მლოცველივით იდგა მის წინაშე [7, 60-61]. იტალიაში ბენიტო მუსოლინიმ მოახერხა ის, რომ ყურადღება მიიპყრო როგორც პოლიტიკურმა ლიდერმა და ბელადმა – დ უ ჩ ე მ. ფაშიზმის წარმატებები მითების შექმნასთან იყო დაკავშირებული, რომლებიც მუსოლინის ოფიციალურ იმიჯთან ასოცირდებოდა. მუსოლინს, როგორც სახელმწიფო მოღვაწეს ასე ახასიათებდნენ: იტალიის გადამრჩენი, დმერთის წარგზავნილი და მისი მფარველობის ქვეშ მყოფი, გულანთებული პატრიოტი, ერის სახე, იულიუს კეიისრისა და ავგუსტუსის მემკვიდრე, ომის გმირი, რომელსაც 40 ჭრილობის მიუხედავად ოპერაციის დროს გამაყუჩებელი არ დასჭირდა, დღედამეში 20 საათი მუშაობს, ნამდვილი ფაშისტი და ა. შ. [10, 159].

თანამედროვეები მას „მოქმედების მსახიობს“ უწოდებდნენ, რომელიც უდიდესი პატივმოყვარეობით, დიდი ნებისყოფით გამოირჩეოდა. თავის იმიჯს თვითონ ქმნიდა (იმ დროს იმიჯმეიკერები არ არსებოდნენ). იმიჯის განსხვავებული სკოლა მოქმედებდა საბჭოთა ლიდერებთან მიმართებაში. მხატვრულ ფილმებში ხშირად უჩვენებდნენ, თუ როგორ სვამდა ბელადი უშაქრო ჩაის და ერთ ნაჭერ შავ პურს აყოლებდა. საარქივო დოკუმენტური წყაროები კი ადასტურებს, რომ ლენინი მდიდრულად ნადიმობდა. მისი მმართველობის მთელი წლების განმავლობაში კრემლის ნომენკლატურას აწვდიდნენ უამრავ შავ და წითელ ხიზილალას, ძვირფას თევზეულს და სხვა ნუგბარს. დაბა ზუბალოვოში კი ილიჩის განკარგულებით ააშენეს მდიდრული პერსონალური აგარაკები.

და ესეც ქვეყანაში საშინელი შიმშილობის დროს ხდებოდა.

ოქტომბრის გადატრიალებამდე ის ბევრს სვამდა. ემიგრაციის წლებში სუფრაზე ლუდი მუდამ ჰქონდა. 1921 წლის შემდეგ სმას თავი მიანება ავადმყოფობის გამო. ამის მერე ალკოჰოლს აღარ მიჰკარებია [11, 96].

ექიმ როზანოვის ცნობით, 1923 წლის 11 მარტს ლენინმა ყმუილი დაიწყო. უჩვეულოდ თბილი, მთვარიანი დამე იყო იმ ახალ გაზაფხულზე გორკაში და ლენინი ყმუოდა გაბმულად, თითქმის გათენაბამდე. მაგრამ მას და სხვა ლიდერებსაც პყავდათ ფანატიკური თაყვანისმცემლები. გარდაცვლილი ლენინის გლოვას თვითმხილველი, ცნობილი ბოლშევკის და

ელენა ისტენი შემდეგნაირად მოგვითხრობს: „დედები ბავშვებს მაღლა სწევდნენ რომ მისთვის შეეხედათ, ქალები კივილით „ამხანაგო ლენინ“ ისტერიკაში ჩავარდნილი იატაკზე ეცემოდნენ, აქვე იყო ფიზიკურად ძლიერი სამი მამაკაცი თეთრ ხალათებში გამოწყობილი, რომელთაც გაჰყავდათ გულშემოყრილები. საერთოდ, ქალები ისე გულამოსკვნილი ტიროდნენ, რომ ძარღვებიდან სისხლი სდიოდათ“ [12, 255].

სტალინისადმი შიში და მოკრძალება, გაღმერთება და მოწიწება იქამდე მიდიოდა, რომ 1941 წელს ერთი მოქალაქე, რომელიც აუდიენციაზე იყო სტალინთან, საუბრის შემდეგ უმაღლესი მთავარსარდალი ხელის ჩამორთმევით გამოემშვიდობა. მოქალაქემ ხელი, რომელიც სტალინმა ჩამოართვა, სახლში მისვლისთანავე მძინარე შვილს თავზე დაადო, რათა სტალინური სიობო გადასვლოდა სხეულში [13, 232]. მართლაც საზოგადოების დიდ ნაწილში სტალინისადმი თაყვანისცემა საოცარ ფსიქოზამდე იყო მისული. მცირეწლოვანი ბავშვებიც კი ამ იდეით იყვნენ

შეპყრობილი. აი, ერთი მეტად დამახასიათებელი  
ლექსი აღნიშნული პერიოდისათვის:

Опять я склонился к зеленой сосне,  
Вдруг серые волки подкрались ко мне:  
Раскрыли клыкастые пасти –  
Вот-вот растерзают на части!  
Не мог шелохнуться от ужаса я...  
Мамочка, мама, голубка моя  
Но Сталин узнал, что в лесу я стою,  
Разведал, услышал про гибель мою  
И танк высыпает за мною,  
и мчусь я дорогой лесною.  
Мамочка, мама, голубка моя!  
Настежь открылись ворота кремля  
Кто-то выходит из этих ворот,  
Кто-то меня осторожно берет,  
И поднимает как папа, меня.  
И обнимает как папа, меня.  
И сразу мне весело стало.  
... А кто это был?  
Угадала? [14, 9].

გადმოცემით, სკოლიდან მოსულმა მცირეწლო-  
ვანმა გოგონამ მამას განუცხადა: „შენ ჩემი მამა აღა-  
რა ხარ“. „ეს რას ნიშნავს –, რომ მე არა ვარ მამაშე-  
ნი!“ – შეჰვერა განრისხებულმა. „შენ ჩემი მამა აღარა  
ხარ–გაუმეორა გოგონამ. – ჩემი მამა სტალინია. რაც  
მე გამაჩნია ყველაფერი მისგანაა“ [15, 100-101].

ამერიკლმა სლავისტმა და ფსიქოანალიზის  
ცნობილმა სპეციალისტმა დ. რანგურ-ლაფერიერმა  
შეისწავლა სტალინის ფსიქიკა და წიგნად გამოაქ-  
ვეუნა. სტალინის შესახებ მასალების შეგროვების

დროს მეცნიერი გარკვეულ დაძაბულობას განიცდი-და და ძილშიც ვერ ისვენებდა. „ზოგიერთი სიზმრების დროს სტალინთან დაკავშირებით – აღნიშნავს მკვლევარი – ელდის მომგვრელ შიშს განვიცდიდი ამ ადამიანის წინაშე, ეს იყო ნამდვილი საშინელება. როდესაც გამედვიძა ერთ-ერთი ასეთი სიზმრის შემდეგ, – არ მახსოვს, რა სიტუაციაში ვნახე იგი, – კოდევ არ ვიყავი განთავისუფლებული საოცარი შიშისაგან. იძულებული გავხდი მეოქვა საკუთარი თავის-თვის, რომ სტალინი აღარ არის ცოცხალი, რომ მას არ შეუძლია რაიმე დამიშაოს“ [15, 57].

ბრეჟენევის დროის „მთავარი იდეოლოგი“ სუსლოვი, უცნაურობასთან ერთად, ყოველთვის სასაცი-ლოდ გამოიყერებოდა. მზიან ამინდშიც კი კალოშებით დადიოდა. მრავალი წლის განმავლობაში ეცვა ერთი და იგივე გრძელი, ძველმოდური პალტო...“ [20, 484].

ედვარდ გერეკი მემუარებში აღნიშნავს, რომ მას ბრეჟენევი, რაღაც საშინელ ადამიანად ეჩვენებოდა. „საოცრად მრცხვენოდა, როდესაც ბრეჟენევი „ინტერნაციონალის“ სიმღერის დროს იწყებდა დირიჟორობას“ [21, 127].

აი, კიდევ ერთი მაგალითი ბრეჟენევის იმიჯთან დაკავშირებით: 1982 წელს... სამსახურიდან ძალით მირეკილი ხალხის წინაშე ძლივს გააფორთხეს მოფანფალებული ლიდერი, რომელმაც თავის მისალმებაში წარმოთქვა სიტყვა, მოგვიანებით პოპულარულ ხუმრობად ქცეული აზერბაიჯანში. „გამარჯობათ, ძვირფასო ავლანელო მენავთობებო! „–ჩვენ ბაქოში ვართ, ბაქოში! – პირდაპირ ყურში ჩასძახოდა ერთი თანაშემწეობაგანი...“

როგორც ცნობილია, საბჭოთა ლიდერები სიპ-ვდილამდე რჩებოდნენ თავიანთ პოსტებზე. აზრი,

რომ ლიდერი აუცილებელია ავადმყოფობის მიუხედავად პერიოდულად გამოჩნდეს მასების წინაშე, შეეხო არა მხოლოდ ბრექნევს, არამედ პარტიისა და სახელმწიფოს სხვა მრავალ ხელმძღვანელს. ეს მოვლენა გახდა თითქმის ოფიციალური და საჩვენებელთან ერთად სადისტური ხასიათი მიიღო. სადისტური ამ უბედურებთან დაკავშირებით, რათა პოლიტიკური ამბიციებიდან გამომდინარე შეენერჩუნებინათ ხელისუფლება და გადაელახათ თავისი უბედურება და ავადმყოფობა. ხალხის თვალში ისინი უნდა ყოფილიყვნენ ჯანმრთელები, შრომისუნარიანები.

თათბირებისა და შეხვედრების სატელევიზიო ჩვენების დროს რეჟისორმა და ოპერატორმა ზუსტად იცოდნენ რაკურსი და წერტილი, საიდანაც უნდა წარემართად გადაღება. კრემლში სკპაცეს პლენუმებისათვის გათვალისწინებულ ახალ შენობაში დაიდგა სპეციალური გამოსასვლელები ტრიბუნაზე ხელმძღვანელთა გამოსასვლელად, იქმნებოდა ასევე სპეციალური ტრაპები თვითმფრინავში ასასვლელად და სხვა.

1985 წელს სსრკ უმაღლესი საბჭოს არჩევნების წინ, რათა ხალხისათვის ეჩვენებინათ და პოლიტიკური ლიდერის იმიჯი არ დაცემულიყო ჩერნენკო, ექიმების წინააღმდეგობის მიუხედავად, პოლიტბიუროს წევრის გრიშინის თანდასწრებით მომაკვდავი „გენსეკა“ საწოლიდან აიყვანეს და ტელეპამერის წინ დასვეს [21, 134].

ე. წ. „საბჭოთა ადამიანებს“ არ მოსწონდათ რაისა გორბაჩოვს (ტიტარენკო) მკვეთრი და მაღალი ხმა, რომლის მეშვეობითაც ქმარს ხშირად აწყვეტინებდა სიტყვას (შეიძლებოდა ასეთი რამ დაგვეშვა?), არც მისი გამგზავრება დასავლეთში „საყიდლებზე“. საერთო აზრი: ქალები არ უნდა ერეოდნენ

წმინდა მამაკაცურ საქმეებში! – პროფესიონალი მე-ამბოხის, ბორის ელცინის გამონათქვამი:

– რაისა ცხვირს ყოფს პოლიტიკაში, რომელ-საც მისი ქმარი ატარებს, ურეკავს კაბინეტში, აძ-ლევს რჩევებს და მოუწოდებს სიმტკიცისაკენ. აი, როგორ არის მოწყობილი მათი ცხოვრება!

აღფრთოვანებული ქვეყანა აპლოდისმენტებით აჯილდოებდა თავის რჩეულს და აზრადაც არ მოსდი-ოდა, რომ გაივლიდა ათოოდე წელი... და კრემლში გორბაჩოვის ადგილს დაიკავებდა ელცინი, რომლის დროსაც არა მარტო ცოლი, არამედ ქალიშვილიც და-იწყებდნენ სახელმწიფო მართვაში მონაწილეობის მი-დებას, მინისტრებისა და ელჩების დანიშვნას [22, 319].

ელცინის იმიჯთან დაკავშირებით ერთი ეპი-ზოდი იქმარებდა: 1991 წლის 18 აგვისტოს, პუტინის წინა დღეს „დიდი ბორისი“ ყაზახეთში ნაზარბაევ-თან იყო სტუმრად. უმაღლესი დონის შეხვედრა მო-უწყეს. მთის მდინარეში ბანაობის და ადგილობრივი სამხარეო მუზეუმის იურგაში მამაპაპური სმის შემ-დეგ რუსეთის პრეზიდენტის პატივსაცემად გაიმართა კონცერტი. მშვენიერი ყაზახი გოგონები მდეროდნენ და დომრაზე უკრავდნენ, ნურსულთან ნაზარბაევმა სიმღერა და ცეკვა დაიწყო. ყოველივე ამას იგი პრო-ფესიული ოსტატობით ასრულებდა. ანსამბლს ბორის ელცინიც შეუერთდა. მან გადაწყვიტა აკომპანემენტი გამაეთებინა კოგზებით. პრეზიდენტის გვერდით ად-მოჩნდა სამეცნიერო სამმართველოს უფროსი ზაგაი-ნოვი, რომელიც ყოველთვის ცდილობდა დაახლოე-ბოდა ელცინს და ტელეკამერის წინ ამ შესაძლებ-ლობას ხელიდან როგორ გაუშვებდა, –აქაოდა, გვნა-ხეთ, რა ახლობლებიცა ვართ.

მუზეუმში დასაჯდომი ადგილები ამფითეატრი-კით იყო განლაგებული–ნელნელა მაღლდებოდა. შე-

ფი, ნაზარბაევთან ერთად, ხალიჩებდაფენილ შემაღლებაზე მოეწყო, სამეურნეო სამსახურის უფროსი კი ქვედა საფეხურზე მოკალათდა. როდესაც ბორის ნიკოლაევიჩმა კოვზებით დაკვრა დაიწყო, ჯერ საკუთარ ფეხებზე ახმიანებდა მათ და მოულოდნელად საკუთარი ფეხიდან ხელქვეითის ჭადარა თავზე გადაინაცვლა. ეს გასართობი ისე მოეწონა, რომ მისდგა და რაც ძალა და ღონე ჰქონდა, უბრახუნებდა... ის საწყალი წყენის გამჟღავნებასაც ვერ ბედავდა და სიმწრით იღიმებოდა – ვითომდა, სულაც არ მწყინს პრეზიდენტის ხუმრობაო. მათი შემხედვარე აუდიტორია სიცილით იგუდებოდა და მხარდაჭერით გულმოცემული ბორის ნიკოლაევიჩიც უფრო და უფრო გულმოდგინედ და რიგმულად ურტყამდა თავში კოვზს საცოდავ მდგომარეობაში ჩავარდნილ იური გეორგიევიჩს.

ეს შემოქმედებითი მიგნება კარგად დაამახსოვრდა პრეზიდენტს და შემდეგშიც მიმართავდა: დაკვრისას ხშირად იყენებდა მეზობლების თავებს. როცა კლცინს კოვზებით დაკვრის სურვილი მოუვლიდა წინ ვერაფერი დაუდგებოდა. ზაგაინოვს მაინც ბედმა გაუდიმა – ყაზახეთში ხის კოვზი საძებარი არ გახლდათ, თორემ თუ ახლომახლო ხისა არ იყო, ლითონებისას სტაცებდა ხელს.

ერთხელ ყირგიზეთის პრეზიდენტს აკაევსაც არ გაუმართლა. მითუმეტეს, რომ კოვზი ამ შემთხვევაში რკინისა იყო... ამიტომაც, როგორც კი რომელიმე ღონისძიებაზე ელცინი კოვზებით დაკვრას დააპირებდა, მისი თანმხლები პირები მოშორებით გადასხდებოდნენ ხოლმე, ან მოწევის სურვილს მოიმიზებდნენ და გარეთ გადიოდნენ [13, 57].

დღეს საერთაშორისო არენაზე ბევრს საუბრობენ იმის თაობაზე, რომ რუსეთის თანამედროვე პო-

ლიტიკა შეიძლება სერიოზულ პრობლემად იქცეს მსოფლიოს საზოგადოებისათვის. ამგვარი აზრი განსაკუთრებით გაძლიერდა 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, როცა ცივილიზაციულმა სამყარომ დაინახა, თუ რაოდენ სახიფათო შეიძლება იყოს რუსეთი და, შედეგად, ერთხმად დაგმო მისი აგრესია საქართველოს მიმართ. ფსიქოლოგებსა და ფსიქოანალიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ რუსეთის ბოლო ორი პრეზიდენტის ამბიციებს სწორედ მათი ფსიქოლოგიური თავისებურებების მნიშვნელოვანი დეტალები განსაზღვრავს, რასაც ისინი ყურადღებით აკვირდებიან და სწავლობენ.

რუსეთის პრეზიდენტების პოლიტიკურ იმიჯზე და ფსიქოლოგიური პორტრეტის „დახატვაზე“ მუშაობს თსუ-ის პროფესორი, ფსიქოლოგი შ ა ლ ვ ა ბ ზ ი ა ნ ი ძ ე, რომელსაც ამ საკითხზე საინტერესო მოსაზრებები გააჩნია: – პოლიტიკურ ფსიქოლოგიაში არსებობს მრავალი განსხვავებული მიდგომა მაღალი რანგის პოლიტიკური მოღვაწეების და, პირველ რიგში, პრეზიდენტების პიროვნული თავისებურებების შესასწავლად. განსხვავებულ ფსიქოლოგიურ თეორიებზე დაყრდნობით იქმნება მათი „პოლიტიკური პორტრეტები“ და „პიროვნული პროფილები“... რა თქმა უნდა, გამონაკლისს არც რუსეთის პრეზიდენტები – ვლადიმერ პუტინი და დიმიტრი მედვედევი წარმოადგენენ და ეს განპირობებულია არა მხოლოდ მათი პოლიტიკური ამბიციებითა და ქმედებით, არამედ მათ შორის არსებული, ჯერაც აუხსნელი ურთიერთობებითაც.

რუსეთის პრეზიდენტების – ვლადიმერ პუტინისა და დიმიტრი მედვედევის შეფასებისას ფსიქოანალიტიკური მიდგომები უფრო გამოგვადგება, ვინაიდან ისინი, თავიანთი მოქმედებებით, პიროვნების

ისეთ თავისებურებებს უსვამეს ხაზს, რაც ფსიქოანალიზის განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენს. მაგალითად, სიმაღლე, რაც, თავისთავად, ძალაუფლების სიმბოლოა. მაღალი ადამიანი უფრო ძალაუფლების მქონედ „განიცდება“, ვიდრე დაბალი, რადგან იგი უფრო იქცევს ყურადღებას, მას უფრო უსმენენ და ა.შ. როგორც ეტყობა, რუსეთის ორივე პრეზიდენტს აწუხებს სიმაღლის პრობლემა, რის დასამალადაც ისინი სხვადასხვა ხერხებს მიმართავენ. იცვამენ მაღალქუსლიან ფეხსაცმელებს (რომლის ქუსლიც გარედან ხორმალური ჩანს, მაგრამ მაღალი ქუსლი ფეხსაცმლის შიგნით არის დამალული), საჯარო გამოსვლისას იყენებენ დახურულ ტრიბუნებს, ითხოვენ სპეციალურად გაწვრთნილი პირადი ფოტოგრაფებისა და ოპერატორების მომსახურებას (რომლებიც მათ ისეთ რაკურსში აფიქსირებენ, რომ მოსაუბრებზე დაბალი არ აღმოჩნდნენ). აი, ერთი მაგალითი: მედვედევი ფოტორეპორტიორებმა, ბარაპობამასთან შეხვედრის დროს, განსაკუთრებული რაკურსით დააფიქსირეს. არნოლდ შვარცნეგერთან მისი შეხვედრის ამსახველი ფოტოები კი საერთოდ კურიოზული იყო, ვინაიდან მედვედევი მათზე გვარიანად მაღალი ჩანდა, რამაც უკრნალისტურ წრებში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია [24, 11].

ლიდერობის პრობლემაზე არსებულ თეორიათა შორის თანამედროვე პოლიტოლოგიურ ლიტარატურაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია „სიტუაციონიზმის“ თეორიას. ამ თეორიის მიმდევრები ლიდერობას განიხილავენ, როგორც სიტუაციის ფუნქციას. ადამიანი, რომელიც ხანგრძლივი დროის მანძილზე ლიდერია, ფსიქოლოგთა მტკიცებით, ახდენს საკუთარი როლის „ინტერიორიზებას“, ეწვევა ამ როლის შესრულებას და მასში ხდება იმ ნიშნის განვი-

თარება – განმტკიცება, რომელიც აუცილებელია ამ როლის შესასრულებლად, მაგრამ ლიდერის ქცევა, რომელიც ერთ სიტუაციას შეეფერება, შეიძლება სრულიად გამოუსადეგარი იყოს სხვა სიტუაციაში. პიროვნება, რომელიც ლიდერობას შეძლებს საპროტესტო აქციების მოწყობაში, არსებული წყობის ნგრევაში, ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში, შეიძლება უძლური და უნაყოფო აღმოჩნდეს ახლის შენებაში [25, 10-11].

იცვლება პოლიტიკური თაობა, იცვლებიან კერპები და სიმბოლოებიც. პოლიტიკური ფიგურები საზოგადოების გონებაში მკვიდრდებიან გარკვეული საშუალებებით. მაგალითად, ამერიკული მედიის საქმიანობის შედეგს თუ გავაანალიზებთ, დავრწმუნდებით: მძლავრი პოლიტკური ფიგურის შექმნისათვის რეალობა მეორეხარისხოვანია, ხოლო იმიჯი – უმთავრესი. ამერიკულ მედიასა და პოლიტიკოსებს, როგორც ჩანს, საყვარელი დევიზი საერთო აქვთ: გამარჯვება ნებისმიერი ხერხით, ნებისმიერ ფასად [26, 277].

აშშ-ის პოლიტიკურ სიმბოლოთა შორის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული პოლიტიკურის ვარსკვლავი კაშაშა სიმბოლოა ქვეყნის პრეზიდენტი. წარმოუდგენელია ისაუბრო ამერიკაზე და გამოტოვო ქვეყნის პირველი პირი. იგი საოცარი ორიგინალობით საკუთარ თავში აერთიანებს, ერთმანეთს უკავშირებს თითქმის შეუთავსებელ ორ თვისებას–პოლიტიკურ სიდარბაისლებსა და პოპულარსკვლავებზე არანაკლებ პოპულარობას მასაში. ხშირად ეს პოპულარობა კრიტიკის ქარცეცხლშია გატარებული, მაგრამ პოლიტიკოსების ბედი ამ მოვლენასთან აბსოლუტურად ადაპტირებულია.

პრეზიდენტის იმიჯის ფორმირებაში პირად იმიჯმენიკერებზე არანაკლებ მონაწილეობას ღებულობს ამერიკული მედია. თუ პირველი, ძირითადად, ქვეყნის პირველი პირის ხატის შექმნაზეა კონცენტრირებული, მედიას ამ კუთხით ნაკლები პასუხისმგებლობა და, ზოგადად, არჩევანის უსაზღვრო თავისუფლების პრივილეგია საშუალებას აძლევს ფრთა გაშალოს პოლიტიკური ფანგაზისა და რეალობის ფარგლებში [26, 278-279].

ამავე დროს პრეზიდენტის კრიტიკა ამერიკის ძველი ჩვეულებაა. საერთოდ, სახელმწიფოში პრეზიდენტი ყველაზე მსხვილი ობიექტია კრიტიკისათვის და მისი კულტის არსებობას ყოველთვის ანტიკულტი უპირისპირდება. გახსოვდეს, მთელი ეს ხროვა მხოლოდ იმას ელოდება, როდის გამგლიჯოს ნაფლეთებად, — აფრთხილებდა თავის ქალიშვილს ვუდრო ვილსონი, ჯერ კიდევ მაშინ, როცა პირველი ვადით იმყოფებოდა პრეზიდენტის პოსტზე და საქმეებიც თითქოსდა კარგად ჰქონდა აწყობილი.

ენდრიუ ჯეისონს ცოლქმრული ერთგულების დამრღვევად სახავდნენ, ლინკოლნს — მაიმუნად, ჰარი ტრუმენს — გალანტერიის „უილბლო გამყიდველად, ტომას ჯეფერსონს „გიუ ტომს“ ეძახდნენ. გაკილვას თვით ვაშინგტონიც ვერ გადაურჩა [27, 68-69].

1796 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში აშშ მეორე პრეზიდენტად არჩეულ იქნა ჯონ ადამსი, რომელმაც სამით ხმით მოუგო თომას ჯეფერსონს. პრეზიდენტი მაშინვე გახდა ოპოზიციური რესპუბლიკური ჰარტიის პრეზიდენტის თავდასხმის ობიექტი. ამ გაზეთებისა და უურნალების ფურცლებზე ამერიკის სახელმწიფოს მეთაურის შესახებ წერდნენ: „შემთხვევითი პრეზიდენტი“, „ბეგერი, ბრმა, ქაჩალი, უკბილო ადამსი“ [28, 21].

გარშემომყოფებისადმი უურადდება და სიყვარული იყო თეოდორ რუზველტის საოცარი იმიჯისა და პოპულარობის საიდუმლო. ის ყველას უყვარდა, როგორც თანატოლთ, ისე მსახურთ. მისმა კამერდინერმა შავკანიანმა ჯეიმს ამოსმა დაწერა წიგნი, რომელსაც „თეოდორ რუზველტი—თავისი მსახურის გმირი“ უწოდა [29, 47-48].

აშშ პრეზიდენტის კალვინ კულიჯის იმიჯი განსხვავებით სხვა მრავალი ლიდერისაგან სიტყვაძუნწობით გამოირჩეოდა. რადგან პრესას დიდი ჰქევრმეტველებით არ ახარებდა, მას „ჩუმი კალი“ შეარქეს. კულიჯის სიტყვით „მე ჯერ არ გამიგია პრეზიდენტი, რომელსაც არაფრის თქმისაგან რაიმე პრობლემა შექმნოდა“.

ერთ-ერთ წვეულებაზე მის გვერდით მჯდომმა ქალბატონმა უთხრა, რომ თავის მეგობრებთან ნიძლავი დადო, რომ კალვინს ამ წვეულებაზე ორ სიტყვაზე მეტს დააცდევინებდა. კულიჯმა მას მოკლედ მოუჭრა... „თქვენ წააგეთ“ [30, 50]. საინტერესოა, რომ მჭევრმეტყველებითა და მსახიობური მანერებით გამორჩეულ რეიგანს კულიჯის სურათი პქონდა კაბინეტში... რეიგანის, როგორც პოლიტიკური ლიგრის იმიჯი, დღიდან მისი ხელისუფლების სათავეში ჩადგომისა, იზრდებოდა იმიტომ კი არა, რომ მან, როგორც ყოფილმა მსახიობმა, ყველას გაუსწრო სატელევიზიო პოლიტიკის ხელოვნებაში, არამედ იმიტომაც, რომ მისი გულკეთილობა, სითბო, მეგობრული განწყობილება და ადამიანურობა გულგრილად არავის არ ტოვებდა. ზოგჯერ რეიგანს ბოლო 50 წლის მანძილზე ფრანკლინ რუზველტის შემდეგ, ყველაზე პოპულარულ და დიდ პრეზიდენტს უწოდებენ. მიუხედავად იმისა, რომ რეიგანისა და რუზველტის პოლიტიკას შორის დიდი განსხვავებაა, მათ

ორიგემ შეცვალეს ისტორიის მსვლელობა და ამით ააღორძინეს ამერიკელთა რწმენა საკუთარი ძალებისადმი [31, 135].

პრეზიდენტობის დროს რეიგანს შეეძლო რომელიმე თათბირზე ყოფნის დროს ჩაეძინა, როდესაც თვლიდა, რომ იქ მისთვის საჭირო ინფორმაციას მაინც ვერ მიიღებდა. ამ ფაქტის გამო „საბჭოთა პრესაში“ რეიგანზე მრავალი დამცინავი სტრიქონები ქვეყნდებოდა. დღეს კი ითვლება, რომ ის იყო ერთ-ერთი უდიდესი პრეზიდენტი [32, 23]. რეიგანის კარიერის ადრეული ეტაპი ოცნებების ფაბრიკად წოდებულ პოლიკურს, შემდეგ კი პიარ ტექნოლოგიის მექას-ამერიკულ ელექტრონულ მედიას უპავშირდება. ამიტომაც არ არის გასაკვირი მისი საოცარი უნარი საზოგადოებასთან ურთიერთობისა და შთამბეჭდავი იმიჯის შექმნისა [33, 27].

როგორც იმდროინდელი მასმედია გვამცნობდა, რეიგანი დღეში მხოლოდ ოთხ საათს იყო დაკავებული სახელმწიფო ადმინისტრაციული საქმიანობით და დროის დიდ ნაწილს ჯანმრთელობაზე ზრუნვას ახმარდა. მეორე ვადით პრეზიდენტად არჩევის დროს ამომრჩევლებზე დადგებითად იმოქმედა სწორედ იმ მესიჯმა, რომ სისტემატური გარჯიშის წყალობით, არცთუ ახალგაზრდა, საბჭოური პარამეტრებით კი პოლიტიკუროს წევრთა საშუალო ასაკის მქონე რეიგანის ფილტვები 2 სანტიმეტრით გაიზარდა მოცულობაში ანუ პრეზიდენტობის კანდიდატი საკმაოდ ახალგაზრდულად გრძნობდა თავს, ისე კი იმხანად რეიგანი 73 წლის გახლდათ.

პრეზიდენტი ფიზიკური ფორმის დემონსტრირებას მუდამ ახდენდა ტელეკამერების წინ. ერთი საყურადღებო დეტალი: საერთაშორისო ვიზიტების დროს, როდესაც ამერიკის პრეზიდენტის გაცილების

ცერემონიალს აჩვენებდნენ, ერთი ფაქტი იყო ყოველ-თვის თვალში საცემი – რეიგანი ტრაპს მუდამ ახალგაზრდული მხნეობით, მოხდენილად და საქმა-ოდ სწრაფად აირბენდა ხოლმე, მერე, კადრს მიღმა, ჩვენ უკვე არ ვიცით მას სუნთქვა და პულსი როგორ მდგომარეობაში ჰქონდა [33, 29-30].

კიდევ ერთი ფაქტი: 1982 წლის 17 ივნისს გაუ-როს გენერალური ასამბლეის მეორე სპეციალურ სე-სიაზე, სიტყვით გამოსულმა რეიგანმა საოცარი შთა-ბეჭდილება დატოვა დამსწრე საზოგადოებაზე. კერ-ძოდ, სიტყვის წარმოთქმის მანერამ შოკირება გამო-იწვია. რეიგანი ტრიბუნაზე აუდელვებლად იდგა. მართალია მისმა თანაშემწებებმა კათედრაზე დადეს საქადალდე მოხსენების ტექსტთან ერთად, მაგრამ ტრიბუნაზე გამოსულ პრეზიდენტს ერთხელაც არ ჩაუხედავს ტექსტში. მოხსენების დროს (30 წუთი) მხოლოდ აუდიტორიას უყურებდა. განსაკუთრებით გააოცა მსმენელები მომხსენებლის მიერ მრავალი პოლიტიკური მოღვაწის ზეპირად ციტირებამ ისე, რომ ტექსტში არ ჩაუხედავს. მახსოვრობის ასეთი დონე ახალგაზრდა ადამიანებშიც კი იშვიათობას წარმოადგენს. რეიგანი ამ დროს სამოცდაათ წელს გადაცილებული იყო. პრეზიდენტის წასვლის შემდეგ, როდესაც დარბაზი ნელ-ნელა იცლებოდა დიპლომა-ტების ჯგუფმა ტრიბუნასთან მოულოდნელი რამ შე-ამჩნიეს: ტრიბუნის ორივე მხარეს აუდიტორიისაგან დაფარულად იდო თრი პატარა ტელევიზორი ეკრანე-ბით ზევითა მხარეს – მარჯვნივ და მარცხნივ და-მაგრებული იყო სარკეების შეუმჩნეველი სისტემა. გაირკვა, რომ რეიგანი ამ სისტემის დახმარებით (ტე-ლევიზორი – სარკე) კითხულობდა თავის მოხსენებას [34, 198]. როგორც ვხედავთ, პოლიტიკის შემუშავება, მისი განხორციელება და ადამიანთა მიმხრობა როგორ

ლი საქმეა და იგი ყველას არ ძალუბს. ასეთები მხოლოდ ერთეულები არიან. სწორედ ამიტომ არის, რომ ყველა პრეზიდენტი, მონარქი, პრემიერ-მინისტრი, პარლამენტის თავმჯდომარე, პარტიის თავმჯდომარე ვერ გახდება პოლიტიკური ლიდერი. და... საერთოდ, ადამიანები მხოლოდ გარეგნულად, სხვათა დასახახად და თვალებში ნაცრის შესაყრელად აღიარებენ და ეთაყვანებიან თავის რჩეულს, გულში კი მის მიმართ ფარულ გაბოროტებას, ჩუმ დვარძლსა და შურს ატარებენ. არავის არ სურს გულით იწამოს რჩეულის უპირატესობა, მისი დამსახურებული თუ დაუმსახურებელი ამაღლება.

### **გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. ს. სიგუა, აღთქმული ქვეყნის ძიება, თბ., 1984.
2. ა. ბაქრაძე, კინო-თეატრი, თბ., 1989.
3. გ. მკურნალიძე, მ. ხამხაძე, პოლიტოლოგია, თბ., 2000.
4. გ. შუბითიძე, ა. ბუცხრიკიძე, იმიჯოლოგია, თბილისი-ქუთაისი., 2009.
5. გ. შუბითიძე, ვ. ფერაძე, პოლიტოლოგია, თბ., 2008-2009.
6. ე. ტარლე, ნაპოლეონი, თბ., 1996.
7. გ. რობაქიძე, პიტლერი, თბ., 2010.
8. დეკლარაცია, Спор о сионе, пер. с английского, М., 1993.
9. Ян Кершоу, Гитлер, пер. с английского, Ростов-на-Дону., 1997.
10. ე. მემარიაშვილი, ევროპის ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებული შტატების XX საუკუნის ისტორია, თბ., 2008.
11. საისტორიო ვერტიკალები, 2003, №4.

12. Роберт Такер, Сталин, путь к власти 1879-1939, пер. с англ. М., 1990.
13. Историки спорят, М., 1989.
14. Возвращенные имена, в 2-х книгах, книга 1, М., 1989.
15. Д. Ранкур-Лаффериер, Психика Сталина, пер. с англ. М., 1996.
16. Ф. Бурлацкий, Новое Мишление, М., 1989.
17. А. Аджубей, Те десять лет, М., 1989.
18. Ә. Әмбөт, Әмбөт Әдәбиятта библиографияның үзүүлүштөрү, 1991.
19. Рой Медведев, Н.С. Хрущев, М. 1990.
20. Н. Зенкович, Покушения и инсценировки от Ленина до Ельцина, М., 1998.
21. Е. Чазов, Здарование и власть, М., 1992.
22. Н. Зенкович, Тайны уходящего века, Т. 2, М., 1998.
23. Үзүүлүштөр, Әмбөт Әдәбият, 1997.
24. Ә. Әдәбият, Әмбөт Әдәбият, 1997. „Төмөнкүлдөлөгүүр“ 2010, бөлмөдөрө.
25. Ә. Қоңғыраулы, Әмбөт Әдәбият, 1997. „Төмөнкүлдөлөгүүр“ 2009.
26. Ә. Қоңғыраулы, Әмбөт Әдәбият, 1997. „Төмөнкүлдөлөгүүр“ 2003.
27. Ә. Қоңғыраулы, Әмбөт Әдәбият, 1997. „Төмөнкүлдөлөгүүр“ 1974.
28. Э. А. Иванян, от джорджа вэшингтона до джорджа буша, М., 1991.
29. Ә. Қоңғыраулы, Әмбөт Әдәбият, 1997. „Төмөнкүлдөлөгүүр“ 2002.
30. Ә. Қоңғыраулы, Әмбөт Әдәбият, 1997. „Төмөнкүлдөлөгүүр“ 2005.

31. 6. ნანიტაშვილი, ამერიკის შეერთებული შტატების 100 წლის ისტორია XX საუკუნეებში, თბ., 2002.
32. Аргументы и факты, 2010, № 46.
33. 6. ბარდაველიძე, რეიგანი—მითი და რეალობა, ქრ. „რონალდ რეიგანი და 1980-იანი წლების ამერიკა“, თბ., 2005.
34. В. Л. Исраелян, Дипломаты лицом к лицу, М., 1990.

## „ცივი ომის“ ანაფომია

ფაშისტური რეჟიმის დამარცხების შემდეგ დღის წესრიგში დადგა ახალი ევროპის მშენებლობის საკითხი, რომლის მთავარი მიმართულებები პოტსდამის კონფერენციის გადაწყვეტილებით იყო განსაზღვრული. მაგრამ სწორედ ამ კონფერენციის შემდეგ დაიწყო პროცესი, რომელმაც ევროპა გავლენის ორ სფეროდ გაყო, სწორედ მოხდა ის, რის წინააღმდეგაც იბრძოდა რუზველტი [1, 285].

გერმანიის ოთხ ნაწილად დაყოფამ დააჩქარა ორ სისტემას შორის დაპირისპირების პროცესი. დასავლეთის და აღმოსავლეთის საოკუპაციო აღმინისტრაციათა ურთიერთობაში უთანხმოებამ შეიძლება ითქვას, რომ მომავალი „ცივი ომის“ უვერტიურად გაიდერა და ეს იყო პირველი შედეგი ომის დასრულების დროს უინსტონ ჩერჩილის მიერ სინაციულით წარმოთქმული ფრაზა, რომ „ჩვენ (ე.ი. მოკავშირეებმა – ა.ს.) ევროპის გულში შევუშვით ბარბაროსი“ [2, 121].

რუზველტის მოულოდნელი სიკვდილი ჩერჩილისათვის ნამდვილი დარტყმა იყო. მას ახალი გამოუცდელი პრეზიდენტის დიდი იმედი არ ჰქონდა, რომ ის რუსეთიდან მომდინარე საფრთხეს ადექვატურად შეაფასებდა. 1945 წლის 12 მაისს ჩერჩილმა ტრუმენს ტელეგრამა გაუგზავნა, რომელშიც თავის ცუდ წინათვალისას უზიარებდა და რომ „მათ ფრონტზე რკინის ფარდა იხურებოდა“. ეს იყო ჩერჩილის მიერ ამ ფრაზის გამოყენების პირველი შემთხვევა. მეორედ ჩერჩილმა ის ფულტონში 1946 წლის მარტში გამოსვლისას იხმარა და ყველამ გამოთქმა „რკინის ფარდის“ შესახებ აქედან იცის [3, 231].

დასავლეთის პოლიტიკური გულივერი – უინსტონ ჩერჩილი აშშ-ში მიიწვიეს. 1946 წლის იანვრიდან ჩერჩილი შტატებში ისვენებდა. ტრუმენმა ყოფი-

და პრემიერი მშობლიურ მისურის შტატის ქალაქ ფულტონში მიიპატიუა ვესტმინსტერის კოლეჯში ლექციის წასაკითხად. ჩერჩილს ფულტონში სამი ლექციის წაკითხვა სთხოვეს. ეს ლექციები ომის შემდგომი პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე საკამაო და დაუკიტუარი სიტყვები გამოდგა, რომელიც შეიძლება, მხოლოდ 1947 წლის ივნისს გენერალ მარშალის მიერ პარვარდის სააქტო დღეზე წარმოთქმულ სიტყვას და თავად ჩერჩილის 1946 წლის შემოდგომაზე ციურისში გამოსვლას შევადაროთ.

1946 წლის 5 მარტის ჩერჩილის ფულტონის ლექცია, ძირითადად, ევროპაში ბალტიის შტეტინიდან ადრიატიკის ტრიესტამდე დაშვებულ „რკინის ფარდას“ მიეძღვნა. ჩერჩილის აზრით, ევროპაში მშვიდობის და დემოკრატიის შენარჩუნება სამ დიდ ძალაუფლებაზე ვეღარ იქნებოდა დამოკიდებული. აღნიშნა, რომ რუსეთმა ომით კარგად იხეირა და თავისი ძალის და დოქტრინების ექსპანსიას ძალიან ჩქარობს. ომი არავის უნდა, მაგრამ რუსეთის გასაჩერებლად ამერიკა და ბრიტანეთი უფრო უნდა დაახლოვდნენ: „ოუ ინგლისურენოვანი ხალხების თანამეგობრობა და შეერთებული შტატები გაერთიანდებიან და ითანამშრომლებენ როგორც მეცნიერებასა და ინდუსტრიაში, ისე მორალის სფეროში, მაშინ მსოფლიოში საიმედო ბალანსი და უსაფრთხოების სრული გარანტია დამყარდება“ [4, 175].

ჩერჩილის გამოსვლას იმავე დღეებში მკაცრი კრიტიკა ელოდა. მისურის აუდიტორიამ კარგად მიიღო, მაგრამ მეორე დილით გამოქვეყნებულ გაზეოთებზე ამას ვერ იტყოდი. „ვოლ სორით ჯერნალი“ წერდა: „შეერთებულ შტატებს ალიანსი არ სურს. საერთოდ, ალიანსისმაგარიც არაფერი სურს სხვა რომელიმე ერთან“. „ჩიკაგო სანი“ აცხადებდა, რომ ჩერჩი-

ლის „დახურული სერიის“ სიტყვების ერთი კვირით აღრე შეთავაზებულ სერიულ გამოცემას აუქმებდა. ლონდონის „თაიმსიც“, როგორც მოსალოდნელი იყო, ციფად გამოეხმაურა. განსაკუთრებით მტრული პოზიცია „პრავდამ“ დაიკავა. სტალინი „პრავდაში“ ინტერვიუს იშვიათად ბეჭდავდა, მაგრამ ჩერჩილის ინგლისურენვანი ხალხების გაერთიანების არაერთგზის მოთხოვნას სწორედ „პრავდაში“ გამოქვეყნებული ინტერვიუთი უპასუხა და ნათლად გამოავლინა, რაპირასაც და ხელკეტსაც ერთდროულად და კარგად რომ ხმარობდა: „ბატონი ჩერჩილი (პიტლერის არ იყოს) რასობრივ თეორიაზე დაფუძნებულ ახალ ომს იწყებს. აცხადებს, თითქოს მხოლოდ ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე ხალხებს აქვთ წმინდა სისხლი და მხოლოდ ისინი არიან მოწოდებულნი, მსოფლიოს ბედ-იღბალი გადაწყვიტონ. ფაქტობრივად, ბატონი ჩერჩილი და მისი ამერიკელი და ინგლისელი მეგობრები იმ ხალხებს, რომლებიც ინგლისურად არ საუბრობენ, ულტიმატუმს გვიყენებენ – ან უნდა ვაღიაროთ მათი უპირატესობა, ან ომი გარდაუვალი იქნება“ [4, 176].

შინ დაბრუნებულ ჩერჩილს თავის გამოსვლასთან დაკაგშირებით არაერთგვაროვანი რეაქცია დახვდა. ეტლიმ განაცხადა, რომ ჩერჩილი ფულტონში პარლამენტის სახელით არ საუბრობდა და არ არის აუცილებელი, მისი პირადი მოსაზრება მოვიწონოთ ან არ მოვიწონოთ. ლეიბორისტული პარტია, ჩერჩილის კონსერვატიული პარტიის არაერთი წევრისაგან განსხვავებით ამერიკის ვიზიტს დადგებითად აფასებდა; ბევინს საგარეო პოლიტიკა სწორედ ფულტონის მიმართულებით მიჰყავდა. დეპუტატების ერთმა ნაწილმა კი წინადაღება შეიტანა, ჩერჩილისათვის უნდობლობა გამოეცხადებინა. ყველაზე საეჭვო და და-

მაფიქრებლად პრეზიდენტი ტრუმენი იქცეოდა. თეთრ სახლში გამართულ პრესკონფერენციაზე პრეზიდენტმა განაცხადა, რომ წარმოდგენა არ ჰქონდა, ჩერჩილი ფულტონში რა თემაზე აპირებდა საუბარს და რომ ლექციაზე მისი დასწრება თანამოაზრეობას სულაც არ ნიშნავდა. უფრო მეტიც, სახელმწიფო მდივნის მოადგილეს, აჩესონს აუკრძალა, ერთი კვირის თავზე ნიუ-იორკში ჩასულ ჩერჩილთან შეერთებული შტატების მთავრობის სახელით ესაუბრა. საბოლოო ჯამში, ამ ამბებს ჩერჩილის და ტრუმენის ურთიერთობაზე არ უმოქმედია. ჩერჩილმა ტრუმენს, როგორც რუზველტის მემკვიდრეს, უფლება მისცა, კიბორჩხალას ნაბიჯებით ევლო დიდი მიზნისკენ [4, 177].

ამდენად, 1946 წლის გაზაფხული „ცივი ომის“ დაწყების ნიშანი გახდა. ტრუმენი კი „თამაშს“ განაგრძობდა. უფრო მეტიც, სსრკ-სა და ამერიკაში აგორებული მძლავრი ანტიფულტონური შემოტევებისაგან თავის დაცვას შეეცადა განცხადებით, რომ თითქოს წინასწარ არ გასცნობია ჩერჩილის ამ სიტყვის ტექსტს და მხოლოდ ესწრებოდა მის წარმოთქმას. ეს სიცრუე იყო. ყველამ, ვინც ჩერჩილის გამოსვლას ესწრებოდა, დაინახა, მოწონების ნიშნად როგორ უკრავდა ტაშს ტრუმენი ორატორს.

ასეთსავე ფარულ ტაქტიკას იყენებდა პრეზიდენტი მომდევნო თვეებშიც, კერძოდ, საგარეო საქმეთა მოსკოვის თათბირზე და პარიზში გერმანიის მოკავშირე ქვეყნებთან სამშვიდობო ხელშეკრულებების დადების დროს. აშშ იძულებული იყო მხარი დაეჭირა საბჭოთა კავშირის იმ წინადაღებებისათვის, რომლებიც შორულ აღმოსავლეთსა და ევროპაში შექმნილ მდგომარეობას ეხებოდა. ეს მოხდა ამერიკელი ჯარისკაცების მასების ზეგავლენით, რომლებიც აღშფოთებულნი იყვნენ ომისშემდგომი დემობილიზაცი-

ის ვადების გაჭიანურებით. ისინი შინ დაბრუნებას მოითხოვდნენ.

იმ პერიოდში საბჭოთა კავშირის ავტორიტეტი მთელ მსოფლიოში და, ცხადია, ამერიკაშიც უმაღლეს დონეზე იყო. ამის უგულებელყოფა არ შეიძლებოდა. ამასთან, საჭირო იყო იალტის კონფერენციის გადაწყვეტილებების შესრულებაც, რომელთაც რუზელტი აწერდა ხელს.

იმავე პერიოდში აშშ-ში გამოჩნდა „ცივი ომის“ პირველი ნიშნები: პირველი პუბლიკაციები პრეზიდენტისადმი მიმართული საყვედურებით, რომ თითქოს იგი განახორციელებდა საბჭოთა კავშირის წახალისების პოლიტიკას. როგორც ირკვევა, ეს იყო სიგნალები, მითითებები, რომელსაც მედიას აწვდიდა შეიარაღებას გამოდევნებული მსხვილი კაპიტალი – მხოლოდ ამ გზით იზრდებოდა მისი კოლოსალური მოგება, დემილიტარიზაცია კი დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული.

ძალიან თუ გავამარტივებთ სიტუაციას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ აშშ საქმიან წრეებში ამ პერიოდისათვის ჩამოყალიბდა ორი ძირითადი მიმართულება: პირველი, საბჭოთა კავშირთან მშვიდობიანი საგაჭრო-ეკონომიკური; მეორე – მის მიმართ კონფრონტაციული მიმდინარეობა, რომელიც საომარდაპირისაპირისებისკენ იხრებოდა. გაიმარჯვა მეორე ტენდენციამ, ნაწილობრივ იმიტომ, რომ გაჩნდა ატომური შანტაჟის შესაძლებლობა.

მოსკოვისა და პარიზის შეთანხმებების მიღებისთანავე ტრუმენის ადმინისტრაცია მათ საბოტირებას შეუდეგა; შემდეგ ამ პასიურ ტაქტიკაზეც უარი თქვა და სსრკ-ს წინააღმდეგ აშკარა დაპირისპირებაზე გადავიდა. აშშ შეიარაღებული ძალების შემცირების კვალზე ამერიკის მილიტარიზაცია არ შემცირე-

ბულა, პირიქით, ახალ დონეზე გადავიდა, რომელსაც განსაზღვრავდა ამერიკის შეიარაღებული ძალების სრულიად ახალი, სრულყოფილი სამხედრო ტექნიკით აღჭურვა.

ამასთან ერთად, ომის შემდგომი გაღატაკებით წელში გატეხილი ბევრი უკროპული ქვეყანა ამერიკული ნაწარმის გავრცელების შესანიშნავ ბაზად იქცა. „ცივი ომი“ აშშ მმართველი წრეებისათვის, უწინარეს ყოვლისა, მომგებიან ლონისძიებად, სარტიან საქმედ, ეფექტიან ბიზნესად ჩამოყალიბდა. ხოლო იქ, სადაც ლაპარაკია მატერიალურ მოგებაზე, პლიუს საკუთარი გავლენის გაძლიერებაზე, ის ძალები იყრიან თავს, რომლებსაც მოგებიან ლუკმას პირიდან ვერ გააგდებინებ.

შეცდომა იქნებოდა იმის უგულებელყოფაც, რომ როგორც აშშ-ში, ასევე უკროპაში, ჯერ კიდევ ოქტომბრის გადატრიალებიდან და რუსეთში სამოქალაქო ომიდან მოყოლებული იდეური ანტისაბჭოთა ძალების საკმაო რაოდენობა არსებობდა, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ საბჭოებთან კონფრონტაციით. ამრიგად, ჩერჩილის ფულტონში წარმოთქმული სიტყვის შემდეგ პოლიტიკურ ურთიერთობაში მტკიცედ დამკვიდრდა ცნება „რ კ ი ნ ი ს ფ ა რ დ ა“. თუმცა დღესაც ბევრი მიიჩნევს, რომ ეს „ფარდა“ სტალინმა დაუშვა. საპასუხეოდ სტალინმა დაამკვიდრა გამოთქმა „ო მ ი ს გ ა მ ჩ ა დ ე ბ ლ ე ბ ი“. მართლაც, საკითხი იდგა არა უბრალოდ სოციალისტური სახელმწიფოების კაპიტალისტურისაგან იზოლაციის შესახებ: დაიწყო „ცივი ომის“ ხანგრძლივი ერა, რომელიც დრო და დრო ხან „ცხელი“ ომის მუქარად ტრანსფორმირდებოდა, ხან ლოკალურ შეიარაღებულ კონფლიქტებად.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჩერჩილის აგრე-  
სიული სიტყვა გამოწვეული იყო პირადი მოტივითა  
და განცდით. მის პატივმოყვარეობას უდიდესი დარ-  
ტყმა მიაყენა 1945 წელს ინგლისში გამართულმა არ-  
ჩევნებმა, რომელშიც მან, როგორც პრემიერ-მინის-  
ტრმა მარცხი განიცადა. ამასთან, ბრიტანეთის იმპე-  
რია რდვევის კრიზისს განიცდიდა და თანდათან  
კარგავდა ზესახელმწიფოს სტატუსს. სავარაუდოა,  
რომ ყოველივე ამაში იგი „მოსკოვის ხელს“ ხედავდა  
და თავის მრისხანებას სწორედ საბჭოთა კავშირის  
წინააღმდეგ წარმართავდა. სინაძვილეში კი მიმდი-  
ნარებდა ძველი კულტურისა და ისტორიის მქონე  
ხალხების მიერ დამოუკიდებლობისა და სახელმწი-  
ფოებრიობის მოპოვების ობიექტები პროცესი, რომე-  
ლიც დეკოლონიზაციის ისტორიული ეტაპის სახე-  
ლით არის ცნობილი.

ჩერჩილი ამ პროცესს, ცხადია ვერ შეაჩერებ-  
და, ამიტომ საბჭოთა კავშირთან მისი უკიდურესი  
დაპირისპირება უფრო გულის მოფხანას ჰგავდა.  
თუმცა არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ მსოფლიო  
პოლიტიკის პირველ პლანზე ყოფნას შეჩვეული დი-  
დი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი კვლავ  
ცდილობდა იმავე მსოფლიოს კურადღების ცენტრში  
დაბრუნებას [5]. ამდენად, ფულტონში წარმოთქმუ-  
ლი სიტყვის შემდეგ კაცობრიობის ისტორიაში დად-  
გა ეპოქა, — ომი ომის გარეშე, რომელსაც „ცივი  
ომი“ ეწოდა. ტერმინის არსი სიტყვასიტყვით მდგომა-  
რეობდა საბჭოთა კავშირისადმი მტრული პოლიტი-  
კის წარმოაებაში. აღნიშნული ტერმინი პირველად  
იხმარა პუბლიცისტმა, პულიტერის პრემიის სამ-  
გზის ლაურეატმა ჰ ე რ ბ ე რ ტ ს ვ ი უ ჰ ა, რომელიც ზოგჯერ წერდა წარმოსათქმელ სიტყვას  
მოხუცებული სახელმწიფო მოღვაწის ბ ე რ ნ ა რ დ

ბ ა რ უ ხ ი ს ა თ ვ ი ს. 1946 წელს, იმ დროს, რო-  
დესაც ჩერჩილი საუბრობდა „რკინის ფარდის“ შესა-  
ხებ, სვოუპმა ბარუხის სიტყვის პროექტის შედგენის  
დროს, რომელიც ეხებოდა ამერიკა – საბჭოთა კავ-  
შირის ურთიერთობას, გამოიყენა ტერმინი „ცივი  
ომი“ (ცოტა ხნის წინ დამთავრებული „ცხელი ომის“  
საპირისპიროდ). ბარუხმა ჩათვალა, რომ ტერმინი მე-  
ტისმეტად ძლიერი იყო და ერთი წლის შემდეგ  
კვლავ გამოიყენა სამხრეთ კაროლინის შტატში –  
კოლუმბიაში გამოსვლის დროს: „თავს ნუ მოვიტყუ-  
ებთ, ჩვენ ახლა ვიმყოფებით გახურებული „ცივი  
ომის“ პერიოდში“. ეს ითქვა „ტრუმენის დოქტრინის“  
ძალაში შესვლის ზუსტად ერთი თვის შემდეგ –  
1947 წლის 13 აპრილს.

სიტყვა აიტაცა და მისი პოპულარიზაცია მო-  
ახდინა ამერიკული უურნალისტიკის ვეტერანება უ. ლ  
ი პ მ ა ნ მ ა სტატიების სერიაში, რომელიც „გაშინ-  
გტონ პოსტში“ ქვეყნდებოდა. უურნალისტმა აღნიშ-  
ნული სტატიები იმავე 1947 წელს ცალკე წიგნად გა-  
მოაქვეყნა სათაურით „ცივი ომი: აშშ საგარეო პო-  
ლიტიკის ანალიზი“ [6, 91].

ცნობილი ამერიკელი დიპლომატი ჩ ა რ ლ ზ  
ბ ო ლ ე ნ ი „ცივი ომის“ წარმოშობასთან დაკავში-  
რებით თანამემამულეებს შეახსენებს: „სავსებით ბუ-  
ნებრივია ვიპოვოთ მომენტი, როდესაც ახალი ერა  
დაიწყო. „ცივი ომისათვის“ ასეთი ზუსტი მომენტი  
არ არსებობს... ამერიკული თვალთახედვით „ტრუმე-  
ნის დოქტრინისა“ და „მარშალის გეგმის“ დროიდან  
ჩვენმა კამათმა საბჭოთა კაგშირთან „ცივი ომის“  
ფორმა მიიღო. რა არის „ცივი ომის“ მიზეზი? –  
სვამს კითხვას დიპლომატი და იქვე აღნიშნავს – ჩე-  
მი პასუხი უბრალოა: „ცივი ომი“ დაიწყო 1917 წელს  
რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბოლშე-

ვიკური ფრთის მიერ ხელისუფლების დაპყრობის შემდეგ „ცივი ომი“ მიმართული იქნა ამერიკის წინააღმდეგ, რომელიც განიხილება, როგორც ომის შემდგომი პერიოდის მსოფლიო ანტიკომუნისტური ცენტრი. მე მიკვირს და სერიოზულად ვარ შემფოთებული რიგი ისტორიკოსების მზადყოფნით, დათანხმდნენ, რომ „ცივი ომი“ სინამდვილეში დაიწყო შტატებმა. არ არსებობს სხვა უფრო მეტი ისტორიული სიყალბე, რომელსაც შეუძლია მოიტანოს კატასტროფული შედეგები“ [6, 103].

„ცივი ომის“ საწყის ეტაპზევე აშშ-ში დაიწყო მასობრივი ანტისაბჭოთა პროპაგანდა. ამერიკაზე საბჭოთა კავშირის თავდასხმის მოლოდინმა მოსახლეობაში პანიკური შიშის სახე მიიღო. და არა მარტო ფართო საზოგადოებაში. შიშის სინდრომი, ასევე გავრცელდა სახელისუფლო ეშელონებში. გენერლები ბჭობდნენ მტრის შესახებ, რომელიც უკვე აშშ ტერიტორიაზე იყო შემოსული, რაც ჰეშმარიტებად მიიჩნია თავდაცვის მინისტრმა ჯონ ფორესტოლმაც. დაინახეს: გაშეშებული თვალებით, როგორ მირბოდა ქუჩაში ყვირილით: „რუსები მოდიან! რუსები მოდიან! ისინი აქ არიან! მე დავინახე რუსი ჯარისკაცები! 1949 წლის მარტში მან მინისტრის პოსტი დაუთმო ლუის ჯონსონს, თვითონ კი ვაშინგტონის ბეტესდას სამხედრო პოსპიტალში მოათავსეს. მაისის ერთ დოლას ფორესტოლი იწერდა სოფოკლეს სტროფებს აიაქსის შესახებ. ყველა ომში! დადო კალამი. საავადმყოფოს ხალათის ქამრის ბოლო, გათბობის რადიატორს მიაბა, ხოლო მეორე ბოლო ყელზე შემოიხვია. გააღო ფანჯარა და გადახტა. მეთექვსმეტე სართულიდან გადმომხტარი „მინისტრი“ ქამარმა მხოლოდ წამიერად „დაიჭირა“ [6, 106].

„ცივი ომის“ საწყის ეტაპზე ევროპის ნევროლიგიურ ცენტრად ბერლინი იქცა. მოკავშირეები, რომლებიც ერთად ზეიმობდნენ საბჭოთა ჯარის მიერ ბერლინის აღებას, ახლა უკვე ერთმანეთს ედავვა ბოდნენ იმავე ქალაქს [7, 39].

1948 წლის 11 ივნისს აშშ კონგრესმა მიიღო „ცივი ომის“ პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი წამომწყების ა. ვინდერბერგის რეზოლუცია, რომლითაც მშვიდობიან პერიოდში პრეზიდენტს უფლება ეძლეოდა ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებთან სამხედრო კავშირი დაედო.

აშშ-სა და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში გარკვეულმა ძალებმა გადაწყვიტეს დახურული სამხედრო ბლოკის – ნატოს შექმნა, რომელიც უპირველეს ყოვლისა საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ იყო მიმართული. აგრესიული ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის დაარსებას წინ უსწრებდა დასავლეთის ხმაურიანი პროპაგანდისტული კამპანია „კომუნისტური აგრესისა და ნატოს თავდაცვითი ხასიათის შესახებ“ [7, 25]. ამიტომ „ცივი ომის“ მთელ პერიოდში სსრკის ერთ-ერთი სტრატეგიული ამოცანა მოწინააღმდეგებთა რიგებში, უპირველეს ყოვლისა ნატოში, განხეთქილების შეტანა იყო [7, 103].

სახელმწიფოთა კავშირის დროს ძლიერი წევრი, როგორც წესი ბევრს „იმკის“. თუმცა ზოგჯერ სუსტი მოკავშირე (პატარა ქვეყანა) გარკვეული მიზეზების გამო (რესურსები, სტრატეგიული მდებარეობა და სხვ.) შეიძლება მასზე ძლიერი მოკავშირისათვის ძალზე დირებული იყოს. ამგვარი კავშირის მაგალითად ჰ. მორგენთაუს მიაჩნია აშშ-სა და ისლანდიის მეტად მჭიდრო ურთიერთობები „ცივი ომის“ პერიოდში, როდესაც ისლანდია ამერიკის

სტრატეგიული ავიაციისათვის მეტად მნიშვნელოვან „აეროდრომად“ (კეფლავიკის ბაზა) იქცა [8, 141-142]. ასევე, პატარა ქვეყანას შეუძლია ძლიერი მოკავშირე კონფრონტაციასა და კონფლიქტში ჩაითრიოს. სწორედ „ცივი ომის“ პერიოდში ამგვარი ტენდენცია შეინიშნებოდა, როგორც აშშ-ის, ისე სსრკ-ის ბანაკ-შიც. კუბის „ურჩობამ“ სსრკ და აშშ კიდევ უფრო დააპირისპირა [8, 146]. „ცივმა ომმა“ დაგვანახას, რომ ბიპოლარულ საერთაშორისო სისტემას უფრო მყარი და ხანგრძლივი კავშირები ახასიათებს, მულტიპოლარულთან შედარებით, რომ ორივე დაპირისპირებული ბლოკი ასიმეტრიულ, პომოგენურ კავშირს წარმოადგენდა, მომცრო ქვეყნები თავიანთი ბლოკის ლიდერზე ძლიერ იყვნენ დაქვემდებარებულნი, ან მის უზარმაზარ დაწოლას განიცდიდნენ. „ცივი ომის“ ეპოქაში ერთი ბლოკიდან მეორეში „გადასვლა“ ძალიან იშვიათი იყო, სამსედრო კავშირები საკმაოდ მყარი აღმოჩნდა [8, 147].

„ცივი ომის“ ერთ-ერთ ყველაზე კრიტიკულ ჟამს 1955 წელს შუაგულ ევროპაში მდებარე უაღრესად მნიშვნელოვან გეოსტრატეგიულ „დერეფანში“ მოქცეულმა ავსტრიამ ორივე დაპირისპირებული ბანაკის მცდელობით ნეიტრალური სტატუსი მოიპოვა და ამით ევროპისა და მსოფლიოს უსაფრთხოებისათვის ძალზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა [8, 174]. საერთოდ, „ცივი ომის“ პერიოდში ევროპის ნეიტრალური სახელმწიფოები (შვეიცარია, ავსტრია, შვედეთი, ფინეთი) წარმოადგენდნენ ბუფერებს ვარშავის პაქტსა და ჩრდილო ატლანტიკურ ბლოკს შორის [9, 87]. ოუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბუფერის ეფექტი საკმაოდ სუსტი იყო, ვინაიდან „ცივ ომში“ დაპირისპირებული სუპერსახელმწიფოები მაინც ახერხებდნენ ერთმანეთთან შეხებას ევროპის ტერი-

ტორიაზე, კერძოდ, ორად გაყოფილ გერმანიაში [9, 95]. სტალინის გარდაცვალების შემდეგ შეიქმნა ისეთი შთაბეჭდილება, რომ შეიძლებოდა ორ სისტემას შორის გარკვეული კომპრომისისთვის მიეღწიათ. კერძოდ, იმედით შეჰყურებდა მსოფლიო 1955 წლის ივლისში აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის მეთაურთა შეხვედრას. აქ მთავარ საკითხად ეწ. „ცივი ომის“ დასრულების შესაძლებლობა უნდა განეხილათ [10, 73]. შეხვედრას ესწრებოდნენ ამერიკის 34-ე პრეზიდენტი დუაიტ ერზენპაუერი, სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ნიკოლაი ბულგანინი, ედგარ ფორი – საფრანგეთის პრემიერი და ენთონი იდენი, დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრი [10, 92]. თუმცა ამ შეხვედრას შედეგი არ მოჰყოლია.

„ცივი ომის“ პერიოდში განსაკუთრებით გამოიკვეთა ასიმეტრიული კავშირების თავისებურებები. ორივე სუპერძალა (აშშ და სსრკ) მიუხედავად იმისა, რომ თავისთავად მსოფლიოს უძლიერეს ქვეყნებს წარმოადგენდნენ და, ფაქტობრივად სამხედრო დახმარებას არ საჭიროებდნენ, მაინც დღენიადაგ მოკავშირეთა ძიებაში იყვნენ. ამის მიზანი გავლენის სფეროების გაფართოება და იდეოლოგიური ინტერესები იყო. „ცივმა ომმა“ გვიჩვენა, რომ მოკავშირის ყოლას ბირთვულ ეპოქაშიც კი, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს [8, 145].

„ცივი ომის“ პროცესში ტერიტორიის დაცვა სამხედრო კავშირების ერთ-ერთი ძირითადი მიზანი იყო. ამ საბაბითა და გავრცელებული პრაქტიკის შესაბამისად ხდებოდა ჯარების განლაგება მოკავშირე ქვეყნის მიწაზე. უკანასკნელ წლებში კი უცხოეთში მუდმივად განლაგებული ჯარის რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა. მაგალითისათვის გაუქმდა აშშ-

ის სამხედრო ბაზები ფილიპინებზე, ხოლო გერმანიასა და დიდ ბრიტანეთში ისინი საგრძნობლად შემცირდა. გაუქმდა უცხოეთში განლაგებული რამდენიმე რუსული სამხედრო ბაზაც, ხოლო რაც დარჩა, მათი პირადი შემადგენლობა და შეიარაღება საგრძნობლად არის „შეთხელებული“ [8, 156].

ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგის, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის, ამავე უნივერსიტეტთან არსებული სტრატეგიულ გამოკვლევათა ცენტრის დირექტორის ს ე მ უ ე ლ ჰ ა ნ თ ი ნ გ ტ ო ნ ი ს შეფასებით „ცივი ომის“ დამთავრებასთან ერთად დასრულდა საერთაშორისო პოლიტიკის განვითარების დასავლური ფაზა. წინ წამოიწია ურთიერთობამ დასავლურ და არადასავლურ ცივლიზაციის ქვეყნებში და ერები უკვე აღარ გამოდიან ისტორიის ობიექტთა – დასავლეთის კოლონიური პოლიტიკის სამიზნეთა – როლში, არამედ, დასავლეთის მსგავსად, თვითონ ქმნიან და წარმართავენ თავიანთ ისტორიას“ [11, 146].

„ცივი ომის“ დასასრული ლიბერალური დემოკრატიის ტრიუმფად განიხილება. თუმცა ეს „ტრიუმფი“ სერიოზულ დებატებს იწვევს. ასე მაგალითად, თუ ლიბერალური დემოკრატიის საყოველთაო გამარჯვება საგარეო საფრთხის წყაროებს მოსპობს, ამან შეიძლება ძალზე ნებატიური გავლენა იქონიოს ქვეყნებისა და ერების შიდა შეკავშირებულებაზე და სახელმწიფო დაასუსტოს [8, 154].

ზოგიერთი თეორიის საფუძველზე შეიძლება აიხსნას აგრეთვე სამხედრო ალიანსების არსებობის ფენომენი განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კავშირს რაიმე საფრთხე არ ემუქრება (მაგ., „ცივი ომის“ შემდგომი ნატო). სწორედ, თავის გადარჩენის ძლიერმა ორგანიზაციულმა „ინსტიქტმა“ შეასრულა გადამ-

წყვეტი როდი „ციფი ომის“ შემდგომ ნატოს არსებობაში [8, 155].

დღეს ბევრს დაობენ იმაზე, თუ როდის დასრულდა „ციფი ომი“. ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ იგი დამთავრდა მალტაში, 1989 წლის ბოლოს გორბაჩოვისა და ბუშის შეხვედრისას. მეორენი თვლიან, რომ ეს ეპოქა გერმანიის გაერთიანებისა და აღმოსავლეთ ევროპიდან საბჭოთა ჯარის გაყვანამ დასრულა. დიდი ნაწილის აზრით კი საბჭოთა კავშირის დაშლამ დაუსვა წერტილი „ციფ ომს“... [7, 212].

და ბოლოს, ვინ დარჩა გამარჯვებული? ისტორიკოსთა „დიაგნოზით“ „ციფი ომის“ დროს, „რადგან პირდაპირი შეიარაღებული კონფლიქტი არ ყოფილა დემოკრატიულ და კომუნისტურ ქვეყნებს შორის, არამედ იბრძოდნენ მათი წარმომადგენლები სხვადასხვა ქვეყნებში, გაიმარჯვეს უმთავრესად ამერიკელებმა და წააგეს, რუსებმა“ [12, 211].

### გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. 6. ნანიტაშვილი, ამერიკის შეერთებული შტატების 100 წლის ისტორია – XX საუკუნე, თბ., 2002
2. მ. კალანდაძე, გერმანიის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია, თბ., 2002
3. ე. მემარიაშვილი, ევროპის ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებული შტატების ისტორია, თბ., 2008
4. როი ჯენკინსი, ჩერჩილი, წიგნი მეორე, ინგლისურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო თ. ჭილაძემ, თბ., 2011
5. გაზ. „საქართველო და მსოფლიო“, 2012, №36
6. Н.Н. Яковлев, Силуэты Вашингтона, М., 1983
7. ხ. აბაშიძე, ციფი ომი წარსული თუ დღევანდვლობა? თბ., 2009

8. ა. რონდელი, პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში, თბ., 2003
9. თ. თურმანიძე, ბუფერული სახელმწიფოები, თბ., 2011
10. რუბენ პელაიო, გაბრიელ გარსია მარკესი, თბ., 2011
11. ქულტუროლოგია, თბ., 2003
12. პატრიკ იურუედნიკი, ევროპეანა მეოცე საუკუნის მოკლე ისტორია, ჩეხურიდან თარგმნა გ. ლეჟაგამ, თბ., 2009

## პოლიტიკა და საორგანიზაციები

სპორტი, ისევე არქაულია, როგორც საზოგადოების წარმოშობა. პოლიტიკურ პროცესებში მისი ჩართვა კი შედარებით გვიან პერიოდს მიეკუთვნება. კერძოდ, სახელმწიფოთა ჩამოყალიბების სათავეებს.

პირველყოფილი ადამიანი ნებით თუ უნებლიერ სპორტსმენი იყო. სიცოცხლისათვის ყოველდღიურ ბრძოლაში მას უწევდა სირბილი და ხტომა, ცურვა და სროლა. რიტუალური გამოცდები – მამაკაცად კურთხევა, რაც დაკავშირებული იყო სისწრაფესა და ამტანობასთან, გამძლეობასა და ძალასთან.

რამდენიმე ათასი წლის წინ ჩატარებული სპორტული ასპარეზობების შესახებ ჩვენ ვიგებთ ძველებების ტექსტების, ასირიულ-ლურსმულ წყაროებსა და სხვა დოკუმენტებში.

საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებასთან ერთად სპორტი ახალ სოციალურ ფუნქციებს იძენს. ის გადაიქცა ადამიანის არა მხოლოდ თვითგამიჯვნის, თვითდამკვიდრების საშუალებად, ასევე ურთიერთობის, ფიზიკური სრულყოფილების, საზოგადოებრივი და შრომითი მომზადების, ზნეობრივი და ესოების ტიკური აღზრდის გზად.

და მაინც, ომისა და მშვიდობის საკითხებს სპორტი, ოლიმპიური თამაშების საწყისი ეტაპიდან უკავშირდება. პირველი ცნობილი თარიღი ოლიმპიური თამაშების შესახებ ძვ.წ. 776 წლით თარიღდება, როცა გამარჯვებულ ოლიმპიონიკად ელადელი მზარეული კორეიბოსი გამოცხადდა.

ოლიმპიურმა თამაშებმა 12 საუკუნე იარსება. ისინი ტარდებოდა 1169 წლის განმავლობაში ყოველ 4 წელიწადში ერთხელ ა.წ.წ. 393 წლის ჩათვლით. სულ ჩატარდა 293-ჯერ.

ოლიმპიური თამაშების ანუ სპორტული ასპარეზობების დროს პირველ და მთავარ პირობად ითვლებოდა ნებისმიერი საომარი მოქმედების შეწყვეტა. ყველა, ვინც თამაშებზე მიღიოდა, თავისუფალი მოძრაობის უფლებას იღებდა მტრის ქვეყანაშიც კი. სიკვდილისა და ღმერთების სასჯელის შიშით ვერავინ გაბედავდა მტრული მიწნით წმინდა ოლქში შეჭრას. თუ მეგობრულად განწყობილ ჯარს უნდა გაევლო – იარაღს საზღვარზე ტოვებდა და მხოლოდ ოლიმპიის ტერიტორიის დატოვების შემდეგ იღებდა. ასე დამკვიდრდა საბერძნეთში ჩვეულება, რომლის მიხედვითაც ოთხ წელიწადში ერთხელ, ურთიერთშორის ფიცხელი ომის დროსაც კი ყველას გვერდზე უნდა გადაედო იარაღი და ჩასულიყო ოლიმპიაში. ოლიმპიური თამაშები მთელი საბერძნეთის გაერთიანებულ საერთო ეროვნულ მოვლენად იქცა, რამდენადაც საბერძნეთი ყოველთვის ურთიერთ მტრულად განწყობილი სახელმწიფოებისაგან შედგებოდა. ოლიმპიური თამაშების ჩასატარებლად ცხადდებოდა „წმინდა ზავი“ ჯერ ელიდაში, შემდეგ კი ელადას სხვა კუთხეებშიც. ზავი ერთი თვით ცხადდებოდა და მას „ეკეხეორია“ ეწოდებოდა. ამ დროს არ შეიძლებოდა ომი არა მარტო ელიდაში, არამედ სხვა ბერძნულ სახელმწიფოებშიც [1, 29].

შეთანხმება წმინდა ზავის შესახებ იმის დასტურია, თუ რა დიდი როლი ჰქონდათ თამაშებს ბერძნული საზოგადეობის პოლიტიკურ ცხოვრებაში, რამდენადაც მათ შეეძლოთ ნებისმიერი საომარი მოქმედების შეჩერება.

წმინდა ზავი 12 საუკუნის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ დაარღვიეს არკადიელებმა, რომლებმაც ძვ.წ. 368 წელს 103-ე ოლიმპიადის დროს დაიპყრეს ოლიმპია. მათ მხარს უჭერდა სპარტა. ძვ.წ. 364

წელს, მომდევნო 104-ე ოლიმპიადის დროს კი ადგილობრივი მოსახლეობა თავს დაესხა არკადიელებს და მშვიდობიან სტადიონზე სასტიკი ბრძოლა გაიმართა. თუმცა კანონიერ პატრონთა რიცხვი გაცილებით მცირე იყო, ვიდრე დამკურობელთა, მაგრამ ისეთი თავგანწირვით, ვაჟაცურად და დაუინებით იბრძოდნენ, რომ გაიმარჯვეს და არკადიელები განდევნეს ოლიმპიის ტერიტორიიდან. არკადიელთა და სპარტელთა მიერ ჩატარებული ყველა თამაში ბათილად გამოცხადდა. ბერძენთა რისხვა ისეთი უსაზღვრო იყო, რომ მათ დასაჯეს არკადიელები და დიდი ხნით ჩამოართვეს ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის უფლება [1, 128].

გვ.წ. 324 წელს 114-ე ოლიმპიადაზე ალექსანდრე მაკედონელმა წმინდა ზავი გამოაცხადა. ამავე დროს გამოსცა ამნისტია ყველა ბერძენისადმი, რომლებიც პოლიტიკური ემიგრანტები იყვნენ [1, 87].

ელინთა დაცემის ეპოქაში ქალაქს თამაშებში, რაც მეტი გამარჯვებული ათლეტი ყავდა, მით მეტი შანსი ჰქონდა ემტკიცებინა თავისი უპირატესობა მოვლი საბერძნეთის ხელმძღვანელის როლზე. აქ უკვე პირველად გამოიკვეთა სპორტის მნიშვნელობა პოლიტიკურ რეიტინგზე და ქვეყნის იმიჯის ბარომეტრად იქცა.

რელიგიის პოლიტიზაცია მკვეთრად გამოჩნდა ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებით. ქრისტიანობა რომის იმპერიის მოელ ტერიტორიაზე გამტკიცდა IV საუკუნის ბოლოს და წარმართობის ფანატიკურ მტრად იქცა მის ყოველ გამოვლინებაში. თამაშები ლილიმპიაში ანტიკური სულის ნაოელი გამოხატულება – ფიზიკური სილამაზისა და სულიერი სრულყოფის პიმნი, ჯანმრთელი სხეულის და ჯანმრთელი სულის ტრიუმფი იყო. სწორედ ეს ეწინააღ-

მდეგებოდა ქრისტიანული მოძღვრების კანონებს, რო-  
ელიც ყველაზე მაღლა სულის სიმაღლეს აყენებდა  
და ერთდროულად ხორცის დათრგუნვას ესწრაფვო-  
და. ქრისტიანობის განმტკიცებასთან ერთად, თამაშე-  
ბი ოლიმპიაში გასაქრობად განწირული აღმოჩნდა.  
ახ.წ. 394 წელს იმპერატორ თეოდოსიუს I-ის დეკრე-  
ტით თამაშები აიკრძალა. ოლიმპიის სალოცავი თან-  
დათან დაცარიელდა, გაიძარცვა, განადგურდა და და-  
ვიწყებას მიეცა.

პოლიტიკური კატაკლიზმების შედეგად V საუ-  
კუნეში ანტიკურ სამყაროსთან ერთად დაიღუპა  
ოლიმპია და ოლიმპიური თამაშები, მათთან ერთად  
დაიღუპა აგრეთვე ფიზიკური აღზრდის უნიკალური  
კულტი. ამდენად, წმინდა რელიგიურ მოსაზრებებს  
ემატებოდა პოლიტიკური, რამდენადაც ოლიმპიური  
თამაშები რომის საწინააღმდეგოდ სახელს და დიდჯ-  
ბას საბერძნეთს უხვეჭდა [1, 109].

ფეოდალურ ხანაში ქრისტიანული ეკლესია  
სპორტული ტურნირების ჩატარების წინააღმდეგი  
იყო, რადგანაც ის მიაჩნდა უაზრო დროის ტარებად  
და გართობად, რომელიც ტრაგიკული შედეგებით  
მთავრდებოდა.

1190 წელს, კლერმონის საეკლესიო კრებაზე,  
რომის პაპმა ინოკენტი II-მ აკრძალა ტურნირები. ამა-  
ვე კრებაზე დადგინდა, რომ იკრძალებოდა ქრისტია-  
ნული წესით მათი დაკრძალვა, ვინც ტურნირზე დაი-  
ღუპებოდა. მიუხედავად ამისა, ტურნირები მაინც  
ტარდებოდა, ის რაინდებისათვის იყო არა მხოლოდ  
გართობის, არამედ სამხედრო ძლიერებისა და მომზა-  
დების დემონსტრირება. ამდენად, რადგანაც რაინდო-  
ბა წარმოადგენდა შუა საუკუნეების საზოგადოების  
მნიშვნელოვან ძალას, ეკლესიაც და სახელმწიფოც

ხშირად უკან იხევდა და გარკვეულ შეღავათებზე მოდიოდა [2, 34].

თანამედროვე ოლიმპიური თამაშების აღორძინების სათავეებთან დგას ფრანგი ბარონი პიერ დე კუბერტენი (1863-1937). 1894 წლის დაარსდა ოლიმპიური მოძრაობის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანო – საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი (სოკ).

1896 წლის 6-15 აპრილს 1503 წლის შესვენების შემდეგ ელადის მიწაზე, ათენის თეთრი მარმარილოს სტადიონზე განხანლდა ანტიკური ოლიმპიური თამაშები, რომელშიც 311 მამაკაცი მონაწილეობდა. სტადიონის ბილიკებზე გამოვიდნენ 13 ქვეყნის: ავსტრიის, ავსტრალიის, აშშ-ს, ბულგარეთის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, დანიის, საბერძნეთის, საფრანგეთის, უნგრეთის, შვეიცარიის, შვეციის, ჩილეს წარგზავნილები. რუსეთის სპორტსმენებმა უსახსრობის გამო მონაწილეობა ვერ მიიღეს.

საბერძნეთის ეროვნული პიმნით ადინიშნა ასპარეზობის გახსნა. შემდეგ საბერძნეთის მეფე გეორგ I-მა გამოაცხადა თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ციკლის დაწყება, გუნდმა შეასრულა სპეციალურად ზეიმისათვის კომპოზიტორ სპიროს სამაროსისა და პოეტ კოსტას პალამოსის მიერ შექმნილი ოლიმპიური პიმნი [1,123].

„ოქვენი წარმატება ჩემს პოზიციებსაც ამაგრებს!“ – თავის დროზე ამ სიტყვებით მიმართა ფეხბურთელებს უგანდის პრეზიდენტმა და დიქტატორმა იდი ამინდა (1971-1979 წწ.). ასეთი პერსონები არერთი ქვეყნის ისტორიაში ყოფილან. ისინი საკუთარ თავს „დუჩეს“, „ბელადს“, „ფიურერსა“ თუ „კაუდილიოს“ უწოდებდნენ და ქადაგებდნენ ფაშიზმს, სოციალიზმს, არგენტინულ ხუსტისიალიზმს, კორპორატივიზმსა თუ ჩრდილოკორეულ ჩუჩხეს, მათ მტრობდნენ და თავს

სწირავდნენ. დემოკრატები მათ დიქტატორებად მოიხსენიებენ, „ძლიერი ხელის“ მომხრეები კი ეროვნულ გმირებად. ასეა თუ ისე, ფაქტია, მათ უდიდესი კვალი დატოვეს არა მარტო თავიანთი ქვეყნის, არამედ სპორტის ისტორიაშიც [3,67].

სპორტის პოლიტიზაცია დღეს არ მომხდარა. პოლიტიკანები ყოველთვის ცდილობდნენ სპორტული ასპარეზობები ადრეც ფარული ზრახვებისათვის გამოეყენებინათ. ამ სახის ერთ-ერთი, შედარებით ცნობილი მაგალითია 1914 წლის 14 თებერვალს გერმანიის იმპერიის ელიტის სათათბირო დისკუსია. მაშინ მრავალმა დეპუტატმა განაცხადა, რომ 1916 წელს ბერლინის ოლიმპიური თამაშები (ომის გამო ვერ ჩატარდა) ისეთ დონეზე უნდა ჩატარებულიყო, რომ მსოფლიოს ხალხთა თვალში გერმანიის იმპერია წარმოეჩინა ეკონომიკურად ძლიერი შესაძლებლობების ქვეყანად.

პოლიტიკური მიზნით გამოიყენა ჰიტლერულმა ფაზიზმა 1936 წლის ზამთრისა და ზაფხულის ოლიმპიური თამაშები. ამასთან დაკავშირებით ცნობილი უნგრელი მეცნიერი ლასლო კუნი წერდა: როდესაც სოკ-მა 1932 წლის აპრილში ბარსელონის სესიაზე მიიღო გადაწყვეტილება ზაფხულის ოლიმპიური თამაშები ბერლინში ჩატარებინათ, ჰიტლერულებმა პროტესტი გამოხატეს. ხოლო, როდესაც ხელისუფლებაში მოვიდნენ ჰიტლერმა ოლიმპიადაში დაინახა მანევრირების ახალი შესაძლებლობები. როგორც ადასტურებს ბერლინის ოლიმპიურ არქივში აღმოჩენილი ოქმი ნომერით 33/დ 155, ადოლფმა გააცნობიერა, რომ გერმანია საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით როულ სიტუაციაში აღმოჩნდა. მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის „დაპყრობის“ მიზნით ოლიმპიადა მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენდა. ჰიტლერი

და მისი გარემოცვა ხვდებოდა, რომ 1936 წელს ოლიმპიურ თამაშებს გერმანიისათვის შეიძლება უზუნველეყო მისი ტოტალიტარული სისტემის დადებითად აღიარება. გარეგნული სამშვიდობო ფორმალობების დაცვით გებელისის პროპაგანდის აპარატს შეეძლო თამაშები გამოეყენებინა ფაშისტური იდეების პიარ კამპანიისათვის. „გარკვეული წვლილი შეეტანა მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის გამოთაყვანებაში“ [4, 120].

ჰიტლერის მითოთებით 1938 წელს შეიქმნა ფიზიკური სავარჯიშოების ნაციონალ-სოციალისტური იმპერიის კავშირი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა იმპერიის სპორტის ფიურერი გ. ფონ ჩამმერ-ი-ოსტენი. აღნიშნული ორგანიზაციის გარდა სპორტული მუშაობის საკითხებს წარმართავდნენ სს, სდ, „ჰიტლერიუგენდი“, გერმანელ გოგონათა კავშირი და სხვა ფაშისტური ორგანიზაციები. „ჰიტლერიუგენდში“ ახალგაზრდებს, რომლებმაც ის იყო დატოვეს ბავშვობის ასაკი, ასწავლიდნენ პატარების ხოცვას. აყალიბებდნენ ისეთ პიროვნებებად, როგორც ჰიტლერი ამბობდა: „ჩვენ გვინდა ახალგაზრდა მხეცები“ [5, 13].

ლიქტატორთა შრის „პიონერი“, ფაშიზმის „მამა“ ბენიტო მუსოლინი იტალიას სათავეში ედგა 1922-1943 წლებში. „დუჩე“ შეპყრობილი იყო იდეით, რომლის თანახმად, იტალიელები სხვებზე უკეთესი იყვნენ ყველა სფეროში, მათ შორის სპორტშიც... მისი მმართველობის პერიოდში მრავალრიცხოვანი რეგიონული ლიგების ნაცვლად შეიქმნა პირველი ნაციონალური ჩემპიონატი „დივიზიონე ნასიონალე“ [3, 67].

იმდროინდელ იტალიურ ფეხბურთს, ისევე როგორც ქვეყნის დანარჩენ სფეროებს, პარტია და მმართველი ძალა განაგებდა. იტალიის ფეხბურთის ფედერაციაშიც და კლუბებშიც ხელმძღვანელი თანამდე-

ბობები მხოლოდ ფაშისტური პარტიის წევრებს ეკავათ, რომლებსაც ყველა საკამათო საკითხში საბოლოო სიტყვა ეთქმოდათ.

1939 წელს საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „დინამო“ და მოსკოვის „სპარტაკი“. ამ უკანასკნელის მწვრთნელი იყო ცნობილი ფეხბურთელი ნიკოლოზ სტაროსტინი. მოსკოველებმა დაამარცხეს თბილისელები. ერთი თვის შემდეგ სტაროსტინი ცეკაში გამოიძახეს და უთხრეს, ნახევარფინალური მატჩი უნდა გადათამაშდესო. სტაროსტინმა პროტესტი განაცხადა: ეს როგორ იქნებაო, მაგრამ აგრძნობინეს, რომ გადაწყვეტილება ძალზე მაღალ დონეზე იყო მიღებული. გაიმართა გადათამაშება და როცა მეორე ტაიმში მესამე მშრალი ბურთი გავიდა თბილისელთა კარში, სტაროსტინმა დაინახა, როგორ წამოდგა ბერია, შეშლილი სახით მოისროლა სკამი და სტადიონიდან გავარდა. იმ წუთიდან, როგორც სტაროსტინი წერს, ბერიამ მისი და მისი მმების ბედისწერის საათი ჩართო. 1942 წელს სტაროსტინები, მათი ოჯახის თითქმის ყველა წევრი დააპატიმრეს და 1954 წლამდე ციმბირის სხვადასხვა ბანაკებში ავარჯიშებდნენ ფეხბურთით გატაცებულ პატიმრებს... [6. 53].

მეორე მსოფლიო ომამდე საფეხბურთო კლუბი კიევის „დინამო“ ერთ-ერთი საუკეთესო იყო ყოფილ საბჭოთა კავშირში. როდესაც გერმანელები კიევს მოუახლოვდნენ ფეხბურთელები (გუნდი 20 წევრისაგან შედგებოდა) ფრონტზე წავიდნენ. რამდენიმე მათგანი ბრძოლაში დაიღუპა, ხოლო დანარჩენები ტყვედ ჩავარდნენ. მალე ფაშისტებმა კიევი აიღეს. ტყვე ფეხბურთელები საკონცენტრაციო ბანაკში იმყოფებოდნენ ქალაქთან ახლოს.

1942 წლის ზაფხულში გერმანელებმა გადაწყვიტეს კიევში მოეწყოთ ფეხბურთის მატჩი გერმანულ და უკრაინულ გუნდებს შორის. მათ პქონდათ სურვილი და ემტკიცებინათ, რომ პიტლერული სპორტი სტალინურ სპორტზე ძლიერი იყო. ტყვეთა ბანაკში მივიღა გერმანელი ოფიცერი. მან უკრაინელ ფეხბურთელებს მიმართა: კიევში ჩატარდება ფეხბურთის მატჩი. თქვენ ბუნებრივია უნდა წააგოთ. თუ მოიგებთ, დაიხვრიტებით კომუნისტური პროპაგანდისათვის.

მატჩზე დასასწრებლად კიევის 50 ათასი მცხოვრები მოვიდა. გერმანელებმა პირველი ბურთი გაიტანეს. მაყურებელი დუმდა. გერმანელი მსაჯი მხოლოდ უკრაინელთა თამაშს აკვირდებოდა... საჯარიშო დარტყმები, მხოლოდ კიეველთა კარისკან იყო მიმართული. რამდენიმე წუთის შემდეგ კიეველებმა საპასუხო ბურთი გაიტანეს „ლიუფტგაფეს“ კარში. სტადიონს მაყურებელთა ოვაციამ გადაუარა. პოლიცია მოედებულები დარბოდა და გულშემატკივრებს სიჩუმისაკენ მოუწოდებდა. ჩქარა ანგარიში 2:1 გახდა „დინამოს“ სასარგებლოდ. გერმანელი ოფიცერი ყვიროდა: „გიბრძანებთ წააგოთ! ან მატჩის შემდეგ ყველას დაგხვრებაგთ“. კიეველი სპორტსმენები დუმდნენ. მაშინ ფაშისტმა ოფიცერმა ფუხბურთელებს ცემა დაუწყო.

დაიწყო მეორე ტაიმი. რამდენიმე წუთში ანგარიში გახდა 3:1 „დინამოს“ სასარგებლოდ. საპასუხოდ, გერმანელთა გუნდის კაპიტანმა სახეში ფეხი დაარტყა კიეველ ფეხბურთელს. სპორტსმენი დაეცა და გონება დაკარგა. მსაჯმა აუკრძალა ექიმს დახმარება აღმოეწინა დაზარალებულისათვის. რამდენიმე წუთში ფეხბურთელი წამოდგა და თამაში განაგრძო. ეს თამაში კიეველმა სპორტსმენებმა 6:1 მოიგეს. ფაშისტებმა აღგილზევე დახვრიტეს კიევის „დინამოს“ ფუხბურთელები. სიკვდილის წინ კიეველთა გუნდის კაპი-

ტანმა კლიმენტოვ შესძახა: „ჩვენ მოგიგეთ ფეხბურთის მოედანზე, გავიმარჯვებთ ბრძოლაშიც!“

მატჩის შემდეგ კიევის მოსახლეობის დიდი ნაწილი ტყეში გავიდა... [7. 118-119].

ესპანეთში დიქტატორმა ფრანსისკო ფრანკომ (ქვეყნის მეთაური 1939-1975 წლებში) სეპარატიზმთან ბრძოლის მიზნით, საფეხბურთო კლუბებს არაესპანურენოვანი სახელწოდებისა და სიმბოლიკის გამოყენება აუკრძალა. მისი ძალისხმევით, „ბარსელონას“ გერბიდან გაქრა კატალონიის დროშა, ხოლო „ატლეტიკო კლაბ დე მადრიდ“ გახდა „ატლეტიკო ავიასიონ დე მადრიდ“.

იმავდროულად, ფრანკო ფეხბურთელთა ნატურალიზაციის წინაღმდეგი არ ყოფილა. მან წარმოშობით არგენტინელ დი სტეფანოსთან, პარაგვაელ მარტინესსა და ურუგვაელ სანტამარიასთან ერთად, „გაპეპანელა“ ლეგენდარული უნგრელი ფეხბურთელი ფერენც პუშკაში, რომელსაც საერთო არაფერი ჰქონდა ესპანურ კულტურასთან [3, 68].

1960 წლის მაისის დამლევს შიშის გარკვეული სინდრომიდან გამომდინარე, პოლიტიკური მოტივით ფრანკომ აკრძალა გასვლითი და საშინაო მეოთხედფინალური მატჩები ფეხბურთში ევროპის თასის პირველ გათამაშებაში ესპანეთისა და საბჭოთა კავშირის გუნდებს შორის, რამდენადაც კომუნისტთა მხარდაჭერ დემონსტრაციებს უფრთხოდა. ეს პირველი პოლიტიკური გადაწყვეტილებები მიღებული იყო იმ დროს, როცა მადრიდის „რეალი“ და ესპანეთის ეროვნული ნაკრები თავიანთი დიდების ზენიტში იმყოფებოდნენ, ესპანელ გულშემატკიცრებს, ცხადია, არ მოეწონათ.

ფრანკო იძულებული გახდა ელიარებინა, რომ „სპორტული ემოციების გაკონტროლება ძნელია“ და

შემდგომში ფეხბურთს იყენებდა, რათა ხალხის ურადღება პოლიტიკური და სოციალური პრობლემებიდან სპორტზე გადაეტანა [8, 329].

მოგვიანებით, მოტეხილი და სიბერეში შესული ფრანკო უფრო ლმობიერი გახდა, რაც თვალნათლივ გამოვლინდა 1964 წელს, როდესაც ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის ფინალში, რომელიც მადრიდში უნდა ჩატარებულიყო, ესპანეთისა და საბჭოთა კავშირის გუნდები ერთმანეთს ხვდებოდნენ. ფრანკომ არათუ აკრძალა მატჩი, არამედ გადაწყვიტა, რომ თამაშს თვითონაც დასწრებოდა. მინისტრები ამ იდეას თავშეკავებით შეხვდნენ იმის შიშით, რომ თუკი სსრკ-ს ნაკრები გაიმარჯვებდა, კაუდილიო თასის გადაცემაზე უარს იტყოდა. აი, ასოცი ათასი გულშემატკივარი კი სტადიონზე მას აღფრთოვანებით მიესალმა, ერთხმად გაჟყვიროდნენ: „ფრანკო! ფრანკო! ფრანკო!“ ესპანეთმა რეაქიმის საბედნიეროდ, გაიმარჯვა ანგარიშით 2:1. სიამაყით აღვსილმა მწვრთნელმა ეს გამარჯვება მიუძღვნა „გენერალსიმუს ფრანკოს, რომელმაც თავისი დასწრებით პატივი დასდო და ჩვენს ფეხბურთელებს გამარჯვება შთააგონა“ [8, 336].

საერთაშორისო ურთიერთობისა და პოლიტიკური პროცესების გაფართოება-განვითარებასთან ერთად ახლებურად განეწყო სპორტისადმი კათოლიკური ეკლესია. ვატიკანში წმინდანების ფიგურათა გალერიაში დაუმატეს ფეხბურთელის, მოკრივისა და სხვათა ფიგურებიც, ხოლო მაღალავტორიტეტულმა აბატებმა დაიწყეს რომის, ლონდონის, მადრიდის სტადიონების სათამაშო მოედნებზე გამოსვლა ფეხბურთის მატჩის დაწყების წინ ბურთის კურთხევისათვის [9, 83]. ამავე დროს სპორტული შეჯიბერები ტარდება სასულიერო აკადემიებსა და დაწესებულებებს შორის. იტალიაში მსოფლიო რანგის პირველობაზე გა-

საგზავნათ გუნდებს თვით პაპი აკურთხებს ხოლმე [10, 16].

საინტერესოა, რომ წარსულში დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ უძველეს სპორტულ თამაშ ლელოზე (ლელობურთი), ასპარეზობის დროს წესად ყოფილა – მღვდელი ყოველ აღდგომა დღეს აკურთხებდა წითელ, 16 კილოგრამიან ბურთს და მრევლს ლელოს ათამაშებდა.

სამეგრელოში თამაშის დასრულების შემდეგ გამარჯვებული გუნდი ფესვებიანად მოგლეჯდა ხეს და ეკლესიის კართან აყუდებდა. ხეს მღვდელი ამ სიტყვით ლოცავდა: „დიდებულო წმინდა გიორგი, შენ მიეცი ამათ შეძლება, მშვიდობა, დღეგრძელობა, ძალი და დონე და ასე გაამარჯვებინე ყოველ წელს, როგორც ახლა“ [11, 103].

ცნობილია, რომ კარატე, ჭიდაობის გარდა, მოიცავს ეთიკური, ფსიქოლოგიური და სოციალური ერთობლიობის კომპლექსს, რასაც კარგად იყენებენ იაპონიის მემარჯვენე იდეოლოგები. უკე 1940 წლისათვის იაპონიაში არ იყო არც ერთი დიდი უნივერსიტეტი, რომ იქ კარატეს კლუბი არ ყოფილიყო. გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში იაპონიის ტაკოსიოკუს საგარჯიშო კლუბში მოკლეს პირველკურსელი ანდზე. ანდზე უნივერსიტეტში ჩარიცხვისთანავე შევიდა კარატეს საგარჯიშო კლუბში. ახალგაზრდამ მოგვიანებით გაიგო, რომ სპორტული გაერთიანება, როგორც კარატეს ბევრი სხვა კლუბი იაპონიაში, მჭიდროდ იყო დაკავშირებული ულტრამემარჯვენეებთან, ნახევრად ფაშისტურ ორგანიზაციებთან. ანდზემ გადაწყვიტა ვარჯიშისათვის თავი დაენებებინა და ყოველგვარი ეჭვის გარეშე მივიდა ბოლო მეცადინეობაზე. „გამყიდველო! შენ შეარცხვინე ჩვენი კლუბი!“ ამ სიტყვებით შემოესივნენ კარატისტები ანდზეს

და დაიწყეს საშინელი რიტუალის შესრულება. ისინი რიგრიგობით აყენებდნენ მტკივნეულ დარტყმებს ან-დზეს, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი გარდაიცვალა... „სამწუხაროდ ტაკოსიოკუს უნივერსიტეტში ასეთი შემთხვევა ერთული არ არის, – განაცხადა ცნობილმა იაპონელმა სპორტულმა მიმომსილველმა ნობუმასა კაკამოტომ, – როგორც სპორტის ზოგიერთი სხვა სახეობა, კარატე ფართოდ გამოიყენება იაპონიის რეაქციული ძალების მიერ ახალგაზრდობაზე ზემოქმედებისათვის“ [12, 29].

და, მართლაც, შემთხვევითი არ არის, რომ ტერორისტული დრამის მოქმედი პირები ყველა ახალგაზრდაა, ასაკი 20-25 წელი. მართალია, მათთან ერთად არიან უფროსებიც, მაგრამ ისინი ერთეულები არიან. ამავე დროს ისინი მოქმედებენ კულისებს მიღმა და მხოლოდ ხელმძღვანელობენ ტერორისტებს. ტერორისტული იატაკებების ლიდერი შეიძლება იყოს პოპულარული პროფესორი ან ექიმი, კრიმინალისტი ან ადვოკატი. ტერორისტულ ჯგუფში შეიძლება შეხვიდე, მაგრამ იქიდან გამოსვლა არ შეიძლება: ასეთი სურვილის გზა მიდის მხოლოდ სასაფლაოზე [13, 65].

სპორტთან ასევე დაბავშირებულია რასიზმი. იგი არის ანტიმეცნიერული კონცეფცია, რომლის მიხედვით არსებობს ადამიანთა რასებს შორის ფიზიკური და ფსიქოლოგიური უთანაბრობა, რაც გავლენას ახდენს ადამიანთა საზოგადოების ისტორიასა და კულტურაზე, ადამიანებს ყოფს მადალ და დაბალ რასებად. ფაქტია, რომ რასიზმი წარმოადგენს ფაშიზმისა და ნეონაციზმის ოფიციალურ იდეოლოგიას.

ოლიმპიურ თამაშებზე რასიზმი პირველად გამოვლინდა 1904 წელს სენტ-ლუისში (აშშ), როდესაც თამაშების ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს მოეწ-

ყოთ ე.წ. „ანთროპოლოგიური დღეები“: არათეთრკანიანი რასის ათლეტები – ზანგები, ფილიპინელები, ინდიელები – შეჯიბრზე მხოლოდ ერთმანეთის წინააღმდეგ უნდა გამოსულიყვნენ სპეციალურად მათვის გამოყოფილ სტადიონზე ორი დღის განმავლობაში. მხოლოდ თურქმა და სირიელმა სპორტსმენებმა გაძედეს მათ მიერთებოდნენ.

სოკის პრეზიდენტი პიერ დე კუბერტიუნი მძაფრი პროტესტით გამოვიდა. თამაშების ორგანიზატორთა გადაწყვეტილების გამო მან უარი განაცხადა დასწრებოდა ოლიმპიურ თამაშებს. მრავალმა სპორტსმენმა და სპორტულმა საზოგადოებამ დაგმო „ანთროპოლოგიური დღეები“.

ამერიკული სპორტის ისტორიაში, ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობაში სენტ-ლუისში ამერიკელებმა პირველად შეიყვანეს ზანგი მორბენალი ჯორჯ პუჯი, რომელმაც მესამე ადგილი დაიკავა 200 და 400 მეტრზე ბარიერულ სირბილში. ამდენად, რასიზმმა პირველად სპორტში მიიღო სათანადო პასუხი. თუმცა რასისტული გამოვლინების საშიშროება ოლიმპიურ მოძრაობაში კვლავ რჩებოდა. მისი ლიკვიდაციისათვის კუბერტიუნის ინიციატივით სოკ-მა 1913 წელს მიიღო ანტირასისტული წესდება, რაც იურიდიულად გაფორმდა. დაამტკიცა ოლიმპიური დროშის ატრიბუტები – თეორ ფონზე ხუთი სხვადასხვა ფერის გადაბმული რეგოლი, როგორც ხუთი კონტინენტის სიმბოლო. ოლიმპიური დროშა პირველად აღმართეს 1920 წელს. ეს იყო რასიზმზე დარტყმა. მაგრამ სპორტში რასიზმი მაინც დარჩა.

როდესაც ვიხილავთ სპორტში რასობრივი სეგრეგაციის საკითხებს, აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ ძირებზე, რომელიც არა ბიოლოგიურ, არაამედ სოციალურ-პოლიტიკურ საწყისებს ემყარება.

დისკრიმინაცია სპორტში ხორციელდება არა რასობრივი, არამედ პოლიტიკური მოტივებით. სწორედ ასე მოხდა 1936 წელს ბერლინის ოლიმპიურ თამაშებზე, როდესაც ამერიკელების გუნდის ხელმძღვანელობამ ჰიტლერების საამებლად უარი თქვა უძლიერესი ზანგი ათლეტების ნაკრების შემადგენლობაში შეყვანაზე.

შემდეგში მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით 1964 და 1968 წლებში, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას არ მიეცა უფლება მონაწილეობა მიეღო ოლიმპიურ თამაშებში, ხოლო 1970 წელს გარიცხული იქნა ოლიმპიური მოძრაობიდან. 1973 წელს ანალოგიური მიზეზით გაირიცხა სამხრეთ როდეზია (დღვანდველი ზიმბაბვეს რესპუბლიკა) [14, 62].

მრავალი ოლიმპიური თამაშები (განსაკუთრებით 1932, 1936, 1948, 1952, 1956, 1968 წლები) გამოირჩევა ზანგი სპორტსმენების ბრწყინვალე გამარჯვებებით, რომლებმაც დაიცვეს აშშ-ის სპორტული დირსება. სპორტულ არენაზე გამოსვლის შემდეგ კი ფერადკანიანი მოსახლეობა კვლავ არასრულფასოვან მოქალაქებად განიხილებოდა. „სტადიონზე მე ყველაზე სწრაფი ადამიანი ვარ მსოფლიოში, ხოლო სტადიონის გარეთ – მხოლოდ ბინძური ზანგი“, აღნიშნავდა მსოფლიო ჩემპიონი სირბილში თ. სმითი [14, 65].

XX საუკუნის 60-70-იან წლებში ცნობილ სპორტულ კომენტატორსა და სპორტსმენს ნიკოლოზ ოზეროვს, ყველა მნიშვნელოვანი სპორტული პაქტონის გაძლოლას ავალებდნენ. მისი კომენტარები განსაკუთრებით მოსწონდა პარტიის გენერალურ მდივანს ლეონიდ ბრეਜნევს. ოზეროვი თავის რეპორტაჟებს ასე იწყებდა: გამარჯობათ ძვირფასო ლეონიდ ილიჩ!.. (ეს ისე სუმრობით!). ოზეროვი მთავრობაში მიღებული კაცი იყო. საბჭოთა კავშირში სპორტის სხვადასხვა სა-

ხეობაში დასაუფლებლად ბავშვებისათვის შესანიშნავი სისტემა მუშაობდა. სამაგიეროდ დაბალი დონის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უკავშირდებოდა პროფესიული სპორტის განვითარებას. მართალია, ე.წ. „საბჭოთა სპორტსმენები“ დადიოდნენ საზღვარგარეთ, თამაშობდნენ, იღებდნენ მონაწილეობას სხვადასხვა სპორტულ ასპარეზობებში და არც თუ ურიგოდ, მაგრამ პოლიტიკა ისე ერთოდა სპორტულ საქმიანობაში, რომ ყველაფერს აფუჭებდა. მაგალითად, თავის დროზე ჩოგბურთელებს აღექსანდრე მეტრეველს და თეიმურაზ კაჯულიას შეეძლოთ დგვისის თასის მოგება, მაგრამ არ გაუშვეს. ასევე აუკრძალეს თამაში ჩილეში კონტრევოლუციური გადატრიალების გამო პროტესტის ნიშნად. ასეთივე ამბავი გამეორდა სამხრეთ აფრიკაში აპარტეიდის პოლიტიკის წინააღმდეგ ბოკოკიტის გამო. წმინდა ტექნიკური ხასიათის დაბრკოლებებიც ბევრი იყო. მაგალითად, საფრანგეთში ტურნირის დამთავრების შემდეგ აუცილებლად ბრუნდებოდნენ მოსკოვში, იღებდნენ ახალ პასპორტებს და მიდიოდნენ ინგლისში. აქეთ-იქით ასეთი უაზრო მგზავრობით ძალიან იღლებოდნენ, რაც, ბუნებრივია სპორტულ ფორმაზე უარყოფითად მოქმედებდა [15, 16].

ტრადიციულად დამკვიდრდა ისე, რომ ოლიმპიური თამაშები ყოველთვის ემთხვევა აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო კამპანიას, რასაც წარმატებით იყენებენ პოლიტიკოსები. აშშ პრეზიდენტების უმრავლესობა სპორტს პოლიტიკური მიზნით ყოველთვის იყენებდა. ამავე დროს ზოგიერთი მათგანი თავად ცდილობდა სპორტის რომელიმე სახის მიმდევარი ყოფილიყო. მაგალითად, კალვინ კულიჯი გატაცებული იყო სათხილამურო სპორტით. დუაიტ ეოზენჰაუერი ამტკიცებდა, რომ ყველაზე მეტად უყვარ-

და გოლფის თამაში. ჯონ კენედი უპირატესობას ამერიკულ ფეხბურთს ანიჭებდა. ასევე შეიძლება ითქვას ლინდონ ჯონსონსა და ჯერალდ ფორდზე. ტომარას მსგავსი რიჩარდ ნიქსონიც კი, რომელიც გარეგნობით ასპროცენტიანი ანტისპორტული იერით გამოირჩეოდა, მრჩეველების რეკომენდაციით უურნალებში აქვეყნებდა სტატიებს ფეხბურთის თემაზე. აჩვენებდა, რომ ის სპორტის ისეთივე თავგადაკლული გულშემატკივარი იყო, როგორც მილიონობით რიგითი ამერიკელი. წესად ჰქონდა როგორც „ჩვეულებრივ“ გულშემატკივარს ტელეფონით მიელოცა გამარჯვებული სპორტსმენებისათვის. ცნობილი ამერიკელი ფეხბურთელი ლერი გზონკი პრეზიდენტის ამ ნაბიჯებს ხმებზე ნადირობას უწოდებს. ნიქსონი ასევე ცდილობდა შავკანიანი სპორტსმენების მიმხრობას. 1976 წელს ფორდის პიარ კამპანიას ეწეოდა ტენისისტი კრის ევერტი, მოციგურავე პეგი ფლემინგი და ა. შ. ამავე წელს კარტერის იმიჯზე ზრუნავდა 50-ზე მეტი ცნობილი სპორტსმენი. მათ შორის ტენისისტი არტურ ეში და ბეისბოლისტი ხენკ აარონი. ისინი მოუწოდებდნენ ამომრჩევლებს ხმა მიეცათ ჯიმი კარტერისათვის. ყველაზე მეტად აქტიურობდა მოერგოვე მუჰამედ ალი. კარტერი თეორ სახლს მოევლინა, როგორც უბრალო ფერმერი ჯორჯიიდან, ადამიანი ხალხთა მასიდან. ის ცდილობდა მოერგო რიგითი ამერიკელის როლი, რომელსაც ჰქონდა სურვილი ბოლოს და ბოლოს წესრიგი დაემყარებინა ვაშინგტონში, წერტილი დაესვა მექრთამებისა და კორუფციისათვის, სამხედრო ხარჯების შემცირებით შეეჩერებინა ინფლაცია. რას აღარ პირდებოდა ამომრჩეველს! თავდაპირველი მრავალი წამოეგო ანკესზე, დაუჯერეს – ის ხომ ძალიან გულახდილი აღმოჩნდა, თბილი, უბრალო. ტიპიური ამერიკელი. და რა თქმა უნდა მას უყვარდა სპორტი.

ჯერადდ ფორდი სათხილამურო სპორტით იყო გატაცებული, როდესაც ამერიკაში დაიწყო სათხილამურო ბუმი. შემდეგ ნომერ პირველ სპორტად აშშ-ში აღიარეს ტენისი, და თეთრი სახლის ახალი პატრონი კარტერი უცხვა ტენისისტად იქცა. ცოტა ხანში ამერიკელების თაყვანისცემის ობიექტი სირბილი გახდა. შეეძლო კარტერს ხელიდან გაეშვა პოტენციურ ამომრჩეველთა ურადღება? რა თქმა უნდა არა. და ის უკვე აღარ არის ტენისისტი, არამედ ჯოგერია.

1979 წლის სექტემბერში კარტერის პოზიციები კრიტიკული გახდა, მისი პოპულარობა მკვეთრად და-ეცა. რა გააკეთა პრეზიდენტმა? იქნებ მიიღო გადაწყვეტილება სახელმწიფოსათვის სასიცოცხლოდ აუცილებელ საკითხებზე, ან შეაცადა კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანას, რაც ქვეყნისათვის სასიკეთო იქნებოდა? არავითარი. მან გამოიყენა საყვარელი ილეთი: მიმართა სპორტულ თვითრეკლამას და მონაწილეობა მიიღო კემპ-დევიდთან ახლოს ათ კილომეტრიან მარათონში.

ის მარტო არ მირბოდა. მის გვერდში იყვნენ ექიმები და დაცვის წევრები. უკან მისდევდნენ მრჩევლები და თანაშემწევები. უკვე რამდენიმე წუთის შემდეგ პრეზიდენტმა ფერი დაკარგა, წონასწორობას ვეღარ იცავდა. საიდუმლო სამსახურის თანამშრომლებმა მოასწრეს ხელი შეეშველებინათ.

ფოტოსურათებმა, რომლებზეც გამოსახულია წარუმატებელი მარათონისტი მსოფლიოს პრესა მოიარა. ის გახდა ხელმძღვანელი-დილეტანტის სიმბოლო, რომელმაც ვერცერთი წინასაარჩევნო დაპირება ვერ შეასრულა [4, 26-27].

1979 წელს საბჭოთა კავშირმა ავდანეთში ჯარი შეიყვანა. კარტერმა ამით ისარგებლა და წინასაარჩევნო კამპანიის დროს 1980 წლის მოსკოვის ოლიმპი-

ურ თამაშებს ბოიკოტი გამოუცხადა. ამავე წლის 3-6 თებერვალს ამერიკის ტელევიზიის ყველა არხი ფართო რეკლამას უწევდა ცნობილი მოკრივის მუჭამედ ალის ვიზიტს აფრიკაში, რომელიც იქ კარტერის პირადი თხოვნით გაემზავრა, რათა აფრიკის ქვეყნებს უარი ეთქვათ მოსკოვის ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღებაზე.

აშშ-ის ზეწოლის გამო 30 სახელმწიფოს მთავრობამ შეძლო დაერწმუნებინა საკუთარი ქვეყნის ეროვნული კომიტეტები, უარი ეთქვათ მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობაზე. მიუხედავად ამისა ამერიკელმა მეცნიერებმა მონაწილეობა მიიღის საერთაშორისო სამეცნიერო ოლიმპიური კონგრესის მუშაობაში, რომელიც თბილისში ჩატარდა. უფრო მეტიც, ათასზე მეტი ადამიანი ამერიკელი ტურისტი ჩავიდა მოსკოვში თამაშებზე დასასწრებლად. ასევე მოვლენებს აშუქებდა 114 ამერიკელი უურნალისტი და ენ-ბი-სი-ს 60 თანამშრომელი [16, 168-169].

კარტერი დამარცხდა. ანგიოოლიმპიური ისტერია საპირისპიროდ შემობრუნდა. სპორტსმენებსა და სპორტის მოყვარულებს არ შეეძლოთ ეპატიებინათ თავისი პრეზიდენტისათვის ამერიკის განზე დოგმა ოლიმპიადისაგან. 1980 წელს ყველაზე პოპულარული გახდა მაისურები, რომელზეც გამოსახული იყო „პრეზიდენტი-ურჩხული“, რომელიც სპორტსმენებს ცვლილზე წვავდა. ზოგიერთ ქალაქში სპორტულ ასპარეზობებზე დასასწრებლად გულშემატკიცრებისათვის იყიდებოდა ბალიშები კარტერის გამოსახულებით, რათა მაყურებელი ქვის სკამებზე მოხერხებზელად დამჯდარიყო [4, 28]. 1980 წლის არჩევნებში კარტერმა მარცხი განიცადა.

უმრავლესობისათვის ცნობილია, რომ თავის დროზე რეიგანი კინომსახიობი იყო. მაგრამ პრეზი-

დენტსა და მის ბიოგრაფებს ხშირად უყვარდათ გახსენება იმ დროისა, როდესაც რონი იყო კოლეჯის ფეხბურთის კაპიტანი [17, 8]. თეთრი სახლის პატრონად გახდომის შემდეგ აქტიურად იყენებდა სპორტს თვითრეკლამისათვის. ურნალ-გაზეთები აჭრელებული იყო მისი ფოტოებით: რეიგანი მხედარი (ყოველ დილით გასეირნება ცხენით), რეიგანი ტანკარჯიშის დარბაზში (ყოველ სადამოს – ვარჯიში ტრენაჟორებსა და შტანგაზე), რეიგანი სტადიონზე, რეიგანი სპორტსმენებს შორის...

ლოს-ანჯელესის XXIII ოლიმპიური თამაშების წინ ორ სისტემას შორის იდეოლოგიური ბრძოლა კიდევ უფრო გამძაფრდა. ამას წინ უძღვდა ცნობილი ინციდენტი სამხრეთ-კორეული თვითმფრინავის „ბოინგ-747“ სსრკ ტერიტორიაზე 1983 წლის 1 სექტემბერს ჩამოგდებასთან დაკავშირებით. აშშ და ზოგიერთმა ქვეყანამ პროტესტი განაცხადა საბჭოთა კავშირის მონაწილეობაზე ოლიმპიურ თამაშებში. ჯიხურებში დაიწყო სამკერდე ნიშნების გაყიდვა – „მოკალი რუსი“ [14, 29]. ამერიკელი საზოგადოებისათვის ვრცელდებოდა მოკლემეტრაჟიანი სპორტული შინაარსის ფილმები და ლიტერატურა, სადაც რუსი სპორტსმენების სტერეოტიპი ასე გამოიყერებოდა: დათვის მსგავსი ქვის სახე, არ იღიმება, გაურბის ურნალისტებს, ინტერვიუზე უარს ამბობს, მისი ფიჭრები მხოლოდ გამარჯვებაზეა აქცენტირებული და ა. შ. [16, 99]. ისეთ გადაცემებშიც კი, როგორიც არის მულტიპლიკაციური ფილმები ბავშვებისათვის აქცენტი გადატანილი იყო რუსოფონისადმი. მაგალითად, ყველა უარყოფითი პერსონაჟი: ჯადოქარი, ურჩხული და სხვ. ლაპარაკობდა რუსული აქცენტით. ყველაზე გავრცელებულ ხდაპარში „წითელქუდა“, რომელსაც ამერიკის ტელევიზია ხშირად აჩვენებდა მულტფილ-

მების სერიაში, მგელი ლაპარაკობდა რუსული აქცენტით და ეხურა ქუდი, რომელზეც ნამგალი და ურო იყო გამოსახული [18, 56].

1984 წლის 28 ივნისს ოლიმპიადის გახსნამდე რამდენიმე საათით ადრე სამხრეთკალიფორნიის უნივერსიტეტში რეიგანი შეხვდა აშშ ოლიმპიური ნაკრების წევრებს, რომელთაც სიტყვით მიმართა. ეს იყო ფაქტიურად წინასაარჩევნო სიტყვა. რეიგანი წარმოჩნდა, როგორც სპორტის დიდი მოყვარული, კეთილი და ბრძენი პაპა და ამავე დროს ერის ჭეშმარიტი ლიდერი, რომელსაც შეუძლია მჭიდროდ შეაკავშიროს ამერიკელები. „გააგეთეთ ეს ჩემთვის“, შესძახა პრეზიდენტმა – და აშშ-ის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ჩაერთო მედლებისათვის ბრძოლაში [4, 30].

ამდენად, სპორტი ყოველთვის იყო დაკავშირებული პოლიტიკასთან. დღეს კი ტელევიზიის მეშვეობით ეს კავშირი უფრო მეტად ინტენსიური გახდა. „პოლიტიკა განუხრელად არის ურთიერთობაში სპორტან, პირველ რიგში იმიტომ, რომ, ოლიმპიური თამაშები მოვლენად გადაიქცა და მას თვალყურს ადევნებენ თითქმის 2 მილიარდი ტელემაყურებელი“ – აღნიშნავდა სოკ-ის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი. ოლიმპიურ თამაშებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საერთაშორისო ცხოვრებასა და საერთაშორისო ურთიერთობაში. ამიტომ, დიდია ინტერესი პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწეების მხრიდან.

### **დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. ზ. ჩიმაკაძე, რ. დაუშვილი, ანტიკური ოლიმპიური თამაშები, თბ., 2008
2. ბ. ჯავახია, რაინდობა შუა საუკუნეების ევროპაში, თბ., 2010

3. გ. უშარიძე, დიქტატორების კლუბი, ქურნ. „ისტორიანი“, 2012, №11
4. В. Гескин, Кто посягает на олимпийский огонь, М., 1986
5. А. Н. Ефремов, Жертвы жестокости-дети, М., 1985
6. დ. მჭედლური, ლავრების ბერიას მთავარი დანაშაული, თბ., 1992
7. Л. И. Джоглидзе, Лингфонный курс русского языка, Тб., 1987
8. გაბრიელა ემფორდ პოჯესი, ფრანგო, ინგლისურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო თ. ნატროშვილმა, თბ., 2011
9. История физической культуры и спорта, М., 1983
10. დ. თაქთაქიშვილი, მოდერნიზმი ქართულ მართლმადიდებლობაში, თბ., 1985
11. გ. უშარიძე, „პუნქულეთის“ მარგალიტი, ქურნ. „ისტორიანი“, 2013, №4
12. Новое Время, 1983, №16
13. С. А. Эфиоров, Покушение на будущее, М., 1984
14. Ю. В. Манко, Н. М. Попов, Свет и тени олимпийского огния, лениздат., 1987
15. გაზ. „საქართველო და მსოფლიო“, 2011, №46
16. С. И. Гусков, Голубой Монстр, М., 1986
17. Н. Догополов, По ту сторону спорта, М., 1984
18. Международные отношения и борба идей, М., 1981

## ნიპიტა ხრუშჩოვის პოლიტიკური პორტრეტი

გავიხსენოთ, რაზეც ნაკლებად გვიფიქრია. საბჭოთა რეჟიმის 75 წლიანი ბატონობის დროს „კომუნიზმისკენ მიგვაქანებდნენ“ ადამიანები, რომელთა ბიოგრაფიაში ადრიშნული იყო, რომ ისინი სწავლობდნენ ტექნიკურში, ინსტიტუტში, პროდეტაკადემიაში, უმაღლეს პარტიულ სკოლებში. მაგრამ არ იყო მოთითებული როდის დამთავრეს [1, 212].

საერთოდ, არა თუ 20-იანი წლების სახელმწიფო აპარატის მუშაკთა დიდი არმია არ იყო ინტელექტუალური, არამედ 30-იანი წლებისა და შემდგომი პერიოდის „აპარატჩიკებსაც“ „გაყინული“ აზროვნება პქონდათ.

ამავე დროს ყრილობებისა და კონფერენციების დელეგატებიც კი არ იყვნენ კ. წ. „ახალი კულტურის“ მატარებელი ხალხი. მხედველობაში გვყავს სუსლოვისა და ბრეჟენევის ტიპის ადამიანები, რომლებმაც 30-იან წლებში მიიღეს განათლება. ესენი იყვნენ წითელი პროფესურის ინსტიტუტდამთავრებულნი: მიზინი, კონსტანტინოვი და მათი მსგავსნი [2, 21-22].

წინასწარი განზრახვით და უზომოდ სვამდნენ ალკოჰოლურ სასმელებს მოლოტოვი, კუიბიშევი, შჩერბაკოვი... ბრეჟენევი, შჩოლოკოვი და რამდენი კოდევ ჩვენ არ ვიცით.

ჩამონათვალში თამამად შეგვიძლია დავასახელოთ რიკოვი, კალინინი, ვოროშილოვი, ხრუშჩოვი, მალენკოვი, ბულგანინი, პოდგორნი. ეს მაღალი ელიტა, მაგრამ რამდენი ალკოჰოლოკი იქნებოდა დაბალ ეშელონებში წარმოსადგენია [1, 366].

სტალინის შემდგომ ხელმძღვანელთა ტრადიციული მარში გრძელდებოდა. კუნცოვოს აგარაკზე,

სადაც უკანასკნელი ოცდაათი წლის განმავლობაში ცხოვრობდა სტალინი, დამეული დროსტარებისას ბელადი ხრუშჩოვს გოპაკის ცეკვით აბუქნავებდა, რომ მას, რაღა თქმა უნდა, არ უნდა პქონოდა ოდესმე ხელისუფლებაზე რაიმე პრეტენზიები და სხვისი ნების საიმედო შემსრულებლობა ხელეწიფებოდა მხოლოდ. მაგრამ... სტალინის გარდაცვალების კვირაძალს მსოფლიო ატომური ომის საშიშროების წინაშე იდგა. საომრად შემართული უზარმაზარი იმპერიის სათავეში მოექცა არა ჭკვიანი და სერიოზული მმართველი, არამედ უბრალო ტაკიმასხარა – ნიკიტა ხრუშჩოვი. რაში მდგომარეობდა მისი პროვიდენციული დანიშნულება? განა სტალინის მემკვიდრეებს შორის არ იყვნენ მასზე ჭკვიანი, ეშმაკი და გავლენიანი პირები, იგივე მოლოტოვი, ბერია, უუკოვი და სხვები? არა! მაინცდამაინც „ტინგიცა“ ხრუშჩოვი!

საქმე ის იყო, რომ მთელ მსოფლიოში მოდებულ კომუნისტურ იდეებს, ბელადობას, როგორც სახელმწიფო მმართველობის საუკეთესო ფორმას, გატრიზაგება ესაჭიროებოდა. ამას კი, მისდაუნებურად, ყველაზე უკეთ მასხარა შეასრულებდა. ხრუშჩოვმაც არ დაახანა და ერთმანეთის მიყოლებით ისეთი „კანკანები დაურტყა“, რომ ეს ტრაგიულად მოდუშული და შეშფოთებული კაცობრიობა ჯერ ირონიულად გააღიმა, შემდეგ კი ჰომერული სიცილით აახარესხარა. რად დირდა თუნდაც კრემლის შიდა ინტრიგების გამოცდილების გადატანა ზესახელმწიფოთა მეთაურებს შორის პირადი უთანხმოების ჩამოსაგდებად, ამერიკისა და საფრანგეთის პრეზიდენტებთან, ეიზეპ-ჰაუერთან და დე-გოლთან ცალ-ცალკე შეხვედრის დროს. ანდა, მისი აღიარებით, რომ ახალგზრდობაში ღორებს მწყემსავდა, რომ 28 წლის ასაკში პირველად გაიგო „რითი იჭმევა ბალეტი“. მის დროს და-

იწყო კომუნისტური კერპების დევალვაცია, ანეგდო-  
ტების სერიალები ლენინსა და ვასილ ჩაპაევზე, მისი  
გახმაურებული „ანგლობა“, როცა დათვრა და პო-  
ლიტიუროს წევრებს აშინებდა, გამიშვით, ატომის  
დილაქს თითო უნდა დავაჭიროო. ერთი სიტყვით,  
მარქსის ნათქვამი, კაცობრიობა სიცილით ემშვიდო-  
ბება თავის წარსულსო, იმ ეტაპზე ნაწილობრივ  
სრულდებოდა... [3, 411-412].

ნიკიტა სერგეევიჩ ხერუმხოვი დაიბადა 1894  
წლის 5 (17) აპრილს კურსკის გუბერნიის სოფელ  
კალინოვკაში, გლეხის ოჯახში. ბავშვობაში მწყემ-  
სავდა საქონელს. ზამთარში დადიოდა სკოლაში, სა-  
დაც ისწავლა წერა-კითხვა, თუმცა დაწყებითი სკო-  
ლა არ დაუმთავრებია [4, 15]. 12 წლისა უკვე მუშა-  
ობდა ქარხანაში და დონბასის შახტებში. 1918 წელს  
ბოლშევკური პარტიის წევრი გახდა. იგი სამოქალა-  
ქო ომის მონაწილეა [5, 3]. სამხედრო კომისრის –  
ხერუმხოვისათვის სამოქალაქო ომი დასრულდა უ-  
ბანში. 1920 წელს არჩეულ იქნა მეშახტეთა უჯრედ-  
ში პოლიტიკურ ხელმძღვანელად. 1921 წელს დონ-  
ბასში გაიხსნა „დონტექნიკუმი“. ტექნიკუმთან შექ-  
მნილ მუშფაკში სწავლა დაიწყო ნიკიტამ, თუმცა  
ვერც ეს სასწავლებელი დამთავრა. ამას ხელი არ  
შეუშლია ერთ-ერთი რაიკომის მდივნად აერჩიათ.

20-იან წლებში რუსეთში, კერძოდ დონბასში  
მეშახტები ცხოვრობდნენ ბარაკებში. აქ, უზნეობა  
და უკულტურობა იყო გამეფებული, რაც დამახასია-  
თებელი იყო „მუშებად“ ქცეული გლეხური ფსიქო-  
ლოგიისათვის. გუშინდელ გლეხებს არ შეეძლოთ  
ესარგებლად ქალაქის ტუალეტებითაც კი. მეშახტე-  
ებს არ ჰქონდათ დაბანის საშუალება, არ გააჩნდათ  
თეთრეული, გამეფებული იყო ლოთობა და აზარტუ-  
ლი თამაშები [4, 20, 21].

უკრაინის დელეგაციის წევრი ნიკიტა 1925 წლის დეკემბერში პირველად ჩავიდა მოსკოვში საკ. კ. (ბ) XIV ყრილობაზე. სხვა უკრაინელ დელეგატებთან ერთად ის ტაშს უკრავდა სტალინს, რომელსაც პირველად ხედავდა.

ხრუშჩოვი დააწინაურეს საოლქო ცენტრში. მისი მოღვაწეობის მასშტაბი სამხარეოში მნიშვნელოვნად გაიზარდა. დონეცკის ორგანიზაცია პარტიის წევრთა რიცხვით ერთ-ერთ პირველ ადგილზე იყო კავშირის მასშტაბით. ენერგიული ბუნებით დაჯილდოებულმა ნიკიტამ უკრაინის პარტიული ორგანიზაციის საუკეთესო მუშაკის სახელი მოიპოვა. თუმცა აშკარად არ ჰყოფნიდა განათლება. ასევე დარჩებოდა საშუალო დონის მუშაკად, რომ მისივე თქმით „ხელში არ ჩაეგდო ლატარიის ბედნიერი ბილეთი“ [4. 21, 22].

1928 წელს უკრაინის კპ ცპ (ბ) გენერალური მდივანი გახდა ს. კოსიორი. მან ხრუშჩოვი, როგორც გლეხის თჯახში დაბადებული, მუშად ნამყოფი და არაინტელიგენტი გადმოიყვანა საორგანიზაციო განყოფილების გამგის მოადგილედ. საგულისხმოა, რომ პარტიულ აპარატში დასაწინაურებლად უპირატესობა ექლეოდათ იმ პირებს, ვისაც დაბალი ინტელექტი ჰქონდა. ცოტასანში ნიკიტას უკვე გამგის თანამდებობაზე ე კხედავთ. 1929 წელს მოსკოვში გაიხსნა სამრეწველო აკადემია, სადაც მსმენელად ჩაირიცხა ხრუშჩოვი. აკადემიის პირველ ნაკადში ჩაირიცხა ნადეჟდა ალილუევა – სტალინის მეუდღე. ის აირჩიეს პარტიული ჯგუფის ხელმძღვანელად. ნადეჟდასა და ხრუშჩოვს შორის მეგობრული ურთიერთობა დამყარდა. ცოტამ თუ იცოდა, რომ აკადემიაში ტრამვაით მოსული ახალგაზრდა ქალი სტალინის მეუდღე იყო. ხრუშჩოვს ბედმა გაუდიმა, ის ხვდებოდა

სტალინს, ყოფილა ოჯახურ სადილზეც ვიდრე ნა-დექდა ცოცხალი იყო... წინსვლას და გადარჩენას ანუ „ლატარიის ბედნიერი ბილეთის“ აღებას ნიკიტა აღნიშნულ მოვლენას უწოდებდა [4, 23].

1931 წელს ნიკიტა აირჩიეს მოსკოვის ბაჟმანის რაიკომის პირველ მდივნად. 1932 წელს მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანია, ხოლო 1935 წლიდან მოსკოვის საოლქო პარტიული ორგანიზაციის პირველი მდივანი.

1938 წლის იანვარში ჯერ პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი გახდა, მოგვიანებით უკრაინის კომუნისტთა ლიდერი. XVIII ერილობის შემდეგ ნიკიტას საკავშირო ცკის პოლიტბიუროს წევრად ირჩევენ. ომის პერიოდში იყო კიევის სამხედრო ოკრუგის სამხედრო საბჭოს წევრი. პქონდა გენერალ-მაიორის წოდება. ომის დროს მიიღო სუვოროვის მეორე ხარისხის ორდენი [4, 41].

ხრუშჩოვმა ხელისუფლების სათავეში მოსვლის-თანავე ანგარიშსწორება დაიწყო მკვდარ სტალინთან. ნიკიტას კარგად ახსოვდა მოსკოვის ქალაქკომის პირველი მდივნობის პერიოდში, ერთი ხის მოჭრის ნაცვლად, ქუჩის ნარგავების გაჩეხვის გამო როგორ სასტიკად დატუქსა სტალინმა... ისიც ახსოვდა, „აგროქალაქების“ მშენებლობის პროექტისთვის დატუქსულ პატარა ბავშვივით მოზღუქუნე ნიკიტას „ჩემი პატარა მარქსი“ რომ უწოდა და ისიც—როგორ დააძლერტყა თავზე 1941 წლის ოქტომბერში ფაშისტების „მომლოდინე“ და შიშს ატანილ ხრუშჩოვს ჩიბუხი.

როდესაც ხრუშჩოვმა ომის დროს კიევის დაკარგვის შესახებ აცნობა, სტალინმა ჰკიოთხა: „ოქვენ ადგილზე ნიჩბები თუ გაქვთ?“ ნიკიტა იქვე მდგომ ფრონტის სარდალს დაეკითხა და სტალინს უპასუხა, რომ ნიჩბები აქვთ. „გამოართვით ნიჩბები ჯარის-

კაცებს და თქვენივე ხელით გაითხარეთ სამარე, უპრაინის გარდა, თქვენ სხვა ადგილი არ გაქვთ! – მკაცრად უპასუხა სტალინმა და უურმილი დაუკიდა.

სტალინისაგან ერთხელ უკვე შეწყალებული ხრუშჩოვის შვილი ლიონია ხრუშჩოვი, რომელმაც საბჭოთა თვითმფრინავი მტრის ზურგში დასვა და გერმანელების მხარეზე გადავიდა, წითელი არმიის საწინააღმდეგო პროპაგანდას ეწეოდა. სტალინის ბრძანებით, სპეცრაზმმა მოდალატე მფრინავი მტრის ზურგიდან მოიტაცა და სამშობლოში დააბრუნა. ხრუშჩოვი დახოქილი ეხვეწებოდა სტალინს, ეწუქებინა მისთვის შვილის სიცოცხლე. სტალინმა პკითხა:

– მეხვეწები, როგორც პოლიტბიუროს წევრი თუ როგორც მამა?

– როგორც მამა, – იყო პასუხი.

– რა ვუთხრა იმ მამებს, რომლებმაც სამი და ოთხი შვილი ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლაში დაკარგეს, ნუთუ ისინი მამები არ არიან?

პოლიტბიურომ განიხილა ხრუშჩოვის შვილის შეწყალების საკითხი, მაგრამ ლიონია ხრუშჩოვი ერთხმად იქნა მიჩნეული ქვეყნის მოდალატედ და სასამართლოს მიერ გამოტანილი სასჯელი ძალაში დარჩა [6, 18].

1946 წელს ხრუშჩოვმა თავის ცხოვრებაში პირველად იმოგზაურა საზღვარგარეთ ინკოგნიტოდ გენერლის ფორმით. სპეციალისტების ჯგუფთან ერთად ის ეწვია ავსტრიას, უნგრეთსა და აღმოსავლეთ გერმანიას, სადაც რეპარაციების საკითხი წყდებოდა. 1947 წელს ნიკიტა უკრაინის კაცების პირველ მდიგნად ინიშნება, 1949 წელს კი უკვე მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანია. მის მოღვაწეობაში დაიწყო ახალი ეტაპი. ამავე დროს პარალელურად ის ხდება საკ. კპ (ბ) ცპ მდივანი. სტალინი ბო-

ლო თვეებში იმდენად დაუახლოვდა მას, რომ თავის 70 წლის საიუბილეო სხდომაზე იუბილარის მარჯვენა ხელი გადახვეული იყო მათ ძედუნზე, ხოლო მარცხენა ხრუშჩოვზე [5, 54].

სტალინის სიკვდილის შემდეგ კომპარტიის ყრილობას განსაკუთრებული ინტერესით ელოდნენ ჩვენშიც და უცხოეთშიც. შეიცვლება რაიმე საბჭოთა კავშირში? ასეთი იყო მთავარი ინტრიგა. ყველა ელოდა ცვლილებებს, მაგრამ რაც კრემლში მოხდა, ბირთვული ბომბის აფეთქების ტოლფასი იყო.

სტალინის ერთგული დელეგატებისა და პარტიული ნომენკლატურის წინაშე სპეციალურ დახურულ სესიაზე სიტყვით გამოსულმა ხრუშჩოვმა დაუნდობელი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ახლანან გარდაცვლილი მსოფლიო პროლეტარიატის ლიდერი. მან ემოციურად ისაუბრა სტალინის „პიროვნების კულტზე“, მასობრივ რეპრესიებზე, მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების უხეშ დარღვევებზე... დელეგატები საკუთარ ყურებს არ უჯერებდნენ!

ფაქტია, რომ 1956 წლის 25 ოქტემბერს ხრუშჩოვმა სასწორზე დადო თავისი პოლიტიკური კარიერა და პირადი ბედი, რადგან პარტიული ხელმძღვანელობის უმრავლესობა სტალინის დანაშაულთა გამოაშკარავების წინააღმდეგი იყო. ისინიც ხომ ხრუშჩოვთან ერთად, ამ დანაშაულების მონაწილენი იყვნენ!

ასეთი გაბედული, ემოციური და, ამავე დროს, გაუაზრებელი ნაბიჯის გადადგმა მხოლოდ ხრუშჩოვს შეეძლო. პოლონეთის კომპარტიის ლიდერი ბოლესლავ ბიერუსტი ყრილობის შემდეგ მოსკოვშივე გულის შეტევით გარდაიცვალა.

ხრუშჩოვის „საიდუმლო მოხსენება“ ერთხანს პრესაში არ იბეჭდებოდა, მაგრამ ტექსტმა მაინც გა-

ჟონა დასავლეთში და იქ უდიდესი აჟიოტაჟი გამოიწვია [7, 46, 47].

როულ ვითარებაში აღმოჩნდნენ კომუნისტური პარტიები დასავლეთის ქვეყნებში, მათი ავტორიტეტი საგრძნობლად შეირყა. კომუნისტური ალბანეთის ლიდერმა ენერ ხოჯამ ხრუშჩოვს რევიზიონისტი უწოდა და საერთოდ გვერდზე განუდგა საბჭოთა კავშირს.

მაგრამ მოსკოვისათვის საერთაშორისო თვალსაზრისით ყველაზე ავის მომასწავებელი მაო ძედუნის მომდევრება იყო, რომელმაც არ გაიზიარა კრემლის ახალი პოლიტიკა. პეკინსა და მოსკოვს შორის დიდი განხეთქილება იწყებოდა [7, 48]. „პრავდაში“ გამოქვეყნდა სტატია ჩინური გაზეთის „ჟენმინ ჟიბაოს“ ფურცლებიდან, სადაც აღნიშნული იყო, რომ სტალინის დამსახურება უფრო მეტია, ვიდრე მისი შეცდომები, და მრავალი მათგანი გასათვალისწინებულია, რამდენადაც ისინი ამდიდრებენ პროლეტარიატის დიქტატურის ისტორიულ გამოცდილებას, პარტიულ წრეებში სტატიის ავტორად მაო ძედუნს მიიჩნევდნენ [4, 97].

მიღებული მოსაზრების თანახმად ურილობაზე ხრუშჩოვის გამოსვლა გადამწყვეტი გპიზოდი გახდა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში. აიღო რა ხელში ინიციატივა ნიკიტამ დარტყმა მიაყენა სტალინის ისეთ თანამებრძოლებს, როგორიც იყვნენ მოლოტოვი, კაგანოვიჩი, მალენკოვი, ვოროშილოვი, მიქოიანი; რომელთა ყოფნა ცდ პრეზიდიუმში ხელს უშლიდა. მოხსენებით ხრუშჩოვმა გუშინდელ „ბელადებს“ ნიადაგი გამოაცალა, მოამზადა მათი ხელისუფლებიდან მოცილება [4, 90].

ყველაზე ცუდ დღეში პატარა საქართველო აღმოჩნდა. ხრუშჩოვის პიროვნული ზიზღი სტალინის

მიმართ საქართველოსაც გადასწვდა. ექსცენტრულმა ნიკიტა სერგის ძემ არაერთხელ მოიხსენია აუგად „ბელადის სამშობლო“, რაც უარყოფითად განაწყობდა ქართველების მიმართ მთელ საბჭოთა პარტიულ და სახელმწიფო აპარატს.

XX ყრილობის დასრულების შემდეგ, სულ ორიოდე კვირაში, თბილისში 9 მარტის სისხლიანი დღე დადგა. სამწუხაოროდ, მსოფლიომ მაშინ ვერა-ფერი გაიგო ამ ტრაგედიის შესახებ, რომლის მთავარი შემქომედი ხრუმხოვი იყო.

1956 წლის 30 ივნისს სკპ ცკ დადგენილებაში „პიროვნების კულტის შესახებ“, ხრუმხოვმა უკან დაიხია. დადგენილება და მისი შინაარსი, ასევე ფორმულირებები უკან გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა XX ყრილობაზე წაკითხულ მოხსენებასთან შედარებით. ახლა საჯარო გამოსვლებში ნიკიტა აღნიშნავდა, რომ სტალინი იყო უდიდესი რევოლუციონერი და მარქსისტ-ლენინელი და პარტია არ მისცემს უფლებას „კომუნიზმის მტერებს სტალინის სახელის შესაბდალავად“ [4, 97].

XX ყრილობაზე „ბომბის აფეთქებას“ მყისვე დეტონაციები მოჰყვა აღმოსავლეთ ევროპაში.

პირველი პოლონეთი იყო. ეს ქაფანა, მართალია, საბჭოთა კავშირმა გაათავისუფლა გერმანელი ფაშისტებისაგან, მაგრამ შემდეგ თვითონ აღმოჩნდა ახალი დამპყრობლის ხელში. პოლენელები ითხოვდნენ ქვეყნიდან საბჭოთა ჯარის გაყვანას. განსაკუთრებით შეურაცხეოფილად გრძნობდნენ ისინი თავს იმის გამო, რომ თავდაცვის მინისტრად მოსკოვმა პოლონელებს საბჭოთა მარშალი კონსტანტინე როკოსოვსკი დაუნიშნა. იგი წარმოშობით პოლონელი იყო, მაგრამ მსარდაჭერით ამ ქვეყნის სამხედროებშიც კი არ სარგებლობდა [7, 51].

1956 წლის გაზაფხულზე პოლონეთში მუშათა გაფიცები დაიწყო. გაფიცელთა წინააღმდეგ ხელი-სუფლებამ ძალა გამოიყენა, იყო მსხვერპლი. პოლო-ტიკური კრიზისი მალე პოლონეთის მმართველ კო-მუნისტურ (პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია) პარტიასაც მოედო, რომლის შიგნითაც ბი ე რ უ ტ ი ს სიკვდილის შემდეგ ლიდერობისათვის ბრძოლა მიმდინარეობდა. შექმნილი პოლიტიკური ვი-თარების გამო პოლონეთის მუშათა პარტიის ცკის VIII პლენურზე ხრუშჩოვი ოფიციალური მიწვევის გარეშე ჩავიდა ვარშავაში. აეროდრომზე დახვდნენ ოხაბი, ჯერ განთავისუფლებული და პარტიის ცკის შემადგენლობაში კორპტაციის წესით შეევანილი გო-მულკა, ცირანკვიჩი, ზავადსკი და სხვ. თვითმფრინა-ვიდან გადმოსვლისთანავე ნიკიტა მუშტით დაემუქრა პოლონელ ხელმძღვანელებს და პირველად საბჭოთა გენერლებს მიესალმა. ოხაბმა გაბედა და სახალხოდ მისცა შენიშვნა ხრუშჩოვს: „პოლონეთის დედაქა-ლაქში ჩვენ ვართ უფროსები და მსაპინძლები, ამი-ტომ არ გვჭირდება წარმოდგენის მოწყობა“ [4, 107]. შემდეგ იყო „სისხლიანი შემოდგომა“ უნგრეთში.

ხრუშჩოვის ფენომენზე ბევრი დაიწერა და ით-ქვა, მაგრამ ბევრი დარჩა სათქმელიც.

როდესაც ნიკიტა იწყებდა ლაპარაკს, თვითო-ნაც არ იცოდა რით და როგორ დაამთავრებდა. თა-ვის „ორატორულ ხელოვნებას“ პირველად მეუღლეს-თან სცდიდა. როგორც ჩანს, ცოლი ერთ-ერთი მისი კონსულტანტი იყო [8, 287].

ხრუშჩოვი თავს იწონებდა, რომ ახლოს იყო საზოგადოების ყველა ფენასთან. 1959 წლის ზაფ-ხულში სოჩაში დასვენების დროს წერილი მიიღო ორჯერ ნასამართლები ყოფილი ქურდისაგან. ქურდი ჩიოდა, რომ სამსახურს ვერ შოულობდა, თუმცა გა-

დაწყვეტილი პქონდა წესიერი ცხოვრება დაეწყო. ნიკიტამ წერილის ავტორი მიიწვია აგარაკზე, ესაუბრა და დარწმუნებულმა, რომ მასზე სათანადო ზეგავლენა მოახდინა სამსახური უშოვა და ბინაც მიაღებინა. მოგვიანებით ამ „ინიციატივის“ გავლენით, რაზეც ხშირად ლაპარაკობდა სახელმწიფოს მეთაური, კავშირის მასშტაბით დაიწყო დიდი კამპანია: ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლებ პატიმრებს ათვისუფლებდნენ სასჯელ აღსრულების დაწესებულებებიდან, რასაც მძიმე შედეგები მოყვა.

ნიკიტა ხშირად ასახელებდა მწერალ ვინიჩენკოს, რომელიც მემარჯვენე ესერი იყო და ანტისაბჭოთა მოღვაწედ ითვლებოდა. როგორც ჩანს, მან ახალგაზრდობაში წაიკითხა მისი ნაწარმოები და არც იცოდა ზუსტად ავტორის ბიოგრაფია. ინტელიგენციასთან გამოსვლის დროს ხრუშჩოვი ყვებოდა აღნიშნული მწერლის მოთხოვნის „პატარა პინას“ შინაარსს. მოთხოვნაში აღწერილია, თუ როგორ სხედან ციხის კამერაში შვიდნი... როგორ აკეთებენ მიწისქვეშა ხერელს. გააკეთეს ხერელი, პირველი ვინ გაძვრება? ხომ საშიშია! ყველაზე დიდი საშინელება მოელის მას, ვინც პირველი გაძვრება. არავის არ უნდა პირველი გაძვრეს. კამერაში არის ყველაზე პატარა, შეუმნეველი, წენარი პატიმარი. რომელსაც ეძახდნენ „პატარა პინას“ და, აი, შესთავაზეს მას: „პინა გაძვრება პირველი“, და პინა გაძვრა პირველი, მე ვიქნები მეთაური: შენ ესა და ეს გააკეთე, შენ ესა და ეს...“ და გახდა მათი უფროსი. და, აი, მეც პატარა პინა ვარ, – განაცხადა ხრუშჩოვმა, მე ვარ თქვენი მბრძანებელი.

ამ გამოსვლის შემდეგ დასავლეთში ნიკიტას დაარქვეს პატარა პინა. ხრუშჩოვი ამის გამო განაწყენდა, შეიძლება იმიტომ, რომ მან გვიან გაიგო, პინა

პინკუსია, ებრაული სახელი. როცა ხრუმჩოვი მოხსენეს, დასავლეთ გერმანულმა „შტერნმა“ ამ მოვლენას ნახევარი ნომერი მიუძღვნა. იგი იხსნებოდა ხრუმჩოვის უზარმაზარი პორტრეტით, რომლის ზემოთ ეწერა: „პატარა პინა“ აღარ არსებობს“ [9, 13-14].

ხრუმჩოვი, როგორც თვითდაჯერებული ადამიანი, თვლიდა, რომ ყველაფერი იცოდა [10, 96]. ერთერთ მიტინგზე მან თქვა: „მარქსის იდეა—ეს, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ თუკი ღორის ქონს წავუსვამთ, კიდევ უფრო კარგი იქნება“. ბუნებრივია, ნორმალურ ადამიანს თავში არაფრით მოუვა აზრად, რომ მარქსის იდეებზე შეიძლებოდა ღორის ქონის წასმა.

განსაცვიფრებელი იყო ხრუმჩოვის სურვილი, ელაპარაკა ხელოვნებაზე ისე, რომ მისი სრულებით არ ესმოდა. ცდილობდა აეხსნა, რაა ლამაზი და რაა უშნო. რა არის მხატვარი, რომელიც მიისწრაფვის კომუნიზმისაკენ. „აი როგორი ცუდია ერნსტ ნეიზე-ვესტნი“. და ბოლოს იპოვა, იპოვა და ძალიან გაუხარდა. იგი ამბობს: „აი, რას ჰგავს თქვენი ხელოვნება: კაცი რომ შევიდეს საპირფარეშოში, ჩაძვრეს ხვრელში და იქიდან შეხედოს, რაა მის ზემოთ, როცა ხვრელზე ვიღაც ზის. აი ესაა თქვენი ხელოვნება, აი, თქვენი პოზიცია, ამხანაგო ნეიზვესტნი, თქვენ ხვრელში ზიხართ!“ [9, 11].

ნიკიტას ინტელექტს მკაფიოდ გამოხატავს ერთი მაგალითი, როდესაც კრემლის დარბაზში გამოსვლისას 650 ადამიანის წინაშე ტრიბუნაზე მდგომმა, დარბაზის ბოლო რიგს მიმართა: „თქვენ, რაო, რა კბილები დაგიკრეჭიათ! თქვენ, სათვალიანო „აჩკარიკ“, აი, იქ, ბოლო რიგში, წითელპერანგიანო! რას იკრიჭებით! გვაცადეთ, თქვენც მოგისმენთ, თქვენი ჯერიც მოვა!“ [9, 27].

1962 წლის დეკემბერში ლენინის მთების დარბაზში ხელოვნების მუშაკებთან შეხვედრის დროს სადილის შემდეგ, როცა შესვენება გამოცხადდა ყველა მიაწყდა საპირფარეშოებს. პირველი შესვენებისას საპირფარეშოები არ გაუმიჯნიათ, შემდეგ დაყვეს: ნაწილი მთავრობისათვის, ნაწილი – ყველა დანარჩენებისათვის. პირველ შესვენებაზე ყველა ნებისმიერ საპირფარეშოში შედიოდა. და აი, ალოვიც შევიდა საპირფარეშოში, დადგა პისუარის რიგში; ხალხი ბევრია, დგას, უცდის და უცებ უქნიდან ესმის ხმა: „მიბრძანდით ნიკიტა სერგის ძევ, მიბრძანდით“. მოიხედა უკან-ხრუშჩოვი დგას, ყველა ეპატიუება პისუარისაკენ, ასე ვთქვათ, ადგილს უთმობენ. ხრუშჩოვი კი: „ნუ წუხხართ, ვიდგები“. ალოვი ჭოჭმანობს: „რა ქნას? – ფიქრობს, – დაუთმოს ადგილი? მლიქვნელობაა. არ დაუთმოს-ესეც უხერხულია“. ნიკიტა კი უკან დგას, ხვნეშის, ერთი ფეხიდან მეორეზე ინაცვლებს.

ვიდრე ალოვი ყოფმანობდა, პისუარი განთავისუფლდა. მან გადაწყვიტა პრინციპული ყოფილიყო: არა, ჯერ მე, ხრუშჩოვმა მოიცადოს. დადგა პისუართან, მაგრამ, ალბათ მღელვარების ნიადაგზე ინსტრუმენტი არ ამჟავდა. დგას, დგას-არ შეუძლია დაწყება. უკნიდან გრძნობს ხრუშჩოვის სუნთქვას, ხედავს გაბოროტებულ სახეებს, რომლებიც მას მისჩერებიან: აი, უსინდისო, დგას პისუართან და არაფერს აკეთებს, ხრუშჩოვსაც არ უშვებს. ბოლოს მოახერხა, დაამთავრა ოპერაცია, გვერდით გამოვიდა და ხრუშჩოვმა მაშინვე დაიკავა მისი ადგილი [9, 9].

ნიკიტას საერთოდ ყოველთვის სურდა რაიმე შეეცვალა. აგარეგზეც კი, სადაც ყოველ კვირას იმყოფებოდა საწერ მაგიდას ადგილს უცვლიდა [11].

ეკატერინე მესამედ წოდებული კულტურის მინისტრი ფურცელა, რომელსაც ხალხური გადმოცემა უმაღლეს ხელისუფალთა საყვარლად მიიჩნევს, 1957 წელს ხუმრივის მოხსნის მცდელობის დროს ფავორიტის გვერდში იდგა. მაგრამ შემდეგ „გადაიყვარეს“. გამოიყვანეს პრეზიდენტისა და ცქის შემადგენლობიდან. სახლში მისულმა ვენები გადაიჭრა. გადაარჩინეს და დაუბრუნეს ძველი პრივილეგიები [12].

1961 წელს – XXII ყრილობაზე, როგორც მისი მონაწილენი, ასევე პარტია, ხალხი უჩვეულო სანახაობის მოწმენი გახდნენ. ხუმრივის თავდაპირველად საანგარიშო მოხსენების წაკითხვას მოანდომა ოთხი საათი. შესვენების შემდეგ კიდევ სამი საათი „მჭევრმეტყველებდა“. ასეთი რამ ლენინისა და სტალინის დროს არ არსებობდა. როგორც ჩანს ხუმრივის დროიდან დამკვიდრდა საშინელი ტრადიცია: ლიდერის ავტორიტეტი განისაზღვრებოდა მის მიერ წარმოთქმული სიტყვების რაოდენობით.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ხუმრივი საერთოდ იყო ლაპარაკის დიდი მოყვარული და ყბედი. ის ფაქტორივად არავის აძლევდა ლაპარაკის საშუალებას [8, 291], 192]. ინტელიგენცია მას უწოდებდა „ივანუშება სულელს“, „მესიმინდეს“, „ყბედს“ [8, 293].

საინტერესოა, შეესაბამება თუ არა სინამდვილეს მტკიცება, რომ თითქოს, ხუმრივს ქართველების აყრა და შუა აზიაში გადასახლება უნდოდა? ამ საკითხზე შემდეგ მოგონებას გვთავაზობს დევისტურუა: 1962 წლის ზაფხულის ერთ დღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელი პირველი მდივნის ვასილ მეავანაძის კაბინეტში დავუოვნდი. საღამოს რვა საათი იქნებოდა, რომ აწერუნდა ტელეფონის აპარატი „ვწ“. მეავანაძემ ყურმილი აიღო. რამდენიმე წამის შემდეგ ის გა-

ფითოდა, მანიშნა, მომიახლოვდით და ყურმილი ისე შეატრიალა, რომ მეც გამეგო, რას ელაპარაკებოდნენ. იმ წამსვე ვიცანი ხრუშჩოვის ხმა (ის იმ დროს ბიჭვინთაში ისვენებდა).

— თურქეთთან შეერთება მოინდომეთ? — დრიალებდა ხრუშჩოვი. მე ჩავჩურჩულე მჟავანაძეს, ეთქა ხრუშჩოვისათვის, რომ ქართველებს ისტორიულად არ შეეძლოთ პქონოდათ რაიმე განსაკუთრებული სიმპატიები თურქების მიმართ, ვინაიდან თურქებმა ძალით დაისაკუთრეს საქართველოს ერთი მესამედი, რომ ისინი კლეტჩნენ ქართველებს და ა. შ. მჟავანაძემ ეს ყველაფერი უთხრა ხრუშჩოვს, მაგრამ ამაოდ...

— „ვაგონი პოდადიმ, ვისელიმ ვას ვსეხ კჩერ-ტოვო მატერი!“ — დაიღრიალა ხრუშჩოვმა და ყურმილი დააგდო.

საქმე შემდეგში იყო. თურმე, ხრუშჩოვს, რომელიც ბიჭვინთაში ისვენებდა, აჩვენეს მის სახელზე დაწერილი წერილი ვიღაც კორეელი იუნის. ეს იუნი, თითქოსდა, მკურნალობდა წყალტუბოში. პოდა ეს „მითიური“ იუნი ატყობინებდა ხრუშჩოვს, რომ ქართველებთან საუბრისას მას შეექმნა შთაბეჭდილება, რომ მათ აქვთ სურვილი შეუერთდნენ თურქებს და სხვა ამგვარი აბდაუბდა. იუნს „მითიური“ ვუწოდე იმის გამო, რომ ასეთი ავადმყოფი თუ დამსვენებელი წყალტუბოში არ ადმოჩნდა, იმისდა მიუხედავად, რომ გენერალ-პოლკოვნიკ ინაურის უწყებამ საგულდაგულოდ „გაცხრილა“ საქართველოს ეს სამკურნალო კურორტი. ეს წერილი საკმაოდ უხეში და მარტივი პროვოკაცია იყო.

ამ გამოხდომის აქტიური პროტესტის გარეშე დატოვება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა. ისევ აწერიალდა „ვჩ“ — კვლავ ხრუშჩოვია. მას ვე-

დარ იცნობდით. ბოდიში მოუხადა მჟავანაძეს, თქვა, რომ ოდნავ (?) გაცხარდა, რომ იუნის წერილი „კიტ-დენნოგო იაიცა ნე სტოიტ“ და სხვა ამგვარი რამ. შემდეგ ხრუშჩოვმა მიიწვია მჟავანაძე ბიჭვინთაში...

ხრუშჩოვი მშვენიერ გუნებაზე გახლდათ. სადილის წინ ნიკიტა და მჟავანაძე ცურაობდნენ ბიჭვინთის განთქმულ აუზში. ეს აუზი, გარდა სხვა დირსშესანიშნაობისა, გამოირჩეოდა იმით, რომ კარგ ამინდში ღილაკზე ხელის დაჭერით ზღვის მხარეს იხსნებოდა კედელი და იქმნებოდა ილუზია, რომ ცურავდი ღია ზღვაში.

დღის სამი საათი სრულდებოდა, როცა მოირბინა (პოლიტბიუროს მაშინდელი დაცვის სამმართველო) უფროსმა გენერალ-ლეიტენანტმა ზახაროვმა და ხრუშჩოვს უთხრა:

— ნიკიტა სერგეევიჩ! მორის ტორეზი მეუღლითურთ თავისი რეზიდენციიდან გამოვიდნენ და აქეთ მოემართებიან.

ეს რეზიდენცია კი აუზიდან 500-600 მეტრითაა დაშორებული. მჟავანაძე სასწრაფოდ ამოვიდა აუზიდან და გასახდელ ში მიიმალა. ხრუშჩოვი კი, ვითომც არაფერი მომხდარიყოს, დაცურავდა თავისი კორპის რგოლით, თითქოსდა ზახაროვის სიტყვები არც გაეგონოს.

რამდენიმე წუთის შემდეგ მოვიდნენ მორის ტორეზი და მისი მეუღლე. ფრანგი კომუნისტების ხელმძღვანელი გამოწყობილი იყო დია ფერის კოსტიუმში, მის მეუღლესაც ელეგანტური კაბა ჰცვა. შეწუხებული ზახაროვი ეუბნება ხრუშჩოვს:

— ნიკიტა სერგეევიჩ, ტორეზი და მისი მეუღლე უკვე აქ არიან. როგორც იქნა, ხრუშჩოვმა ინება წყლიდან ამოსვლა. მას ეცვა სატინის შავი ტრუსები, მუხლამდე რომ წვდებოდა. ასეთებს ჩვენში

„ფოხნებს“ ეძახიან. სრულიად სველი, ისე რომ კორპის რგოლი არ მოუხსნია, ხრუშჩოვი დაიძრა მორის ტორეზის და მისი მეუღლის მიმართულებით. სველმა ტრუსებმა გამოკვეთა ხრუშჩოვის ქვედა ტანი. ერთი სიტყვით, სურათი ძალიან არაორდინარული იყო. რომ იტყვიან, სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ ყოფილიყო. რა გაეწყობოდა! უხერხელი გრძნობებისა და სირცხვილის დამდალავი შეგრძნებით გავყევით ხრუშჩოვს.

როცა კოხტად მორთულებმა მორის ტორეზმა და მისმა მეუღლემ სველი, შავი სატინის ტრუსების ამარა ხრუშჩოვი დაინახეს, თანაც კორპის რგოლით შემოსალტული, შეცბენ, ალბათ, თვალებს არ დაუჯერეს. მაგრამ, როცა ამ კოლორიტულმა „ზმანებამ“ მათ თავისი ხელი გაუწოდა, მიხვდნენ, რომ ზმანება კი არა, სავსებით რეალური ხრუშჩოვი იყო [13].

ყოველი ახალი „ბელადი“ ეკონომიკის მდგომარეობასაც ახალი თვალით უყურებდა. მაგალითად, 1953 წლის ცკ სექტემბრის პლენუმმა აღიარა სტალინური აგრარული პოლიტიკის სრული კრახი, ითქვა, რომ პოლიტიკურმა ძალადობამ გლეხობაზე გამოიწვია სოფლის ძალების პარალიზება. კომუნისტებმა უარი განაცხადეს გლეხობის მიწაზე მიმაგრების პრაქტიკაზე. გარკვეული შედეგები ამ ნაბიჯებს ცოტა ხნით მართლაც ჰქონდა. მაგრამ ისევ მოიწადინეს განეციფრებინათ მსოფლიო „ისტორიული სასწაულის“ რეალიზების სურვილით. 50-იანი წლების ბოლოს იწყება სოფლის მეურნეობის „კომუნისტური წმენდა“, დაჩქარებული მოძრაობა „იდეალისაკენ“, რაც გამორიცხავდა პირადი დამხმარე მეურნეობის „ტრივიალურობას“ [14, 244-245].

ამერიკის შერცხვენის საშუალებათა ბეჭითად ძიებაში ნიკიტა ხრუშჩოვმა ბრძანება გასცა ყოველ-

გვარი უარის ადგვეთით შეესყიდათ კოლმეურნეები-საგან მთელი რქოსანი პირუტყვი. ასეთი ადმინისტრაციული გზით მან შესძლო საზოგადო მფლობელობაში გადაეყვანა რამდენიმე მილიონი სული საქონელი. მაგრამ სიცივეების დადგომასთან ერთად გამოირკვა, რომ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მზად არ იყვნენ მათ დასაბინავებლად და გამოსაკვებად და გარკვეული ნაწილი დასაკლავი გახდა. მას შემდეგ აღარ დარჩა სოფლად აღარც ძროხა, აღარც ხდო...“

ან გავიხსენოთ საბედისწერო დადგენილება ცხენების შესახებ: ისინი გამოაცხადეს მუქთამჭამელებად, სხვისი საკვების მიმტაცებებლად, რომლებიც არცხვენდნენ სოციალისტურ რუსეთს უაზრო ჭიხვინითა და ურმის ჭრიალით. მაგრამ აქ საქმე მარტო „ურმის ჭრიალში“ როდი იყო. რომელიდაც კარის ლაქიამ ჩაურჩეულა ხრუშჩოვს ყურში, რომ თუ დაკლავდნენ რამდენიმე მილიონ ცხენს, ამით უამრავი საკვების ეკონომიას გასწევდნენ და ამას დაემატებოდა მუქთად გაჩენილი უდიდესი რაოდენობის ცხენის ხორცი. ახალი ტყავი ქამრებისა და ფეხსაცმლის ლანჩისათვის! და მართლაც, აიკრძალა ცხენებისათვის საკვების მიცემა, ისინი ამოიღეს ყველა სახის სააღრიცხვო ბარათებიდან, ანუ გამოაცხადეს კანონგარეშედ და კოლმეურნეობები, სურდათ მათ თუ არ სურდათ, იძულებულნი გახდნენ გაესტუმრებინათ ცხენები სასაკლაოზე...“

ახლა დეკორატიული ქალაქები? ხდებოდა ხოლმე, რომ ასეთი თეატრალური ცხოვრებისათვის ადამიანებს ძალით, მილიციის დახმარებით მიერეავბოდნენ დობის ძირში მიღგმული საერთო ტუალეტი-ანი მრავალბინიანი სახლებისაკენ, ამასობაში კი მიტოვებული სოფლები არაპერსპექტიულად ცხადდე-

ბოდა, ეზოებს ძეძვი ედებოდა, რადიოს ბოძები ირყეოდა, ჭები იქცეოდა... [15, 9].

სტალინისაგან განსხვავებით, ხრუშჩოვი ბევრს მოგზაურობდა ქვეყანაში. ადგილობრივი ხელისუფლება საგანგებოდ ემზადებოდა ნიკიტას შესახვედრად. მაღაზიებში შემოპქონდათ ფართო ასორტიმენტის საქონელი სიუხვის მოსახვენებლად, ოდონდ პროდუქტები არ იყიდებოდა, რათა გიგანტური რიგგბი არ გაჩენილიყო [12, 330].

სოფლის მეურნეობის უბადლო „მცოდნე“ ხრუშჩოვი მოითხოვდა საკვები ბალახისა და საკვები კულტურების ნაცვლად დაეთესათ საფურაუე და შაქრის ჭარხალი. საფურაუე ჭარხალს კი დორებს აჭმევდნენ. დიახ, იმას, როგორც დორებს, ისე აჭმევდნენ ჩვენს სამხედროებს გერმანიაში ომის დროს [9, 4, 5].

1961 წელს საგარეჯოში ყოფნისას ნიკიტა სიმინდის „მოყვანის საიდუმლოებას“ უხსნიდა ქართველ გლეხებს. გიორგიწმინდელმა ვანო ჭიაბერაშვილმა ვედარ მოითმინა და აყვირდა:

„ – რეგბს არახუნებს, რო არახუნებს, ეგ ჯოჯო, მაშ მაგან უნდა მასწავლოს, „საჩერქეზოში“ როგორი სიმინდი მომყავს, რად მინდა მაგის ლაილაის რომ ვისმენ აქ, მაგან უნდა მასწავლოს ჭკუა?... [15, 20].

რიაზანის „გამოცდილება“, რომლის მიხედვითაც თვლიდნენ, რომ მოკლე დროში შეიძლებოდა სამჯერ გაზრდილიყო ხორცის წარმოება აღმოჩნდა ავანტიურა და რიაზანის პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანმა ლარიონოვმა თავი მოიკლა [10, 180].

მსოფლიოს მომავლისათვის მნიშვნელოვანი იყო XX ყრილობაზე კომპარტიის მიერ გაცხადებული ქვეყნის საგარეო კურსის ახალი პრინციპი – კაპიტალისტურ სამყაროსთან „მშვიდობიანი თანაარსე-

ბობა“ ამიერიდან ომი სოციალისტურ და კაპიტალისტურ სამყაროებს შორის ფატალურ აუცილებლობას აღარ წარმოადგენდა. დაუნდობელი კლასობრივი ბრძოლის იდეოლოგიით გაედენთილი საბჭოთა საზოგადოებისათვის ეს თეზა საკმაოდ პუმანურად ჟღერდა, მას დასავლეთშიც მიესალმნენ. თუმცა ამ სწორ იდეას მომავალ წლებში თავად ხრუშჩოვმა გადაუსვა ხაზი თავისი ავანტიურიზმით.

ხრუშჩოვმა თავისი მმართველობის დასაწყისიდანვე დაიწყო „სიურპრიზების მირთმევა“ დასავლეთისათვის. მისი პირველი შეხვედრა აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ხელმძღვანელებთან 1955 წელს შედგა უენევაში. ეს სამიტი გარკვეულწილად აშშ-ის ახალარჩეული პრეზიდენტის დუაიტ ეიზენჰერის პრეზენტაციაც იყო. სამიტე მწვავე დიალოგი გაიმართა ნატოს თაობაზე, რომელსაც საბჭოთა კავშირი თავის წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო ბლოკად მიიჩნევდა, დასავლეთი კი – მშვიდობის გარანტიად. ყველასათვის მოულოდნელად, საბჭოთა ხელმძღვანელმა წამოაყენა წინადაღება... საბჭოთა კავშირის ნატოში გაწევრიანების შესახებ. „რამდენიმე წუთის მანძილზე დასავლეთის დელეგაციები გაოგნებული დუმდნენ, – იგონებს გრომიკო – ეიზენჰერს გაკვირვებისაგან კისერი კიდევ უფრო დაუგრძელდა. იგი დალესს მიუბრუნდა და მასთან დაიწყო პრივატულად საუბარი. პრეზიდენტის სახეზე გაქრა მისთვის ჩვეული ღიმილი, რომელიც ასე ეხმარებოდა მას ამომრჩეველთა მოხიბვლასა და მათი ხმების მოპოვებაში. ამ წინადაღებაზე პასუხი ვერც ჟენევაში და ვერც შემდგომ ვერ მივიღეთ. იგი „ნონის ქვეშ ამოდეს“ [16, 359].

ბოლშევიკურ ბრახაბრუხს შეჩვეულმა ნიკიტა სერგის ძემ ევროპელების თავაზიანობა და საუბრის

რბილი სტილი მათ სისუსტედ ჩათვალა და ჟენევიდან მოსკოვში დაბრუნებულმა თავის თანამებრძოლებს განუცხადა: „იმპერიალიზმი სუსტდება და ისტორიული მომენტი ჩვენს სასარგებლოდ მუშაობს“ – ო. გდრ-ს სახელმწიფო უშიშროების მინისტრი იყო ვოლგებერი, რომელსაც დაუპირისპირდა ხრუშჩოვი. ამის გამო ვალტერ ულბრიხტმა მინისტრი დაკავებული თანამდებობიდან გაანთავისუფლა. დაპირისპირების მიზეზი კი შემდეგში იყო: ვოლგებერმა საბჭოთა კავშირის სუკის მაშინდელ თავმჯდომარეს სეროვს გაუმნილა, რომ გდრ-ს ხელმძღვანელობაში პროდასავლური ნიშნები იკვეთებოდა, რაც წინააღმდეგობაში მოდიოდა საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობასთან. სეროვმა აღნიშნული საუბრის შინაარსი აუწყა ხრუშჩოვს. ნიკიტამ კი ერთ-ერთ სადილზე შეხვედრის დროს ულბრიხტს შენიშვნა მისცა:

– რატომ აჩერებოთ თანამდებობაზე სახელმწიფო უშიშროების ისეთ მინისტრს, რომელიც ჩვენ გვაწვდის ინფორმაციას თქვენი პარტიის შიგნით იდეოლოგიურად განსხვავებულ შეხედულებებზე? ეს ხომ ბერიასა და მერკულოვის ტრადიციების გაგრძელებაა, რომელთაც ვოლგებერი ხვდებოდა ორმოციან წლებში მოსკოვში ჩამოსვლის დროს.

ულბრიხტი მიხვდა, რაც უნდა გაეკეთებინა და მაშინვე მოხსნა მინისტრი „ანტიპარტიული ქცევების“ გამო. მოგვიანებით ვოლგებერი „ხანძრის დროს“ დაუღუპა [17, 177].

ამერიკაში ვიზიტით რამდენჯერმე მყოფი ხრუშჩოვი თვლიდა, რომ ამ ქვეყანას ძირფესვიანად იცნობდა. მისი სიურეალისტური ვიზიტების შესახებ უამრავი რამ დაიწერა და ითქვა. განსაკუთრებით საინტერესოა ნიკიტას პირადი თარჯიმნის ვიქტორ სუ-

ხოდრევის მოგონებები, რომელიც მშვენიერი იუმორით აღწერს ნიკიტას ექსტრავაგანტულ ისტორიებს.

მაგალითად, ნიუ-იორკში ხრუშჩოვმა სასტუმროს აივნიდან მხურვალე იმპროვიზებული სიტყვით მიმართა გაოცებულ გამვლელ-გამომვლელებს, როთაც განსაკუთრებით ჟურნალისტები გაახალისა.

პირდაპირ ტელეეთერში ცნობილ ჟურნალისტთან დევიდ სასკანიდთან მან ისეთი შოუ მოაწყო, როგორიც ამერიკელებს არც დაესიზმრებოდათ. ჟურნალისტის მოკრძალებულ კითხვას, უპერსპექტივო ხომ არ იყო აშშ-ის გაკომუნისტების საბჭოური მცდელობა, ნიკიტამ მრისხანე ტირადა მიაყოლა: „იმის მაგივრად, რომ მე მისმინოთ, თქვენ პროვოკაციულ კითხვებს მისვამთ და თვლით, რომ მე ძალლი ვარ და მოვარეს ვუყეფ. არა, მე ძალლი კი არ ვარ, არამედ უდიდესი სახელმწიფოს ხელმძღვანელი!“ [18, 51-52]. უკვე გაღიზიანებულმა ჟურნალისტმა საბჭოთა ლიდერს შემდეგნაირად მიმართა: „თუ შეიძლება ნუ გვპტენო, თქვენ ჩვენ გვიკმინეთ“. ნიკიტამ უპასუხა: „არა, ეს თქვენ გვპტენო“. უ-2-ის შემოსვლა იყო თქვენი კბენა. აქ საუბარია 1960 წლის 1 მაისს სვერდლოვსკთან ამერიკული მზვერავი-თვითმფრინავის „ჩამოგდებაზე“, რასაც კონფრონტაცია მოჰყვა დასაგლეთთან. იმავე წლის 1 ივლისს კოლის ნახევარკუნძულზე ჩამოაგდეს ამერიკული სამხედრო თვითმფრინავი რბ-47 [19, 59].

ხრუშჩოვის განსაკუთრებული განრისხება იმან გამოიწვია, რომ ამერიკის მხარემ, უსაფრთხოების მოსაზრებებით, უარი უთხრა მას საბავშვო „დისნეილენდის“ დათვალიერებაზე. ვიზიტი კინადამ ჩაიშალა.

ერთ-ერთ დიდ თავყრილობაზე ნიკიტამ პირდაპირ მიახალა შეკრებილ ელიტარულ საზოგადოებას: „ჩვენ თქვენ დაგმარხავთ!“ გაოგნებულ ამერიკელებს

პირიდან ბუტერბოდები გადმოუცვივდათ. საბჭოთა დიპლომატია კარგა ხანს ცდილობდა ამ იდიოტობის დეზაფუირებას იმ კონტექსტით, რომ ამხანაგი ხრუშჩოვი, თითქოს ბუკვალურად კი არ გულისხმობდა ამერიკის დამარხვას, არამედ სოციალისტური სისტემის უპირატესობაზე მიუთითებდა [7, 77]. ამის გამო საბჭოთა დელეგაცია დააჯარიმეს 10 ათასი დოლარით წესრიგის დარღვევისათვის [5, 159].

ნიკიტა მაინც წამდაუწუმ ემუქრებოდა იმით, რომ აჩვენებდა მათ „კუპინუ მატ“-ს (რასაც ვერაფრით ვერ თარგმნიდნენ ინგლისურად), იწუნებდა ამერიკულ არქიტექტურას, პოლივუდის კინოვარსკვლავების ჩაცმულობას და ა.შ.

შოუ-ბიზნესით განებივრებულ ამერიკელებს ნიკიტას ეს სიგიჟები საოცრად მოსწონდათ. ყველა შტატის გუბერნატორი და ქალაქის მერი თავისთან ეპატიუებოდა საბჭოთა ლიდერს. მათ იცოდნენ, რომ ნიკიტას განსაკუთრებით სიმინდის მოსავლიანობის პრობლემა აინტერესებდა, ამიტომ ყველა ამ თემას ებდაუჭეროდა.

ბუნებრივია, საბჭოთა ლიდერს მნიშვნელოვანი შეხვედრები ჰქონდა პრეზიდენტ ეიზენჰაუერთან. მოლაპარაკების ერთ-ერთი მთავარი თემა ბერლინის კრიზისი იყო, რომელიც კვლავ ძალას იკრებდა. სადაზვერვო ინციდენტის გამოსასწორებლად და პატივისცემის ნიშნად ამერიკელებმა ხრუშჩოვი კემპ-დევიდში მიიწვიეს, რაც ნიკიტამ თავიდან სასტიკად იუარა. რას ნიშნავს, ამხელა კაცს რადაც ფერმაში მეპატიუებიანო? მას შემდგა, რაც ხრუშჩოვს აუხსნეს, თუ რას ნიშნავდა ეს, იგი პრეზიდენტს უკვე ინგლისურად (საშინელი რუსული აქცენტით) მიმართავდა როგორც მეგობარს – „მაი ფრიენდ“. მაგრამ, რომოც კი ნიკიტას სიყვარულის მოზღვავება გაუნედ-

დებოდა, მაშინვე ივიწყებდა მეგობრობას: „Тоже мне май френд нашелся! Откуда ты взялся и на хрен мне сдался!“ [18, 70].

1960 წლის სექტემბერში თბომავალ „ბალტიკით“ ნიკიტა ნიუ-იორკში ჩავიდა, რათა მონაწილეობა მიეღო გაეროს გენერალური ასამბლეის XV სესიის მუშაობაში.

ის თოთქმის ათჯერ გამოვიდა ტრიბუნაზე. მაგრამ ის, რაც სესიაზე მოხდა, არც მანამდე და არც მერე არავის უნახავს. მას რაღაც არ მოეწონა ფილიპინების დელეგატის გამოსვლიდან. ნიკიტა პროტესტის ნიშად, ფეხებს აბაკუნებდა იატაკზე და მუშტებს ურტყამდა მაგიდას, რასაც საბჭოთა დელეგაციის სხვა წევრებიც იმეორებდნენ. ფილიპინების წარმომადგენელს მან „ამერიკულების მარიონეგტი“ უწოდა და თანაც საჯაროდ დაამატა, „შეიძლება იგი ცუდი ადამიანი სულაც არ არის, მაგრამ აშკარად თავისი პატრონების დავალებას ასრულებსო“. ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი „სისხლიანი რეჟიმის“ წარმომადგენლად მონათლა. განსაკუთრებით განარისხა ნიკიტა სესიის სხდომის თავმჯდომარის, ირლანდიელი ბოლანდის საქციელმა, რომელიც ცდილობდა აელაგმა ხრუშჩოვის უმსგავსოებები: „აპა, მაშ თქვენც მხარს უჭერთ იმპერიალიზმისა და ფაშიზმის ამ ვიგინდარა მსახურს?! მოვა დრო და ირლანდიელი ხალხი ჩამოიცილებს ოქენენაირ იმპერიალისტ მხაგვრელებს.“ როდესაც ხრუშჩოვის შეჩერება გაეროს გენერალურმა მდივანმა სცადა, ნიკიტამ ეს სასტიკად გაიკვირვა: „როგორ, თქვენც ჩემი წინააღმდეგი ხართ? მე ხომ მოსკოვში გიმასპინძლეთ და ნავითაც გაგასეირნეთ!“ [7, 78].

ნიკიტამ დიდი შეცდომა დაუშვა, როდესაც 1964 წლის მაისში ეგვიპტეში ყოფნის დროს, ეგვიპ-

ტის უმაღლესი ჯილდოს მიღების შემდეგ გამალ-აბდელ ნასერსა და ვიცე-პრემიერ ამერს საბჭოთა კავშირის გმირის წოდებები და ლენინის ორდენები გადასცა. ნასერი და ამერი მეორე მსოფლიო ომის დროს არა მარტო გამოვიდნენ ინგლისის წინააღმდეგ, არამედ შესაძლებლად სოველიდნენ ჰიტლერის ხელისუფლებასთან თანამშრომლობას. ამ დროს ეგვიპტეში კომპარტია დრმა იატაკქვეშეთში იმყოფებოდა, მრავალი კომუნისტი დევნასა და წამებას განიცდიდა [4, 241].

რა ხდებოდა ამ დროს ქვეყნის შიგნით? ხრუშჩოვის ინიციატივით სტალინის ნეშტი მავზოლეუმიდან გამოასვენეს და ახალ კუბოში ჩაასვენეს, ნიკიტასვე ბრძანებით, გენერალ სიმუსის მუნდირს უქვესი დიდი და თორმეტი პატარა ოქროს დილი ააჭრეს და თუნუქის დილები დააკერეს, ოქროს სამხრეები და გმირის ოქროს ვარსკვლავიც ბუტაფორიით შეუცვალეს კაცს, რომელიც 30 წლის განმავლობაში ნახევარ მსოფლიოს მართავდა [20, 16]. ამ შემთხვევაში ძალაუნებურად გაგახსენდება რუსი ფილოსოფოსის ალექსანდრე ზინოვიევის სიტყვები: „მკვდარი ლომის ჩაწისვლა ვირსაც კი ძალუმს“.

1961 წელს სკპ XXII ყრილობაზე მიღებულმა პარტიის ახალმა პროგრამამ 80-იანი წლების დასაწყისისათვის საზოგადოებას კომუნიზმის დადგომა აღუთქა. ხრუშჩოვმა საანგარიშო მოხსენებაში სოფლის მეურნეობის სფეროში გატარებული რეფორმების შედების წარმატებებზე გაამახვილა ყურადღება.

მაგრამ რა... პარტიის ახალი პროგრამის მიღებიდან ერთი წლის შემდეგ 1962 წელს ფასები გაიზარდა ხორცზე, ხორცის პროდუქტებზე, რძეზე. დადგა 1962 წელი – ქვეყანა განიცდის პროდუქტების სერიოზულ ნაკლებობას. გაჩნდა გრძელი რიგები პუ-

რისა და რძის შესაძენად. დაიწყო „უცხო“ ქვეყნები-დან ხორცის შემოტანა [21].

უამრავი შეცდომა პქონდა ნიკიტას საგარეო ვაჭრობაშიც. ფაქტია, რომ 10 წლის მოღვაწეობის პერიოდში ნიკიტა არამარტო არ შეხვედრია საგარეო ვაჭრობის მინისტრს პატოლიჩევს, საერთოდ ტელე-ფონითაც არ დაურეკავს [4, 248].

მართალია ქვეყნის მოსახლეობაში ხრუშჩოვის პოპულარობა დაეცა, მაგრამ სწორედ 1962-1963 წლებში გაიზარდა იდეოლოგიური, აგიტაცია-პროპაგანდისტული კამპანია მისი განვითარებისათვის. დაცვ-მული სტალინის პიროვნების კულტის ნაცვლად ხრუშჩოვის კულტი მკვიდრდებოდა. ყველგან შეიძლებოდა წაგეკითხად ნიკიტაზე, როგორც „უდიდეს ლენინელზე“ და „მშვიდობისათვის მებრძოლზე“. მისი პორტრეტით იწყებოდა სასკოლო სახელმძღვანელოები. ფოტოები და პორტრეტები თითქმის ყოველ-დღე იძეგდებოდა. ეკრანებზე გამოვიდა ფილმი „ჩვენი ნიკიტა სერგის ძე“. ასეთ ვითარებას შეიძლებოდა კიდევ უფრო დაეკნინებინა ნიკიტა, მაგრამ ის არავითარ რეაგირებას არ გამოხატავდა [4, 236].

1964 წელს 9 ოვის განმავლობაში, 135 დღე ნიკიტამ საზღვარგარეთ მოგზაურობაში გაატარა. ამით ისარგებლა პარტიული ელიტის ჯგუფმა, რომელსაც ა. შელეაინი ხელმძღვანელობდა მოქმედებინა ნიკიტას ხელისუფლებისგან ჩამოცილება. „შეთქმულები“ კონსპირაციის მიზნით იკრიბებოდნენ ყველაზე უჩვეულო ადგილებზე. უფრო ხშირად სტადიონზე ფეხბურთის მატჩის დროს. განსაკუთრებულ როლს აკუთვნებდნენ სუკის ხელმძღვანელს – სემიჩასტნის. მის ამოცანას შეადგენდა ხრუშჩოვის დაცვის წევრთა შეცვლა [22]. გადამწყვეტი მნიშვნელობა პქონდა

სკპპ ცკ მეორე მდივნის ბრეუნევისა და თავდაცვის მინისტრის რ. მალინოვსკის მიმსრობას.

საფრანგეთში საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებასთან დაკავშირებით 13 ოქტომბერს დილით ნიკიტამ აგარაკზე მიიღო ფრანგი მინისტრი. ამ დროს კრემლიდან დარეკა ბრეუნევმა და ნიკიტას გასაკვირად პლენუმის მოწვევა აუწყა. ასევე, დაელაპარაკა მალინოვსკი. ნიკიტა მიხვდა, რომ საქმე კარგად არ იყო. სკპპ ცკ პრეზიდიუმის სხდომაზე დასასწრებად ბიჭვინთიდან, სადაც მიქოიანთან ერთად ისვენებდა მოსკოვში ჩამოფრინდა. ნიკიტას აეროდრომზე დახვდა, მხოლოდ სუკ-ის თავმჯდომარე სემიჩასტნი და დაცვის ახალი თანამშრომლები. ამიტომაც იყო წარუმატებელი მფრინავთან მოლაპარაკების ცდა თვითმფრინავი კიევში დაესვა...

სკპპ ცკ პრეზიდიუმის სხდომას ესწრებოდა 22 წევრი. მათ გარდა მინისტრები: გრომიკო და მალინოვსკი, ასევე საოლქო კომიტეტის რამდენიმე მდივანი. ნიკიტას მთელი რიგი ბრალდებები წაუყენეს და თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ხრუშჩოვის დაცვა, მხოლოდ მიქოიანმა გაძედა. პირველ მდივნად აირჩიეს ბრეუნევი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ კოსიგინი. 14 ოქტომბერს გაიხსნა სკპპ ცკ პლენუმი. მოხსენებით გამოვიდა სუსლოვი. მან აღნიშნა, რომ ბოლო 2-3 წლის განმავლობაში ნიკიტამ ხელში აიღო მთელი ძალაუფლება, რომელსაც ბოროტად იყენებდა. ქვეყნის ყველა წარმატებას და მიღწევას საკუთარ დამსახურებად თვლიდა. არაფრად აგდებდა პრეზიდიუმის წევრებს, შურაცხყოფას აყენებდა, მათ აზრს არ ითვალისწინებდა. პრესაში წერდნენ სისტემატიურად ხრუშჩოვის „დამსახურებაზე“. 1963 წელს ცენტრალურ გაზეთებში 120-ჯერ იყო გამოქვეყნებული ნიკიტას პორტრეტი, ხოლო 1964 წელს 9 თვის

განმავლობაში – 140-ჯერ. საინტერესოა აღინიშნოს, რომ სტალინის პორტრეტი წელიწადში მხოლოდ 10-15 ჯერ იბეჭდებოდა პრესაში. ხრუშჩოვმა შემოიკრიბა ნათესავები და ჟურნალისტები და, მხოლოდ მათ რჩევებს ისმენდა. პოლიტიკურ პროცესებში ჩართო ოჯახის წევრები. ის ყველაზე მეტად ითვალისწინებდა შვილების – სერგეისა და რადას აზრებს. ნიკიტამ 40-ზე მეტ ქვეყანაში იმოგზაურა, მაშინ, როცა სტალინი არ გადიოდა მოსკოვიდან და კრემლიდან [4, 245]. მას თავი მიაჩნდა ყველა დარგის სპეციალისტად. ცკის მიერ მომზადებულ მრავალ მასალას საკუთარი სახელით აქვეყნებდა.

ხრუშჩოვის უტაქტობაზე მეტყველებს, როდესაც იაპონელებთან საუბარში მათ ძედუნს „ძველი კალოში“ უწოდა, რაც ცნობილი გახდა ჩინეთის ხელმძღვანელობისათვის [4, 248].

ხრუშჩოვის დაცემა საოცარი სიმშვიდით მიიღო ქვეყნის მოსახლეობამ, ხშირ შემთხვევაში ქალიან უბრალოდ. დასავლეთის ზოგიერთ სახელმწიფოში პოპულარულ ფიგურად დარჩა. ცალკეული ქავენების ლიდერები და მოღვაწეები ჩამოდიოდნენ მოსკოვში და აცხადებდნენ სურვილს ნიკიტასთან შეხვედრაზე. მათ უსსნიდნენ, რომ ნიკიტა ავადაა. მაგრამ ეს არ შეიძლებოდა უსასრულოდ გაგრძელებულიყო. დაცემის პირველ დღეებში ნიკიტა ტელეფონით მხოლოდ მიქოიანს ესაუბრებოდა.

„პენსიაზე“ გასვლის შემდეგ ერთ დროს უძლიერესი დიქტატორი საათობით იჯდა სავარძელში, ხშირად ცრემლიანი თვალებით. როდესაც მოსკოვის ერთ-ერთ სკოლაში დირექტორმა ცნობისმოყვარების გამო პკითხა ნიკიტას შვილიშვილს: „რას აკეთებს ნიკიტა სერგეის ძე?“ – მოწაფემ უპასუხა: „პაპა ტირის“ [4, 253].

ხრუშხოვი გარდაიცვალა 1971 წლის 11 სექტემბერს, მაგრამ მისი პოლიტიკური სიკვდილი უფრო ადრე განხორციელდა – 1964 წლის ოქტომბერში, როდესაც გაანთავისუფლეს პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელობიდან „ასაკისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის“ გამო.

ეურნალ „შტერნის“ შეფასებით ხრუშხოვი იყო „თანამედროვეობის ყველაზე ენაწყლიანი პოლიტიკური მოღვაწე, ისე წავიდა სცენიდან, რომ ერთი სიტყვაც არ უთქვამს“.

### დამოწმებული ლიტერატურა:

1. Н. Зенкович, Тайны уходящего века, Т. 2, М., 1998
2. Р. Щецинофф, Рыболов, Саки, тд., 1992
3. Ж. Овсянников, Саки гастроомикология, тд., 2013
4. Рой Медведев, Н. С. Хрущев, М., 1990
5. сб. Никита Сергеевич Хрущев, М., 1989
6. З. „Сакарашвили и его метод“, 2014, №29
7. В. Абащидзе, Сози Тбилиси о юриспруденции, т. 2, Грузия, 2009
8. Ф. Бурлацкий, Новое мышление, М., 1989
9. В. Романов, Тбилиси о юриспруденции, библиотека хрущевской эпохи, Атланта, 1991
10. А. Аджубей, Три десятилетия, М., 1989
11. Н. Месяцев, „Надо его сдерживать“, Комсомольская правда, 1988, №18
12. Н. Зенкович, покушения и инсценировки от Ленина до Ельцина, М., 1998
13. З. „Абашидзе“, 1991, 9 Абашидзе
14. А. Ципко, О зонах, закрытых для мысли, сб. „Суровая драма народа“, М., 1989

15. ԵՐԿՐՈՅ, ԾՐԱՋԲԵՅՅՈ, ՅԱՅՅՈՅՈ... ԹԺ., 1997
16. А. громыко, Памятное, книга первая, М., 1988
17. А. Судоплатов, Тайная жизнь генерала Судоплатова, книга первая, М., 1998
18. В. Суходарев, Язык мой друг мой, М., 1999
19. С. Кондрашев, Цели и средства, сб. „Никита Сергеевич Хрущев“, М., 1989
20. Ճ. „Տայարություն քա մեռյալու“, 2016, №9
21. О. Волобуев, С. кулемшов, Так и не „прорвался“ к народу, „Социалистическая Индустрия“, 1988, 20 ноября
22. Ф. Бурлацкий, „Мирный заговор“ против Хрущева, „Литературная газета“, 1988, №17

## ისლამი და ბარე სამყარო

ისლამი... ისლამური.. ეს სიტყვები ისმის ტე-  
ლეკრანიდან, ტელეტაიპის საინფორმაციო სააგენ-  
ტოებიდან. „ისლამის აღორძინება“, „ისლამური ბუმი“,  
ეს გამოთქმები ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

ისლამი და ნავთი, ისლამი და სახალხო რევო-  
ლუცია ირანში, ისლამი და ახლო აღმოსავლეთის  
კრიზისი, ისლამი და პალესტინის პრობლემა, ისლამი  
და ირან-ერაყის ომი, ისლამი და ავღანეთის პრობლე-  
მა. ისლამი და... სულაც არ არის საქმე თავად ისლამ-  
ში, არამედ, რა მოდის „და“ კავშირის შემდეგ. ეს რე-  
ლიგია მრავალი საუკუნის განმავლობაში აზისა და  
აფრიკის ქვეყნებში გახდა მილიონობით ადამიანის ყო-  
ფის ნაწილი. მათოვის არის აზროვნებისა და მოქმედე-  
ბის წესი, ამ ცხოვრებაში სამართლიანობის იმედი და  
იმქვეყნიური ჯილდოს მოპოვების გზა.

მაჰმადიანობის საგანი წმინდად „ინტელექტუა-  
ლურია“, იგი ვერ იგუებს ალაპის ხატს ან წარმოდგე-  
ნას. მაჰმადი წინასწარმეტყველია, მაგრამ კაცია, იგი  
არაა ამაღლებული ადამიანურ სისუსტეებზე. მაჰმადია-  
ნური ძირითადი შტრიხების რიცხვში შედის ის აზრი,  
რომ სინამდვილეში ვერაფერი იქნება მდგრადი, არა-  
მედ ყოველივე მოქმედებს, ცოცხალია და უსასრუ-  
ლოდ ვრცელ სამყაროში იშლება, ასე რომ იმ ერთის  
თაყვანისცემა ის ერთადერთი კავშირია, რომელმაც  
ყოველივე ეს უნდა შეკრას. ამ სივრცესა და ძლიერე-  
ბაში გამქრალია ყოველივე ზღუდე, ყოველივე ეროვნუ-  
ლი და კასტური სხვაობა. ფასი აღარა აქვს არც  
გვარტომობას, არც პოლიტიკურ უფლებას, რომელსაც  
დაბადება ან ქონება გვანიჭებს, არამედ ადამიანი ფა-  
სობს მხოლოდ როგორც მორწმუნე [1, 208-209].  
ცნება „სამშობლო“, „ერი“ დიდი ხნის განმავ-

ლობაში დაკავშირებული იყო კონკრეტულ რელიგიურ თემთან და არა ეთნიკურ ჯგუფთან ან ტერიტორიასთან, სადაც ისინი ცხოვრობდნენ. თითქმის XIX საუკუნის ბოლომდე არაბების დიდი უმრავლესობა ჯერ კიდევ არ თვლიდა თავს არაბად – მათთვის გასაგები და ახლობელი იყო მხოლოდ მუსლიმანურ თემთან გაიგივება [2, 51].

თვითოდენტიფიკაციის პრობლემა ამა თუ იმ ჯგუფისადმი კუთვნილების მიხედვით, თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. კონფესიური ფაქტორი სულ უფრო მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მსოფლიო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებზე და ხშირ შემთხვევაში ის ხდება კონფლიქტების წყარო. როგორც წესი, კონფესიათა თანაბარი უფლებები ქვეყნის კონსტიტუციით არის განმტკიცებული [3, 43].

მსოფლიოს ხალხთა მრავალ რელიგიაში არის წიგნები, რომლებიც მორწმუნეთათვის წმინდად ითვლება. ასეთია ინდუსტებისათვის – ვედები, ავესტა – ზოროასტრიზმის მიმდევართათვის, ბიბლია (ძველი აღთქმა) ებრაელებისათვის, ძველი და ახალი აღთქმა ქრისტიანებისათვის. ჩვეულებრივ იქ მოთხოვილია დმერთზე და დმერთებზე, წინასწარმეტყველებზე, საიქო ცხოვრებაზე, ანგელოზებზე და ეშმაკებზე, სამოთხესა და ჯოჯონეთზე, როგორ და ვის მიერ შეიქმნა სამყარო, ადამიანი, ცხოველები და მცენარეები. დადგენილია წესი და რიტუალები, მორწმუნეთა ქცევის წესები და ა.შ. [4, 4]. ადრეულ პერიოდში არაბეთში მეჩეთი სახურავის გარეშე შენდებოდა. ეს იყო ადგილი ოთხი მხრიდან შემოვლებული კედლებით. არ იყო განსაზღვრული კუთხე ლოცვისათვის. თავდაპირველად მხოლოდ მედინაში აშენდა გადახურული მეჩეთი (მასჯიდი) დარიბ-ლატაკი მორწმუნე ნაწილისათვის.

გადმოცემით ტაძარი ააგეს „ავადმყოფებისა და გაჭირვებულთათვის წვიმიანი და ზამთრის დამის დროს თავშესაფარებლად“. ყურანმა მეჩეთი ზიანის მომტანად გამოაცხადა, ხოლო მშენებლებს უწოდა მოწინააღმდეგები, რომლებიც მორწმუნებს შორის განხეთქილებას თესავე [4, 29]. „ზოგიერთებმა ტაძარი ააგეს – აღნიშნულია ყურანში – მორწმუნეთა სავნებლად და ურჯულოებითაც განზრახ, მორწმუნები გაუცალკევებინათ და რათა ტაძარი იგი ჩასაფრებული ადგილი ყოფილიყო მათვის, რომელნიც დმერთსა და მის მოციქულს ეომებიან“ [5, 184].

მხოლოდ მოგვიანებით, როდესაც ისლამი გავრცელდა ჩრდილოეთშიც, დაიწყეს მეჩეთების მასობრივი მშენებლობა. ვინაიდან თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოება თავს ქრისტიანულად ანუ ევროპულად მიიჩნევდა, ისლამი ყველა თავის გამოვლინებაში განიხილებოდა, როგორც ბარბაროსული ძალა, რომლის წინააღმდეგაც საერთო ფრონტის შეკვრა ყველა ქრისტიანი მთავრის მოვალეობა იყო, თუნდაც პრაქტიკაში მათ ეს ყოველთვის ვერ მოეხერხებინათ. ისლამურმა მოძღვრებამ, ამის საპასუხოდ, მსოფლიო დაყო და ა რ - ა ლ - ი ს ლ ა მ ა დ, დმერთის განგბბისადმი მორჩილების რეგიონად და და ა რ - ა ლ - ჰ ა რ ბ ა დ, ჯერ კიდევ ჰეშმარიტ რწმენაზე მოსაქცევ, საომარ რეგიონად. ურწმუნო სახელმწიფოებთან თანაარსებობა, დიპლომატიური ურთიერთობები, ხელშეკრულებები და ალიანსები შესაძლებელი იყო და ხორციელდებოდა კიდევც, მაგრამ ეს ურთიერთობები მხოლოდ მუსლიმებისათვის სავალდებულო წესებს ემორჩილებოდა. არ არსებობდა კონცეფცია საერთო საზოგადოების შესახებ, რომელშიც ისლამურ და ურწმუნო სახელმწიფოებს თავიანთი ადგილი ეპავათ. ამ უკანასკნელთა არსებობა დროებით მოვლენად იყო მიჩნეუ-

ლი, მათთან თანაარსებობა კი – დროებით ფაზად მათ შთანთქმის გარდაუვალ პროცესში [6, 133-134].

XX საუკუნის 80-იან წლებში მუსლიმანური ოქმები გავრცელებული იყო მსოფლიოს 120-ზე მეტ სახელმწიფოში და დაახლოებით 800 მილიონ მოსახლეს შეადგენდა. 35 ქვეყანაში მაჰმადიანები მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ, ხოლო 18 ქვეყანაში – გავლენიან უმრავლესობას. 28 სახელმწიფოში ისლამი სახელმწიფო რელიგიის რანგშია აყვანილი [7, 7].

ისლამის გავრცელებას გარკვეულწილად ხელი შეუწყო დასავლეთის ქვეყნების მესვეურთა პოლიტიკური მოტივით გაკეთებულმა განცხადებებმა XX საუკუნის 80-იან წლებში. კერძოდ, ამერიკის პრეზიდენტმა ჯეიმს კარტერმა თავის დროზე მოიწონა „ისლამის 14 საუკუნოვანი იუბილეს აღმნიშვნელი ამერიკული კომისიის შექმნა“, რომლის ამოცანას ამავე დროს წარმოადგენდა ამერიკელი საზოგადოებისათვის გაეცნო ისლამი და მისი დოგმები [7, 74]. ხაზგასასმელია, რომ ამ პერიოდში აშშ-ში 40 ათასი მეცნიერი მუშაობდა მაჰმადიანური ქვეყნებიდან, ხოლო კანადისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების ჩათვლით 150 ათასი არაბი სპეციალისტი, რომელთა რაოდენობა ყოველ წელს 10-15 პროცენტით იზრდებოდა [7, 80].

შემთხვევითი არ არის, რომ თანამედროვე ეტაპზე ისლამი დედამიწაზე წარმოუდგენელი სისწავით ვრცელდება. უკანასკნელ 25 წელიწადში მუსლიმანების რაოდენობა ზუსტად სამჯერ გაიზარდა და ისტორიაში პირველად გადააჭარბა ქრისტიანებისას. თუ 1973 წელს მუსლიმანთა რაოდენობა 500 მილიონს უტოლდებოდა, ახლა ეს რიცხვი 1, 5 მილიარდს უტოლდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ პლანეტის ყოველი მეოთხე მოსახლე მუსლიმანია. ეს გავრცელება იმდენად თავბრუდამსვევია, რომ ის არნახულ გავლენას

ახდენს მათზე, ვინც ყოფმანობს და საბოლოოდ ისინი ისლამს იღებენ. ისლამი მსოფლიო იდეოლოგია ხდება.

მუსლიმანების რაოდენობის ზრდის კიდევ ერთი ფაქტორი შობადობის მაღალი მაჩვენებელია. სოციო-ლოგიურმა კვლევებმა აჩვენა, რომ მხოლოდ არაბულ ქვეყნებში 2025 წლამდე მუსლიმანური მოსახლეობა გაორმაგდება. ევროპაში 17 მილიონ ემიგრანტ მუსლიმანს ასი ათასობით ევროპელი მიემატა. მათ მუსლიმანობა მიიღეს. ანალიტიკოსთა პროგნოზები კი ასეთია: ე ვ რ თ პ ა მ უ ს ლ ი მ ა ნ ე ბ ი ს ხ ე ლ შ ი შ ე ი ძ ლ ე ბ ა მ ნ ი შ ვ ნ ე ლ თ ვ ა ნ გ ე თ პ ო ლ ი ტ ი კ უ რ კ ა რ ტ ა დ ი ქ ც ე ს. ახლანან გამოცემულ წიგნში „ისლამის მიმღებები: ისლამი ევროპაში“ მკვლევრები აღნიშნავენ, რომ დიდი ხნის მანძილზე მუსლიმანები ევროპას აღიქვამდნენ როგორც პროვინციას, რომელიც შიდა განვითარების პროცესების შედეგად ისლამის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანებს ცენტრად იქცევა.

ერთ-ერთი ისლამური ცენტრის ხელმძღვანელის მიერ ნახევრად ხუმრობით ნათქვამი იმის შესახებ, რომ 50 წლის განმავლობაში ევროპა ისლამური გახდება ან ისლამის ძლიერი გავლენის ქვეშ მოექცევა, ევროპის ქრისტიანებს უკვე თავზარს სცემს. ეს მოვლენა განპირობებულია არა იმდენად აღმოსავლეთის ქვეყნებიდან იმიგრანტების ნაკადებით, რამდენადაც იმით, რომ კომუნიზმის კრახისა და კაპიტალიზმის შიდა დეგრადაციის შემდეგ ისლამი მსოფლმხედევლობის ალტერნატივად განიხილება.

ბოლო ოც წელიწადში დასავლეთ ევროპაში მცხოვრები მუსლიმანების რაოდენობა განუხრელად იზრდება – 1990 წლის თითქმის 10 მილიონიანი მაჩვენებლიდან 2010 წლამდე 17 მილიონს მიაღწია. ისლამური მოსახლეობის ზრდა თანდათან უმატებს

გრადუსს ამასთან დაკავშირებულ პოლიტიკურ-სოცი-ალურ პრობლემებს. სულ უფრო დაძაბულად მიღის მსჯელობა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ვეროპის საზოგადოებაში რელიგიის ადგილი, ქალის როლი, იმიგრანტების უფლებები და მოვალეობები, ტერო-რისტული ორგანიზაციების მხარდაჭერა და ასე შემ-დეგ [8, 25].

სხვადასხვა მონაცემებით საფრანგეთში მაკმადი-ანი მუშა-იმიგრანტები და მათი ოჯახის წევრები 2,5-დან 3,5 მლნ ადამიანს შეადგენენ. ჩამოსულთა რიც-ხვის მიხედვით საფრანგეთში ისლამი მეორე ადგილ-ზეა კათოლიციზმის შემდეგ. ქვეყანაში ათასობით მე-ჩეთი და სამლოცველო დარბაზი ფუნქციონირებს, რაც საკმარისი არ არის მოთხოვნებიდან გამომდინა-რე. პარასკევის ლოცვის დროს მაკმადიანები ავსებენ პარიზის, მარსელის და სხვა ქალაქების ქუჩებს [9, 6].

2011 წლის ოქტომბერში საფრანგეთის პრეზი-დენტმა ნიკოლა სარკოზიმ განაცხადა, რომ „ქვეყანას ძალიან ძვირად დაუჯდა 1980-იან წლებში იმიგრაციის პრობლემებისადმი თვალის დახუჭვა. ამ საკითხთან დაკავშირებული პოლემიკა ტაბუდადებული იყო. ახლა ზუსტად იგივე ხდება მაღალ საზოგადოებაში ისლა-მის ადგილის შესახებ დებატებთან დაკავშირებით. პრეზიდენტი აცხადებს, რომ ის ფრანგული ისლამის მომხრეა და არა საფრანგეთში ისლამისა. საუბარიც არ შეიძლება იყოს იმაზე, რომ საფრანგეთის საზოგა-დოება ისლამს დაექვემდებაროს... ახლა ქუჩის ლოცვების საკითხი უნდა განვიხილოთ. ელიტურ სახელმწი-ფოში ლოცვისაკენ მოწოდებები არ უნდა ისმოდეს“ [10, 23].

როგორც ვხედავთ, ეს ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიო რელიგია გამოიჩინევა თავისი მობილურო-ბით, მიზანსწრაფვით, ფანატიზმის მნიშვნელოვანი

დოზით და შეუპოვრობით დასახული მიზნის მიღწევაში.

ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური სისტემების მიერ მომძლავრებულ დემოკრატიზაციის უარყოფას საზოგადოებრივ სფეროებში ისლამური ფუნდამენტალიზმის ზრდაც ეხმაურება, რაც თავის მხრივ, არავითარ შემთხვევაში არ ვითარდება პარალელურად. ისლამური ფუნდამენტალიზმი სწრაფი ტემპით ვითარდება მთელ ლეგანტში და ჩრდილოეთ აფრიკასაც კი აღწევს, რაც ოუ უმნიშვნელო წილად „ყურის კრიზისის შედეგია“. აღვირს 1992 წელს მოუხდა საკუთარი არჩევნების შედეგების გაბათილება სახელმწიფო გადატრიალებით, ვინაიდან ამ არჩევნების შედეგად ფუნდამენტალისტები უნდა მოსულიყვნენ ხელისუფლების სათავეში. „ისლამი – ერნსტ-ოტო ჩემპილის შეხედულებით-არავითარ შემთხვევაში არ არის ანტიდემოკრატიული, მაგრამ ის მიმართულია დემოკრატიის დასავლური სექტალური ფორმის წინააღმდეგ, ვინაიდან მუსლიმებმა აქამდე მხოლოდ მისი უარყოფითი ზემოქმედება განიცადეს“ [11, 122-123].

ისლამური ფუნდამენტალიზმის ამჟამინდელი აღორძინება, რამაც მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა ქვეყანა მოიცვა, სადაც ჭარბადაა მუსლიმანური მოსახლეობა, შეიძლება გავიაზროთ როგორც ზოგადად მუსლიმანური საზოგადოებების საპასუხო რეაქცია საკუთარ უუნარობაზე, დაუცვათ დირსება არამუსლიმანურ დასავლეთთან დაპირისპირებისას. ამ თავსმოხვეული შეჯიბრის პირობებში სამხედრო უპირატესობის მქონე ევროპის მხრიდან XIX საუკუნეში და XX საუკუნის დასაწყისში, რიგმა ისლამურმა ქვეყნებმა წარუმატებლად სცადეს მოდერნიზაციის წამოწყება დასავლური პრაქტიკის დასანერგად, რაც აუცილებლად მიაჩნდათ კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების თვალ-

საზრისით. მეიძის იაპონიის მსგავსად, მოდერნიზაციის ეს პროგრამებიც გულისხმობდა იმულებით მცდელობებს დაენერგათ დასავლური რაციონალიზმის პრინციპები ცხოვრების ყველა სფეროში, ეკონომიკიდან, ბიუროკრატიდან და სამხედრო სფეროდან დაწყებული, განათლებითა და სოციალური პოლიტიკით დამთავრებული. ამ მიმართულებით, ყველაზე თანმიმდევრული თურქეთი გამოდგა: XIX საუკუნის ოტომანთა რეფორმებს, XX საუკუნეში დღვევანდელი თურქეთის სახელმწიფოს დამფუძნებლის ქემალ ათათურქის რეფორმებიც მოჰყვა, თურქულ ნაციონალიზმზე დამყარებული საერო საზოგადოების შექმნის შორს მიმდავალი მიზნით. ყველაზე ბოლო, სერიოზული ინტელექტუალური იმპორტი დასავლეთიდან ისლამურ სამყაროში, საერო ნაციონალიზმი გახლდათ, ეგვიპტის პრეზიდენტ ნასერის და სირიის, ლიბანისა და ერაყის ბათის პარტიების დიდი პანარაბული ნაციონალისტური მოძრაობის სახით [12, 245-246].

მუსლიმანური რეფორმიზმის ერთ-ერთი ლიდერი ჯ ე მ ა ლ – ა დ – დ ი ნ ა ვ დ ა ნ ი, ერთმანეთს უპირისპირებს ეროვნულსა და რელიგიურ სოლიდარობას. მისი შეხედულებით: „მაჰმადიანებმა არ იციან სხვა ეროვნება, გარდა თავისი რელიგიისა“ [13, 149]. სინამდვილეში, საზოგადოების განვითარების შედეგად, როდესაც მოხდა ერების ფორმირება, შეიქმნა ეროვნული სახელმწიფოები, გაძლიერდა ეროვნული თვითშეგნება. როდესაც ადამიანთა მასების წინაშე წარმოქმნილა დილემა: უპირატესობა ეროვნული გრძნობისათვის მიენიჭებინათ თუ რელიგიური ერთობისათვის, პრაქტიკულად ეროვნული ინტერესები ყოველთვის წინა პლანზე გამოდიოდა. საკმარისია გავიხსენოთ ბანგლადეშის შექმნის ისტორია. აღმოსვლეთ ბენგალიის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური

დისკრიმინაცია, დასავლეთ პაკისტანის მსხვილი კაპიტალისა და მემამულების მხრიდან ზეწოლა იწვევდა ბენგალის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რის საფუძველზე 1971 წელს შეიქმნა ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკა [7, 134].

„შურა“ – რჩევები მორწმუნეთაოვის, სხვადასხვა რელიგიური რიტუალები (მაგალითად, ხუთჯერ ლოცვა, „ხაჯი“ – მექაში სალოცავად წასვლა, რამადანის თვეში მარხვა და ა.შ.) – ყველა ეს მექანიზმი, ყოფა, ფასეულობები ისლამის იდეოლოგთა წარმოდგენით „ამტკიცებს ადამიანების ძმობასა და თანხაწორობას, აერთიანებს დიდსა და პატარას, მდიდარსა და დარიბს“ [9, 23]. მაგრამ სინამდვილეში ეს ილუზია. ჯერ კიდევ ხალიფატის პერიოდში „სუნიტური“ და „შიიტური“ ისლამური „საღვთო კონვენციები“ განსაკუთრებული ურთიერთშეუწყისარებლობით გამოირჩეოდნენ. მაგალითად, შიიტ ბავშვებს, როგორც გოგონებს, ასევე ვაჟებს, ქუსლებზე ამოუსვირინგებდნენ ხოლმე მათოვის სამი „არაჭეშმარიტი“ ხალიფას, აბუბექირის, ომარისა და ოსმანის სახელებს, რათა მათ ისინი ყოველ დღე ფეხით გაეთელათ [14, 202].

თუმცა ყურანის პოლიტიკური მითოებები კრძალავენ ომს მუსლიმანებს შორის, მაგრამ თურქებსა და სპარსელებს შორის არაერთხელ იყო სისხლისმღვრელი ომი. თურქები ამას იმით ამართლებენ, წერს XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში თ ა დ ე უ შ კ რ უ ს ი ნ ს კ ი, „რომ ისინი ომობენ ურჯულოთა და ერგიკოსთა წინააღმდეგ, რამდენადაც ისინი სპარსელებს ერეტიკებად თვლიან და უწოდებენ მათ ისევე როგორც ქრისტიანებს გიაურებს და ქიაფებს“.

„თურქები ამტკიცებენ, – განაგრძობს ო. კრუსინსკი, – რომ დაზავების პერიოდში თავზე ხელის აღებაა მოკლა როგორც სპარსელი, ისე ქრისტიანი,

მაგრამ მაინც ამ ბოლო ბოროტებიდან, თითქმის, საპატიო ცოდვაა მოკლა 40 საპარსელი, ვიდრე ერთი ქრისტიანი. ასევე ომის დროს, რომ მოკლა ერთი საპარსელი უფრო მეტი დამსახურებაა ალახის წინაშე, ვიდრე მოკლა 40 ქრისტიანი“.

სულთნის მქადაგებელი ვ ა ზ - ე ფ ე ნ დ ი საჯაროდ მიმართავდა საპარსელებს და აცხადებდა: „მე მტკიცებ ვარ დარწმუნებული, რომ თქვენ, ოპ ყურანგანდგომილო ვერაგო საპარსელებო, სასტიკი სამსჯავროს დროს ისფაპანის დაბლობებზე თქვენ სახედ-რებად გადაიქცევით და თქვენს ზურგებზე შეჯდებიან საზიზღარი იუდეები, რათა დეზებზე კვრით ჯოჯოხე-თისაკენ გაგაქანონ“.

ამასთან დაკავშირებით, საპარსეთის წმინადნების უმაღლესი მცველი თურქებს პასუხობდა საშინელი წყევლით, რომელსაც ჰუსეინის დაბადების დღეს, ხმა-მაღლა წარმოთქვამდნენ მოლები ლოცვის დაწყების წინ [15, 66-67].

შემთხვევითი არ არის, რომ მაჭმადიანთა შორის მიმდინარეობს ნამდვილი პროპაგანდისტული ომი. მექის სისხლიანი მოვლენების შემდეგ, 1987 წლის ნოემბერში თეირანში მოწვეული იქნა „მსოფლიო კონგრესი“, სადაც შეიკრიბნენ, როგორც ირანის ოფიციალური წარმომადგენლები, ასევე უცხოეთის პროირანული მიმართულების ჯგუფები. უფრო ადრე, მრავალ ქვეყანაში (ეგვიპტე, ერაყი, ტუნისი და სხვ) ისლამის რელიგიურმა მოდვაწებმა ანათემას გადასცეს იმამი ჰომეინი, როგორც სარწმუნოებისაგან გამდგარი [9, 6].

საუდის არაბეთში შიიტები რელიგიურ დევნას განიცდიან: ისინი არ არიან თანასწორუფლებიანი მხარე შარიათის სასამართლოში, არ სარგებლობენ თანასწორი უფლებებით სუნიტებთან ნებისმიერ საქმიანობაში. მაგალითად, შრომის ანაზღაურებაში. არაბი

ავტორის ა ბ დ ა ლ ა მ უ ჰ ა მ ე დ ი ს მონაცემზე ბით „საუდის არაბეთში შიიტები განიცდიან შევიწროებას რელიგიური რიტუალების შესრულების დროს. მათ სთვლიან მეორე ხარისხის მოქალაქეებად. შიიტების სოფლები უჯურადდებოდ არის მიტოვებული, ცენტრალური და შიდა სამიმოსვლო გზები პარალიზებულია. ყურადღება არ ექცევა შიიტი მოსახლეობის განათლებასა და სამედიცინო მომსახურებას. შიიტი ეპრძალება საქონლის დაკვლა და ხორცის გაყიდვა. სასამართლოში არ შეიძლება მოწმედ გამოვიდეს. შიიტ გოგონას უფლება არა აქვს გახდეს პედაგოგიური სასწავლებლის სტუდენტი. შიიტი სწავლულების წიგნები, ყველა პუბლიკაცია, რაც კი შიიტურ მიმდინარეობას ეხება საუდის არაბეთის საბაჟოზე ლიკვიდაციას ექვემდებარება...“ [9, 44].

ადამიანებზე ზრუნვისა და მფარველობის უფლება შიიტების რწმენით ღმერთმა უბოძა მოციქულ მჟამედს. შემდეგ მან გადასცა იმამ ალის. მისგან კი მიიღეს მემკვიდრეებმა უკანასკნელი დიდი იმამის – ბა ჰ დ ი ს ჩათვლით. ითვლება, რომ მაპდი გაქრა („დაიმალა“) და „სამყაროს დასასრულს“ ის გამოჩნდება, რის შემდეგ დაიწყება ნამდვილი, სამართლიანი საზოგადოებრივი ცხოვრება.

შაპის რეჟიმის დროს, რომელიც მაქსიმალურად ცდილობდა რელიგიის პოლიტიკური მიზნით გამოყენებას, მეჯლისში (პარლამენტში) ყველაზე საპატიო ადგილას ყოველთვის იყო თავისუფალი სავარძელი – იმ შემთხვევისათვის, თუ შიიტების მესია – მაპდი გამოჩნდებოდა [9, 102].

ამიტომაც არის, რომ მკვლევართა ნაწილი ისლამს „არაინსტიტუციონალურ“ რელიგიას უწოდებენ, ანუ ისეთს, სადაც არ არსებობს სასულიერო წოდების გამოკვეთილი ორგანიზაცია (მაგალითად, ქრისტიანო-

ბის მსგავსი), ხელმძღვანელი ორგანოები (პაპების, პატრიარქების და სხვ.) ყველა მორწმუნისათვის სავალდებულო (საეკლესიო კრების გადაწყვეტილების ტიპის ან პაპის ენციკლიკის). ყოველ მორწმუნე მუსლიმანს უფლება აქვს გამოხატოს საკუთარი აზრი რელიგიაზე – მთავარია, რომ არ ეწინააღმდეგებოდეს წმინდა წერილებს – ყურანსა და სუნას. აქაც ჩანს სხვადასხვა შეხედულებათა საიდუმლოების არსი, რომელიც არსებობს რელიგიური რწმენის სხვადასხვა მიმართულებებში – ტრადიციონალისტები, მოდერნისტები და აღორძინების მომხრეებში [9, 18].

მაჰმადიანთა ერთობას გარკვეულწილად ხელს უწყობდა ხალიფატი იდეოლოგიით, რომლის კულტი ყოველ წელს დეტალურად იხვეწებოდა. ხალიფატი წარმოადგენდნენ, როგორც უმაღლეს სულიერ ხელისუფლებას – იმამატს, ასევე საეროს, მათ შორის პოლიტიკურსა და სამხედროს-ემირატს.

პირველი ოთხი ხალიფადან – აბუ ბექრი (632-634), ომარი (უმარი, 634-644), ოსმანი (უსმანი, 644-656) და ალი (656-661) სუნიტებისაგან განსხვავებით შიიტები, მხოლოდ ალის არიარებენ. პირველ სამ ხალიფას უზურპატორებად თვლიან, რომლებმაც უკანონოდ მიითვისეს უმაღლესი ხელისუფლება [4, 39].

მადინა სამ ათეულ წელზე მეტიც არ ყოფილა ხალიფატის ცენტრი. 661 წლიდან დედაქალაქი გახდა დამასკო, ხოლო 750 წელს – ბაღდადი; შემდეგ მოეგლინენ პარალელური ხალიფატის დედაქალაქები: 756 წელს – ესანეთისა კორდოვაში, 909 წელს-ფატიმიდებისა ქაიროში, ხოლო მოგზიანებით 1258 წელს მონღოლთა მიერ ბაღდადის ხალიფატის განადგურების შემდეგ 1261 წლიდან – ახალი აბასიდების ხალიფატის ცენტრი გახდა ქაირო და 1517 წელს-ოსმალური ცენტრით სტამბულში [4, 59].

უკანასკნელი სულთანი მ ე პ მ ე დ VI ვ ა პ  
ი დ ე დ ი ნ I (1918-1922) სასულთნოს გაუქმების გა-  
მო, ოსმალეთიდან გაიქცა. თურქეთის დიდმა ეროვ-  
ნულმა კრებამ ხალიფად აირჩია ოსმანთა დინასტიის  
პრინცი ა ბ დ უ ლ მ ე ჯ ი დ ი. 1923 წლის 29 ოქ-  
ტომბერს, თურქეთი რესპუბლიკად გამოცხადდა, პირ-  
ველ პრეზიდენტად აირჩიეს ქ ე მ ა ლ ა თ ა თ უ  
რ ქ ი [16, 36-37]. სტამბოლი ხალიფატის ცენტრად  
რჩებოდა. ანკარა კი საპარლამენტო ცენტრი ანუ  
დედაქალაქი გახდა.

1924 წელს პირველმა პრეზიდენტმა გადაწყვიტა  
სახალიფოს გაუქმება. მისი აზრით „ხალიფას არას-  
დროს ჰქონია ისლამურ სამყაროზე ისეთი გავლენა,  
როგორც კათოლიკურზე – პაპს. ეს ძველი არაბული  
ინსტიტუტი დროთა განმავლობაში ოსმალო ფადიშა-  
პის მოვალეობად იქცა, მაგრამ მიღიონობით მუსლიმს  
ხალიფა თავის სულიერ ლიდერად არასდროს უდია-  
რებია. ახალი თურქეთი არ იყო ურწმუნო ქვეყანა,  
თუმცა რელიგიას მისი განვითარებისათვის ხელი არ  
უნდა შეეშალა“ [17, 241-242].

ამგვარად, ხალიფატი გაუქმდა, დინასტიის წევ-  
რებს თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ცხოვრე-  
ბა აეკრძალათ, ასევე გაუქმდა შარიათისა და გაუზია-  
ბის სამინისტრო და შ ე ი ხ უ ლ ი ს ლ ა მ ი ს ინ-  
სტიტუტიც. იმ დაქს, როცა ხალიფატის გაუქმება გა-  
მოცხადეს, ხალიფა აბდულმეჯიდთან დოლმაბაჟჩეს  
სასახლეში პოლიციის უფროსი და რამდენიმე ჩინოვ-  
ნიკი მივიდა, რომელთაც ხალიფას აცნობეს, რომ დი-  
ლის 5 საათამდე თურქეთის ტერიტორია უნდა დაეტო-  
ვებინა. პირადი ნივთების ჩასალაგებლად რამდენიმე  
საათი მისცეს და სადამოს მატარებლით შვეიცარიაში  
გაამგზავრეს. პარასკევს ათა სოფიას მეტეში ხუტბა

აღავლინებს, რომელშიც ხალიფა უკვე აღარ მოიხსენებოდა [17, 243].

ამის შემდეგ მაპმადიანებმა კონსოლიდაციისათვის 1926 წელს მექაში დააფუძნეს „ისლამის მსოფლიო კონგრესი“, რომლის რეზიდენცია მდებარეობს ყარაბაში (პაკისტანი). კონგრესს ფილიალები გააჩნია მსოფლიოს 60 ქვეყანაში [7, 22].

მაპმადიანთა მეორე საერთაშორისო ორგანიზაციას წარმოადგენს „მსოფლიო ისლამური ლიგა“. ეს არის საერთაშორისო არასამთავრობო რელიგიურ-პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც ასევე შეიქმნა მექაში 1962 წელს და რომლის გადაწყვეტილებებს რეკომენდაციის ხასიათი აქვს [7, 16-17].

1969 წელს რაბათში (მაროკო) ჩამოყალიბდა „გაერთიანება“ „ისლამური ორგანიზაციის კონფერენცია“, რომელშიც გაერთიანდა 45 სახელმწიფო.

ქვემაც ათათურქისაგან განსხვავებით, რომელმაც თავის დროზე რელიგიური კანონები საეროთი შეცვალა, მეორე რეფორმატორი, ირანის ყოფილი პრეზიდენტი ხათამი ისლამის ახლებური, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ინტერპრეტირებისათვის იღვწოდა. ის ცდილობდა აეხსნა სარწმუნოების ჭეშმარიტი არსი და განცვითარებინა ცივილიზაციებისა და რელიგიების დიალოგი. მისი შეხედულებით, ისლამისა და ისლამური ფასეულობების დაცვის საუკეთესო გზას წარმოადგენდა იმის დამტკიცება, რომ ისლამს შეუძლია ადამიანის უფლებების პატივისცემა იმისგან დამოუკიდებლად, საქმე ეხება ერთი ადამიანის უფლებებს თუ მთელი საზოგადოებისას. „აზრთა სხვადასხვაობის არსებობა აუცილებელია საზოგადოების განვითარებისათვის, – მიიჩნევდა რეფორმატორი პრეზიდენტი, – მაგრამ განსხვავებული თვალსაზრისები უნდა გამოითქვას ლიად და არ უნდა იყოს ამოფარებუ-

ლი ისეთ ცნებებს, როგორიცაა რელიგია და თავისუფლება“ [18, 5].

ირანელის, როგორც ერის გამოყოფა მაჰმადიანური სამყაროსაგან თავისდაუნებურად გაახმოვანა მოპამად ხათამა 1999 წლის 10 მარტს ფლორენციის ევროპულ უნივერსიტეტში ისლამური კონფერენციის პრეზიდენტის რანგში მოხსენების წაკითხვის დროს: „ჩვენც, როგორც ირანელებმა, მუსლიმებმა და აზიელებმა...“ [18, 29]. როგორც ვხედავთ, ირანის პრეზიდენტი ჯერ ეროვნებას – ირანელი, შემდეგ–რელიგიას–ისლამს და ბოლოს კონტინენტს ასახელებს, სადაც მისი სამშობლო მდებარეობს.

ხათამს ასევე მიაჩნია, რომ ტოლერანტობა ევროპელებში (პირველ რიგში იტალიელებს გულისხმობს ა.ს.) „მუსლიმებისაგან იქნა შეძენილი და წარმოადგენს მათთან (მუსლიმებთან) ევროპელების ურთიერთობის შედეგს“ [18, 29].

ხათამს არ ახსენდება, ან არ იცის, რომ ტოლერანტობის „ოაზისი“ ბაბილონში იყო... მაგრამ, რომელ მაჰმადიანურ ან ევროპულ სახელმწიფოში არსებობდა ისეთი მაგალითი ტოლერანტობისა, რაც საქართველოში დავით აღმაშენებლის ეპოქაში ხდებოდა?

ხათამი ირანს გამოყოფს ისლამური სამყაროსაგან და დასავლეთთან ურთიერთობაში პრიორიტეტს მხოლოდ მას ანიჭებს. კერძოდ, მიაჩნია, რომ „ირანთან დიალოგს თავისი უპირატესობები აქვს. ირანი ევროპის კარის მეზობელია, ერთის მხრივ, ხოლო მეორე მხრივ აზიისა. ამრიგად, როგორც ადამიანთა სულის აღმოსავლეთისა და გონების დასავლეთის გადაკვეთის წერტილი“ [18, 32].

ხათამი არ მალავს, რომ ისლამური სამყარო ირანის მეშვეობით უნდა გაემიჯნოს დასავლეთს, მის კულტურასა და მიღწევებს, მხოლოდ ზოგიერთი დი-

რებულების გათვალისწინებით. მისი მსოფლმხედვებლობით „სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც ჩვენს საზოგადოებებში გვინდა განვავითაროთ და ვსრულყოთ და რომელსაც ჩვენ ვურჩევთ სხვა ისლამურ საზოგადოებებს, ძირის გვიანად განსხვავდება იმ სამოქალაქო საზოგადოებისაგან, რომელსაც თავისი ფესვები ბერძნულ ფილოსოფიურ აზრსა და რომაულ პოლიტიკურ ტრადიციებში აქვს გადგმული“ [18, 36].

ამგვარად, გამოიკვეთა სამი ძირითადი მიმართულება ისლამურ მოძრაობაში: პანისლამიზმი, პანთურქიზმი და პანირანიზმი.

პანისლამიზმი, როგორც რელიგიურ-პოლიტიკური მიმდინარეობა აღმოცენდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში და მჭიდროდ დაუკავშირდა ს ა ი დ ჯ ე ბ ა ლ ა დ დ ი ნ ა ვ ლ ა ნ ი ს (1839-1897წ.წ.) მოღვაწეობას. სწორედ მან ჩამოაყალიბა „მაჰმადიანი ხალხების რელიგიურ-პოლიტიკური კავშირის“ იდეა [9, 183].

მიმდინარე ეტაპზე თურქეთი აქტიურობს ევროკავშირში შესვლასთან დაკავშირებით. ევროკავშირში თურქეთის გაწევრიანების შემთხვევაში ევროპის მოსახლეობის დომინანტ ეთნოსად თურქები იქნებიან, ხოლო სუნიტური ისლამი ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი რელიგიური დენომინაცია გახდება ევროპაში. დღეისათვის საერთო ტენდენციები ასეთია, რომ აქტიურ ქრისტიანთა კლების ფონზე იზრდება ისლამის მიმდევრების რაოდენობა. ქრისტიანობა თმობს თავის პოზიციებს გერმანიაში, ნიდერლანდებში, ზოგ სხვა ჩრდილო ევროპულ სახელმწიფოში. მუსლიმზე გათხოვილი ქალები, როგორც წესი, იცვლიან რელიგიურ აღმსარებლობას. ხოლო მუსლიმის არამუსლიმზე გათხოვებას კატეგორიულად კრძალავენ ისლამის მიმდევრები. სახელმწიფოებში, სადაც მუსლიმები უმრავლე-

სობაში არიან, იკრძალება რელიგიური პროზელიტიზმი. თურქეთის გარდა, ევროპაში „საკუთარი“ მუსლიმური სახელმწიფოებიც გაჩნდა, – ალბანეთის, ბოსნიის, კოსოვოს სახით. მუსლიმებით დასახლებულ ტერიტორიებზე კი ქრისტიანული რელიგიური თემები შეზღუდვებს განიცდიან, მაშინ როდესაც ევროპის დიდ ქალაქებში მასობრივად მიმდინარეობს ახალი მეჩეთების მშენებლობა [19, 21].

ისლამის ერთიანობას ერთგვარად ხელს უშლის აგრეთვე ტერორიზმი. თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოში 600-ზე მეტი ტერორისტული დაჯგუფება არსებობს. როგორც წესი, ისინი მცირერიცხოვანნი და მჭიდროდ შეკრულნი არიან, მათი რიცხვი 100-ზე მეტ წევრს იშვიათად სცილდება და ძირითადად რამდენიმე ათეულზე ნაკლებს ითვლის. ყველაზე ცნობილ ტერორისტულ დაჯგუფებათაგან ბევრი ახლო აღმოსავლეთში გვხვდება და დაკავშირებულია ისლამურ ფუნდამენტალიზმთან – აბუ ნიდალის ორგანიზაცია, ალ ქაიდა, ისლამური ჯიჰადი, ჰეზბოლა (ლვთის პარტია) და ჰამასი [20, 225].

თანამედროვე ისლამისტურ მოძრაობაში განსაკუთრებით გამოირჩევა ვაჟაბიტური მოძრაობა (ერთი ნაწილი მას მოდერნისტულ მიმართულებას უწოდებს, მეორე ნეოვაჟაბიტურს).

როგორც ცნობილია, მუშაკი ამედ იბნ აბდ და ალ-ვაჟაბი აბდ მალქ XIII საუკუნეში ცენტრალურ არაბეთში დაარსა ახალი მაჟმადიანური რელიგიურ-პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელიც თავის მიმდევრებს მოუწოდებდა არაბების გაერთიანებისა და თურქეთის ბატონობის წინააღმდეგ მოქმედებისაკენ. ამ მიმართულებას ვაჟაბიზმის, მიმდევრებს კი ვაჟაბიტებს უწოდებდნენ. ვაჟაბიზმის მთავარი მოთხოვნა იყო აღედგინათ პირველადი ისლამი, უარი ეთქვათ ფუფუ-

ნების საგნებზე, გართობაზე, ალკოჰოლსა და თამბაქოზე და სხვ. XX საუკუნის დასაწყისში გაპაპიტების ლიდერები დაუკავშირდნენ ამერიკელებსა და ინგლისელებს, მათი დახმარებით დაიპყრეს დასავლეთი არაბეთი და ჩამოაყალიბეს ცალკე სახელმწიფო—საუდის არაბეთი, რომლის ოფიციალური რელიგიაც სწორედ გაპაპიზმია. შემდგომში ამ მოძრაობამ დაკარგა თავდაპირველი, პროგრესული ხასიათი და მაპმადიანური სამყაროს განხეთქილების მიზეზად იქცა [21, 110].

ანგარიშგასაწევია, რომ საქართველო თითქმის მთლიანად ისლამური ქვეყნების გარემოცვაშია მოქცეული. ერთი მხრივ – ირანი, თურქეთი და აზერბაიჯანი, მეორე მხრივ, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკები – დაღესტანი, ჩეჩნეთი, ინგუშეთი, ჩრდილოეთ ოსეთი, ყაბარდო-ბალყარეთი, ადიღე, ჩერქეზეთი ირგვლივ მჭიდრო ზოლად ეკვრის ჩვენს პატარა ქვეყანას. მაგრამ მუსლიმები მარტო ჩვენს საზღვრებს როდი არტყიან გარს. ისინი თვით საქართველოშიც მრავლად სახლობენ. მათ შორის არიან: აზერბაიჯანელები, ქისტები, ლეკები, ქურთები და აფხაზები (ნაწილობრივ). მუსლიმურ სარწმუნოებას მისდევენ ქართველებიც – ნაწილობრივ აჭარლები და ინგილოები. ამავე დროს, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ალაპის თავანის-მცემელია ირანში მცხოვრები ფერეიდნელი ქართველები და ქართველთა ყველაზე მრავალრიცხოვანი დიასპორა თურქეთში (თუკი საერთოდ შეიძლება დიასპორა ეწოდოს იმ ხალხს, რომელიც საკუთარ ტერიტორიაზე ცხოვრობს) [22, 3].

ისლამი რიცხოვნობით მეორე რელიგიაა საქართველოში. 2002 წლის სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში ისლამს დაახლოებით 434 000 ადამიანი აღიარებდა, თუმცა თბილისის ჯუმა-მეჩეთის (თბილისის მეჩეთი აღმოსავლეთ საქართველოს მუსლიმან-

თა ცენტრად ითვლება) მონაცემებით, მათი რიცხვი ნახევარი მილიონია. თბილისის მეჩეთის თავისებურება ისაა, რომ აქ მუსლიმანი შიიტები და სუნიტები ერთად ლოცულობენ.

დღეს საქართველოში დაახლოებით 300 მეჩეთია. აქედან 150 აზერბაიჯანელებით კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში, დაახლოებით 120 აჭარაში. დამოუკიდებლობის ადგენის შემდგომ აშენდა დაახლოებით 40 მეჩეთი და 4 მედრესე, დაარსდა 5 სამეცნიერო-რელიგიური და კულტურული ცენტრი. ამ ცენტრებთან არსებობს გამომცემლობები, რომლებიც 4 ურნალს გამოსცემენ [23, 25-26].

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში მუსლიმანების რაოდენობა იზრდება, არ შეიძლება საუბარი ერთიან საზოგადოებაზე ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით. ერთის მხრივ, არის ავდანეთი, ალეირი – ქვეყნები, სადაც რადიკალური ისლამი მეფობს, მეორე მხრივ – ეკონომიკური უფსკრული აფრიკის უდაბაკეს სახელმწიფოებსა და ირანსა და ერაყს (ნავთობის იმ მონარქ-მილიარდერებს შორის, რომლებიც საკუთარ თავში გეოპოლიტიკურ პოტენციალს მაღავენ) შორის; ამას ემატება ნაციონალური შედლით ფეოდალურ კროსვორდად ქცეული პაკისტანი, პალესტინა, ბოსნია და ბოლოს კოსოვო...

მაგრამ შედეგი ერთი და იგივეა. მიუხედავად შიდა წინააღმდეგობებისა, თანხმობისა და უთანხმოებისა, ისლამი, ახდენს რა შიდა რესურსების მობილიზაბას, მაინც იქცევა მძლავრ ერთიანობად და მოძრაობაში მოჰყავს ისტორიის ბორბალი, ვრცელდება მთელ მსოფლიოში და ერთიან იდეოლოგიად ყალიბდება.

## გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სია:

1. ჯ ე გ ე ლ ი, ისტორიის ფილოსოფია, თბ., 2001
2. ლ. И. М е д в е д к о, А. В. Г е р м а н о в и ч, Именем Аллаха... М., 1988
3. ბ. გ ე ლ ი ვ ა ნ ი, რწმენის თავისუფლების სტატუსი არაბულ მონარქიებში, კრ. „აღმოსავლეთი და კავკასია“, №4, 2006
4. ლ. И. К л и м о в и ч, Книга о коране, М., 1988
5. ყურანი, თბ., 1906
6. ჯ ე დ ლ ი ბ უ ლ ი, არსებობს თუ არა წესრიგი მსოფლიო პოლიტიკაში? კრ. „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“, თბ., 2004
7. А. А х м е д о в, Ислам в современной идеино-политической борьбе, М., 1985
8. გაზ. „საქართველო და მსოფლიო“, 2011, №44
9. Н. В. Ж д а н о в, А. А. И г н а т е н к о, Ислам на пороге XXI века, М., 1989
10. გაზ. „საქართველო და მსოფლიო“, 2011, №6
11. ე რ ნ ს ტ - ო ტ რ თ ჩ ე მ პ ა ლ ი, მსოფლიო პოლიტიკა გარდატების პროცესში, თარგმანი გერნამულიდან, თბ., 2003
12. ფ რ ე ნ ს ი ს ფ უ კ უ ი ა მ ა, ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი, თბ., 1999
13. М. В. В а г а б о в, Н. М. В а г а б о в, Ислам и вопросы атеистического воспитания, М., 1988
14. ს. ლ ი ბ უ ა ნ ი ბ ა ძ ე, აღზრდის ეთიკური პრინციპები ეპოქალური ცვალებადობის შუქზე, სადოქტორო დისერტაცია, თბ., 2006
15. ი. ტ ა ბ ა დ უ ა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში, II, თბ., 1986
16. ბ. ხ მ ბ ე რ ი კ ი, სახელი, თბ., 2005

17. ლ თ რ დ ი კ ი ნ რ თ ს ი, ათათურქი, თბ., 2011.
18. მ თ პ ა მ ე დ ხ ა თ ა მ ი, ისლამი, ცივილიზაციათა დიალოგი და კაცობრიობის მომავალი, ირანულიდან თარგმნა ჯემშიდ გიუნაშვილმა, თბ., 2005
19. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ეკუმენური მოძრაობა, საქართველო ვატიკანის ურთიერთობის განვითარების პერსპექტივები თანამედროვე ეტაპზე (დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის ავტორეფერაციი), თბ., 2011
20. ქ. ჯ ი ჯ ე ი შ ვ ი ლ ი, მ. ყ ი ფ ი ა ნ ი, გ. ჩ ხ ი ვ ი შ ვ ი ლ ი, პოლიტიკური ფსიქოლოგია, თბ., 2011
21. ზ. კ ე ლ ა პ ტ რ ი შ ვ ი ლ ი, საქართველო-დალესტნის ურთიერთობა უძველესი დროიდან XVIII საუკუნის ბოლომდე (სადოქტორო დისერტაცია) თბ., 2006
22. თ. ფ ა ნ ჯ ი კ ი ძ ე, მუჭამედი, ისლამი, ვაჟაბიზმი და საქართველოს პრობლემები, თბ., 1999
23. რელიგიური გაერთიანებების სტატუსისათვის საქართველოში, თბ., 2010

## ტყაროვაი გვამცემას

ჩვენმა საზოგადოებამ დიდი საჩუქარი მიიღო. 2015 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეგიდიოთ წიგნი „საქართველოს ძეგლი ისტორიის ქრესტომათია“ გამოქვეყნდა. აქ შესულია ძვ. წ. IX-VIII საუკუნეების ასურული ლურსმული, ძვ. წ. VI საუკუნის სპარსული ლურსმული, იეროგლიფურ ლუკიური წარწერები, რომელიც თარგმნა, შენიშვნები და კომენტარები დაურთო საყოველთაოდ ცნობილმა მეცნიერმა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილმა წევრმა, აკადემიკოსმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ნანა ხაზარაძემ.

წიგნში, ასევე, თავმოყრილია ქართველი მეცნიერების მიერ სხვადასხვა დროს თარგმნილი და გამოქვეყნებული ბერძენი და ლათინი ავტორების თხზულებების ის ცნობები, რომლებიც საქართველოს ძველ ისტორიას ეხება.

წიგნის რედაქტორია აკადემიკოსი როინ მეტრეველი, ხოლო რეცენზირება გაუწია ისტორიის დოქტორმა, პროფესორმა ნანა ბახსოლიანმა.

დოკუმენტური და ნარატიული წყაროების სარეცენზიო კრებულის გამოცემა დღეს განსაკუთრებით აქტუალურია. დაძაბულ პოლიტიკურ სამყაროში, როდესაც საქართველო ევრო-ატლანტიკურ სივრცეში დამკაიდრებას ცდილობს, საჭიროა ვიცოდეთ, რომ ჩვენი სახელმწიფო ეპოქის სათავეები კაცობრიობის გარიერაჟსა და ცივილიზაციის საწყისებს უკავშირდება. დღევანდელ მსოფლიოში, თანამედროვეობის წამყვან ქვეყნებს შორის ბევრი ვერ დაიკვეხნის იმ საწყისებით, საიდანაც ქართველი ერი სათავეს იღებს.

ქრესტომათიაში ახენილია მთელი რიგი ტერ-  
მინოლოგია, ტოპონიმები, გეოგრაფიული და საკუთა-  
რი სახელების ეტიმოლოგია, ნაჩვენებია ძვ. წ. XII  
საუკუნეში მუშქების, რომლებიც ძველადმოსავლურ  
წერილობით წყაროებში პირველად თიგლათფილგ-  
სერ I-ის წარწერებში იხსენიება, მესხებთან იგივეო-  
ბის დამადასტურებელი ცნობები. კომენტარებში ხაზ-  
გასმულია სამხრეთ კავკასიიდან მათი მცირე აზიის  
მიმართულებით ინფილტრაციის პროცესი. ასურული,  
ურარტული ლურსმული და იეროგლიფურ-ლუვიური  
წერილობითი წყაროების ურთიერთშეჯერებიდან  
გარკვეულია, რომ მუშქები მახლობელი აღმოსავლე-  
თის ორ სხვადასხვა რეგიონში სახლობდნენ (გვ. 14).

ფრიად მნიშვნელოვანია ურარტუს მეფე მენუ-  
ას (ძვ. წ. IX ს-ის დასასრული და VIII ს-ის დასაწყი-  
სი) წარწერა იაზილიტაშის კლდეზე. აქ მოხსენიებუ-  
ლი „დიაუეხის“ ქვეყანა, რომელიც ასურულ ლურ-  
სმულ წერილობით ძეგლებში (ძვ. წ. XII-IX სს.) დაი-  
ავის და ქსენოფონტის (ძვ. წ. IV ს.) „ანაბაზისში“  
ტაოხების ფორმითაა მოხსენიებული, ძეგლი ქართუ-  
ლი პროვინციის – ტაოს სახელწოდებას უკავშირდე-  
ბა. დიაუეხი ქართველური ტომებით დასახლებულ  
მსხვილ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა. მის  
სამხრეთ საზღვარს დღვენდელი ერზერუმის მახ-  
ლობლად, მდინარე ევფრატის სათავეებთან (ყარა-  
სუსთან) ათავსებენ, ჩრდილოეთის მიმართულებით  
მისი კუთვნილი ტერიტორია მდინარე ჭოროხის ხეო-  
ბაში ვრცელდებოდა (გვ. 29).

ასევე, საინტერესოა, არგიშთი I მენუს ძის  
(ძვ. წ. VIII საუკუნის პირველი ნახევარი) წარწერა  
ვანის კლდეზე, სადაც აღნიშნულია ურარტუს მეფის  
ლაშქრობა ზაბახას ქვეყნის წინააღმდეგ. აღნიშნული  
ტერიტორია დღევანდელი ჯავახეთია, რომელიც, წყა-

როს მონაცემთა კონტექსტში, ჩილდირის ტბის მიდამოებსა და მის ჩრდილოეთით მდებარე რეგიონშია საძიებელი. ზაბახას ქვეყანა ჯავახეთის კუთვნილ ტერიტორიას მოიცავდა. უცხოური წყაროების „ქართლის ცხოვრებასთან“ შედარებითი ანალიზის საფუძველზე აკადემიკოსი ნანა ხაზარაძე განსაზღვრავს კიდეც მის ლოკალიზაციას (იხ. გვ. 30, შენიშვნა 16). აქვე, მაღალი პროფესიონალიზმითაა დასაბუთებული წყაროებული ჩამოთვლილი ქალაქების ადგილმდებარეობა და ტომთა განსახლების არეალი.

საოცარია, დამცყრობლის მიერ განადგურებული 453 ქალაქის მოხსენიება. მართალია, ზუსტი ინფორმაცია არ მოგვეპოვება, თუ როგორი იყო მაშინდელი ქალაქური ტიპის დასახლებები, მაგრამ ფაქტია, რომ აქ არსებობდა ისეთი ცივილიზაცია, რომელიც, გარკვეულწილად, მხარს უსწორებდა ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფოთა დონეს. ან კიდევ სარდურ II-ს ლაშქრობის შესახებ (ძვ. წ. VIII ს. მეორე ნახევარი) ჩვენამდე მოღწეულ წარწერაში, რომელიც უიტერუხის ქვეყნის წინააღმდეგ ლაშქრობას აღწერს, აღნიშნულია, რომ დამცყრობელმა ტყვედ წაიყვანა 8100 ყრმა და 9110 ქალი, სულ 17200 ადამიანი. აქედან, ზოგი სიკვდილით დასაჯა. ასევე, ხელთ იგდო 1500 ცხენი, 17300 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 31600 სული წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი. სარდურის თქმით, მან ეს ყველაფერი ერთი დღის განმავლობაში მოიმოქმედა (გვ. 25-26). თუ მტერმა ერთ დღეში ამდენი ადამიანი და ნადავლი იგდო ხელთ, მაშინ გასაგებია, როგორი ხალხმრავალი და ეკონომიკურად შეძლებულნი ყოფილან ჩვენი წინაპრები.

წარწერაში მოხსენიებული პიღრონიმის - კურიანის შესახებ ქალბატონი ნანა ხაზარაძე საგუ-

ლისხმო ვარაუდს გამოთქვამს, რომ „მდ. მტკვრის აღმნიშვნელ ძველბერძნულ სახელწოდებაში (Kupros, Kýros) სწორედ კურიანის ქვეყნის სახელწოდება უნდა იყოს ასახული (გვ. 32).

მრავალფეროვანია სპარსული და ძველებრაული წყაროების ავტორისეული კომენტარები. აკადემიკოსი ნანა ხაზარაძე სხვადასხვა მონოგრაფიაში ძველი ქართველი ტომების ეთნოგენეზისა და მათი განსახლების არეალს არაერთხელ შეხებია. სარეცენზიო წიგნში ზოგიერთ დაზუსტებულ ცნობას გვთავაზობს, რაც ქრესტომათიისადმი ინტერესს კიდევ უფრო აღვივებს. წყაროების ანალიზისა და ისტორიოგრაფიაში განსხვავებული შეხედულებების გათვალისწინებით, ნ. ხაზარაძე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ „მოსხი ფორმა შესაძლოა რეკონსტრუირებულ იქნას საერთო ქართველურის დონეზე, სამივე ქართველურ დიალექტში – ქართულში, სვანურში და მეგრულ-ჭანურში ერთი და იგივე მოსხი ფორმის არსებობაა სავარაუდებელი; ქართული მესხი – აღნიშნავს მეცნიერი, საერთოქართველური მოსხის შემდგომ ტრანსფორმაციას უნდა წარმოადგენდეს” (გვ. 52-53).

მაინც რა საოცრად უდერს ქსენოფონტის უთვისტომო მეომრის სიტყვები, როდესაც მაკრონების მიწა-წყალზე მდინარის მეორე ნაპირზე უცნობი ადამიანების საუბარი შემოესმა და მიხვდა, რომ მათი ენა ესმოდა: „მე ვფიქრობ..., რომ ეს ჩემი სამშობლოა” (გვ. 83).

განუხომელია ქსენოფონტის „ანაბაზისის” ცნობები ჩვენი წინაპრების ცხოვრების შესახებ, მითუმეტეს, რომ აღნიშნულ ეპოქასთან დაკავშირებით ქართული წერილობითი წყაროები არ მოგვეპოვება. აქ ხალიბების, ტაოხების, ფასიანების, კოლხების,

მაკრონების, მოსინიკების, ტიბარენების და სხვათა შესახებ უნიკალურ ცნობებს ვეცნობით. წყაროებში სკიოთინების კუთვნილი დიდი, მდიდარი და მჭიდროდ დასახლებული ქალაქია აღწერილი.

წყაროთა მონაცემები დალაგებულია ქრონოლოგიური თანამიმდევრობით და საუკუნეთა სიღრმეში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები ცოცხლდება, ქართველების წინაპართა სოციალური გარემო, ბუნებრივი პირობები, ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულებანი, რაც ძველი ისტორიის მკვლევრებს და მკითხველ საზოგადოებას გარდასულ დღეთა რეალურ სურათს ნათლად წარმოუდგენს.

წერილობითი წყაროების თანახმად, ქართველი ტომებით დასახლებულ ტერიტორიაზე უხვად მოიპოვებოდა სკა, საიდანაც შესანიშნავი ფიჭი გამოპქონდათ. როდესაც ბერძნებმა თაფლი შეჭამეს, ბევრმა მათგანმა გონება დაკარგა, ზოგი ძირს დავარდა. მეორე დღეს „ყველანი მომჯობინდნენ“ (გვ. 173).

ამ მხარეში მათრობელა თაფლის არსებობის შესახებ ქსენოფონტი, დიოდორე სიცილიული, სტრაბონი და სხვა ძველბერძენი ავტორები მოგვითხრობენ.

მოსინიკებთან ელინებმა პურის დიდი მარაგი ნახეს. ამფორებში ჰქონდათ ნაჭრებად დაქნილი და დამარილებული დელფინის ხორცი. ცალკე ჭურჭელში კი შექმაზული დელფინის ქონი, რომელსაც მოსახლეობა ისევე იყენებდა, როგორც ელინები ზეოთუნის ზეთს. სხვენებში დაგროვილი ჰქონდათ დიდი რაოდენობის კაკალი, რასაც, ძირითადად, საჭმელში იყენებდნენ. ასევე, მისგან პურს აცხობდნენ. მოსინიკები მევენახეობა-მეღვინეობასაც მისდევდნენ. ბერძნებს გაუჭირდათ წყალთან შეზავების გარეშე ამ ღვინის დალევა. მოხარშული წაბლი დელიკატესად

ითვლებოდა, რომელიც უფრო მეტად შეძლებულთა ოჯახების კვების რაციონს ამშვენებდა (გვ. 94, 95).

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ქალბატონი ნანა წყაროების კარგად ცნობილ მონაცემებს ახლებურად აფასებს და კრიტიკულ შენიშვნებს არ იშურებს. მაგალითად, სტრაბონის დამოკიდებულებას „ლევკოთეას ტაძართან“ მიმართებაში არასწორად მიიჩნევს. მეცნიერი აღნიშნავს: „როგორც ჩანს, სტრაბონმა მის ხელო არსებული ინფორმაცია გააზრებისა და ურთიერთშეჯერების გარეშე გამოიყენა, მექანიკურად გააერთიანა...“. სტრაბონის ცნობებაში სხვა უზუსტობებზეც არის ყურადღება გამახვილებული. კერძოდ, როდესაც სტრაბონი აცხადებს, რომ ფრიქსეს მიერ აგებულ ტაძარსა და სამისხოში „ვერძს არ სწირავდნენ მსხვერპლად“. 6. ხაზარაძის აზრით, „რეალურ ვითარებას არც ეს ცნობა ასახავს, რადგან არგონაგტების მითის ერთ-ერთ ცენტრალურ თემას სწორედ ფრიქსეს მიერ ვერძის მსხვერპლად შეწირვა და კოლხეთიდან საბერძნეთში ამ შეწირული ვერძის ტყავის (ოქროს საწმისის) უკან დაბრუნება წარმოადგენს“ (გვ. 194).

ქრესტომათია, ასეთი საყურადღებო კომენტარებით, უხვადაა გაჯერებული, რაც კიდევ უფრო ამაღლებს მის სამეცნიერო ღირებულებას და მკვლევარს საშუალებას აძლევს განსხვავებული კუთხით შეხედოს ისტორიოგრაფიაში ჭეშმარიტებად მიჩნეულ ზოგიერთ ისტორიულ მოვლენას.

ფაქტია, რომ წყაროების კორპუსის გამოცემით, ქართულმა საზოგადოებამ ბრწყინვალე საჩუქარი მიიღო.

## ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის ნ. მაისურაძის მონოგრაფია „ქართული ტრადიციული მუსიკა და ეროვნული ცნობიერება“ (2015 წ.) მრავალმხრივ არის საინტერესო. მასში მუსიკალურ-ეთნოგრაფიული მასალის ანალიზის საფუძველზე, გამოკვლეულია ხალხური მუსიკის კულტურულ-ყოფითი და ეთნიკური ფუნქციები; ეთნოკულტურული და ეთნოგენეტიკური პრობლემები. მკვლევარი მუსიკალურ ენას, სამეტყველო ენის ანალოგიურად, ეთნოსის, როგორც სოციალური ორგანიზმის, ერთ-ერთ ძირითად მახასიათებელ ნიშნად მიიჩნევს. აქედან გამომდინარე, იგი ხალხურ მუსიკას განიხილავს როგორც ისტორიულ წყაროს ეთნიკური ისტორიის, ეთნოკულტურული და ეთნოგენეტიკური პრობლემების კვლევისათვის.

მუსიკალურ-ეთნოგრაფიული მასალის ინტენსიურად და კომპლექსურად შესწავლის, აგრეთვე ისტორიულ-შედარებითი ანალიზის საფუძველზე ნ. მაისურაძემ დაადასტურა ოდესდაც საერთო-ქართველური მუსიკალური ფუძე-ენის არსებობა, რომელიც ეთნოსის სოციალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებების შემცველია. ცნობილია, რომ სამეტყველო ენის ანალოგიურად, მუსიკალური ენის განვითარების პროცესი ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს. იგი ათასწლეულების მანძილზე ვითარდება. ნელა იცვლება ზოგიერთი სტრუქტურული კანონზომიერება, რომელიც ტიპოლოგიურად ახლოს დგას ენის გრამატიკულ კანონზომიერებებთან. ქ.-ნი ნინოს დაკვირვებით, საერთო-ქართველური მუსიკალური ფუძე-ენა, რომელიც მელოდიური ფორმულის (ფორმულების) სახით

არსებობს, ეთნიკური ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების მსგავსად, დალექილია მთელ ქართულ ხალხურ სასიმღერო შემოქმედებაში, მაგრამ იმავდროულად განვითარებადია. ფუძე-ენის ანუ ფუძე-პანგის ინფილტრაცია ყოფის სხვადასხვა სფეროში, მისი სემანტიკური ტრანსფორმაცია, ცვლილებები მუსიკალური ტექსტის ფორმასა და შინაარსში, მკვლევარმა მრავალფეროვანი მუსიკალური ჟანრების ფორმირებას დაუკავშირა. აქ, იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ეთნოგრაფიულ მასალას, ქრისტიანობის წინარე ხანიდან მომდინარე რწმენა-წარმოდგენებს და წეს-ჩვეულებებს, რომლის წიაღში აღმოცენდა ქართველური მუსიკალური ენა. ცხადია, რომ სიმღერა ცხოვრების მატერიალურ, სოციალურ და სულიერ მხარეებთან ერთობლიობაში შეისწავლება, განიხილება როგორც ზედნაშენური მოვლენა ბაზისურ კატეგორიებთან ურთიერთმიმართებაში.

ავტორის მიერ გაანალიზებული მრავალრიცხოვნი მუსიკალური ტექსტებიდან (ნაშრომში ტიპიური ნიმუშებია წარმოდგენილი) ჩანს, რომ მასში ქართველი ხალხის მუსიკალური აზროვნების განვითარების თითქმის ყველა საფეხურია მოცემული. ფაქტია, რომ ისტორიულ-ეთნოლოგიური საკითხების კვლევისათვის ამ მასალას წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა აქვს. ქნაგ ნინომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ მეტყველება და მუსიკა დაკავშირებულია ადამიანის აზროვნებასთან. ეს ორი ელემენტი ბერით („ხმით“) გამოიხატება. თავდაპირველი ინტონაცია („სიტყვის“) ელემენტალური გამოვლინება, ადამიანის მიერ ამა თუ იმ მოვლენის აღქმისა და შესაბამისი შეგრძნების, განცდის, სულიერი მღელვარების შედეგია. აქედან გამომდინარე, სამეტყველო ინტონაცია, უფრო მოგვიანებით, მუსიკალური ინტონა-

ცია, მისი აზრით, ორგანულად არის დაკავშირებული სულთან. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ მუსიკა დამტკიცის მოვლენაა, რომელმაც მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა როგორც ქრისტიანობის წინარე ხანის რწმენა-წარმოდგენებში, ისე ქრისტიანულ დამტკიცისახურებაში.

6. მაისურაძემ მუსიკალურ ეთნოლოგიაში დაამკიდრა ტერმინი „მუსიკალური ფუძე-ენა“.. მან, როგორც ითქვა, დაადასტურა ქართველურ ტომთათვის ოდესლაც საერთო მუსიკალური ფუძე-ენის არსებობა, მისი განვითარებისა და დიფერენციაციის პროცესი, მუსიკალური დიალექტების წარმოქმნა და, შესაბამისად, მუსიკალური მონაცემებით დაადასტურა ოდესლაც ერთობლივი ქართველური ეთნოსის არსებობა, მისი დიფერენციაცია, ცალკეული ეთნოგრაფიული ჯგუფების (კუთხეების) ჩამოყალიბება. საყურადღებოა მუსიკალური დიალექტის ანუ კილოს, როგორც კუთხობრივი სპეციფიკის გამომხატველი ტერმინის ავტორისული ინტერპრეტაცია: კილო, „... გარდა მრავალხმიანობის ფორმების, მელოდიურ-ინტონაციური და ჰარმონიული თავისებურებებისა, გულისხმობს შესრულების კუთხურ ხასიათს, კერძოდ, იმ ინტონაციურ თავისებურებას (ნიუანსებს), რომელიც სამეტყველო ენის კუთხურ ინტონაციურ თავისებურებასთან უშუალო კავშირში ყალიბდება. გაითვალისწინა რა სამეტყველო ენისა და მუსიკალური ენის სინკრეტიზმი, მუსიკალური აზროვნების განვითარების ადრეულ საფეხურებზე, აგრეთვე ფუძე-ჰანგის ანუ ფუძე-ენის ხნიერება და მისი ადგილი ყოფაში, მკვლევარმა საერთო-ქართველური მუსიკალური ფუძე-ენა ქართველურ ენათა ფუძე-ენის არსებობის ქრონოლოგიურ ჩარჩოებში მოათავსა. საზოგადოდ, მუსიკის წარმოშობასთან დაკავშირებულ მოსაზრებებს შო-

რის, ავტორს საყურადღებოდ მიაჩნია პერძერტ სპეციალისტის მოსაზრება მუსიკის ემოციური მეტყველებიდან ანუ მეტყველების პროსოდიული ელემენტებისაგან შესაძლო გაჩენის შესახებ. მუსიკალური ფუძეების დიფერენციაციის საკითხები განხილულია ლინგვისტურ მონაცემებთან ურთიერთკავშირში. დრმა მეცნიერული ანალიზით არის ახსნილი საქართველოს ცალკეული კუთხეების სიმღერების მახასიათებლები.

ქართული პოლიფონია ქართველთა მენტალიტების და ქართველობასთან იდენტობის გამომხატველია. ავტორის მიერ გაზიარებულია შეხედულება, რომ მრავალხმიანობა „შინაგანი სმენითი წეობაა“, ქართველთა ფსიქიკის სტრუქტურული ელემენტია. 6. მაისურაძის აზრით, ქართულ ხალხურ სიმღერებში ბანის გაჩენა უშუალო კავშირშია კილოს ორგანიზებასთან, მუსიკალური ფუძე-ენის, ფუძე-პანგის ჩამოყალიბებასთან. რომლის დამაბოლოებელი ბგერა იმთავითვე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რის შედეგად ჩნდება ბურდონული (გაბმული) ბანი. ქნინინოს შეხედულებით მრავალხმიანობა სტადიალურია. ამ საკითხს იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ეთნიკური ისტორიის, ეთნოგენეზის კვლევისას.

6. მაისურაძე მრავალხმიანობის განვითარების ერთ-ერთ უძველეს ეტაპად მიიჩნევს, მუსიკალური ფუძე-ენის წიაღში, ბურდონული მრავალხმიანობის შემდეგ, მრავალხმიანობის კომპლექსური (ხმათა კომპლექსურ-პარალელური) ფორმის ჩასახვას, რომლის მატარებლები ქართველური, სვანური ტომები იყვნენ. მუსიკალური მონაცემებით მკვლევარი ვარაუდობს საერთო-ქართველური მუსიკალური ფუძე-ენიდან თავდაპირველად სვანური მუსიკალური დიალექ-

ტის განცალკევებას და მის განფენას ფართო ტერიტორიაზე, უფრო მოგვიანებით კი, მეგრული მუსიკალური დიალექტის გამოყოფას. მან ნათლად გვიჩვენა, რომ მრავალხმიანობის კომპლექსური ფორმის გავრცელებამ დასავლეთ საქართველოში, უფრო მოგვიანებით, განაპირობა ქართული მუსიკალური კულტურის ორი დიდი წრის ჩამოყალიბება: აღმოსავლური და დასავლური. ეს მოვლენა შეესატყვისება საქართველოს მოსახლეობის დაყოფას ორ მთავარ ჯგუფად: იბერიული და კოლხური. საგულისხმო მოსაზრებას გვთავაზობს ავტორი მოხეურ სიმღერებთან დაკავშირებით, სადაც სვანიზმების კვალს ხედავს. აქედან გამომდინარე, იგი დასაშვებად მიიჩნევს წერილობით წყაროებში ნახსენებ ხევში მოსახლე წანარების სვანურ სამყაროსთან დაკავშირებას.

მუსიკალური ფუძე-ენის დიფერენციაციას და მისი ქრონოლოგიის საკითხებს ჭ-ნი ნინო ენათმეცნიერულ მონაცემებთან მიმართებაში განიხილავს. მნიშვნელოვნად მიმაჩნია მისი შემდეგი მინიშნება: თუ სვანური და მეგრული ქართველური ენებია, საერთო-ქართველურ მუსიკალურ ფუძე-ენას ისინი მუსიკალური დიალექტების დონეზე გამოყოფა.

ზემოხსენებული საკითხების შესწავლის შემდეგ, ნ. მაისურაძე აფართოებს კვლევის საზღვრებს და ქართულ ტრადიციულ მუსიკას კავკასიური მუსიკის კონტექსტში განიხილავს. კერძოდ, ეხება ქართულ და ჩრდილოკავკასიურ მუსიკალურ ენათა ურთიერთიმიმართებას და მათი ერთობის პრობლემას. ამ მიზნით არის შესწავლილი აფხაზური, ადიღური, ოსური, ჩაჩნურ-ინგუშური და ნაწილობრივ დაღესტნური მუსიკალური ტექსტები. რეტროსპექტული და ისტორიულ-შედარებითი ანალიზის საფუძველზე ჭ-ნმა ნინომ აფხაზურ მუსიკალურ ენაში გამოავლინა

უძველესი მელოდიურ-ინტონაციური ფენა, რომელიც გენეტიკურ კავშირშია საერთო-ქართველურ მუსიკალურ-ფუძე-ენასთან და მთელ აფხაზურ მუსიკალურ შემოქმედებაშია განვითარების უძველეს ეტაპებზე, ორგანულად იყო დაკავშირებული საერთო ქართველურ მუსიკალურ ენასთან. ამავე დროს, აფხაზური და ადიღეური მუსიკალური მასალა, გარკვეულწილად, მელოდიურ-ინტონაციურ და ჰარმონიულ ელემენტთა განსაკუთრებულ სიახლოვეს ამჟღავნებს, თუმცა ორივე მათგანში ჰარმონიული აზროვნების საფუძველი ქართველურია. ჰარმონიულ ელემენტთა განვითარების პროცესში, აფხაზური ასრულებდა შუალედურ როლს ქართულსა და ადიღეურს შორის. იქნებ ამით აიხსნას ის გარემოება, რომ აფხაზური ხალხური მუსიკა ქართულთან ნათესაობის სრულ სურათს იძლევა. განსხვავებით აფხაზურისაგან ადიღეურში, ხშირ შემთხვევაში, წყვეტილი ჩნდება, რომლის ტიპოლოგიური შევსება აფხაზური სიმღერების საშუალებით ხერხდება. დასკვნა შემდეგია: აფხაზური მუსიკალური ენა ჩამოყალიბდა, საუკუნეების მანძილზე, აფხაზურში ადიღეური მუსიკალური ელემენტების შეღწევისა და შერწყმის შედეგად. სპეციფიკურ ნიშანთან ზრდასთან ერთად სულ უფრო ღრმავდებოდა აფხაზურის, როგორც ოდესლაც საერთო-ქართველურის ერთ-ერთი მუსიკალური დიალექტის დივებენციის პროცესი, რაც საბოლოოდ ქართული მუსიკალური კულტურის არეალში შემავალი, ქართულის მონათესავე აფხაზური მუსიკალური ენის ჩამოყალიბებით დასრულდა.

რაც შეეხება საზოგადოდ, ქართულ-ჩრდილოკავკასიურ მუსიკალურ ენათა ურთიერთმიმართებას, ამ მხრივაც უაღრესად მნიშვნელოვანი შედეგებია მიღ-

ბული. 6. მაისურაძემ, ქართულ-ჩრდილოკავკასიური მუსიკალური მონაცემებით დაასაბუთა ქართველურ ტომთა განსაკუთრებული მნიშვნელობა, მათი წამყვანი როლი იბერიულ-კავკასიური მუსიკალური კულტურის ჩამოყალიბებასა და შემდგომ განვითარებაში, რომელიც ძირითადად კავკასიური მუსიკალური-ინტონაციური და ჰარმონიული აზროვნების ფარგლებში მიმდინარეობდა. იმ უძველეს ხანაში, – წერს მკვლევარი, - ქართველური ტომები, როგორც ჩანს, ფართო ტერიტორიაზე იყვნენ განფენილნი და ამ ტომთა პოლიფონიურმა აზროვნებამ სუბსტრატის როლი შეასრულა იბერიულ-კავკასიური მუსიკალური კულტურის ჩამოყალიბებაში. მნიშვნელოვანია აგრეთვე ქნი ნინოს მიერ ადრე გამოთქმული შემდეგი ვარაუდი: „მუსიკალური მონაცემებით კავკასიის ტერიტორიაზე ოდესლაც მოსახლე მონათესავე ტომები შესაძლოა გმთხვევა ზოგადად ქართველური სახელწოდებით ხსენებულ ტომებს, რომელთა გავრცელების არე თანდათან იზღუდებოდა. ნიშანდობლივია, რომ ხსენებულ ტომთა მუსიკალური აზროვნების განვითარების თანმიმდევრულ, უწყვეტ სურათს მხოლოდ ქართული მუსიკალური მასალა იძლევა, რომელთანაც მჭიდროდაა დაკავშირებული მდიდარი და მრავალფეროვანი ჩრდილოკავკასიური მუსიკალური ენები, როგორც გენეტიკურად, ისე კულტურულ-ისტორიული კავშირებით“.

6. მაისურაძემ დაასაბუთა, რომ იბერიულ-კავკასიური მუსიკალური ენების ისტორიულ-გეოგრაფიული საზღვრები უფრო ფართოა, ვიდრე იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის: მასში შედის ოსური მუსიკალური ენა მიუხედავად იმისა, რომ ოსური ენა განეკუთვნება ინდოევროპული ენების ჩრდილო ირანულ ჯგუფს. ოსური მუსიკალური ენის სუბსტრატი კავკასიურია, ქართველურია. ამგვა-

რად, მკვლევარმა შემოგვთავაზა იბერიულ-კავკასიური მუსიკალური კულტურის ჩამოყალიბების საქუთარი ხედვა, მისი ისტორიული ასპექტი.

ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ქართველი ხალხის წინაპართა გენეტიკურ თუ მჭიდრო კულტურულ-ისტორიულ კონტაქტებს ძველი აღმოსავლეთის უძველეს მოსახლეობასთან, რაც ასახულია მუსიკალური ნიმუშების უძველეს შრეებში, მუსიკალურ ტერმინებსა და საკრავებში.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ნ. მაისურაძის მოსაზრება ხალხური სიმღერების და საგალობლების ურთიერთმიმართების საკითხთან დაკავშირებით. ცნობილია, რომ იოანე პეტრიწმა „გალობის“ და „სიმღერის“ მრავალსაუკუნოვანი ცნებები „მუსიკის“ ერთიანი განზოგადებული ცნებით შეცვალა. მუსიკას მოხსნა დაყოფის მიჯნები სასულიერო და საერო სფეროს შორის. იოანე პეტრიწმის ამ ნააზრევში ქნავ ნინომ ეროვნული ცნობიერება და სახელმწიფოებრივი აზროვნება ამოიკითხა. იგი წერს: ქართულ ქრისტიანულ დათისმსახურებაში საგალობლები ქართული ეროვნული ცნობიერების გამომხატველი უნდა ყოფილიყო. ეროვნული საგალობლები ცარიელ ადგილზე ვერ შეიქმნებოდა, არამედ მას საფუძვლად უნდა დასდებოდა ქრისტიანობის წინარე ხანიდან მომდინარე მუსიკალურ-ეთნიკური მონაპოვარი, რომელიც ოდესაც ქართველურ ტომებში ჩამოყალიბდა და საბოლოოდ ქართულ ეთნოსში დამკვიდრდა როგორც ეროვნული ფსიქოლოგიის სტრუქტურული ელემენტი. ნინო მაისურაძის გამოკვლევა ახალი სიტყვაა მეცნიერებაში. ნაშრომის მაღალი ღირსება განაპირობა მისმა ერუდიციამ და ღრმა პროფესიონალიზმა. ქნი ნინო არა მხოლოდ ისტორიკოს-ეთნოლოგია, არამედ ეთნომუსიკოლოგი. მან დაადასტურა,

რომ ისტორიული კავშირების კვლევაში მუსიკალურ-ეთნიკურ მონაცემებს სათანადო ადგილი უჭირავს. მომიჯნავე დარგების (ენათმეცნიერება, ისტორია, არქეოლოგია, ანთროპოლოგია) ანალოგიურად, მუსიკალურ ეთნოლოგიას თავისი წვლილი შეაქვს ხალხთა ეთნიკური ისტორიის, ეთნოგენეზის, ხალხთა მიგრაციებისა და ინტეგრაციის კვლევაში. 6. მაისურაძის სამეცნიერო მოღვაწეობას „უკავშირდება ხალხური მუსიკის „ისტორიული მეცნიერების სამსახურში“ ჩაყენება. აღნიშნული მონოგრაფია მნიშვნელოვანი შენაძენია არა მხოლოდ სამეცნიერო წრეებისათვის, არამედ - ფართო საზოგადოებისათვის.

## ზრიად საჭირო ჭიბნი

ბოლო წლებში ქართველ მეცნიერთა უურადგება ჩვენი სამშობლოს პოლიტიკური ისტორიის საკითხებზე იყო გამახვილებული. ბუნებრივია, ეს პროცესი სავსებით კანონზომიერ მოვლენას წარმოადგენდა. საარქივო დოკუმენტური წყაროების განსაიღუმოვნება და ისტორიული მოვლენების ობიექტურად შეფასების შესაძლებლობა საქართველოს წარსულის თეთრი ლაქების გაშუქებას მოითხოვდა.

კარგად მოქცეულა დვაწლმოსილი მეცნიერი პროფესორი ოთარ თურმანიძე, რომ საქართველოს ძირძველი კუთხის, აჭარის აგრარული ისტორიის მეტად რთული საკითხის შესწავლა განუზრახავს, რაც წარმატებით განახორციელა კიდევ.

სარეცენზიო ნაშრომი „საადგილმამულო ურთიერთობანი და აგრარული მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (1878-1928 წ.წ.)“, ბათუმი, 2009, 389 გვერდს მოიცავს. იგი შედგება ოთხი თავისა და 12 პარაგრაფისგან. თან ერთვის რუსული და ინგლისური რეზიუმეები.

შესავალ ნაწილში დასაბუთებულია თემის აქტუალობა და 50 წლიანი საკვლევი პერიოდის ოთხ ეტაპად დაყოფა. ავტორმა თემის ეტაპებად დაყოფას საფუძვლად დაუდო ის თავისებურებანი, რაც საკვლევი ხანის თითოეულ მონაკვეთში არსებობდა. მისივე სამართლიანი შენიშვნით მხარის კოლონიზაციისათვის ცარიზმა XIX საუკუნის 80-90-იან წლებში „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში შეინარჩუნა მიწამოფლობელობა—მიწათხარგებლობის ოსმალური ფორმები, საადგილმამულო გადასახადები და საგადასახადო სისტემა“ (გვ. 7).

იქვე, სიღრმისეულად არის გაანალიზებული წყაროთმცოდნებითი ბაზა. მკვლევარს მოძიებული და შესწავლილი აქვს, როგორც გამოქვეყნებული დოკუმენტური წყაროები, ასევე საარქივო მასალები, რომლებიც პირველად შემოაქვს სამეცნიერო ბრუნვაში და სრულიად ახალ წარმოდგენას გვიქმნის თითქოსდა კარგად ცნობილ საკითხებზე.

ფართოდ არის გამოყენებული ქართული და რუსული ურნალ-გაზეთები, სტატისტიკური კრებულები, მოსახლეობის აღწერის მასალები, თვითმხილველი მოგზაურების, მემუარული ლიტერატურის და თავად საველე-ეთნოგრაფიული მასალა.

ყოველმხრივ არის დამუშავებული და სათანადოდ შეფასებული სამეცნიერო ლიტერატურა და საერთოდ, კრიტიკულად არის წარმოდგენილი, როგორც პირველადი წყაროები, ასევე საკითხის გარშემო არსებული ისტორიოგრაფია.

რუსეთმა თურქეთთან ომის შემდეგ აჭარის იმპერიის შემადგენლობაში შემოსვლისთანავე რუსული ადმინისტრაციული მმართველობა შემოიღო. თანამდებობებზე მხოლოდ რუსი მოხელეები ინიშნებოდნენ. დაიწყო რუსული ენის დანერგვის პროცესი. „მმართველობის ყველა რგოლში – აღნიშნულია გამოკვლევაში- საქმის წარმოება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, რაც მკვიდრი მოსახლეობის მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა“ (გვ. 43).

მაღალ მეცნიერულ დონეზე არის შესწავლილი აჭარაში მიმდინარე აგრარული ურთიერთობანი, ოსმალური მიწათსარგებლობის წესიდან იმპერიის ცხოვრების წესზე გადასვლის მტკიცნეული პროცესები.

საინტერესოდ არის ახსნილი აჭარიდან მუპაჯირობის მიზეზები. ერთი შეხედვით ხალხი მშობ-

ლიური კუთხიდან თითქოს თავისი ნებით მიდიოდა. ფაქტობრივი მასალის მოხმობით დადასტურებულია, რომ ეს იყო მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების, რელიგიური ფანატიზმის, წამქეზებლობის, მოსახლეობაზე პოლიტიკური და ფიქოლოგიური ზეწოლის, რუსული სამხედრო-პოლიტიკური აპარატის აღვირასსნილობის შედეგი.

სარეცენზიონ ნაშრომის ავტორის სამართლიანი შეფასებით „სამხრეთ-საქართველოდან მოსახლეობის ემიგრაციით დაინტერესებული იყო როგორც რუსეთის, ისე თმალეთის მთავრობები“. რუსეთი ამ მიწებს სახაზინო მიწებად აქცევდა. ამავე დროს კოლონიური მიზნებისათვის იყენებდა (გვ. 73). ყურადღება გამახვილებულია ცარიზმის განსაკუთრებულ ინტერესებზე ბათუმის ოლქის ზღვისპირეთის სოციალურ-ეკონომიკური ათვისებისათვის, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების განვითარებისათვის (იხ. გვ. 79).

ავტორმა ყურადღება მიაქცია მხარის კოლონიზაციის საკითხებს. რუსი და სხვა ეთნიკური ელემენტების საქართველოში და კერძოდ აჭარაში ჩასახლებით მკვიდრი ეროვნების წინააღმდეგობაც ძალას დაკარგავდა და მათი დამორჩილება ადგილად მოხერხდებოდა (გვ. 85).

საარქივო წყაროებზე დაყრდნობით წარმოჩენილია გლეხობის სოციალური სტრუქტურა, მიწათმფლობელობის ეფოლუცია და მესაკუთრეთა ჯგუფების დახასიათება. ამ მეტად საინტერესო და რთული საკითხის დახასიათებას ნაშრომის ცალკე თავი ეძღვნება.

საინტერესოა, რომ ბათუმის ოლქში ხიზნების ორი კატეგორია არსებობდა: ადგილობრივი ქართველები და უცხო ქვეყნებიდან შემოხიზნულნი. ხიზან-

თა მეორე კატეგორიაში ირიცხებოდნენ ქურთები, ბერძნები და ბოშები (გვ.110). სათანადოდ არის გაშუქებული მიწათსარგებლობის ფორმები. მიწის იჯარით გაცემა და სხვ. მიმოხილულია სოფლის მეურნეობის კულტურები, რაც დამახასიათებელია აჭარის ოელიეფისათვის. ავტორის პირადი დაკვირვებისა და სპეციალური ეთნოლოგიური სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებით შესწავლილია შრომის იარაღები, ტრანსპორტი და ა.შ.

ისტორიული ექსკურსის მოხმობით ნაჩვენებია ადაბეგების მიწათმფლობელობის თავისებურებანი, რაც აჭარის ოსმალეთის იმპერიაში ყოფნის დროს არსებობდა. მათ კერძო საკუთრებაში ყმა-მამულები ადარ ჰქონდათ. იმპერიის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ ქართველები, რომლებიც გავლენიან ბეგებად ითვლებოდნენ არანაკლებ უკმაყოფილონი იუვნენ ცარიზმის ხელისუფლებისადმი (გვ. 125).

სარეცენზიონი ნაშრომის ავტორმა სათანადოდ გააშუქა საკულტო ნაგებობები, ეკლესიებისა და მეჩეთების მიწათსარგებლობის პრობლემები, სავაკუფო მიწების საკითხები (გვ. 160-169].

კაპიტალიზმის განვითარებას გარკვეული უარყოფითი შედეგებიც ჰქონდა. კერძოდ, ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის ნაწილი იძულებული ხდებოდა საუკეთესო სავარგულები უცხო ტომელებზე გაეყიდა. ეს იყო ეროვნული ტრაგედია, თითქმის დანაშაულის ტოლფასი. ამ მტკიცნეულ პროცესებს ფაქტობრივი მასალით გადმოსცემს ავტორი და სამართლიანად ასკვნის, რომ „მიწის კაპიტალიზაციის შედეგად არამარტო დემოგრაფიული, არამედ სოციალური სურათიც შეიცვალა. ჩამოყალიბდა მიწის-მფლობელთა ახალი ჯგუფი, რომელიც ძირითადად უცხოელებისაგან შედგებოდა“ (გვ. 193). ქართული

მიწის მფლობელები ხდებიან ჩინელი ლაუ ჯონ-ჯაუ, სომები გაიტურ მეგოვორიანი, რუსი მ. სინიცინი, გერმანელი პ. პანცერი და ა.შ. მთლიანობაში ეროვნული კუთვნილების მიხედვით მოახალშენე მიწის-მფლობელთა უმრავლესობას რუსები წარმოადგენდნენ. მეორე ადგილი ეკავათ სომხებსა და ბერძნებს. აჭარაში მიწისმფლობელთა შორის გვხვდებიან ფრანგები, ინგლისელები, გერმანელები, იტალიელები, დანიელები, ჩეხები, ლატვიელები, უკრაინელები, თურქები, სპარსელები, პოლონელები, ბელორუსები და სხვა ერის წარმომადგენლები. 1925 წლის მონაცემებით, 22 მოახალშენე საზღვარგარეთის სახელმწიფოს ქვეშევრდომი იყო (გვ. 197).

ფართო ხასიათის მასშტაბები მიიღო აგრარულმა მოძრაობამ აჭარაში XIX საუკუნის ბოლოს და განსაკუთრებით 1905-1907 წლების რევოლუციის დროს. ამ ფონზე ადსანიშნავია ქვემო აჭარის გლეხთა 1905 წლის თებერვლის აჯანყება, რის შესახებ მასალები გამოაქვეყნეს, როგორც კავკასიის, ისე რუსეთისა და უკროპის პრესამ. აღნიშნულ მოვლენებზე საინტერესოდ არის გამახვილებული ყურადღება გამოკვლევაში. საადგილმამულო გადასახადების გაზრდა რეაქციის პერიოდში მოსახლეობას აიძულებდა საპროტესტო გამოსვლების სხვადასხვა ფორმა ეძებნა. 1907-1917 წლებში პროტესტის პასიური ფორმა – მოსახლეობის აყრა-გაქცევა ფართოდ გავრცელდა აჭარაში (გვ. 290).

პირველი რესპუბლიკის პერიოდში პოლიტიკური კატაკლიზმების ფონზე სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ევროპა-ოსმალეთის ინტერესების ერთ-ერთი მთავარი პოლიგონი გახდა. ამას მოჰყვა ახალი ოკუპაცია საბჭოთა რუსეთის მხრიდან და ბოლშევკიური აგრარული ექსპერიმენტის განხორციელება

აჭარაში, ისევე, როგორც მთელ საქართველოში. ეს საკითხები საარქივო დოკუმენტებით არის შეჯერებული და მრავალ სიახლეს გვთავაზობს.

ჩვენის აზრით, სარეცენზიონ ნაშრომის მაღალი დონე ერთდროულად რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა: 1. ავტორის პროფესიონალიზმი; 2. სპეციალური და მომიჯნავე სამეცნიერო ლიტერატურის საფუძვლიანი ცოდნა; 3. ეპოქის ისტორიული პროცესების სიღრმისეული გააზრება; 4. ახალი საარქივო დოკუმენტური წყაროების კრიტიკული ანალიზი და სამეცნიერო ბრუნვაში შემოტანა.

აქვე ავღნიშნავთ არაარსებითი ხასიათის შენიშვნასა და სურვილს: 1. ნაშრომის 92-ე გვერდზე ნათქვამია, რომ 1914 წელს ახალსოფელსა და დონგუზადაში „ძირითადად სექტანტები და ბაპტისტები ცხოვრობდნენ“. გამოდის, რომ სექტანტი და ბაპტისტი სხვადასხვა ცნებაა. რეალურად კი ბაპტისტები იგივე სექტანტები არიან. 2. სასურველი იყო ყოველი თავი მოკლე დასკვნებით შეეჯამებინა ავტორს, ან ნაშრომის დასასრულს პუნქტობრივად ჩამოეყალიბებინა კვლევის შედეგები.

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ პროფ. ო. თურმანიძის მონოგრაფია მნიშვნელოვანი გამოკლევაა და ქართული ისტორიოგრაფიის მდიდარი შენაგნია.

## „ჯაყოს სიზმრები“

თავის დროზე მიხეილ ჯავახიშვილმა რელიეფურად აჩვენა, რომ კარს მოგადგება გუდამშიერი და უსახლკარო გადამოიელი. ლუგმა-პურსა და თავ-შესაფარს გთხოვთ, ერთგულ და მორჩილ მსახურად გიჩვენებთ თავს. გულუბრყვილობის გამო კარს გაუდებ, ჭერსა და საზრდელს მისცემ. იგი მომძლავრდება, მოღონიერდება, გალადდება და გათავედდება. საკუთარი სახლიდან გაგადებს, შენს მამულს, საქონელს მიითვისებს. . .

თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ჯაყობა არის სხვისი ქონების, სიმდიდრის, მამულის, სახლკარის, პატივის, სახელის მიტაცება-მითვისება, ძალადობა, ქლესაობა, პირფერობა, ორპირობა, ურცხვი უპრინციპობა, სრული უმეცრება და უკანონობა“.

2014 წელს რუსეთში გამოქვეყნდა რუსეთის ფედერაციაში ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიმიტრი ნიკოლოზის ქე მედოვევის წიგნი „Южная Осетия и политика России в Закавказье“, Издательство „Канон“. როგორც ავტორი მიუთითებს დაბადებულა სტალინიში (ამჟამინდელ ცხინვალში).

ტოპონიმები, გეოგრაფიული სახელწოდებები ქვეყნის ბუნებრივი ხასიათის, ხალხის ყოფისა და ისტორიის სარკეა. ადამიანი უხსოვარი დროიდან მიაკუთვნებდა ამა თუ იმ ადგილს შესაფერის სახელს. ამით იგი ადგილის ბარათს ავსებდა და თაობიდან თაობას გადასცემდა. წიგნის ავტორი დაიბადა არა ამჟამინდელ, არამედ უძველეს ქართულ ქალაქ ცხინვალში (შეადარეთ: გოროვანი, ვაშლოვანი, თხინვალი, თერნალი და სხვ.) აქ ჩამოსახლებულმა ოსებმა XX საუკუნის 30-იან წლებში ცხინვალი შეცვალეს

სტალინირით. სტალინ-ირ-ი, ანუ სტალინის ოსეთი („ირ“ – ოსეთი). 1961 წლის 24 ნოემბერს ქალაქს დაუბრუნდა ნამდვილი სახელი – ცხინვალი.

წიგნის წინასიტყვაობა ეკუთვნის რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს გრიგორი კარასინს, რომლის შეფასებით მეგობრობა და მმობა გამჟღავნდა „2008 წლის აგვისტოში, როდესაც რუსეთი გამოვიდა სამხრეთ ოსეთის დასაცავად სააკაშვილის რეუიმის ვერაგული თვდასხმის დროს. რუსეთის ფედერაცია გახდა დამოუკიდებელი სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის გარანტი. . .“ (გვ. 5-6). ვჲ, ამხანაგო კარასინ, როდის ყიფილა რომ რუსეთი, თუ საკუთარი ინტერესები არ ამოძრავებს ვინძეს დამოუკიდებლობის გარანტი ყოფილა? ამჟამად თავს შევიკავებთ სააკაშვილის პოლიტიკის შეფასებისაგან, მაგრამ საინტერესოა, რომ თუკი რუსეთს აქვს უფლება კონსტიტუციური წესრიგი აღადგინოს დაპყრობილ ჩეჩენეთში და ჯარები შეიყვანოს, მაშინ რატომ არ შეუძლია საქართველოს ხელისუფლებას ძირდველ ქართულ მიწაზე ჩამოსახლებული სეპარატისტების საწინააღმდეგოდ რაიმე ქმედითი ნაბიჯი გადადგას!?

რუსი დიპლომატი იქნა აღნიშნავს, რომ „ჩვენ ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შემდეგ, რუსეთის დედაქალაქში კვლავ გამოჩნდა ოსეთის საელჩო – სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლობა“ (გვ. 6). იქნებ აგვისენას ამხანაგმა კარასინმა ბუნებაში როდის არსებობდა „სამხრეთ ოსეთის“ ხალხი ან სახელმწიფო და, რომელ სიზმარში ნახა ოსების საელჩო ადრე რუსეთში, რომელიც კვლავ გამოჩენილა? გასაგებია რა როლს ითამაშებს აბაშიძე-კარასინის „დუეტი“ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მოგვა-

რებაში, როდესაც რუსი დიპლომატის გულში ამდენი ბალდამი ტრიალებს.

ახლა უკვე მეცნიერ-დიპლომატს – მედოევს მოუსმინოთ: თურმე „ოსეთის მთიანი მხარეების დამორჩილებას ეშმაკობით ან ძალით ცდილობდნენ ქართლიმერეთის ვილაიეთები, რომელიც თავის მხრივ ირანისა და თურქეთის ვასალები იყვნენ“ (გვ. 10). გულისამრევი უვიცობა, ან შეგნებული სიცრუე ქართლისა და იმერეთის სამეფოები ვილაიეთები ყოფილა. სად, რომელი წყაროა წერილობითი ან ზეპირი ქართველების მიერ „ოსეთის“ დაპყრობის მცდელობისა.

შემდეგ მედოევი საუბრობს უძველესი დროიდან ალანთა ქრისტიანობაზე (გვ. 16). ავტორს ავიწყდება, ან არ იცის, რომ ქრისტიანობის საშუალებით (Xს.) ქართული ენა გავრცელდა ალანებში. შემთხვევითი არ არის, რომ ქრისტიანულ კულტთან დაკავშირებული ტერმინები ოსურში თითქმის ქართულია: ძუარ (ჯვარი), კვირა, მთავარანგელოზი, მარხვა, პარასკევი, მიქელ-გაბრიელი, ქრისტე, მარიამი, წმინდა გორგი (ვასთირჯი), ილია წინასწარმეტყველი და სხვ. [1, 232].

XVIII საუკუნის 40-იან წლებში რუსეთში გასაგზანი დალეგაციის შესახებ მედოევი მიიჩნევს, რომ ისინი შერჩეულ იქნენ ოსეთის ხუთი საზოგადოების წარმომადგენელთაგან: დიგორიდან, სამხრეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთი და ოსეთის ცენტრალური ნაწილიდან (გვ. 18). სად იყო ოსეთის ეს ტერიტორიები საინტერესოა. სინამდვილეში კავკასიის ცენტრალურ ნაწილში მცხოვრები ოსების თვითსახელწოდებაა ირონ, დიგორონ. უფრო სწორად, ოსებს XX საუკუნემდე ერთიანი ენდოეთნონიმი არც ჰქონიათ. რაც შეეხება ეთნონიმს „ოსი“ და დღევანდელი რუსეთის ფედერაციაში შემავალი ტერიტორიული ერთეულის სა-

ხელწოდებას – „ოსეთი“, ოსები არასდროს არ იცნობდნენ. ჯერ რუსულ ენაში და შემდეგ სხვა ხალხებში ეთნონიმი (ეგზოეთნონიმი) „ოსი“ ქართველთაგან გავრცელდა. ამ ეგზოეთნონიმით ოსებს ქართველთა გარდა ფაქტობრივად, არავინ იცნობდა. ოსები ანტიკური პერიოდის საისტორიო წყაროებში ჩრდილეოთ კავკასიის სტეპებში მოსახლე ალანების ნარჩენ ხალხად მიიჩნევა. ამავე დროს ოსები არც ალანების პირდაპირი და უშუალო შთამომავლები არ არიან. ოსური ეთნოსი ჩრდილოეთ კავკასიის მთებში, XIII საუკუნის შემდეგ ადგილობრივ კავკასიელებთან შერევის შედეგად ჩამოყალიბდა [2, 85-86].

ეთნიკური სტრუქტურის მიხედვით ოსები იყოფიან ორ ძირითად სუბეთნიკურ ჯგუფად: „ირგბად“ (ან „ირონებად“) და „დიგორებად“ (ან დიგორელებად“) (ვახტ. იოონიშვილი).

უფრო მეტიც, გამოჩენილი ოსი მეცნიერის ვასილ აბაევის აღიარებით: „. . . მეცნიერებმა დიდი ხანია დაადგინეს, რომ ოსები წარმოშობით არ არიან დაკავშირებული მეზობელ კავკასიელ ხალხებთან. კავკასიაში ისინი მოვიდნენ ჩრდილოეთიდან. კერძოდ, სამხრეთ-რუსეთის ველებიდან. წყაროებში მათ ეწოდებოდათ ალანები. ხოლო ალანები, ისტორიკოსის იოსებ ფლავიუსის მოწმობით (ჩვ.წ. - აღ. I საუკუნე) – სკვითური ტომია, რომლებიც ცხოვრობენ აზოვის ზღვისა და დონის მხარეს“ [3]. მედოვეი ერთ-ერთ სიზმარში საქმეს ისე წარმოაჩენს, რომ თითქოს ბუნებაში არსებობდა რადაც ოსური სახელმწიფო და მის დაახლოებას რუსეთთან ხელს უშლიდნენ სხვა ძალებთან ერთად ქართველებიც (იხ. გვ. 19-21). მედოვეის მორიგ სიზმარში XVIII საუკუნეში არსებობდა „სამხრეთ ოსეთი“, საიდანაც ყოფილა სერგეი ალგუზათი (გვ. 22).

მინდა შევახსენო „სამხრეთ ოსეთის“ ელჩს, რომ საქართველოში არ არსებობს სხვა უფრო ქართული ტერიტორია, ვიდრე შიდა ქართლია, სადაც ოსების აზრით მათი „სახელმწიფოა“. ოსების მიერ ახლო წარსულში დაკავებული ეს მიწები ქართველთა ერთ-ერთი უძველესი საცხოვრისი იყო. აქ, თუ ოდეს-მე ოსებს უცხოვრიათ, მაშინ მათ კულტურას უნდა დაგეტოვებინა თუნდაც მცირე ნაკვალევი ამ მიწაზე. მაგრამ ის არსად არ არის: ყველაფერი, რაც ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაზე აღმოჩნდა არქეოლოგიური გათხრების შედეგად და ყველაფერი რაც ხელოვნებათმცოდნების მიერ შემჩნეული და შესწავლილი იქნა მიწის ქვეშ თუ მიწის ზევით – მხოლოდ ქართულია [4, 89].

ოსი ერი თვითგამოირკვა რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე, ოსთა ისტორიული განსახლების ფარგლებში. და როგორი ცინიზმია შექმნა ჩრდილოეთი ოსეთი რუსეთში, ხოლო სამხრეთი ოსეთი – საქართველოში. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში სტალინური ნების მანიპულაციებმა პრობლემა არაფრისაგან, ფიქციისაგან წარმოშვეს – შეიქმნა ილუზია იმის არსებობისა, რაც არასოდეს არსებობდა ისტორიულად და რასაც არ ჰქონდა პერსპექტივა არსებობისა მომავალში, არც ფაქტობრივად, არც თეორიულად. ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ არსებობა ამიტომაც იყო დამყარებული მხოლოდ ხიშტებზე, ძალადობაზე და ეროვნული ინტერესების პროფანაციაზე [5, 43-44].

საინტერესოა ოსეთის რომელ სახელმწიფოს დელეგაციაზეა ლაპარაკი რუსეთის შემადგენლობაში შესვლას რომ ითხოვდნენ? სიზმრების კულტინაციაა 1751 წელს, როგორ უშლიდნენ ხელს ქართველები ოსების დელეგაციას ოსები რომ რუსეთის ქვეშვრდომობაში მიეღოთ (გვ. 31). რომელი ოსეთის ან

ოსებისათვის უნდა შეეშალა ხელი ქართლისა და კახეთის მეფებს XVIII საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში ოსურ-რუსული მოლაპარაკების დროს. რომელ ოსეთზეა ლაპარაკი, ხიზან-მოჯამაგირე ოსებზე? ალბათ საერთოდ არ უნდა ღირდეს ლაპარაკი უმაღურ ეთნოსზე და მათ ე.წ. „დიპლომატ – მეცნიერზე“.

მოუსმინოთ მედოვეს: „ 1751 წლის 29 ოქტომბერს ოსი ელჩები მიიღო საგარეო საქმეთა კოლეგიის მრჩეველმა ვ.მ ბაკუნინმა, რომელიც ითვლებოდა ჩრდილო კავკასიის საკითხების მცოდნედ. მან ელჩების წინ გაშალა 1744 წელს შედგენილი რუპა და სთხოვა აღენიშნათ მასზე ის ადგილები საიდან მოვიდნენ და სად სურდათ გადასახლება. ელჩებმა რუკაზე მიანიშნეს გამოტოვებული ობიექტები – კვრძოდიქ არ იყო ნაჩვენები მდინარე გიზელდონი – და მიუთითეს დასახლებისათვის მათვების მისაღები ტერიტორია. ეს იყო ჩრდილო კავკასიაში ფიაგდონისა და არდონის ხეობები, „თავისუფალი მიწები“. მაგრამ კომისიამ ბელგრადის შეთანხმებიდან გამომდინარე შესთავაზა ტერიტორია რუსეთის საზღვართან, რაც მიუღებელი აღმოჩნდა ოსებისათვის. მათ სურდათ მოებთან, რაც შეიძლება ახლოს ყოფილიყვნენ (გვ. 32-33).

როგორც ვხედავთ ტყუილში თავად გამოტყდა დიპლომატი. ოსებს შეერთება კი არა რუსეთის ტერიტორიაზე ჩასახლება ნდომებიათ. რამდენადაც ცნობილია დონი – ოსური სიტყვაა და ნიშნავს წყალს. ამბობენ, რომ აქედან წარმოიშვა მდინარე დონის სახლი. ასევე ოსების ისტორიულ სამშობლოში მდინარეთა სახელწოდებები: გიზელდონი, ფიაგდონი და არდონი. ოსებიდან წარმოშობილს მიიჩნევენ დნეპრისა და დნესტრის სახელებსაც. ზოგიერთი მეცნიერის „ფანტაზია“ კიდევ უფრო შორს მიდის და ლონდონის სახელსაც ოსურ სიტყვად თვლიან. ეს მათი საქმეა.

დონი, არდონი, ფიაგდონი, ლონდონი... გაუშვი, რაც ქვეყანაზე „დონი“ და სიტყვის ბოლო „დონზე“ მთავრდება იყოს ოსური. ეს ჩვენ არ გვეხება. მითუმეტეს, რომ საქართველოში არ არის არც დონი, არც არდონი, არც გიზელდონი, და საერთოდ ასეთი დაბოლოების ტოპონიმი. და არც შეიძლება იყოს, რადგან ისინი გავრცელებულია მხოლოდ ოსების ისტორიულ ტერიტორიაზე – ჩრდილოეთ ოსეთში. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ისტორიულად ოსებს საქართველოში არასდროს არ უცხოვრიათ [6, 56].

ავტორმა, რაც წინა გვერდებზე აგვიხსნა, რომ თითქოს ოსეთის რუსეთთან შეერთებაზე იყო ელჩობა ჩასული და ქართველები უშლიდნენ ხელს, რამდენიმე აბზაცის შემდეგ შავით თეთრზე წერს: „ამ ტურის მოლაპარაკებებში ელჩები შეეცადნენ არ წამოეწიათ საკითხი რუსეთის მფარველობაში შესვლის შესახებ, რადგან დაინახეს, რომ გადასახლებაზე საუბარიც კი საქმაოდ რთული აღმოჩნდა. ისინი შეეცადნენ დაერწმუნებინათ ბაკუნინი, რომ მათ იმპერატორთან შეხვედრა თაყვანისცემისა და მადლიერების გამოსახატავად „უნდოდათ“ (გვ. 33). „რუსეთი და ოსეთი – განაგრძობს დიპლომატი – დარწმუნდნენ ერთმანეთან შეხვედრის კანონზომიერებასა და ამ ისტორიული პროცესის აუცილებლობაში. რუსეთის მეშვეობით ოსეთმა მიიღო სასიცოცხლო სივრცე, ხოლო რუსეთმა ოსეთის სახით – ერთგული და საიმედო მოკავშირე მისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონში“ (გვ. 38). პირდაპირ გაგიკვირდება, რა ყოფილა ეს ოსეთი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. . .

როგორც კი რუსეთმა XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოში შემოაბიჯა, დარიალის ხეობაში კომპაქტურად დასახლებულ „სტრატეგიულ პარტნიორ“ ოსებს პირველი გაკვეთილი ჩაუტარა. აი რას

იგონებს თვითმხილველი: „ამას წინათ კაპიტან-ის-პრაგნიკი უამურს მოვიდა, დაიჭირა ოსები. გობში, საიდანაც ძაღლები სვლეპენ, შრატი ჩაასხა, დახოცა კატები და შიგ ჩაყარა, შიგვე ჩაყარა ადამიანის სიბინძურე და მათ აჭამა. იმავე ოსებს რვა სახლი და-უწვა, სადაც 300 კოდი ქერი დაიღუპა“.

რუსი მოხელეები აიძულებდნენ მათ უფასოდ გამოყვანათ ხარ-ურმები, ცხენები, მიუცათ სურსათ-სანოვაგვ, პური, ქერი, ფრინველ-პირუტყვი, ცხენები-სათვის თივა და სხვა,, ხოლო ფულს არ უხდიდნენ“ [7, 915-916].

სადა აქვთ ჯაყოებს ტვინის გამორეცხვის ამ-დენი ფანტაზია – საოცრებაა. კურუქ-კაინარჯის ზა-ვით ხომ „ერთიანი ოსეთი რუსეთის შემადგენლობაში შეიყვანა“ (გვ. 40). ჯაყოს კოშმარული სიზმრის თა-ნახმად კი რუსეთის არმია XIX საუკუნის პირველ ნა-ხევარში ახალი ქართველი თავადების „შეკვეთით“ ოსეთზე თავდასხმებს ახორციელებდა“ (იქვე). „ბრძე-ნი პოლიტიკოსი“ იქვე უმატებს „და ადგილი პქონდა ერთიანი ოსეთის გაყოფას ჩრდილოეთად და სამხრე-თად 1917 წლის ცხობილი მოვლენების შემდეგ“ (იქ-ვე). სწორედ ამ დროს იტყვიან: „სასაცილოა სატირა-ლი, რომ არ იყოს“.

როდესაც პოსტსაბჭოთა პერიოდს ეხება მედოე-ვი, „გაზაფხულის ფერებში ხატავს“ ოსების თხოვნას დაეხმაროს და შეიკროს რუსეთმა „სამხრეთ თსეთი“ (გვ. 81, 82). ვისი მიწით შესვლას თხოულობდნენ ჯა-ყოები რუსეთან შეერთებას?

ჯაყოს კიდევ ერთი საინტერესო სიზმარი: პან-კისის ხეობაში ოსების დასახლებას XIV-XV საუკუ-ნით ათარიღებს, რაც ქართველი მეფეების სურვილი ყოფილა. საარქივო დოკუმენტური წყაროების მიხედ-ვით კი „პანკისის ხეობაში ოსების ჩამოსახლება და-

იწყო XX საუკუნის დასაწყისიდან, ქართველი თავა-  
დებისაგან მიწების ყიდვის „შემდეგ“ (იხ. საქართვე-  
ლოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო  
არქივი, ფ. 600, ანაწ. 2, საქ. 37, ფურც. 20).

„გამოჩენილი ფანტასტი მწერალი“ დიმიტრი მე-  
დოევი დასკვნით ნაწილში ისტორიული ფაქტებისად-  
მი შესაშურ „ცოდნას“ ამჟღავნებს. თურმე „1922  
წელს სამხრეთ ოსეთი მისი ხალხის საწინააღმდეგოდ  
ახლად წარმოქმნილი საქართველოს საბჭოთა რეს-  
პუბლიკის შემადგენლობაში შეუყვანიათ“, რასაც ოსი  
ხალხი არასდროს არ ცნობდა (გვ. 197). ამით ძალდა-  
ტანებითი ანექსია მომხდარა ოსეთის ეროვნული ტე-  
რიტორიის ნაწილისა (გვ. 198).

კომენტარი მართლაც ზედმეტია. უფალმა შეუნ-  
დოს!

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთო-  
ბა XV-XVIII საუკუნეებში, თბ., 1969
2. რ. თოფხიშვილი, კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია,  
თბ., 2007
3. Курьер Юнеско, 1997, №1
4. П. Закарая, К истории зодчества Шида Картли, сб.  
„Осетинский вопрос“, Тб., 1994
5. ა. სილაგაძე, საქართველო 92, თბ., 1993
6. А. Тотадзе, Осетины в Грузии, Тб., 1994
7. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ.,  
1973



## გამომცემლობა „უნივერსალი”

---

თბილისი, 0179, გ. კავკავაძის გამზ. 19, ტელ: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge; universal505@ymail.com